

კვირის პალიტრა

პეპსი

ნახე! სიასლა „გზავნილებში“

„კვირის პალიტრაში“
დაწყებული „ცხოვრების“
გაგრძელება

N23 (417) 5/VI-11/VI.2008 შანი 88 თონა

ქალი, რომელმაც „მარტოხელა გბელი“ გააბედნიერა



სიასლა სოსო ავლიაშვილის ცხოვრებაში



კლინიკური სიკვდილის
უაღრავ ახალი
„მასაჟი თვალი“



ინფორმაციის
ქართული
რბაღი

შოკი ქართულ პოდუფეში...



ქალის სხეულზე
უაღრავი პითონი

სისხლიან 1937 წელს, პარიზში
ქართველებმა 26 მაისი იუბილეს



ააგანი აატიართან ანუ სიხეში „დაბეული“ გოგონები

ISSN 1987 - 5029



იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



 **OIKOS**

ვისი „კაკლონიკები“ ანუხეგენ ოთარ ტატიშვილს

– გულწრფელად მითხარი, ვის უფრო მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს: ექიმ ოთარ ტატიშვილს თუ ირაკლი ჩხეიძეს?

– უნდა ვაღიარო, რომ ირაკლი ჩხეიძე, პოპულარობის მოპოვებაში, ოთარ ტატიშვილს ძალიან დაეხმარა.



12

Seurigebeli ana



საფრანგეთში მყოფმა ანამ მამთარში მომწერა, რომ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა და ძე მხარა, – ბილუები უკვე მომიგანესო, მივხვდი, ეს არ იყო „უბრალო“ დაბრუნება და მხოლოდ მონაგრებული სამშობლოს სიბღი არ უფორიაქებდა სულს...

20


შურნალი შურნალი

გზისგანილები



ჩალოში ჩემოშაშის ჰეჯანს. შილოები და იშლოები აშის.

ყოშობი იყვანია და ნისნეიან ცხაგაშობენ



უჩეულო გამოსავალი



კონსულტაცია

39-70



№23 (417)
5 - 11 ივნისი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

მინიატიურები

დაუპატივების „სტრიპტიზი“ და პოლიტიკური „ანალიზი“ ანუ ყველანი – საჭირო ოთახში!.. 5

პოლიტიკა

„საერთაშორისო დამკვირვებლების მხარდაჭერის მოსაპოვებლად დიდი ფული გადაინადან“ 6

ფაქტი და კომენტარი

„არ გამოიკვირება, თუ ყველა პარლამენტარი ნაკომანი აღმოჩნდება“ 8

კომულიკები

„რუსეთის ახალი პრეზიდენტი ჯერ სალ ფახეხს კი არ ღვას“... 9

ნარკაზება

პარტულ-ამერიკული სკოლის ევროპულ-ამერიკული პოიკი ანუ „ყველაზე საუკეთესო დინო საპარტულში“ 10

ჟურნალისტის რეკლამა

პარტული მელისინის ისტორიაში მომხდარი რეკლამისი 12

თემა

ააამანი პატიმართან 15

ტკივილი

„მის მიერ განხილვა და აღწერილობა სულით სორსამდე შეძრა აფხაზთიდან დევნილები“ 19

აღსარება

შურიგაბალი ანა (დაბრუნება) 20

პრედიტი

მეფის მანხარასთან დამამობრავალი გოჩა თანდარაშვილი 22

კონკურსი

„მის ზიკინი“ – მისამ გამოშვება 24

პოდიუმი

ბალხაჰის ასაჰის ქართველი ქალბატონები და ბანუა შამოხეველი პითონი 25

ჩემი სწორების გზა

ასტროლოგის მუნიკალური ნარსული და კლინიკური სიკვდილის შემდეგ ახალილი „მისამ თვალი“ 27

ანტიდუკანანტი

სადარსა სალ ნიყვან 28

ინდოლოების ქართველი რეალი – ნათია 30

დამხარე რამზა

სწრაფად გადალახა იორი და გყეს შეერიო. ბრაბი მოერიო უშობს ვინ იყის როგორ უჭირდა ახლა მუროჩის ის კი დამფრთხალი კურდულეღვით ჩირგვებს აფარებდა თავს. იფქრა ნეგაგ ახლა არ



didgoris caze
frenda is jvari

დაბრუნდეს უკან მუროჩი; მან ხომ არაფერი იყის ამ თურქების შესახებ და შემთხვევით არ გადააწყდესო. მერე შლეგური ამრიც გაუნდა – ხომ არ აფხაზურად თურქები აქეთ მოვიბდო, ჩემი ძმისკენ რომ არ წავიდნენო?

82

| | |
|---------------------------------------------------------------------------------------|-------|
| ■ თინეიჯერული პონება | |
| ✓ როდის უნდა მოიხსილავო თავი ანუ „რა დროს სხენები და მოგახედავი?“ | 32 |
| ✓ „ერთჯერადი ლოვეები“, ფინანსების კლუბი და ტაპილ-მხარე გრძნობა | 34 |
| ■ ნაფიქრი ანგარი | |
| ზიარის ძროხა... | 36 |
| ■ ჯანმრთელობა | |
| ეგზემა | 37 |
| ■ ჟურნალი ჟურნალი | 39-70 |
| სხმოვრება | 39 |
| გზავნილები | 55 |
| ■ ფსევზი | |
| მეზნის სინიდან გაქმული და საფრანგეთში დასახლებული პატრიოტი ქართველის თავგადასავალი... | 71 |
| ■ რუმანი | |
| სვაბა კვარახელია. | |
| ქარის სიღრმე... (დასასრული) | 74 |
| ■ ბაიბ-აუბი | 78 |
| ■ საკითხავი ქალებისთვის | |
| ✓ თუ დეარსია დავაფლება | 80 |
| ✓ ვარჯიშები სეულულის ნინაღვლა | 80 |
| ✓ რაზე ჟორობენ მამაკაცები | 81 |
| ■ ისტორიული რუმანი | |
| გორა მანელია. დიღორის ცაზე ფრანდა ის ჯვარი (გაგრძელება) | 82 |
| ■ ქართული მილიონები | |
| უფიქრისი ემიგრანტები | 86 |
| ■ ნინაღვლა | |
| ყრმობის ასაკიდან დაწყებული ღვთისმკაცრი სავალი გზა | 87 |
| ■ თანამეგობრული | |
| უხმოების სინ კვეთ | 88 |
| ■ სელოვანი | |
| „ჩემი ჟურნალი“, „არაჩვეულებრივი გამოფანა“ და 70-ს მიტანებული გვერდები | 89 |
| ■ ფსევზი | |
| ქართველები კანონი და კველი დიღობის დაბრუნების პერსპექტივა | 91 |
| ■ ემიგრანტები | |
| მამა სინისიონი და ათენი მსხმოვრები ქართველი მრავალი | 93 |
| ■ ვარსკვლავები | |
| ✓ მარტინ სკორსაზე გოგ მარლის შესახებ ფილმის გადაღებაზე უარს ამბობს | 94 |
| ✓ ჯორჯ კლუნის გული კვლავ თავისუფალია | 94 |
| ✓ „ბერმინგემი“ გრძელდება | 94 |
| ■ ბელადი | |
| მხადრეთმთავარი სტალინი (გაგრძელება) | 96 |
| ■ დიღობი | 98 |
| ■ მგზავრული | |
| ზესტაფონელი „ბაქსიტი“ და მისი თბილისელი მგზავრები | 100 |
| ■ სახე | |
| ეგლი — ქართული „ემო-კულტურის“ „დადამთავარი!“ | 101 |
| ■ ავტო | 103 |
| ■ სკანორდი | 104 |
| ■ ბესტი | 105 |
| ■ პროგნოზი | 106 |

გარეკანზე: ირაბ ლიპარტალიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუბსაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატებად. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე. მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაძე. მენეჯერი: მათე კვიციანი.

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


რაზე ჟორობენ მამაკაცები




„კაცური ჟორებიც“ ისეთივე დეტალებითა და თანამიმდევრობით გამოირჩევა, როგორც თაც „ქალური“. მხარდაჭერისა და მეგობრული რჩევის მოლოდინში, ისინიც ჩვეულებრივ განიხილავენ წვრილმან უსიამოვნებებსა და პრობლემებს.

„ქროს ნიგ-ნელება“ და ქართველი გელის მამაკაცი

„1913 წელს, ერთ დიდ ჯგუფს ამერიკაში 18 წლის დიმიტრიც გაჰყვა, სადაც მას მრავლად დახვდნენ ქართველები, რომელთა ნაწილი ახალ მიწაზე დამკვიდრებულიყო“.



პაემანი პატიმართან




„ადრე მხოლოდ გამოცდილი ნაშები მოდიოდნენ, ახლა კი ისეთი „მწარე ქალიშვილებიც“ გვაკითხავენ, რომ გაგიჟდები. შეიძლება, შენ ირგვლივაც ბევრ ვინმეს ვიცნობ და რომელიმე რომ დაგისახელო, არც დამიჯერო“.



- დაბრძანდი,
- ხელით მიუთითა ბეჭამ სკამზე.
- და დალევის ნებასაც ვითხოვ.
- დალიე.
- მომიჭახუნებ? დალევე ჩემთან ერთად? – სანდრომ ჭიქა შეავსო და ასწია.
- შენთან ერთად არ დავლევე, – პროტესტი გამოთქვა ბეჭამ.
- რატომ, ცუდი ბიჭი ვარ?
- იმიტომ, რომ მე ვარ ცუდი ბიჭი.
- მერე? ამან იცის ეს ამბავი? – თვალებით ჩემზე ანიშნა სანდრომ.

დეპუტატების „სტრიკები“ და პოლიციური „ანალიზი“ ანუ ყველანი – საჭირო მოახში..




კიდევ კარგი, ჩემი პარტია ნ-პროცენტის ბარიერის აქეთ რომ დარჩა და პარლამენტში ვერ მოვხვდი, თორემ რა მემ-ველებოდა, არ ვიცი! ისეთი კომპლექსიანი ვარ, შხაბის ქვეშ ჩაცმული ვბანაობ და ნარკოლოგიურ შემონეშებაზე გავემიფ-ლდებოდი?! მაინც, რა არის ეს, რა წესია — ახალარჩეული დეპუტატების გამიშვლება?! აირჩია ხალხმა და ახლა ამონეშებ, შევიდეს თუ არა პარლამენტში?! არჩევნებამდე სიებს რომ წარმოადგენენ, მაშინ შეამონეშეთ და თუ ნარკომანია, აღარ გავაცდენთ ჩვენს ხმებს და ვისაც კარგი ანალიზი აღმოაჩნდება, იმას შემოვხაზავთ. მაინც ვერ გავიგე, პოლიტიკური აზროვნებით ვირჩევთ საკანონმდებლო ორგანოს თუ შარდის ფერით?!

ამ ტელეჟურნალისტებს ხომ არაფრის ერიდებათ და ნება რომ დართო, ტუალეტშიც შეჰყვებიან და LIVE-ში გვიჩვენებენ,

ესტებათ გულზე, თორემ „ნაციონალი“ დეპუტატების ანალი-ზები ხომ სამუზეუმო ექსპონატებადაა შესანახი?! ამბობს კაცი, — თავის ტკივილის წამალი დავლიეო, — და მეტი რა ქნას?! მოტყუება რომ ნდომოდა, „ვაბზე“ სხვას აქნევინებდა ან იტყო-და, — მე ხალხს ვასწავლი, როგორ უნდა მოახყოს აჯანყება ანუ ვარ მასწავლებელი და მასწავლებლები ხომ ტუალეტში არ დადიანო, — და ჩაჭრიდათ „ბაზარში“, მაგრამ შეცდა და „ქნა“. „ქნა“ და ახლა ორჯერ ჩაჭრილი სტუდენტებით, მესამე შემონ-მების პასუხს ელოდება. თუ მესამედაც „ჩაიჭრა“, პარლამენტში შესვლამდე გარიცხავენ და ჯანყი და აურზაური მერე ნახეთ თქვენ!..

ისე, ერთი რამ გამკვირვებია: თუ იმას გვიქვდაგებს ოპოზი-ცია, — 10 ივნისს არც ჩვენ შევალთ პარლამენტში და გვერ-დით დაგვიდევით, რომ უმრავლესობაც არ შევუშვათო, — ვთქვით და მოვედი, იმ ჯაჭვში საიმედო რგოლად ჩაგიდევ, მაგრამ თუ შესვლას არ აპირებ, ამ ანალიზიან „ბანკას“ რას დაარბენინებ ტუალეტიდან ექიმის კაბინეტში და — პირიქით?! ასე გინდათ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლებ-



ის გადაგება „შარდების რევოლუცი-ით“?! დემონსტრირებისთვის ის ქილებიც წამოიღეთ, რომ ხალხმა თვითონ დაინახოს ამ მთავრობის მუხანათობა, როგორ ძალად აწუნებინებენ მოსყიდულ ექიმ-ნარკოლოგებს ქარვასავით ანალი-ზებს.

აგერ კიდევ, ბზარი ჩნდება ანტი-სახელისუფლებო ძალებში: „რესპუბ-ლიკელები“ არ ამართლებენ პარლა-მენტის პიკეტირებას, ამას პრეზი-დენტი მის სასიკეთოდ გამოიყენებს და მსოფლიოს დაანახებს, რომ აგრე-სიული ოპოზიცია ჰყავსო... გამოიყ-ენებს, აბა, არ გამოიყენებს?! ეს „რე-სპუბლიკელები“, ბოლო-ბოლო, სად არიან და მართლა „რესპუბლიკელები“ არიან თუ მთავრობის „რესპუ-ბულკელები“, ვერ გავიგე!.. აქეთ, გამყრელიძემ და ნათელაშვილმა გა-ნაცხადეს, — რამდენიმე ოლქის ხმე-

ბის გაუქმების შემთხვევაში შევალთ სდომბზეო, — იმან ისაო, ამან ესაო და მაინც, გაურკვეველადაა საქმე...
ამიტომ, მოდი, 10 რიცხვამდე ვერ შარდის პრობლემები გაარკვეით, ამასობაში კიდევ რალაც გამოჩნდება და უფრო გვეცოდინება, როგორ მოვიქცეთ: შევუშვათ თუ არა დეპუტატე-ბი შენობაში. მაგრამ მგონი, ბევრი თქვენგანი, არ შევა კი არა, გულით უკვე იქ ზის...

ვინ რას შერება და როგორ შერება. ნელს ზემოთ გამიშვლებული დეპუტატები ხომ გვიჩვენეს, ექიმი რომ ამონეშებდა?! კარგი, ბატონო, გიორგი ასანიძე შტანგისტია და მიჩვეულია კუნთების დემონსტრირებას, მა-გრამ კობა სუბელიანის საცოდაობით დავი-წვი — კაცს ასფალტის დამგების უნიფორმა არ გაუხდია და აგერ, ეთერში გაამიშვლეს PLAYBOY-ს მოდე-ლივით. ნეტავ, მანდილოსანი დეპუტატების შემონეშებაც გამიშ-ვლებით ხდება?! ბარემ მოახყვეთ დეპუტატების სტრიკებიზი არჩევნების ნაცვლად და ამომრჩეველს ვინც მოეწონება, პირდა-პირ საცვალში ჩაუკუჭახს შემოხაზულ ბიულეტენს...

ეს კიდევ არაფერი, შარდის ანალიზის შემონეშებამ ისე შემძრა, რომ საბოლოოდ ვთქვი უარი პოლიტიკაზე, საპრეზი-დენტოდ გამზადებულმა პროფოკატორმა. ხომ შეიძლება, სხ-ვანაირად შეამონეშო ადამიანი — ან სისხლის ანალიზით, ან ქაეილ-ფხანით, ან თვალბეშში ჩახედვით — „თვალეები ხომ არასოდეს ტყუიან“, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაც უარყვეს და ამტკიცებენ, რომ „შარდი არ ტყუის“...
ჰოდა, აგერ ამოუქექეს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდ-ერს სკანდალი, — შარდში კოკაინის ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერება — კოდეინი აღმოაჩნდაო. ჩანყობილია, ბატონო, გეუბნებით — თუ არ მოსწონთ კაცი, მისი არც შარდი

ბის გაუქმების შემთხვევაში შევალთ სდომბზეო, — იმან ისაო, ამან ესაო და მაინც, გაურკვეველადაა საქმე...
ამიტომ, მოდი, 10 რიცხვამდე ვერ შარდის პრობლემები გაარკვეით, ამასობაში კიდევ რალაც გამოჩნდება და უფრო გვეცოდინება, როგორ მოვიქცეთ: შევუშვათ თუ არა დეპუტატე-ბი შენობაში. მაგრამ მგონი, ბევრი თქვენგანი, არ შევა კი არა, გულით უკვე იქ ზის...

P.S. დეპუტატების დიალოგი ნარკოლოგიურ შემონეშებაზე: — ხომ იცი ჩემი ხათრიანობის ამბავი, შეაკვება დამემართა სირცხვილისაგან და ძმურად, ცოტა შარდი მასესხე, რა..
— რამდენს ვასესხო, ვერ გავიგე? წინა პარლამენტის შემონ-მების ვალიც არ გაგისტუმრებია, გამეფსო რვეული ნისიებით!..

პროპოკატორი

„საერთაშორისო ლაქვირებას გზისაღების მოსაზრებებზე ერი უდი ბაღისაღებს“

ადვილი შესაძლებელია, რომ 10 ივნისი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღი გახდეს. ამ დღეს „ნაციონალები“ საპარლამენტო სესიის ჩატარებას გეგმავენ, ოპოზიცია პარლამენტის ბლოკირებით იმუქრება, ხელისუფლება კი უმრავლესობის ინტერესების დასაცავად ემზადება და ძალის გამოყენებასაც არ გამოორიცხავს. მოსალოდნელ საფრთხეებსა და შედეგებზე სასაუბროდ, ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრე ექსპერტებთან ერთად, განსხვავებული მოსაზრებების მქონე ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მოვიწვიეთ.



„ოპოზიცია მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ქვეყანაში წყალი აამღვრიოს...“

ხათუნა ბახტურიძე

ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი:

— ოპოზიცია ასეთ რადიკალურ ნაბიჯებს იმიტომ მიმართავს, რომ ქვეყანაში უსამართლობა მძვინვარებს. ფაქტია, არჩევნები სამართლიანად არ ჩატარებულა. 26 მაისს სამასი ათასი კაცი გამოვიდა ქუჩაში. საინტერესოა, სად დაიკარგა ამ ადამიანების ხმა?

— **პარლამენტის პიკტირება მართულად მიგაჩნათ?**

— ეს ხელისუფლებაც ხომ ძალის გამოყენებით შევიდა პარლამენტში? ჰოდა, თუ მათ შეეძლოთ, იქ იარაღით შევარდნილიყვნენ, რატომ არ შეიძლება, რომ ეს ოპოზიცია უიარაღოდ შევიდეს?..

— **იარაღით თუ ვარდებით, ბატონო ჯანსუღ?**

— მხოლოდ ვარდებით არ შესულან, ზოგს ავტომატიც ეჭირა ხელში. ოპოზიციის არც ერთი ლიდერი ხალხს ძალადობისკენ არ მოუწოდებს. ისინი ამბობენ, — „ნაციონალებო“, თქვენ დეპუტატობის მანდატები უსამართლოდ მოიპოვეთ და ამიტომაც, პარლამენტთან დაგხვდებით, შიგნით არ შეგიშვებთო. „ნაციონალები“ კი პასუხობენ, — აბა, შემოდით, დედას გიტორებთო. შენი აზრით, რომელი მხარეა ახლა მართალი?

— **თქვენზე, როგორც ამომრჩევლებზე, როგორ მოქმედებს ის ფაქტი, რომ სწორ შემთხვევაში, ოპოზიცია უკან იხევს და გადაწყვეტილებასაც სწორად იცვლის?**

— უკან დახევა მხოლოდ რაინდებს შეუძლიათ! მე ქართველი კაცი ვარ და მირჩევნია, უკან დავიხიო, ვიდრე თანამემამულის სისხლი დავღვარო. მერნმუნეთ, ხალხი ოპოზიციას კი არა, შიმშილს და უსამართლობას გამოჰყავს

ქუჩაში. ხომ არ შეიძლება, ხელისუფლებამ სულ ის იძახოს, — გზა გავიყვანე და შენობები შევლებო? მშიერ ადამიანებს აჭრელებული სახლები და შადრევნები რაში სჭირდებათ?! ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლების მიერ დაგებული გზაზე მძღარი ხალხი დადიოდეს. სერიოზულ პროტესტს იწვევს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არსებობს — შევარდნაძის ხელისუფლება „დარდუბალას“ ითმენდა, სააკაშვილი კი მცირე კრიტიკასაც ვერ იტანს. ესაა თავისუფლება?..

ირაკლი ოჩიაი, მხატვარი:

— პარლამენტის პიკტირებით, ოპოზიცია ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს. თავიანთ ამომრჩევებს დანაპირები ვერ შეუსრულეს და ამიტომაც, ადარაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ.

— **ფიქრობთ, რომ არჩევნები არ გაყალბებულა?**

— ყოველ შემთხვევაში, ისეთი ფართომასშტაბიანი გაყალბება არ იყო, რომ სალაპარაკოდ ღირდეს. ვითომ, მხოლოდ „ნაციონალები“ ცდილობდნენ არჩევნების გაყალბებას? რატომ უნდა დაუფუერო ოპოზიციას?

— **მმართველი პარტიის რატომ ღვერათ?**

— იმიტომ, რომ მმართველმა პარტიამ ხალხს ბევრი დანაპირები შეუსრულა. თუ ვინმე ამას ვერ ხედავს, ბრმა ყოფილა! ოპოზიცია რას აკეთებს? — მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ქვეყანაში წყალი აამღვრიოს.

— **დანაპირების შესრულებაში რას გულისხმობთ?**

— პენსიებისა და ხელფასების მომატებას, ქვეყანაში მიმდინარე აღმ-

შენებლობას... საქართველო ლატაკი ქვეყანა იყო და 2-3 წელიწადში სამოთხის მოწყობა, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოუდგენელია. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ხალხს ქუჩაში რომ გამოიყვანს და ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ამით გაჭირვებულ ხალხს შელავათი მიეცემა?

ნაო ორეაშვილი, ექსპერტი:

— უცხოელმა დამკვირვებლებმა როგორი შედეგებიც უნდა დაგვიდონ, ჩვენ უკეთ ვიცით, 21 მაისს საქართველოში რა ცოდვა-მადლიც ტრიალებდა. ადამიანების ერთი ნაწილს დააწინეს, მეორე კი მოისყიდეს (ვინ რა ფასად, ეს სხვა საკითხია). ასეთი საზიზღარი ატმოსფერო კომუნისტების დროსაც არ ყოფილა. ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას ამ ყველაფერზე რეაქცია რომ არ ჰქონდეს, საქმე სატირლად გვექნება. ყველამ კარგად დავეინახეთ, რომ რუსი, ამერიკელი და ევროპელი დამკვირვებლები ერთი და იმავე შინაარსის დასკვნებს აკეთებდნენ და არჩევნების გაყალბებაზე თვალებს ხუჭავდნენ. როდესაც ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ჟურნალისტს კამერა დაუმტკრივს და ერთ დღეში ორჯერ გალახეს, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წევრმა, ინგე მინი ლონგვისტმა მას ასეთი რჩევა მისცა: ხომ ხედავ, ამ ხალხს ალიზიანებ. ჰოდა, მოაცილე ეგ კამერაო.

— **საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ, ხელისუფლებისადმი ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა რთ უნდა იყოს გამოწვეული?**

— იმით, რომ სააკაშვილი პიარის დიდოსტატია. კარგად ვიცი, რა ღირს და როგორ მიიღწევა კონგრესმენის, სენატორისა თუ სხვა პირის საჯარო მხარდაჭერა. სააკაშვილი მიხვდა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების

პოზიციას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად დიდი ფული გადაიხადა.

— **სულ ახლახან, რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტში დაინტერესებულ მხარედ აღიარეს...**

— რუსეთსა და ამერიკას საქართველოს დანაწევრება ერთნაირად სურს. ევროპელების, ამერიკელებისა და რუსების მოვლილი სამშობლო არ გამოგვადგება.

— **ბატონო ნიკო, 10 ივნისს, საპარლამენტო სხდომის ჩაშლით, ოპოზიცია რას მიაღწევს? ხომ შესაძლებელია, რომ ისეთი ვადები და 11, 12 ან 13 ივნისს ჩატარდეს?**

— საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, თუ არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში პარლამენტი შეკრებას ვერ მოახერხებს, კონსტიტუციური კრიზისი შეიქმნება. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია, ორ თვეში ახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. თუ 10 ივნისამდე პარლამენტი შეკრებას ვერ მოახერხებს, არჩევნები ჩაშლილად უნდა გამოცხადდეს.

— **როგორც უმრავლესობის წარმომადგენელთა განცხადებებიდან ჩანს, ხელისუფლება პირველი სესიის ჩაშლას არ დაუშვებს. თქვენი აზრით, რა საფრთხეება მოსალოდნელი 10 ივნისს?**

— ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება საერთო სახალხო განწყობილება. ხელისუფლებას მიტინგის დარბევა 2 ნოემბერსაც უნდოდა, მაგრამ ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვიდა და ვეღარ გაბედა, 7 ნოემბერს კი ხალხის ნაკადის შემცირებით ისარგებლა და ჩანაფიქრი განახორციელა. ნათქვამია, — „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. თუ ხალხი მოინდომებს, მას წინ ვერაფერი დაუდგება.

— **ოპოზიციამ ხალხი არაერთხელ გამოიყვანა ქუჩაში, მაგრამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ვერ მოახერხა და ამან საზოგადოების იმედგაცრუება გამოიწვია. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ხალხს გამოყვანას ისევ შეძლებს?**

— ნაყოფი მაშინ უნდა მოწყვიტო, როცა მნიშვნელოვანი მკვებე ყურძენმა შეიძლება, კბილებიც მოგჭრას და კუჭიც აგიშალოს. 26 მაისის მანიფესტაცია მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ იმ დღეს პარლამენტში შევარდნას აზრი არ ჰქონდა. ხომ გაგიგონიათ: ჩიტი ბდღვინად უნდა ღირდეს. 10-ში პარლამენტის პიკეტირებას სერიოზული შედეგი მოჰყვება. ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილის ნამდვილ სახეს მთელი მსოფლიო იხილავს. მან მილიონი ხმა თავის პარ-

ტიას გაუფორმა, ოპოზიციას კი სამასი ათასი ამყოფინა. ახლა ჩვენ გვაქვს შანსი, მსოფლიოს დავანახოთ, რომ ჩვენ ბევრად მეტი მხარდამჭერი გვყავს.

— **რამდენად მართებულია მიგანჩიათ ოპოზიციის იდეა პარლამენტის ალტერნატიული ორგანოს შექმნის თაობაზე? ეს ქვეყნისათვის ისეთივე სავალალო შედეგის მომტანი ხომ არ იქნება, როგორც ეროვნული კონგრესის ამოქმედება იყო?**

— ეს იდეა, თავად ავტორებსაც არ აქვთ ბოლომდე ჩამოყალიბებული. ასე რომ, ჩემი მხრიდან ამაზე ლაპარაკი არაკორექტული იქნება, მაგრამ რაც უკვე მოვისმინე, იმას არ ვეთანხმები, რადგან ეს საქართველოს კარგ შედეგს არ მოუტანს.

დავით დარჩიაშვილი, ექსპერტი:

— არა მგონია, რომ 10 ივნისს მოვლენები დრამატულად განვითარდეს. ოპოზიცია უფლებამოსილია, მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულება საჯაროდ გამოხატოს და თუ ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება, პრობლემაც არ შეიქმნება, მაგრამ თუ ვინმე სხვისი უფლებების შელახვას შეეცდება, მას კანონით გათვალისწინებული ნორმებით გასცემენ პასუხს.

— **უმრავლესობას ოპოზიციის გარეშე სხდომების ჩატარება დისკომფორტს არ შეუქმნის?**

— არასასიამოვნოა, როდესაც პარტნიორი (ოპოზიცია და უმრავლესობა, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში პარტნიორები არიან) მიგატოვებს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს მართლაც ქმნის დისკომფორტს, მაგრამ სამართლებრივად არაფერი შავდება.

— **ოპოზიცია აცხადებს, რომ სადავო უზნების გაუქმების შემთხვევაში, პარლამენტში შევა. რატომაა ეს წინადადება თქვენთვის მიუღებელი?**

— ეს იმ ოლქში მცხოვრები მოსახლეობის შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. ვინც ამას ითხოვს, უახლოეს მომავალში მაინც, ამ რეგიონებში ხმას საერთოდ ვერ მიიღებს.

— **თუ ხელისუფლება არანაირ კომპრომისზე არ აპირებს წასვლას,**

ოპოზიციას მოლაპარაკებას რატომ სთავაზობს?

— ხელისუფლებამ ოპოზიციას მაღალი თანამდებობები შესთავაზა. თქვენი აზრით, ეს კომპრომისი არ არის? მე რომ ოპოზიციის წარმომადგენელი ვიყო, ვიტყვოდი, — აღარ გვინდა ზოგადი განცხადებები და მოდი, კონკრეტულ საკითხებზე ვილაპარაკოთ-მეთქი. მოვიდნენ და გვითხრან, რა უნდათ. გამოვიყენოთ ევროპული პარლამენტების გამოცდილება და ადამიანურად დავილაპარაკოთ. ქუჩაში პოლიტიკა წყდებოდა ძველ ნოვგოროდში და ძველ სპარტანაში, ახლა კი მსგავსი რაღაცების დრო აღარაა. ამით ხალხის მხარდაჭერას ვეღარ მოიპოვებენ.

— **26 მაისს საკმაოდ ბევრი ხალხი გამოვიდა ქუჩაში. ისინი თქვენი მხარდამჭერები იყვნენ?**

— ასეთი რამ ყველა ქვეყანაში ხდება. საქართველოში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს, მიტინგებზე კი მხოლოდ ათასები გამოდიან. თუმცა, რამდენიც უნდა იყვნენ, მათ აზრს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. არჩევნებში „ნაციონალებმა“ 58 თუ 59% აიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის 40% ჩვენი წინააღმდეგია. ოპოზიციამ ეს სერიოზული ძალა ვერ გამოიყენა — მათ ერთმანეთს გაუნიეს კონკურენცია და არჩევნებში წააგეს. ამას გარდა, ბევრი მათი მომხრე არჩევნებზე საერთოდ არ მოვიდა. ჰოდა, რა ვქნათ ახლა? დემოკრატიის წესი ასეთია — ვინც არჩევნებში იმარჯვებს, ქვეყანასაც ის მართავს.

— **ამბობენ, რომ ხელისუფლება თავისი ოპონენტების, მათ შორის, ქალების დასაშინებლად ფიზიკურ ზენოლას ასორციელებს. ესეც დემოკრატიის წესია?**

— ამ ყველაფერს გამოძიება ხომ უნდა? იმედა, მე და ჩემს თანაპარტიელებს ადამიანების ფიზიკურ ანგარიშსწორებაში დადანაშაულებას არ გვაკადრებთ. რატომღაც, ოპოზიციამ გადანყვიტა, რომ ყველაფერში ხელისუფლება დაადანაშაულოს. ჰოდა, სეტყვამ რომ ვენახი გააფუჭოს, ესეც ჩვენ დაგვბრალდებდა. თუ კონკრეტული ადამიანები პოლიტიკურ ნიადაგზე ერთმანეთს უპირისპირდებიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის შემკვეთები ჩვენ ვართ. იმედი მაქვს, ოპოზიციის რიგებშიც აღმოჩნდებიან საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აბსურდულ ბრალდებებს თავს დაანებებენ და ბრძოლას საკანონმდებლო ორგანოში გააგრძელებენ. შეგასხენებთ, ახლა მთავარი პრობლემა აფხაზეთშია და არა — თბილისში, რუსთაველის გამზირზე.



ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება საერთო სახალხო განწყობილება

„არჩევნები გააყალბეს და ანალიზების პასუხებს ვერ გააყალბებდნენ?“

„არ გამიკვირდება, თუ ყველა პარლამენტარი ნარკომანი აღმოჩნდება...“

საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლევან გაჩეჩილაძის ანალიზებში ნარკოტიკის აღმოჩენა, ახალგაზრდა თაობა კი პოლიტიკაზე ლაპარაკს თავს არიდებს და მნიშვნელოვან მოვლენად შოთა არველაძის ფეხბურთიდან წასვლას ასახელებს...

ნათია ქვიციანი

ამირან კვიციანი, ეკონომისტი, 53 წლის:

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მომხრე არ ვარ, რატომღაც, ოპოზიციის წარმომადგენლებსაც არ ვენდობი. ჩემს განსაკუთრებულ ანტიპათიას სწორედ ლევან გაჩეჩილაძე იმსახურებს. არ მჯერა მისი ნათქვამის, რომ თითქოს, თავის ტკივილის წამალი დალია და მის ანალიზებში აღმოჩენილი ნარკოტიკული ნივთიერება სწორედ ამის დამსახურებაა. რატომღაც, მგონია, სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება გოგა ხაინდრავასაც ექნება. ძმები ბერძენიშვილებისა და დავით უსუფაშვილის მიმართ საკმაოდ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი და მიკვირს, ამ სამეულს დანარჩენ ოპოზიციონერებთან რა საერთო აქვს? ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას კრიმინალებს უწოდებენ და უამრავ რამეში ადანაშაულებენ. მკვლელობას ვერავის დავნამებ, მაგრამ მიმჩნია, რომ კრიმინალი არც ოპოზიციონერებისთვისაა უცხო ხილი...

ლალი გვაზაშვილი, ინჟინერი, 43 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაა, რომელსაც ეჭვი მაქვს, აღარაფერი ეშველება. ამერიკაც კარგია და ყველა სხვა ქვეყანაც, მაგრამ რუსეთი ჩვენი მეზობელია და ეს ქვეყანა მტრად არ უნდა გაგვხადდეს. ამიტომაც წაგვართვეს ცხინვალის და აფხაზეთი. ამერიკის გამო ჩვენი შვილები ერაყში რომ იბრძვიან და იხოცებიან, რატომ ისინი არ გვეხმარებიან აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნებაში? სიმართლე გითხრათ, ახლა ამ ორ მხარეში ისეთი არეული სიტუაციაა, ძალიან მეშინია, ომი არ დაიწყოს. ომიღა უნდა ჩვენს ისედაც დაქცეულ ქვეყანას?..

არაზ ხუნტური,

იურისტი, 53 წლის:

— გასულ კვირას, განსაკუთრებით, 20 წლის ლაშა მუხიაშვილის მკვლელობამ შემძრა. ძალიან მისხარია, რომ ეს მკვლელობა უკვე გახსნეს და დამანაშავეც დააპატიმრეს. გარდა ამისა, საშინელი ფაქტი მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, სადაც ქმარმა საკუთარი ცოლი გამოასალმა სიცოცხლეს. რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, ამ მკვლელობის მიზეზი ეჭვიანობა იქნებოდა, მაგრამ შეეცდი. მიზეზი აბსურდული აღმოჩნდა —

ცოლ-ქმარმა მცირეწლოვანი შვილის გათხოვების გამო იკმათა, რის შედეგადაც, ქმარმა ცოლი მოკლა. მკვლელობები ალბათ, ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ ჩვენთან, ამ ბოლო პერიოდში, მკვლელებისა და მოკლულების რიცხვმა საგრძნობლად იმატა...

ნანული ზოჭოიძე, დიასახლისი, 48 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის ნარკომანობაა. ამ ფაქტმა გამოგნა. ამის შემდეგ ოპოზიციის როგორღა ვინამოთ? გაჩეჩილაძე კიდევ გაბედავს, რომ მიტინგზე გამოვიდეს და ხალხს რაიმე სახის მითითება მისცეს? ნეტავ, სირცხვილის გრძნობა არ გააჩნიათ?.. არ მჯერა იმ ფაქტის, რომ „ნაციონალების“ რიგებში მხოლოდ ერთი ნარკომანი



— გია მენაბდე აღმოჩნდა. როგორც ჩანს, დანარჩენებს ანალიზი კარგად არ ჩაუტარდათ. თუმცა, რა არის გასაკვირი? — ხელისუფლების წარმომადგენლებმა არჩევნები გააყალბეს და ანალიზების პასუხებს ვერ გააყალბებდნენ? გია მენაბდეც ალბათ, „დაბალი ლობია“ და ამიტომაც, პარლამენტიდან მხოლოდ ის გამოიშვეს. ახლა საქართველოში ნარკომანია ისეთი გავრცელებული სენია, რომ წამდვილად არ გამიკვირდება, თუ ყველა პარლამენტარი ნარკომანი აღმოჩნდება...

დავით სუბალიანი, პროგრამისტი, 24 წლის:

— შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. ამ მატჩის ყურებით ძალზე ვისიამოვნე. ღმერთმა ქნას, შოთას მსგავსი ფეხბურთელი კიდევ ბევრი ჰყავდეს საქართველოს. განსაკუთრებულად დამაიბედებელი ის ფაქტი გახლდათ, რომ შოთას ვაჟმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ კიდევ ბევრი არველაძე გვეყოლება და კიდევ ბევრი მათგანი გვასახელებს.

ალექო ჩიხლაძე, სტუდენტი, 17 წლის:

— შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილების დღე ძალზე საინტერესო გახლდათ. საქართველოში ბევრი ფეხბურთის ვარსკვლავი ჩამოვიდა და ეს საამაყო ფაქტია. მისხარია, რომ შოთა ქართველია და საქართველოს ვეროპის სხავადსხვა ქვეყანაში სწორედ მან გაუთქვა სახელი. ის იმ დღეს ისე ნერვიულობდა, რომ ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდევ. ასეთი ადამიანები უბერებელნი უნდა იყვნენ და მთელი ცხოვრება მხოლოდ თავიანთი საქმე უნდა აკეთონ. სამივე არველაძე ძალიან მიყვარს და მათ დიდ პატივს ვცემ.



„რუსეთის ახალი პრეზიდენტი ჯერ ცალ ფეხზეც კი არ დგას“...

რუსეთის მცოცავი ანექსია აფხაზეთში პიკს აღწევს. დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსკოვი უკან დახევას არ აპირებს და ახლა საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკურ ანექსიას მიჰყო ხელი. გასულ კვირას აფხაზეთში სარკინიგზო ჯარის ნაწილი შეიფყანეს და როცა ჩვენმა ხელისუფლებამ მოსკოვს რიგით 59-ე საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, გაცემულმა ელჩმა ვიანესლავ კოვალენკომ იკითხა, — რა არის ცუდი იმაში, რომ აფხაზებს ვეხმარებით? მათი სოციალური პრობლემების გაუმჯობესება ქართულ მხარესაც უნდა აძლევდეს ხელსო... როდემდე შეიძლება გაგრძელდეს რუსეთის აგრესია, შეიცვლება თუ არა პუტინის პოლიტიკა დემიტრი მედვედევის პრეზიდენტობის პერიოდში და როგორ შეიძლება აისახოს ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა? — ამ კითხვებით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, აკადემიკოს ლევან ალექსიძეს მივმართეთ.

„აფხაზეთის ეკონომიკა სულ რაღაც ერთ წელიწადში ფეხზე დანდობა“...

ლელი კაპასკირი

— ბატონო ლევან, როგორ შეაფასებდით რუსეთის მიერ აფხაზეთში სარკინიგზო ჯარების შეყვანას?

— ეს არის ეკონომიკური ექსპანსია. როცა ვიანესლავ კოვალენკო რუსეთის გადაწყვეტილებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესებით ხსნის, გვარიგებს, რომ ეს ჩვენს ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, მე მას ვურჩევდი — ნუ „გვაბოლებს“! ჩვენთან შეუთანხმებლად, რუსეთს აფხაზეთისთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწვევის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ აძლევს. დსთ-ის გადაწყვეტილებაში წერია: დაიწყოს აფხაზეთის რეგიონის ეკონომიკური აღდგენა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებასთან ერთად. აფხაზები ამბობენ, — გალის რაიონში უკვე დავიწყეთ დევნილების დაბრუნებაო. თუ ასეა, მაშინ ჯერ გალში გაიყვანონ რკინიგზა და მერე — დანარჩენ აფხაზეთში. როცა აცხადებენ, გალში 85 ათასი ადამიანი დავაბრუნეთო, ცრუობენ: იქ მხოლოდ 50 ათასამდე დევნილი დაბრუნდა. აქედან, ოფიციალურად — გაეროს ეგიდით — მხოლოდ 311 ადამიანი შევიდა, დანარჩენი იქ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცხოვრობს!.. რუსეთი დსთ-ის პრინციპს არღვევს, როცა ასე აშკარად უწყობს ხელს სეპარატიზმის განმტკიცებას. მე მაქვს ურთიერთობა იმ ხალხთან, ვისაც აფხაზეთში ჩასვლა უნევს, გადამწვარი და სახურავახდილი სახლები იქ დღემდე შემორჩენილი. ან იქნებ, რუსეთმა ეს ახლა ნახა?! ქართველების ნასახლარებში რუსი, ჩეჩენი და ომის დროს იქ ნაბრძოლი კავკასიელი სამხედროები სახლდებიან...

აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივესალმებით, თუ იქიდან ნამოსული ქართველი დევნილების დაბრუნება შეუქცევად ხასიათს მიიღებს... რაც შეეხება სახელდობრ რკინიგზის გაყვანას: რკინიგზა სახელმწიფოსთვის სტრატეგიული ობიექტია, რომელსაც რუსეთი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამხედრო შენაერთების გადასაყვანად გამოიყენებს, მით უმეტეს, რომ ის რკინიგზის აღდგენას ოჩამჩირემდე აპირებს. თავის დროზე, ჩვენ ვთავაზობდით, მოსკოვი-სოხუმი-თბილისის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენას, ოღონდ — იმ შემთხვევაში, თუ იქ დევნილები დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ეს წინადადება „დაბლოკეს“. ახლა კი სარკინიგზო ჯარი შემოჰყავთ, რომელსაც ვითომ რაღაც ტვირთი მოჰყვება. ვერავინ დამაჯერებს, რომ სხვა ტვირთებთან ერთად, იარაღიც არ მოაქვთ, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ. ამბობენ, 500 კაციო. ამ რაოდენობის დესანტი —

უკვე ჯარია. მათ გარდა, იქ მუშები შეჰყავთ, რომლებიც დროთა განმავლობაში, აფხაზეთში უნდა დასახლდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ 2014 წლისთვის აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარება მკვეთრად შეიცვლება. ამიტომ, სულ ტყუილად ახარებთ აფხაზებს სოჭის ოლიმპიადა, რადგან ეს მშენებლობა აფხაზეთს ეკონომიკურად გაძარცვავს. გარდა ამისა, იქ შემოვლენ „ბომბები“, რადგან აფხაზები მუშა ხალხი არ არის... დამიჯერეთ — მე არ მინარია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ამ რეგიონთან დაკავშირებით რუსეთის დამოკიდებულება არ შეიცვლება, სოჭის ოლიმპიადა აფხაზეთს ნალევაკვს.

— თუ შეიძლება, რაიმე სასიკეთო ცვლილებები მოჰყვეს საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას?

— მართალია, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს მედვედევი უფრო დემოკრატი პოლიტიკოსია, მაგრამ არა მგონია, ის პუტინის მომზადებული „პოლიტიკური აკვირიდან“ ამოვიდეს. მით უმეტეს, რომ ახალი პრეზიდენტი ჯერ ცალ ფეხზეც კი არ დგას. ამიტომ, ურთიერთობებში რაიმე მნიშვნელოვან გარღვევას არ ველოდები. გარდა ამისა, ამერიკაში არჩევნებია და ჩემი აზრით, „დემოკრატები“ რუსებისთვის გაცილებით სასიფათონი არიან, ვიდრე „რესპუბლიკელები“...

რატომ?

— „დემოკრატებს“ უფრო ხისტი პოლიტიკა აქვთ, განსაკუთრებით — ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და საერთოდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „რესპუბლიკელები“ გარკვეული გადაწყვეტილების მიღებამდე უფრო ყოყმანობენ, ვიდრე „დემოკრატები“. ამის შიში რუს პოლიტიკოსებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ. ასე რომ, შესაძლოა, „დემოკრატების“ გამარჯვების შემთხვევაში, ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდეს. დასავლეთში ახლა ისეთი ძვრებია, რომ ბრიუსელი ლამის „მიუხედავად“ იქცა: ვგულისხმობ იმას, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს, მიუნხენში დასავლეთის ქვეყნები შეიკრიბნენ და გერმანიას ყველანაირი მოთხოვნა დაუკმაყოფილეს, ოღონდაც მთელი აგრესია აღმოსავლეთისკენ მიემართა. გეგმაში შედიოდა ჩეხოსლოვაკიის დაპყრობაც. მაგრამ 1938 წელს გერმანია სა-



დასასრული გვ. 14

ქართულ-ამერიკული სკოლის ეკროკულ-ამერიკული პოიკაჟი ანუ „უეელჯა სკუკეთასო ლვინო სკაქართველოჟი“

ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეები ყოველწლიურად ამერიკაში მიემგზავრებიან და სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომით მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობენ. ქართველი ბავშვები უცხოეთიდან ხელცარიელები არასოდეს ბრუნდებიან. ყოველთვის მედლის ან სიგელის მფლობელები ხდებიან. გამონაკლისი არც წლევეანდელი წელი ყოფილა. ქართულ-ამერიკული სკოლის მოსწავლეები ჯერ უკრაინაში, მოგვიანებით კი ამერიკაში გაემგზავრნენ და გამარჯვებაც მოიპოვეს. დანწერილებით კი მათ წარმატებებზე სკოლის დირექტორი, მამუკა მისხიშვილი და კონკურსის მონაწილეები: ბიორბი ბანაშვილი და შალვა ხოხაშვილი გვესაუბრებიან.



ნათია ქივიძე

— ბატონო მამუკა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენმა სკოლამ, გასულ წელს, მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, წელს კი ევროპის ჩემპიონატზეც მოსწავლეთ ძალები. ვისი მიწვევით მოხვდით წელს ევროპის ჩემპიონატზე?

— ჩვენი სკოლა ევროპის ჩემპიონატებზე სისტემატურად დადის, შარშან, ეს ჩემპიონატი რუსეთში, სანქტ-პეტერბურგში ჩატარდა. მაშინ ის პერიოდი იყო, როცა ქართველებს დეპორტაციით საქართველოში აბრუნებდნენ. სწორედ ამიტომ, ბავშვების წაყვანა ვერ გავრისკე. ასე რომ, პოლიტიკური სიტუაციის გამო, მხოლოდ შარშანდელი ჩემპიონატი გამოგვტოვებ. მანამდე კი პოლონეთში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და ჩეხეთში ვიყავით. წელს, 17 აპრილს, უკრაინაში, ქალაქ ჩერნოვცი-

ში გაემგზავრეთ. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩემპიონატი სხვადასხვა საგანში იმართება. მათემატიკის განხრით, ჩვენი სკოლის ხუთი მოსწავლე გვეყვდა წაყვანილი. ლადო მესხიშვილმა და ლევან გრძელიშვილმა პირველი ადგილები დაიკავეს, რომა ჭალიძემ და ირაკლი სალარიძემ — მესამე ადგილები, ხოლო ლუკა ჯიქია ამჯერად სიგელს დასჯერდა. წელს ჩვენს სკოლაში პირველად მომზადდა თემები ეკოლოგიის სექციაში, რომელიც ჩემი ყოფილი მოსწავლის, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულის, გიორგი ბენაშვილის დამსახურებაა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ეკოლოგიის თემაზე იმუშავა. ამ თემამ, რომელიც შალვა ხოხაშვილმა დაამუშავა, საპატიო სიგელი დაიმსახურა, რაც ჩვენთვის საამაუყო. ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული კონფერენციის კულტურული პროგრამა. მონაწილეების აღფრთოვანება გამოიწვია ხოტინის ციხესიმაგრემ (სადაც შარშან გადაიღეს მხატვრული ფილმი „ტარას ბუღბა“), ასევე, ციხე-ქალაქმა კამენეც-პოდოლსკიმ. ის ადრე ავსტრია-უნგრეთის იმპერიის აღმოსავლეთ ფორფოსტს წარმოადგენდა. ორივე ნახსენები კულტურული ძეგლი შესულია უკრაინის 7 საოცრების ნუსხაში, ისევე როგორც ჩერნოვცის საუნივერსიტეტო შენობა. ის ადრე საკათედრო ტაძარი ყოფილა. რადგან რეისი კიევის გავლით იყო, დავათვალიერეთ მისი ღირშესანიშნაობები: განუშეორებელია სოფიის ტაძარი, კიევ-პეჩორის ლავრა და სრუშატიკის გამზირი.

— რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს?

— მსოფლიო ჩემპიონატი, როგორც წესი, ამერიკის სხვადასხვა შტატში იმართება ხოლმე. წელს, 9 მაისს, ჯორჯიის შტატში, ქალაქ ატლანტა-

ში გაემგზავრეთ. მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ეკოლოგიის სექციაში მომზადებული ორი თემა: ერთი გუნდური და ერთი ინდივიდუალური გვექონდა წაღებული. როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე თემა გიორგი ბენაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა. ამჟამად საქართველოს ნაკრების ღირსებას ჩვენი სკოლის სამი მოსწავლე: შალვა ხოხაშვილი, ლია ერაძე და ანა ბეჟიტაშვილი იცავდნენ. ჩვენდა სასიხარულოდ, სამივე მათგანმა საპატიო სიგელები დაიმსახურა. ლია ერაძემ და ანა ბეჟიტაშვილმა ამერიკელებისგან განსაკუთრებული ჯილდოც მიიღეს. ეს ბავშვები თბილისში აღარ გამოგვატანეს და „ზაფხულის სკოლაში“ სასწავლებლად დაიტოვეს... მსოფლიო ჩემპიონატზე 52 ქვეყნის 1554 მოსწავლე მონაწილეობდა. მათი ნაშრომები 18 სექციაში წარადგინეს. რაც შეეხება ატლანტას, ძალზე საინტერესო ქალაქია. სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ ქალაქში ჩამოასხეს „კოკაკოლა“. როგორც იქ შევიტყვეთ, თავდაპირველად „კოკაკოლა“ თავის ტკივილის წამლად აფთიაქში იყიდებოდა და მისი ჩამოსხმის ნებართვა მხოლოდ ერთი დოლარი ღირდა. ახლა რა ღირს ამ ბრენდის ჩამოსხმის უფლება, ხომ წარმოგიდგენიათ. გარდა ამისა, ატლანტაში CNN-ის სათავეო ოფისი მდებარეობს. ამ ოფისში დასათვალიერებლად შევდიეთ და ძალიან გავვიხარდა იქ საქართველოს დროშა რომ ვნახეთ. კედლებზე იყო ჩამოკიდებული... ისიც უნდა აღვნიშნო, რომ გახსნის ცერემონი-



პირველად სწორედ ამ ქალაქში ჩამოასხეს „კოკაკოლა“

აზე ჩვენს „პლაკატს“ ასეთი წარწერა ამშვენებდა: ყველაზე საუკეთესო ღველინო საქართველოშია. ამ აბრამ ხალხის დიდი მონონება დაიმსახურა. მოკლედ, „ჯორჯიელები“ ჯორჯიის შტატში ვიყავით. იქაურები ქართველებს კარგად იცნობენ, რადგან, როგორც იცით, სწორედ ამ ქალაქში ცნობილი კალათურთელი ზაზა ფაჩულია ცხოვრობს. ზაზა ჩემი ყოფილი მოსწავლეა. სამწუხაროდ, ამერიკაში მისი ნახვა ვერ მოვახერხე, რადგან დაოჯახდა და მეუღლესთან ერთად საქორწინო მოგზაურობაში მიაიამი გახლდათ. მასთან მხოლოდ სატელეფონო კავშირი მქონდა...

— თქვენს გამარჯვებაზე ამერიკელებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?

— ყველას გაუხარდა და გულთ გვილოცავდნენ. ისინი მიჩვეულნი იყვნენ, რომ ყოველთვის მათემატიკის სექციაში ვიღებდით მონაწილეობას. წელს კი აღნიშნეს, რომ ეკოლოგიაც კარგად გვესმის. ჩვენი გუნდის წარმატებულმა გამოსვლამ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად გზა გაგვიხსნა. ის ნევადის შტატის ქალაქ რენოში გაიმართება, საიდანაც ჩვენმა სკოლამ მოწვევა მიიღო. მომავალ წელს, უკვე 5 მოსწავლის წაყვანის უფლება გვაქვს.

— წელს მათემატიკურ სექციაში რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა?

— წელს ორივე თემა ეკოლოგიური იყო. წინა წლებში გამარჯვებებს მათემატიკის სექციაში ვაღწევდით. წელს ძალიან დაკავებული გახლდით, რადგან ჩვენი სკოლის ცხოვრებაში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა: სკოლამ აუქციონის წესით საკუთარი შენობა შეიძინა, რომელსაც დიდი ტერიტორია ერთვის. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გვექნება საქართველოში საუკეთესო სკოლა, ტყე-პარკით. ამჟამად მიმდინარეობს შენობის საფუძვლიანი რემონტი ამერიკული სტანდარტებით. გვექნება როგორც ღია, ისე დახურული სპორტული მოედნები და საცურაო აუზი. ამ შენობაში ახალი სასწავლო წლიდან გადავლენ I-V კლასის მოსწავლეები, მაღალი კლასები კი გურამიშვილის გამზირზე მდებარე შენობაში დარჩებიან. სწორედ იქ ვინვევთ მოსწავლეებს, რათა მიიღონ მონაწილეობა საპროექტო თემების შერჩევის კონკურსში, როგორც ევროპის — ICYS, ასევე ამერიკის — Intel ISEF-ის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

შემდეგ ორიოდე სიტყვით ჩემპიონატის მონაწილეობას გავსაუბრეთ.

— გიორგი, შენ სკოლა უკვე დაამთავრე და ახლა სტუდენტი ხარ. რატომ გადაწყვიტე, რომ ჩემპიონატში მონაწილეობა კიდევ მიგელო?

— ძალზე ბედნიერი ვარ, რომ სწო-

რედ ეს სკოლა დავამთავრე და არა სხვა რომელიმე. იმის გამო, რომ გასულ წელს თემების წერის გამოცდილება მივიღე, გადაწყვიტე, წელს ჯგუფი ამეყვანა და მათთან ერთად ეკოლოგიაზე მეცადა თემის მომზადება. ჩვენი თემა იყო: სასმელი წყლის დაბინძურების პრობლემა თბილისში. მიმანია, რომ ეკოლოგიაში ჩვენ პირველი ნაბიჯი წარმატებულად გადავდგით. სამწუხაროდ, წელს ამ ჯგუფთან ერთად ვერც ევროპის ჩემპიონატზე მოვახერხე წასვლა და ვერც — მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ მომავალ წელს, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, აუცილებლად მათთან ერთად გავმგზავრები.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ჯგუფი აგეყვანა?

— შარშანდელი გამოცდილებიდან მივხვდი, რომ გუნდური პროექტი ყოველთვის მომგებიანია, რადგან ერთი ადამიანი მეორეს აბალანსებს. ამერიკის მათემატიკური ასოციაციის წევრი ვარ და ესეც მეხმარება, რომ გუნდურ პროექტებზე ვიმუშაო. კმაყოფილი ვარ, რომ ბავშვები ამყენენ და ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. შალვა ხოსაშვილსაც ეკოლოგიის თემა ჰქონდა შერჩეული, ოღონდ ინდივიდუალური და მასაც მე დავეხმარე.

— რატომ გადაწყვიტე, რომ ამერიკაში წასაღებად მაინც დაამინც წყლის პრობლემა შეგერჩიათ?

— წყალი საკმაოდ პოპულარული პრობლემაა ყველა ქვეყანაში. ამასთან ერთად, ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა ამერიკელებისთვისაც აქტუალურია, რადგან იქ ნახევარი ლიტრი წყალი 2 დოლარი ღირს... ვერ წარმოიდგენთ, რა რთულია ამ ჩემპიონატებზე გასვლა. ჟიური 9 წევრისგან შედგება და თითოეული მათგანი უამრავ შეკითხვას გისვამს. შენ არ უნდა დაიბნე და ისინი უნდა დაარწმუნო, რომ თემა ნამდვილად შენი დაწერილი და შენი გაზრებულია. ეს კი საკმაოდ რთულია.

— შალვა, ამ ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდი?

— დიახ, პირველად ვმონაწილეობდი და მოვამზადე თემა: საქართველოში მინის, ჰაერისა და წყლის დაბინძურების პრობლემა. უკრაინასა და ამერიკაში სპეციალური სიგელები დავიმსახურე. ვფიქრობ, რომ მომავალ წელს ამ ყველაფერში კვლავ მივიღებ მონაწილეობას.


— როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი?

— უკრაინელები უფრო თბილები იყვნენ. ბევრ მათგანს დავუმეგობრდით და ერთად დიდ დროს ვატარებდით. კიევი რომ მართლა ძალიან ლამაზი ქალაქია, ეს ყველამ იცის. ამერიკაში კი ცოტა ცივი ხალხია და საკმაოდ წესრიგის მოყვარული, რაც ქართველებში დიდ გაცივებას იწვევდა. სპეციალურად ჩვენთვის დისკოთეკები და სხვადასხვა გასართობი საღამოები იმართებოდა. სხვათა შორის, ამერიკაში რომ ჩავდით, მონაწილეებმა მაშინვე გვკითხეს, შარშან რომ ბიჭები იყვნენ ჩამოსულები, ისინი სად არიანო. სამწუხაროდ, შარშანდელი მონაწილეებიდან წელს არც ერთი არ იყო.

ბიორბი:

— შარშანდელ ნაცნობებთან მიმონერა ახლაც გვაქვს. ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია.

— ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, მომავალი წლისთვის რომელ სექციებში მიიღებთ მონაწილეობას?



გუნდური პროექტი ყოველთვის მომგებიანია, რადგან ერთი ადამიანი მეორეს აბალანსებს

— მომავალ წელს ორ სექციას შევეჭიდებით: მათემატიკასა და ეკოლოგიას. ღმერთმა ქნას, რომ რომელიმე მესამე სექციის თემის მომზადებაც შევძლოთ. ძალზე კარგი იქნება, თუ მომავალი წლისთვის სხვა სკოლებიც შემოგვიერთდებიან და რაიმე კარგ თემს შემოგვთავაზებენ. სამწუხაროდ, ბოლო ორი წელია, ამ ჩემპიონატებში მხოლოდ ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ, რადგან სხვა სკოლის ბავშვებს ინგლისური ენა უჭირთ. იქ წასულმა ბავშვმა ეს ენა არაჩვეულებრივად უნდა იცოდეს, რადგან გარდა იმისა, რომ თემა ინგლისურად იწერება, ჟიურის წევრები ყველანი ამერიკელები არიან, შეკითხვებს ინგლისურად სვამენ და პასუხიც ამ ენაზე უნდა გაცეცეს, თანაც ისეთ დონეზე, რომ ჟიური საკუთარ სიმართლეში დაარწმუნო...



ნათია ქვიციანი

ქართული – მარია ჯოლოვა
რუსულენოვანი – ოთარ ტატიშვილი

— ბატონო ოთარ, პირველ რიგში, მინდა გკითხო, ეს ექიმი კაცი სერიოზულად როგორ მოხვედით?

— დათო გოგიანიშვილს და მის გუნდს კარგა ხანია, ვიცნობ. მათგან შევიტყვე, რომ სერიოზულად გადაღებას აპირებდნენ და ვიხუმრე, — ექიმი თუ დაგჭირდებათ, თქვენს სერიოზულად მე გადამიღეთ-მეთქი. მართლაც, დამირეკეს და კასტინგზე დამიბარეს.

— კასტინგზე რომ მოხვედით, არ ნერვიულობდით?

— რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. რამდენიმე დღეში გოგიანამ დამირეკა და მითხრა, — როლზე დაგამტკიცეთო.

— შენ რომ მოხვედით, ჩვენ როლებზე უკვე დამტკიცებულები ვიყავით. სხვათა შორის, ირაკლის როლის შემსრულებელს დიდხანს ეძებდნენ, 300 ადამიანი მაინც გამოცადეს, მაგრამ არც ერთი არ მოეწონათ. მერე კი როგორც იქნა, შენ მოხვედი. როგორ მოგეწონეთ?

— მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, მსახიობები თუ იყავით. სტუდია „ლამის შოუს“ თანამშრომლები მეგონეთ. კარგად მახსოვს, ჯაბა კილაძეს წითელი მაისური ეცვა, რომელსაც „СССР“ ეწერა. მერე გაგიცანით და დავახლოვდით კიდევ. სიმ წარმოგიდგენია, ჩემთვის რამხელა პატივია, გამოცდილი მსახიობებთან ერთად რომ ვმუშაობ. ზოგი თქვენგანი რუსთაველის თეატრის მსახიობია, ზოგი — თუმანიშვილის, მარჯანიშვილის და ა.შ. პოდა, ასეთი პროფესიონალების გვერდით გამოვდივარ და გავყვირი, — დღეს დიდი დღეა-მეთქი! ის, რომ „შუა ქალაქში“ ვმონაწილეობ, ჩემთვის სანერვიულოცაა, საპასუხისმგებლოც და საამაყოც. როცა შენ სარეკლამო რგოლში გამოჩნ-

ქართული ელიტის ისტორიული მოხსენარი რეჟისორის



დღეს დიდი დღეა, მკითხველო! ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენი რეჟისორის სტუმრები ტელევიზორის — „შუა ქალაქში“ — მთავარი როლების შემსრულებლები: მარია ჯოლოვა და ოთარ ტატიშვილი არიან. როგორც იცით, ბატონო ოთარ საკმაოდ ცნობილი ექიმა, მაგრამ არც მსახიობობა გამოსდის ურგოდ. ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა ურნალისტობაც არაწყვეტურად აითვისა...

ვისი „კაცონიკები“ აწუხებთ ოთარ ტატიშვილს

დები, სულ ვამბობ, — ამასთან ერთად სერიოზულად ვთამაშობ-მეთქი; რუსთაველის თეატრის სცენაზე ბარბაქაძეს რომ დავინახავ, მაშინაც სიამაყით ვივსები... ნლებების შემდეგ თქვენ დამსახურებული მსახიობები იქნებით, მე კი შვილიშვილებთან ვიტრიალებ, — ამ ხალხთან ერთად სერიოზულად მიღებდნენ-მეთქი.

— მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მსახიობი არ ხარ, შენი გმირი საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და დასამახსოვრებელია...

— ირაკლი სასაცილო ტიპია და თუ ის მაყურებელს შეუყვარდა, ეს სცენარისტების დამსახურებაა და არა — ჩემი.

— ასე სულაც არ ვფიქრობ. ირაკლის პოპულარობა შენი დამსახურებაა, რადგან ნიჭით არც ერთ მსახიობს არ ჩამოუყვარდები. ელოდი, რომ შენი გმირი ასეთი პოპულარული გახდებოდა?

— სერიოზული პოპულარული რომ იქნებოდა, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ჩემს გმირზე წინასწარ არ მიფიქრია.

— გულწრფელად მითხარი, ვის უფრო მეტი თავგანსმცემელი ჰყავს: ექიმ ოთარ ტატიშვილს თუ ირაკლი ჩხეიძეს?

— უნდა ვაღიარო, რომ ირაკლი ჩხ-

ვიძე, პოპულარობის მოპოვებაში, ოთარ ტატიშვილს ძალიან დევსმარა.

— მე კი პირიქით მეგონა. გახსოვს, გაფრთხილებდი, — ამ სერიოზულის ეთერში გასვლის შემდეგ, შესაძლოა, შენთან პაციენტი აღარ მოვიდეს-მეთქი.

— საბედნიეროდ, შენი პროგნოზი არ გამართლდა. მართლა უამრავი პაციენტი მყავს და როცა ისინი ჩემს კაბინეტში შემოდის, ელიმებათ. განსაკუთრებით, ბავშვებს ვუყვარვარ. სერიოზულად გამოჩენის შემდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილი უფრო მენდობა.

— უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მედიცინის ისტორიაში რევოლუცია მოახდინე. ამას წინათ, ჩემმა შვილმა რაღაცას თავი მიართყა. გადავწყვიტე, უახლოეს სამედიცინო პუნქტში, რომელიმე ექიმთან მიმეყვანა, მაგრამ მან მითხრა, — გინდა თუ არა, ოთართან წამიყვანეო. ამიტომაც მოვიყვანე შენთან. შენი წყალობით, ექიმთან ვიზიტი უფრო სასურველი გახდა... ისე, ძალიან მინდა, ერთი გემოელი, შენებური კურიოზი მიაგებო...

— ყველა ირაკლის რომ მეძახის, ეს კურიოზი აღარაა. ერთხელ, გვერდით კაბინეტში, კოლეგა ექიმთან შევედი. იქ ერთ-ერთი პაციენტის დედა იჯდა. მის-



პოდა, ასეთი პროფესიონალების გვერდით გამოვდივარ და გავყვირი, — დღეს დიდი დღეა-მეთქი!

თვის ყურადღება არ მიმიქცევია, საქმეზე ვლასპარაკობდით. ბოლოს, კოლეგამ მკითხა, — გადალება როდის გაქვსო? ეს იმ ქალბატონმა რომ გაიგო, იკვირა: ეს მართლა ჩვენი ირაკლი ყოფილა, მე კი მეგონა, მხოლოდ ჰგავდაო და ა.შ. ჰოდა, კაბინეტიდან ერთი საათი აღარ გამომიშვა... ერთ კურორთსაც მოგიყვებით. ერთხელ, ჩემი ახლობელი გამოკვლევებზე მოვიდა. რაღაცაში ეჭვი შემეპარა და ვუთხარი, — თვალის ექიმსაც უნდა გაეხსნა-მეთქი. ოფთალმოლოგის კაბინეტთან ძალიან დიდი რიგი იდგა, 50 კაცი მინც იქნებოდა. ხალხს ვთხოვე: ნება მომეცით, ერთი პაციენტი ურიგოდ შევიყვანო-მეთქი. ყველა დამთანხმდა. კაბინეტის კარი რომ გამოვადე, იქ ოფთალმოლოგი ვერ დავინახე და ჩემთვის ჩავილაპარაკე, — ნანა სად არის-მეთქი? 50-ივემ ერთდროულად მიპასუხა: გასულია, გასულია... ისეთი სიცილი ატყდა, ვერ წარმოიდგენ.

ექიმობას და მსახიობობას ერთმანეთს როგორ უთავსებ?

— ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ ჯერჯერობით, ვახერხებ. საბედნიეროდ, ჩემს მსახიობობას ყველა გაგებით მოვეიდა და იმ დღეს, როცა გადალება მაქვს, სერიოზულს არაფერს გეგმავენ. საავადმყოფოში ძირითადად, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ვარ.

ოჯახის წევრები როგორ აფასებენ შენს მსახიობობას?

— რა ვიცი, რას გაიგებ მაგათსას (იცი-ნის). მსახიობობა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, ჩემს მაიმუნობაზე კი იცინიან და ხალისობენ.

როგორც ვიცი, სამი შვილის მამა ხარ. მათ თუ აქვთ ისეთივე იუმორის გრძნობა, როგორც შენ?

— როგორ არა! უფროსი ბიჭი, ზუკა და ჩემი გოგონა, ნანიკო ძალიან მგვანან. შუათანა შვილს, შოთისაც აქვს იუმორის გრძნობა, მაგრამ მათგან ცოტა განსხვავებულია.

შენი შვილები თუ სარგებლობენ იმით, რომ ოთარ ტატიშვილის შვილები არიან?

— ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ამას წინათ შოთიმ დამირეკა და მითხრა, — სკოლაში ყველა შენი ფრაზებით ლაპარაკობსო...

შე მართალია. ჩემი შვილის კლასში „შუა ქალაქობანას“ თამაშობენ სოლმე და ბუკა ირაკლის როლს არაფერს უთმობს.

— ძალიან კარგი.

ქართლისტი — ოთარ ტატიშვილი რუსკონაში — მარიამ ჩოლოპა

შენ როგორ მოხვდი ამ სერიალში?

— შენგან განსხვავებით, „შუა ქალაქში“ მე უფრო სტანდარტულად მოხვდები: ჩვენმა მხატვარმა, ევა ამაშუკელმა დამირეკა და შემეტყობინა, რომ კასტინგი ტარდებოდა. ამ კასტინგამდე რამდენიმე დღით ადრე, მან თუმანიშვილის თეატრში,

სპექტაკლ „თოლიაში“ მნახა, მოვეწონე და ამიტომაც დამირეკა.

შენც ჩემსავით ინერვიულე?

— სიმართლე გითხრა, თავიდან არ მინერვიულია, მეორე ტური უფრო სანერვიულო იყო, რადგან 300 ადამიანიდან ოცდაათი დაფრჩიო. ამ 30 კაცისგან 5-6-კაციანი ჯგუფი შეიქმნა და რაღაც სცენარის მიხედვით ვითამაშეთ. ჩვენი ჯგუფი, რომელშიც ვიყავით მე, მაია დობორჯგინიძე (მარიკა), გოგა ბარბაქაძე (დათო) და ჯაბა კილაძე (სანდრო), ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. ასე რომ, ჯგუფის 5 წევრიდან 4 როლებზე დაგვამტკიცეს.

იმისთვის, რომ მსახიობმა პოპულარობას მიაღწიოს, თეატრში მოღვაწეობა ჯობია თუ სერიალში?

— ამჟამად, საქართველოში ყველაზე მეტი პოპულარობა, რასაკვირველია, ტელევიზიას მოაქვს. თეატრში საზოგადოების გარკვეული ნაწილი დადის და ისიც, მხოლოდ თბილისში მცხოვრებნი...

ამჯერად რომელიმე სპექტაკლში თუ მონაწილეობ?

— სამწუხაროდ, ახლა არც ერთ სპექტაკლში აღარ ვარ დაკავებული.

იმ პერიოდში, როცა „იმედი“ დახურული იყო, შენზე ხშირად



იმ პერიოდში მართლა ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რაღაც წამართვის

ჩემთვის არც არავის დაურეკავს და არც მესჯი მოუწერია. ძმაკაცებზე ხშირადაც კი მირეკავდი.

— ვიცი, მაგრამ ძალიან მენატრებოდათ ყველანი და თან, ვწუხდი, ტელევიზია რომ დახურეს.

ყველა დეპრესიაში ვიყავით, მაგრამ შენ განსაკუთრებულად ცუდად იყავი. მგონი, დამამშვიდებელი წამლებიც კი დაგინიშნე.

— ჰო, მაგრამ ის წამლები არ დამილევია... იმ პერიოდში მართლა ისეთი განცდა მქონდა, თითქოს რაღაც წამართვეს. გარდა ამისა, თვეების მანძილზე მატყუებდნენ, — ამ ორშაბათს აუცილებლად ჩაირთვებაო. ყოველ ორშაბათს

ველოდი „იმედის“ ჩართვას, მაგრამ ეს მოლოდინი მიცრუვდებოდა და სწორედ ამის გამო ვიყავი ცუდად.

შენს გმირს, ანანოს რამდენად ჰგავხარ?

— დაახლოებით 10 წლის წინ, ანანოს მართლა ძალიან ვგავდი, ახლა კი მხოლოდ გარკვეული თვისებებით ვგავარ და ეს მახარებს, რადგან ჩემი გმირი ძალიან მომწონს. ერთი შეხედვით, შეიძლება, მან ადამიანში სულელის შთაბეჭდილება დატოვოს, მაგრამ სინამდვილეში, ის სუფთა და გულუბრყვილო ადამიანია.

მე ვიცნობ 5 ადამიანს, რომელიც შენზე სერიოზულადაა შეფასებული და მათ შორის, ორი ექიმია. სულ მეხვეწებიან, ოღონდ ეგ გოგო გაგაცანი და მალარიჩი ჩვენზე იყოსო. უარზე ვარ, რადგან ანანოს შეფასებული ჰყავს...

— ანანოს ჰყავს, მარიამს — არა.

როცა შენ მეტყვი, — გამაცანიო, მაშინ გაგაცნობ ყველას. ისე, საახლობლოში მხოლოდ შენი კი არა, ღლონტების „პაკონიკებიც“ მყავს. აი, მარიკაზე კი ვერაფერს მეუბნებიან, რადგან იციან, რომ ორი ქმარი ჰყავს: ერთი ნამდვილი და მეორე — მე- დაბოლოს, მინდა, შენს შვილზე, ბუკაზე გვითხრა რამე. ძალიან გთხოვ, მკვდარი ღორის ამბავი მოჰყვი, რა...

— ბუკა უკვე 8 წლისაა. ყოველ ახალ წელს, ტრადიციულად, ჩვენს სუფრას შემწვარი გოჭი ამშვენებს. პატარა რომ იყო, ვცდილობდით, ბავშვს დაკლული ცხოველი არ ენახა და შინ მოტანისთანავე, მაცივარში ვინახავდით. წელს ჩოხატაურიდან ნათესავები გვესტუმრენ და გოჭი ჩამოგვიტანეს. უფრო სწორად, ბურჯაკი უფრო იყო. დედაჩემს ძღვენი სამზარეულოს მაგიდაზე დაუდგია, თვითონ კი სტუმრებთან გასულა. სამზარეულოში ჩაის მოსამზადებლად შევედი, ბუკაც უკან შემომყვა და მთხოვა, — წყალი დამალევიწყო. უცებ, ისტერიულად აყვირდა: ვაიმე, მკვდარი ღორიო. ბავშვს თვალები გაუფართოვდა, ცრემლები წამოსცივდა და მთელი საათის განმავლობაში ყვიროდა, — ვინ მოიტანა მკვდარი ღორიო?! სიცილისგან ცუდად გავხდი. დედაჩემმა ბუკას აუხსნა, — როცა ოჯახში დაკლული გოჭი აქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი წელი მოდისო. ბუკამ მკითხა: კი, მაგრამ ახალ წელს მკვდარი ღორი რად გვინდაო? პასუხს თავი აგარიდე და კითხვა შევუბრუნე: აბა, თუ მიხვდები, რად გვინდა-მეთქი? — ალბათ, ერთმანეთი უნდა შევაშინოთ, არა? ან იქნებ, მკვდარ ღორზე უნდა ვიხალისოთ? ვერაფრით წარმოიდგინა, რომ იმ გოჭის შეჭმა შეიძლებოდა.

ბუკას დედის მსახიობური ნიჭი თუ გამოჰყავ?

— მიდრეკილება აშკარად აქვს — რასაც უყურებს, იმას ასახიერებს. დღეს მაგალითად, ინდიანა ჯონსი იყო, რადგან რამდენიმე დღის წინ სწორედ ამ გმირის ზეგავლენის ქვეშ მოექცა...

დასაწყისი გვ. 9

ფრანგეთს, ჰოლანდიასა და ბელგიას დაესხა თავს. ჩემი აზრით, ბრიუსელში ახლა „მიუნხენის“ პოლიტიკა ტარდება: გარკვეული სახელმწიფოების სურვილით, როცა საქართველოსა და უკრაინას „მაპი“ „დაუბლოკვს“, რუსეთმა მიიჩნია, რომ კარტლანში მიიღო. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, კოსოვო არაფერ შუაშია, უფრო მეტიც: რუსეთი კოსოვოში საერთაშორისო სამართლის დარღვევას აპროტესტებდა, არადა, თუ იქ ირღვევა, აფხაზეთში საერთოდ დაანგრიან ყველანაირი უფლება და სამართალი... ის ხვდება — ადრე თუ გვიან, საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები გახდებიან და ცდილობს, ამ პროცესს ხელი შეუშალოს. თუ მან აფხაზეთში კონფლიქტის განახლება მოახერხა, ნატოში შესვლა გაგვიჭირდება. საქმე ის არის, რომ პუტინი და მედვედევი პოლიტიკაში დამოუკიდებელი არ არიან, მათ სამხედრო გენერალიტეტი მართავს. პუტინმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ „ჩეკისტური“ სახელმწიფო შექმნა და ყველა სტრუქტურაში „ფეხსებს“ (უშიშროების ფედერალური სამსახური. — ავტ.) წარმომადგენლები ჩასვა, მაგრამ იმავდროულად, დასავლეთთან სტრატეგიულ ომს აგებს. თუ ჩვენ ნატოს წევრი გავხდით, ისინი სამხრეთ კავკასიას ცოტა ხანში საერთოდ დაკარგავენ. ჩვენ კი, თუ დასავლეთთან ურთიერთობა ოდნავ მაინც შევასუსტეთ, რუსეთი ისე გაგვწყვეტს წელში, ქვეყნად ვერასდროს ვივარგებთ.

— საქართველო აგრესიული მეზობლის წინააღმდეგ საერთაშორისო მხარდაჭერის იმედად რჩება. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს დასავლეთის მხარდაჭერა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე?

— სამწუხაროდ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ ამ ქვეყნების გავლენით ვითარება შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ამის ვარაუდის საფუძველი არ არსებობს. ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთმა ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც მთელი 15 წლის განმავლობაში არ გადაუდგამს. ადრე ოფიციალურად აღიარებდა, რომ სეპარატისტებმა ეთნიკური წმენდა ჩაატარეს, მაგრამ ახლა დსთ-საც კი არ აძლევს თავისი პოლიტიკის საწინააღმდეგო გადანწყვეტილების მიღების უფლებას.

— შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, რუსეთი ერთ მხარეს, ხოლო ლამის მთელი მსოფლიო — მეორე მხარესაა. ეს რუსეთისთვის არაფერს ნიშნავს?

— მას შემდეგ, რაც ის აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღი-

არეს, რუსეთს გაეროს უშიშროების საბჭოს გადანწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება ეკარგება. მით უფრო, რომ გაეროს უშიშროების რეზოლუციაში სიტყვასიტყვით წერია, რომ რუსეთს უფლება არა აქვს, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე თავის მოქალაქეები ჩაასახლოს... მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვხედავ საფუძველს, რომ აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების, საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლება მოხდეს, რადგან ამისთვის კონფლიქტის ორივე მხარის — ე.ი. აფხაზების თანხმობაცაა საჭირო. ერთადერთი, რითიც რუსეთის განეიტრალება და აგრესიის შეჩერება შეიძლება, ეს არის მისი ეკონომიკის შესუსტება. თუ რუსეთს ენერგობერკეტები გამოეცალა, მისი თავდაჯერებულობაც იქ დამთავრდება, სწორედ ამაზე მუშაობს ახლა ამერიკა, დოლარის კურსის თამაში შემთხვევით არ ხდება...

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებს დეფაქტო აფხაზეთის ხელმძღვანელობა. პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანძუაზის თქმით, აფხაზეთისთვის მისაღება რუსეთის მხარდაჭერა. რაც შეეხება რუსეთთან ინტეგრაციას, — ეს გამოირიცხებულია, რადგან აფხაზეთისთვის თვითმყოფადობის შენარჩუნების საოცარი ალღო აქვს...



— ბატონო ალექსანდრე, მე ნაკლებად თქვენი განცხადება, სადაც ამბობთ, რომ ქართველი დევნილების დაბრუნებით, აფხაზეთი ეთნოსი უმცირესობაში მოექცევა. არადა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თქვენი ხალხი უკვე უმცირესობაშია, სამწუხაროდ...

— არ ვიცი, თქვენ რომელ მონაცემებს ეყრდნობით, მაგრამ საგანგაშო მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასულ აფხაზებსაც, მათი დაბრუნების შემთხვევაში, პრობლემა მოგ-

ვარდება. ყოველ შემთხვევაში, თუკი თქვენ ეს ძალიან გაღელვებთ, მე გპირდებით, რომ ჩემი ხალხი არ გადაშენდება. სანამ ამ საკითხზე საუბარს დაიწყებდეთ, კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის მიუკერძოებელ ისტორიას გადახედავთ: როგორ მოვიდა აქამდე ჩვენი ხალხი და ქართველებს როგორ გაუძლო...

— ალბათ არ უნდა დავივიწყოთ, სხვადასხვა დროს, ქართული სახელმწიფოს მიერ განუვლი ღვანლი, აფხაზი ხალხის განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნაში...

— ვერ დაგეთანხმებით: მართლაც სტალინისა და ბერიას მცდელობა რად ღირს — მათი ძალისხმევა ხომ ჩვენი ხალხის გადაშენებისკენ იყო მიმართული. საბედნიეროდ, ხან საკუთარი, ხანაც — მეგობარი ქვეყნებისა და გეოსტრატეგიული მდებარეობის წყალობით, გადავრჩით და აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, თავისი ჯარით, საბაჟოთი, ეკონომიკით, საგარეო და საშინაო პოლიტიკით, 15 წელზე მეტია არსებობს. აფხაზეთმა დაამტკიცეს, რომ თავისუფლად ცხოვრების ღირსი არიან და ჩვენ არ დავუშვებთ, რომ თავის სამშობლოში ჩვენი ხალხი უმცირესობაში აღმოჩნდეს.

— არც რუსი სამხედროების და ენ. მუშების დასახლების შემთხვევაში?..

— გარკვეული ცვლილება მოსალოდნელია, მაგრამ — არა კატასტროფული. რუსული ბიზნესის შემოსვლასა და სარკინიზგო მაგისტრალის აღდგენას, რასაც ქართული მხარე ძალიან განიცდის, სხვა, უფრო დადებითი მხარეებიც აქვს, — ის, რომ აფხაზეთის ეკონომიკა სულ რაღაც ერთ წელიწადში ფეხზე დადგება. თქვენი ხელისუფლება წუსს, რომ აქ მასობრივად რიგდება რუსული პასპორტი. დიას ასეა, მაგრამ არც ამ შემთხვევაში იტყვიან ჩვენი ხალხი აფხაზობაზე უარს. სამაგიეროდ, ამით, საზღვარგარეთ წასვლის, განათლების მიღებისა და მცირე ბიზნესის წამოწყების საშუალება ეძლევა, რომელსაც აფხაზეთში გადმოიტანს. თავიდან, ყველა განვითარებად ქვეყანას აქვს გარკვეული სახის პრობლემები. მთავარია, ასეთ შანსებს როგორ გამოიყენებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა, რამდენად დამოუკიდებელი იქნება მისი შიდა პოლიტიკა.

— როგორ ფიქრობთ — თუ ეკონომიკა რუსეთის მიერ იქნება მართული, დამოუკიდებელი შიდა პოლიტიკის არსებობა რეალურია?

— გააჩნია, რაზე შეთანხმდებიან მხარეები. ჯერჯერობით, რუსეთი ყველაფერს პირნათლად ასრულებს, ვნახოთ, მერე რა იქნება. გახსოვთ ალბათ ქართული ანდაზა — მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო?!

ჰაეზანი ჰასიზანთან

„გამოსანველი“ ტვინარეული ქალები და ციხეში ნაშეხად ქცეული „მწარე ქალიშვილები“



რამდენიმე ხნის წინ ჟურნალ „გზაში“, რუბრიკაში — „თემა“ დაიბეჭდა სტატია სათაურით — „რატომ დადიან გოგონები ციხეში“, რომელსაც ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. მათ შორის გახლდათ ყოფილი პატიმარი, რომელმაც ჩვენს რესპონდენტებს და არა მარტო მათ მოუწოდა, რომ ამისგან თავი შეიკავონ და პატიმრების მიერ დაგებული მახეში არ გაეხან. მისგან ასეთი რჩევა მით უფრო გამივივრდა, როცა გავიგე, რომ მას მეუღლე სწორედ ციხეში გაუცნია და დღეს მათ 3 თვის ნიკუშაც ჰყავთ. გაა ინტერვიუსგან დიდხანს იკავებდა თავს, მაგრამ ჩემი სიჯიუტისა და მისი მეუღლის წყალობით, საწადელს მაინც მივალწიე. საუბრისას მან დიქტოფონის ჩართვა ამიკრძალა და მხოლოდ იმის დაწერის უფლება მომცა, რისი ჩანისგნის საშუალებასაც თავად მაძლევდა.

ლიპა ქაჩია

ბია, 34 წლის, ყოფილი პატიმარი:

— თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ. ერთხელ წავიკითხე სტატია და მესიჯები, სადაც გოგონები ამბობდნენ, რომ ისინი ან მისი მეგობრები პატიმრებმა დალუპეს. მინდა, მათ ვუთხრა, რომ თავი არ გაიუბედურონ, პატიმრების დაგებულ მახეში ნუ გაებმებიან. მეც „ვიჯექი“ და ვიცი, იქ რაც ხდება, როგორ ექცევიან გოგონებს, რომლებიც გაბედულებას გამოიჩინენ და „საყვარელი“ ადამიანის სანახავად „ზონაში“ მიდიან. ჩემი თვალით მინახავს საოცრად ლამაზი გოგონები, რომლებსაც რამდენიმე თვის შემდეგ ის სილამაზე დაუკარგავთ... არ მინდა, მსგავს სიტუაციაში ჩემი ახლობელი აღმოჩნდეს.

პატიმრობის სერიოზული გოგონებს თქვენც „აბამდით“?

— ამ თამაშში ჩემდა უნებურად ჩავერთე, მაგრამ ბოროტებისგან იმ გოგონამ მისხნა, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა. სხვათა შორის, წინი სწორედ ის გაბედული გოგონა აღმოჩნდა, რომელმაც ჩემთან მოსვლა განიზრახა და ერთმანეთს შევხვდით

კიდევ. მისმა სილამაზემ და ჭკვიანურმა გამომეტყველებამ მიმახვედრა, რომ მას გულს ვერ ვატყენდი. თანაც, მისი მოტყუება ადვილი არ იქნებოდა. წინიმ შეძლო და ჩემი გაქვავებული გული გააღლო, თავი შემაყვარა და ციხეში ჯვარი დავინერეთ.

— ე.ი. პატიმართან ვიზიტის შემდეგ, ადამიანი შეიძლება, გაბედნიერდეს კიდევ...

— მერწმუნეთ, ეს ძალიან იშვიათად ხდება. უმეტეს შემთხვევაში, მახეში გაბმული გოგონასთვის ყველაფერი არასასურველად მთავრდება.

— პატიმრები ამას რატომ აკეთებენ?

— იმისთვის, რომ ცხოვრება გაიხალისონ, დრო გაიყვანონ. ეს ერთგვარი შემოსავლის წყაროცაა — გოგონები, რომლებსაც კაცები უყვარდებოდათ, ყველაფერზე ნაცლენ, ოღონდ კი იმ „სანაყალ“ კაცებს ასიამოვნონ, რომლებსაც სუფთა ჰაერიც კი ენატრებათ. როგორც წესი, პატიმრები ქალებს თავს აცოდებენ, ისეთ სიტყვებს ეუბნებიან, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები თავს კარგავენ და საყვარელი ადამიანის საამებლად, ყველაფერს აკეთებენ. ბევრი

პატიოსანი გოგო გაუბედურებულა, მაგრამ მაგალითების მოყვანისგან, გარკვეული მიზეზების გამო, თავს შევიკავე. მგონი, ისედაც ყველაფერი მოგიყვით და იმაზე მეტი ვთქვი, რისი უფლებაც მქონდა.

— მაშინ, კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ.

— თქვით, გისმენთ.

— როცა ხედავდით, რომ ვიღაცა პატიოსან ადამიანს აუბედურებდა, მახეში აბამდა, მის გადასარჩენად რატომ არაფერს აკეთებდით?

— ამის უფლება არ მქონდა. იქ ყველა თავისთვის ჩალიჩობს და თუ ვიღაც მათ ანკესს წამოეგო, ეს შენ არ გეხება. ციხეში ჩემიანიც რომ მენახა, თვალს ავარიდებდი, ხოლო ციხიდან გამოსვლის შემდეგ, აუცილებლად მოვუღებდი ბოლოს.

— თქვენი, ცოტა არ იყოს, მეშინია...

— (იცინის) ნუ გეშინიათ, არ ვიკბინები. რომ ვიკბინებოდე, წინო ჩემ გვერდით არ იქნებოდა... იცით, ქალს იმდენი ჭკუა უნდა ჰქონდეს, რომ რალაც-რალაცებს მიხვდეს. წინოს იმდენი ჭკუა ეყო, რომ ანკესზე არ წამოეგო და სწორედ ამან მომიხიბლა. თუ ქალი უტვინოა, ის კისერს სადღაც მაინც წაიმტვრევს და რა მნიშვნელობა აქვს, ეს ციხეში მოხდება თუ მის გარეთ?! მგონი, არავითარი.

— როგორ უნდა მიხვდნენ გოგონები, რომ მათ ციხიდან ურუკავენ ან ემსჯელებიან?

— ამის მიხვედრა ძალიან ადვილია, მაგრამ თბილი სიტყვებით გაბრუებულ გოგონებს ტვინი უზარმაცდებოდათ და ბიჭებს თვეების მანძილზე ისე ელაპარაკებიან, რომ არ აინტერესებთ, ისინი რას საქმიანობენ. როცა ადამიანი სიყვარულს გიხსნის, მაგრამ შენთან შეხვედრისგან, რალაც მიზეზის გამო, თავს იკავებს, ხომ უნდა მიხვდე, რომ ან პატიმარია, ან — ავადმყოფი. სხვა შემთხვევაში, ადამიანი დაინტერესდებოდა, როგორია გარეგნულად გოგონა, ვისაც „აბამს“. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თინეიჯერებს ციხეში სიარული მოსწონთ. თითქოს ეს მოდაში შემოვიდა.

— ამას რატომ ამბობთ?

— იმიტომ, რომ ბევრმა თავიდანვე იცის, ვისაც ელაპარაკება, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ხედავს. თუ არ იცის, ბოლოს ხომ მაინც გაიგებს! მაგრამ პატიმართან ურთიერთობას მაინც აგრძელებს და ციხეში მისვლის ინიციატივასაც თავადვე იჩენს. რატომ? იმიტომ, რომ

ამის სურვილი აქვს. მოკლედ, ყველას ვურჩევ, ამისგან თავი შეიკავოს. ნურც თავს გაიუბედურებენ და ნურც მშობლებს, რომლებიც მათ გამო წელზე ფეხს იდგამენ!..

ლია, 24 წლის:

— ჩემს კურსელს შეყვარებული რომ ჰყავდა, ყველამ ვიცოდით, რადგან ის სულ ბექაზე გველაპარაკებოდა, ტვინს „გვიბურღავდა“, მაგრამ არავინ იცოდა, სინამდვილეში ვისზე „ჭედავდა“. მარისთან საერთო ენა გამოვნახე და დაემეგობრდით. ერთხელ მითხრა: საიდუმლო უნდა გაგიზიარო და იმედი მაქვს, ამის გამო ხელს არ მკრავ; ჩემი შეყვარებული პატიმარია, 4 წელია, ციხეში ზის და იტანჯება, მისი ნახვა ძალიან მინდა, მაგრამ იქ მისვლის მეშინია,

ოთახში ვილაც ტიპი შემოვიდა, თვალებით ამწონ-დამწონა და ბექას ჩვენთან დარჩენის უფლება სთხოვა. მარი თავის შეყვარებულთან განმარტოვდა, მე კი ახალგაჯნობილ პატიმართან (რომელიც მამუკად გაგვეცნო) პირისპირ დავრჩი. ერთი სული მქონდა, იქიდან როდის წამოვიდოდი. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები კარგად გვექცეოდნენ, რაღაცის მაინც მეშინოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი იქ ყოფნის დრო ამოიწურა. პატიმრებს გამოვემშვიდობეთ და წამოვედით. მარი აღფრთოვანებული იყო, ბექაზე გაბრწყინებული თვალებით მელაპარაკებოდა.

— მამუკამ შენი „შებმა“ როგორ მოახერხა?

— მეორე დღეს მარიმ მითხრა: ბექამ დამირეკა და შენი ტელეფონის ნომერი გამომართვა; თურმე მამუკას ძალიან მოეწონე, იმედია, არ გაბრაზდები, ის ძალიან კარგი ბიჭიაო. იმ დღეს მარის ვეჩხუბე და ვუთხარი, რომ მეგობრები აღარ ვიყავით... მამუკამ საღამოს დამირეკა და ჩემი „შებმა“ დაიწყო. თავიდან უხეშად ვექცეოდი, მაგრამ მერე, თავისას მაინც მიაღწინა და თავი შემეყვარა. ის „მონოს“ „მონოზე“ მიგზავნიდა, სამკაულებს მჩუქნიდა (საიდან მოჰქონდა, არ ვიცი), სამაგიეროდ, სხვებისგან განსხვავებით, არაფერს მთხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მარის ვეჩხუბე, ის მაინც მეკონტაქტებოდა და მეც შევეურიგდი. რაღაც პერიოდის შემდეგ, უკვე მასთან ერთად მივდიოდი ციხეში. მამუკა არაჩვეულებრივი ადამიანი აღმოჩნდა, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ჯვარიც დავინერეთ. სხვათა შორის, მისი მშობლებიც გავიცანი და მათ ხშირად ვსტუმრობ. ისინი შვილად მიმიჩნევენ და ჩემზე ზრუნავენ.

— შენმა მშობლებმა შენი ჯვრისწერის ამბავი თუ იციან?

— რა თქმა უნდა, არა. მამუკა „სვაბოდაზე“ მალე გამოვა. ის შემპირდა, რომ აღარასდროს ჩაიდენს დანაშაულს, იმუშავებს და ოჯახს

პატიოსანი შრომით არჩენს. მითხრა: ის, რაც ვერაინ მასწავლა და შთამაგონა, რისკენაც ვერაინ მიბიძგა, შენ მოახერხე; ახლა ვიცი, რისთვის და ვისთვის უნდა ვიცხოვრო, აქამდე სიცრუეში ვცხოვრობდი და ახლა ამ წუმპეს თავს აუცილებლად დავაღწევო.

— მარისა და ბექას ამბავი როგორ განვითარდა?

— სამწუხაროდ, ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. როგორც მამუკამ მითხრა, ბექა ჩემს მეგობარს ატყუებდა, მის გარდა არაერთ გოგოს ხვდებოდა. ისიც მთხოვა, — შენს დაქალს რაიმე ურჩიე, თავს ნუ დაილუპავსო. საბედნიეროდ, მარი დროზე მიხვდა, რომ ატყუებდნენ და თავს უშველა. ახლა მას ახალი შეყვარებული ჰყავს, მალე დაქორწინებას აპირებენ და მათი მეჯვარე მე ვიქნები.

— რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მამუკა დანაშაულს აღარ ჩაიდენს? ამბობენ: იქ ერთხელ თუ მოხვდი, თავს ვეღარ დააღწევო...

— მე მჯერა მეუღლის. ვიცი, ის სიტყვას არ გატეხს! ამ ინტერვიუს იმიტომ გაძლევ, რომ ხშირად მესმის მოწოდება: არ ენდოთ პატიმრებს! ისინი აუცილებლად მოგატყუებენ! ხალხნო, არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანს სად და როგორ გაიცნობ, მთავარია, ერთმანეთი მართლა გიყვარდეთ და ყველაფერს გაუძლებთ!

ზურა, 36 წლის, პატიმარი:

— მე ახლაც ციხეში ვარ და ვიცი, როგორ ტყუვდებიან გოგონები, რომლებსაც რაღაც პრობლემა ანუხებთ ან უბრალოდ, უსიყვარულობა ტანჯავთ. არ ვიცი, მართალი ვარ თუ არა, ინტერვიუს რომ გაძლევთ, მაგრამ მერწმუნეთ, გოგონა, რომელიც უცნობ ადამიანთან ციხეში მოდის, უმეტეს შემთხვევაში განზილებული რჩება და ცხოვრებას იუბედურებს. ბევრმა ეს იცის, მაგრამ მაინც რისკავს.

— ამას რატომ აკეთებთ?

— 2 წლის წინ, სხვადასხვა მეთოდით გოგონებს მეც „კვრავდი“, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არასწორად ვიქცეოდი. ახლა მხოლოდ მათ „ვაბამ“, ვისაც ამის სურვილი აქვს ანუ არავის გატყუებ, ყველას ვუუბნები, რომ პატიმარი ვარ და მათთვის სიყვარულის გაცემის მეტი, არაფერი შემიძლია, რომ კიდევ დიდხანს არ უნდა ჰქონდეთ „სვაბოდაზე“ ჩემი გამოსვლის იმედი და ა.შ. ის, ვინც მიუხედავად ყველაფრისა, დამეკონტაქტება, „ზნაჩიტ“, „გამოსაჭერია“ და სულელი უნდა



როცა ამდენი პატიმარი დავინახე, მუხლები ამიკანკალდა, შიშისგან თმა ყალყზე დამიდგა. ბოლოს, ოთახში შეგვიყვანეს, სადაც მხოლოდ საწოლები და ერთი პატარა გელევიზორი იდგა. მარი თავის შეყვარებულს ჩაეკონა, მე კი „იგნორი“ გამიკეთეს.

გთხოვ, გამომყვეო. შოკში ჩავვარდი. ვეხვეწებოდი, — იმ ბიჭს შეემვი-მეთქი, მაგრამ — ამაოდ. ბოლოს, როცა მითხრა, — გადავწყვიტე, მასთან მარტო წავიდეო, — მივხვდი, რომ ის გადანყვებილებას არ შეიცვლიდა და ვუთხარი: მარტო არ გაგიშვებ-მეთქი... ციხეში შესვლა უპრობლემოდ მოვახერხეთ. როცა ამდენი პატიმარი დავინახე, მუხლები ამიკანკალდა, შიშისგან თმა ყალყზე დამიდგა. ბოლოს, ოთახში შეგვიყვანეს, სადაც მხოლოდ საწოლები და ერთი პატარა ტელევიზორი იდგა. მარი თავის შეყვარებულს ჩაეკონა, მე კი „იგნორი“ გამიკეთეს. ალერსს რომ მორჩენენ, მარიმ ბექას ჩემი თავი წარუდგინა. ამ დროს



მეც „ვიჯეტი“ და ვიცი, იქ რაც ხდება, როგორ ექცევიან გოგონებს, რომლებიც გაბედულებას გამოიჩენენ და „საყვარელი“ ადამიანის სანახავად „მონაში“ მიდიან. ჩემი თვალით მინახავს საოცრად ლამაზი გოგონები, რომლებსაც რამდენიმე თვის შემდეგ ის სილამაზე დაუკარგავთ...

ვიყო, ასეთ ურთიერთობებზე და საჩუქრებზე უარი რომ თქვა.

— ციხეში რა კატეგორიის გოგონები მოდიან?

— ადრე მხოლოდ გამოცდილი ნაშები მოდიოდნენ, ახლა კი ისეთი „მწარე ქალიშვილებიც“ გვაკითხავენ, რომ გაგიჟდები. შეიძლება, შენ ირგვლივაც ბევრ ვინმეს ვიცნობ და რომელიმე რომ დაგისახელო, არც დამიჯერო, მაგრამ მერწმუნე, აქ ისეთი სახეები დადიან, გაცდები... თუ ჩვენთან მოსულმა ქალმა რაიმე მიქარა, მას მოსვენება დაეკარგება, თუ პატიოსნება შეინარჩუნა და „შეყვარებულს“ ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე დაშორდა, დიდ პატივს ვცემთ, ხოლო მათ, ვისაც ბოზური სული აქვთ, საკადრისად ვექცევით.

— არა მგონია, პატარა გოგონების მოტყუება კარგი საქმე იყოს. მგონი, „ქურდული გაგების“ ადამიანებს ეს, მით უმეტეს, არ გეკადრებათ...

— კიდევ ერთხელ გეუბნები, ყველას საკადრისად ვექცევით და ქალზე ძალადობას არ ვახორციელებთ. გოგონებს უნდა ჰქონდეთ იმდენი ჭკუა და ნებისყოფა, რომ სექსის გამო ყველგან და ყველაფერზე არ წავიდნენ. აქ ბევრი იმისთვის მოდის, რომ საკუთარი ვნება დაიკმაყოფილოს. მათ იციან, რომ თუ არ მიქარავენ, გარეთ სახელი არ შეელახებათ და ამით სარგებლობენ. ბევრ გოგოს ერთ მესიჯზეც კი ეტყობა, რომ პატიოსანია და ასეთს აუცილებლად ვანებებთ თავს, ხოლო ვინც „გამოსანველია“, უნდა „გამოინველოს“. ამას, ჩვენ თუ არა, ვილაც „სვამბოდაზე“ მყოფი გააკეთებს და ბარემ ჩვენ, პატიმრებმა

ვისიამოვნოთ, გავიხაროთ.

— ამბობთ, რომ თქვენთან „მწარე ქალიშვილებიც“ მოდიან. საინტერესოა, ისინი პატიმრებთან როგორ იქცევიან?

— ასეთებთან ურთიერთობა თავიდან გვიჭირს, კომპლექსებისგან გვიან თავისუფლდებიან. მაგრამ მერწმუნეთ, მსგავსი ქალები თავისუფლებისა და სექსის შეგრძნების შემდეგ, ყველაფერზე მიდიან. ჩვენ ასეთებთან ურთიერთობა გვანყობს.

— დაბოლოს: ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როცა გოგონას გაუბედურების

ამბავი მშობლის ყურამდე მისულა და თქვენთვის პასუხი მოუთხოვიათ?

— მსგავსი რამ იშვიათად ხდება (მე საერთოდ არ დამმართვია). ერთ ამბავს გავიხსენებ: ჩვენთან 24 წლის ბიჭი იჯდა (რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს), რომელსაც ნაღდად ვიცი, ვილაც გოგო თავად „კერავდა“. ბიჭიც, რა თქმა უნდა, რალაცებზე უარს ხომ არ ეტყოდა?! ჰოდა, ერთ დღეს ეს გოგო პაემანზე დაიბარა. ლამაზი იყო. ასე, 17 წლის იქნებოდა. მათ ერთმანეთი მოეწონათ და სექსიც ჰქონდათ. მერე გოგო დაფხმძიმდა და ეს ამბავიც „გასკდა“. მამამისი პოლიციის შეფი გახლდათ და პატიმარს შვილიშვილის მამობა ვერ აპატია — სანყალ ბიჭს სასჯელიც დაუმატეს და კარგადაც მიიბეგვეს. არადა, მერწმუნეთ, არაფერში იყო დამინაშავე, ძალა არ უხმარია, გოგოს მასთან ყოფნის სურვილი თავად ჰქონდა. აი, ზოგჯერ ასეთი რალაცებიც ხდება. ქალს ჭკუა თუ არა აქვს, კაცი რა შუაშია?!

— თქვენი გოგონა მსგავს მახეში რომ გაბმულიყო, როგორი რეაქცია გექნებოდათ?

— ჯერ ერთი, შვილები არ მყავს, მაგრამ რომც მყავდეს, გოგოს ისე გავზრდიდი, მსგავს რამეს არ ჩაიდენდა.

— და მაინც, რომ ჩაედინა? ყველა მშობელი საკუთარ შვილში დარწმუნებულია...

— არ ვიცი, როგორი რეაქცია მექნებოდა (ფიქრობს). შეიძლება, მომეკლა კიდევ, მაგრამ არა იმიტომ, რომ პატიმართან გააბა რომანი, არამედ იმიტომ, რომ თავი „დაკარგა“, ცდუნებას ვერ გაუძლო და „გამოსანველ“ ქალად იქცა. ასეთები კი ყოველთვის იმას მიიღებენ, რასაც იმსახურებენ. მერწმუნეთ, ჩვენ არასწორად არავის ვექცევით და თუ დავინახავთ, რომ ვილაცა პატიოსანს აუბედურებს, საქმეში ვერევიტ და გოგონებს შეძლებისდაგვარად ვეზმარებით იმაში, რომ გზას არ ასცდნენ.

წინო, 28 წლის:

— ისეთ ოჯახში დავიბადე, სადაც ქართულ ტრადიციებს დიდ პატივს სცემენ და ჩვენც, შვილებსაც, მის ერთგულებას შთაგვაგონებდნენ. პატარაობიდანვე ყველაფერი მქონდა, არასდროს არაფერი მაკლდა, გარდა მამაკაცის სიყვარულისა. მართალია, თაყვანისმცემლები მოსვენებას არ მაძლევდნენ, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ მათ მე კი არა, ის ფუფუნება, სიმდიდრე იზიდავდა, რომელშიც ცხოვრების საშუალებაც ჩემი ცოლად შერთვის შემთხვევაში ექნებოდათ და ამიტომაც ვცდილობდი, არავინ შემეყვარებოდა.

— მაგრამ რჩევა-რჩევაში, თაყვანისმცემელთა შორის ყველაზე უარესი შეგიყვარდა, არა?

— ჰო, ის ყველაზე უარესია, მაგრამ რა ვქნა, მან ჩემი ცდუნება

შეიძლება, მომეკლა კიდევ, მაგრამ არა იმიტომ, რომ პატიმართან გააბა რომანი, არამედ იმიტომ, რომ თავი „დაკარგა“, ცდუნებას ვერ გაუძლო და „გამოსანველ“ ქალად იქცა. ასეთები კი ყოველთვის იმას მიიღებენ, რასაც იმსახურებენ.



შეძლო, მე კი ერთი უბრალო გოგონა ვარ, რომელსაც სიყვარული სჭირდებოდა და გიოს მიერ დაგებულ მახეში ისე გავები, მის გულწრფელობაში ეჭვიც არ შემპარვია.

— ასე რით მოგზობლა?

— ლამაზი სიტყვებით! 20 წლის ვიყავი, როცა მობილური ტელეფონი მიყიდეს. მაშინ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება მის გარეშე... დაახლოებით 3 წლის წინ, ვილაც ბიჭმა დამიმესიჯა. ტექსტი ახლაც მახსოვს: „ჩემო სიხარულო, შენ ჩემი ერთადერთი იმედი ხარ, მე კი სიყვარულის გამო თავსაც გავენირავ. სიგიჟემდე მიყვარხარ, გელი“. თავიდან ვიფიქრე,

— ვილაცას ნომერი შეეშალა-მეთქი, — მაგრამ მესიჯი მესიჯზე რომ მომდიოდა, ვუპასუხებ: მგონი, ვილაცაში გემლებით-მეთქი. მაინც არ მომეშვა: სწორედ ის ხარ, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი და ახლა მხოლოდ იმ იმედით ვცოცხლობ, რომ ხელს არ მკრავო. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მესიჯომანიამ შემიპყრო. ის ისეთ სიტყვებს მწერდა, ვიფიქრე, — ჩემი ოცნების პრინცია-მეთქი, — და საოცრად შემიყვარდა.

— მხოლოდ ლამაზმა სიტყვებმა მოგზობლა? მისი ცხოვრების წესით არ დაინტერესებულხარ?

— როგორ არა?! მაგრამ მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მსგავს კითხვებზე პასუხს თავს არიდებდა და ისევ ლამაზი სიტყვებით მპარუებდა. მაშინ ამ ყველაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი.

— მასთან შეხვედრის სურვილი არ გაგჩენია?

— რამდენჯერმე გავბედე და პაემანი თავადვე დავუნიშნე, მაგრამ მეუბნებოდა, რომ გარკვეული მიზეზების გამო (ამ მიზეზების ახსნას არ ვთხოვდი), ამას ვერ მოახერხებდა. ერთხელაც, დაახლოებით 1 წლისა და 2 თვის შემდეგ გამომიტყდა, რომ ციხეში იჯდა ყაჩაღობისთვის და ამიტომაც ვერ მნახულობდა. გავცოფდი! აღარ ვიცოდი, რა მექნა. გიოს კარგა ხანს არ ვეკონტაქტებოდი, ტელეფონის ნომერიც გამოვიცვალე, მაგრამ მის გარეშე დიდხანს ვერ გავძელი და დავუშესიჯე.

მივწერე, რომ არაადამიანურად მომექცა, მომატყუა და გული საშინლად მატკინა. ბოლოს კი ვკითხე: ასე რატომ მომექცი-მეთქი? იცით, საოცარი რა არის? — ჩემი გულის მოგება ერთ საათში შეძლო და მე უკვე მზად ვიყავი, მის გამო სიცოცხლეც გამენირა. მის გამო მშობლები ტყუილებით ავავსე, მეგობრებსაც ვატყუებდი და მოჯადოებულებით ვიქცეოდი. როცა „ჩემი სიცოცხლე“ დამიძახებდა, მაშინვე მასთან გავრბოდი. იცით, პირველად ციხეში რომ მივდიოდი, იქაურობის საშინლად მეშინოდა, მაგრამ შემდეგ, ის ჩემთვის მშობლიური გახდა...

— პირველად რომ მიხვედი, როგორ შეგხვდა?

პირველად ციხეში რომ მივდიოდი, იქაურობის საშინლად მეშინოდა, მაგრამ შემდეგ, ის ჩემთვის მშობლიური გახდა...



— საოცრად თბილად. არაჩვეულებრივ პიროვნებად მომჩვენა და პოლიციელებს ვწყველიდი იმის გამო, რომ მას, უდანაშაულო ადამიანს ციხეში ამყოფებდნენ, უჩემობით „ტანჯავდნენ“. მეგონა, ის ისეთ დანაშაულს არ ჩაიდენდა, რომელზეც პასუხი უნდა ეგო. ვფიქრობდი, რომ ცხოვრება დაუნდობელი და მან გიო აიძულა, ვილაცის სახლში ყაჩაღობის მიზნით შევარდნილიყო... ერთხელ, როცა თავის ამბებს მიყვებოდა, ავკვითინდი. მან ჩემი დამშვიდება დაინყო და გულში ჩამიკრა. აი, სწორედ მაშინ ვიგრძენი მამაკაცის სითბო და მის ნებას ისე დავეყვი, არც შევწინააღმდეგებოვარ. სიმართლე გითხრათ, ქალწულობის დაკარგვის გამო, მასთან დაშორებამდე არ მიდარდია, რადგან მეგონა, ის ციხეს თავს დააღწევდა, ცოლად შემირთავდა და უზომოდ ბედ-

ნიერები ვიქნებოდი... ჩემების ოქროები მის ერთ გაცინებას შევწირე, მამაჩემის ფულს მისთვის ვფლანგავდი, საკუთარ თავზე აღარ ვფიქრობდი. სხვათა შორის, ძლივს ნაშოვნი კარგი სამსახური და კარგი ადგილი, მაღალი ანაზღაურებით, მის გამო დავკარგე და მშრალზე დავრჩი. ასევე დავკარგე ახლობლების, მეგობრების ნდობა, საკუთარი თავის რწმენა და მომავლის იმედი.

— ანუ მასთან ურთიერთობამ საბოლოოდ გაგანადგურა?

— რა თქმა უნდა! რომ ამბობენ, — ქალს პატარა ტვინი აქვსო, — მართალი ყოფილა... ერთ დღეს, როცა მის სანახავად მივედი, მითხრა: ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა; ვლობა, საკუთარ მომავალზე იფიქრო, მე გატყუებდი — ცოლიც მყავს და 2 ანგელოზიც და შენ გამო მათ ვერ მივატოვებ, თუ ვინდა, საყვარლები ვყოთო.

— ასე გულახდილად რატომ დაგვლაპარაკა?

— იმიტომ, რომ ტვინი „შევეჭამე“, — ჯვარი დავინეროთ-მეთქი. აბა, რა მექნა? ორსულად ვიყავი!.. ალბათ, ჩემმა მდგომარეობამ შეაშფოთა. იცოდა, გლენის გოგო რომ არ ვიყავი და უკან დაიხია... ნერვიულობის ნიადაგზე, მუცელი მომეშალა. ალბათ ასე რომ არ მომხდარიყო, აბორტს გავიკეთებდი. აბა, იმ ნაძირალას შვილი მეტარებინა მუცლით?!


— ეს ამბავი მშობლებმა შეიტყვეს?

— როცა მუცელი მომეშალა, სიმართლე მხოლოდ მაშინ გაიგეს. მამა სახლიდან მაგდებდა, მაგრამ დედამ დამიცვა. მართალია, ერთ სახლში ვცხოვრობთ, მაგრამ ძმა საერთოდ არ მეკონტაქტება. როგორც კი მასთან დალაპარაკებას შევეცდები, მაშინვე მუშტზე იყურება. მე ცოცხალი ლეში ვარ... ახლაც მირეკავენ ვილაცები და ჩემს „შებმას“ ლამაზი სიტყვებით ცდილობენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ ჩემი ნომერი გიომ მისცა და ციხიდან მეკონტაქტებიან, რათა კიდევ უფრო გამანადგურონ. ვერ მივართვი, მე აღარ მოეცყუვებები!..

„მის მიერ განსვლიდა და აღწერიდა სულით სოციალურ უპირა უფსაზეთილან ღეზნიღაი“

„...ცეცხლის კვამლში გახვეულა საოცნებო მხარე, გავერანებულა, დაგლახავებულა, მაგრამ მაინც ვბედავთ მინის ყივილზე პასუხის გაცემას! გადავლახავთ მშფოთვარე ენგურს და ხიფათგამოვლილი, ფეხშიშველი ვეზ-

თქვენი ფანია. გმადლობთ, რომ გახსოვთ მშობლიური მხარე. წარმატებებს გისურვებთ ცხოვრებაში და მალე დაბრუნებას!.. გთხოვთ, დამიმესიჯოს ასმათმა. ვახტანგი, 40 წლის, ქ. სოხუმი“.



გაოცა და აღაფრთოვანა უამრავი მკითხველი, რომელიც ასმათს სიყვარულს უხსნის და მეგობრობას სთავაზობს...

„ასმათ, გეთაყვა, კიდევ კარგი, ვინმეს მაინც თუ ახსოვს აფხაზეთი... ყოჩაღ, მომენონა („გზა“, №17) ჭკვიანი და კარგი ადამიანი ხართ, ძვირფასო. წარმატებას გისურვებთ! მორიგ სტატიას როდის ვიხილავთ? ბატონო რედაქტორო! მომწონს, აფხაზეთის თემები რომ იბეჭდება თქვენს ჟურნალში. ბევრ მკითხველს და დიდ ტირაჟს გისურვებთ! გიორგი, 50 წლის, ქ. სოხუმი“.

„სალამი „გზას“! ძალიან მომწონს ასმათ შამუგიას წერილი. ძვირფასო ასმათ, მშობლიურ მხარეში მალე დაბრუნებას, სამსახურის დაწყებას და ლამაზ სიყვარულს გისურვებთ... ძალიან მიყვარხართ, ლამაზი ხართ და თქვენი ხატორით, მთელი ჩემი ძმაკაცები ჟურნალის აქტიური მკითხველები გახდნენ... დამიმესიჯეთ, რა... ვანო, 25 წლის, ქ. ზუგდიდი“.

ებთ აფხაზეთის მინას, რომ უფრო ცხოვლად ვიგრძნოთ მისი სიტბო და ძალა... ისიც დაუზოგავად გვანედის ახალ ენერჯიას... გვეფერება, გვესალბუნება და, როგორც ჭკვიან დედებს სჩვევიათ, წარსულიდან მხოლოდ თბილ სურათებს გვიცოცხლებს...“

ეს გახლავთ ნანყვეტი, ლტოლვილი გოგონას წერილიდან, რომელიც „გზის“ №17-ში გამოქვეყნდა. გალელი ასმათ შამუგია 6 წლის იყო, როცა სხვა ქართველებთან ერთად, აფხაზეთიდან გამოაძევეს, მაგრამ საოცრად ცხადად ხედავს და ღრმად გრძნობს მშობლიური კუთხის სილამაზესა და სურნელს. სწორედ ამ გარემოებამ გაოცა და აღაფრთოვანა უამრავი მკითხველი, რომელიც ასმათს სიყვარულს უხსნის და მეგობრობას სთავაზობს...

„ძვირფასო ასმათ! ძალიან მოგვეწონა თქვენი წერილი. სოხუმის მოსახლეობა



შამუგიების მიტოვებული სახლი (გალი)

„მიყვარს ასმათ შამუგია და „გზა“. ყოჩაღ, ასმათ! დამიმესიჯე, რა!.. ნიე, 22 წლის, ქ. გალი“.

„ბატონო რედაქტორო! მოგწონს ამ გოგოს წერის სტილი და კულტურა. ძალიან ჭკვიანი და სიმპათიურია. გთხოვთ, დაბეჭდოთ მისი მორიგი ფოტო და ახალი სტატიები აფხაზეთზე. ცოტა ხნით თავი იქ მეგონა, იმ წერილის (№17) კითხვისას. აფხაზეთი ჩვენი საერთო ტკივილია. მომწონს თქვენი ჟურნალი. წარმატებებს გი-



სურვებთ! ალექსანდრე, 30 წლის!“

„თქვენი ჟურნალი ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველებში, მაგრამ №17-ში (24-30 აპრილის) გამოქვეყნებულმა სტატიამ — „გაზაფხულის სევედიანი ფიქრები და ნოსტალგია აფხაზეთზე“, რომელიც თქვენთან გამოგზავნა აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდამ, ასმათ შამუგიამ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წერილმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და ავტორისადმი განსაკუთრებული სიმპათია გამოიწვია. მის მიერ განცდილმა და აღწერილმა რეალობამ სულით ხორცამდე შეძრა აფხაზეთიდან დევნილი თითოეული პიროვნება. დიდი მადლობა, რომ გამოაქვეყნეთ ეს წერილი. ჩვენი დიდი თხოვნა და სურვილია, გავიცნოთ ეს პიროვნება. დიდი პატივისცემით, აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგები, ქ. ზუგდიდი“.

„ვარ 23 წლის, ეკონომისტი. 14 წელია, მეც თბილისში ვცხოვრობ. წარმოშობით, მეც გალიდან ვარ, იძულებით გადაადგილებული პირი, უმუშევარი, დასაოჯახებელი, ამჟამად ვცხოვრობ მშასთან ერთად... ძვირფასო ასმათ, თქვენი წერილით აღფრთოვანებული დავარჩი!.. ძალიან მომწონს თქვენი წერის სტილი, პატრიოტული სულიკვეთება. დასანანია, რომ უმუშევარი ბრძანდებით. სამწუხაროდ, არ გიცნობთ და იმედია, ოდესმე შევხება ბედნიერება, პირადად გაგიცნოთ. თქვენ, ასეთი კარგი ახალგაზრდა მანდილოსანი, ეკონომისტი ხართ, რომელიც ჩემდა გასაოცრად, ასე კარგად წერს... ჟურნალისტი უნდა გამოსულიყავით, ჩემო ასმათ... თვალეზე გეტყობათ, რაოდენ კეთილი ადამიანი და ჭეშმარიტი ქართველი ბრძანდებით... ასმათ, იქნებ, შევხვდეთ და გავიცნოთ ერთმანეთი ან თქვენი ელფოსტის მისამართი მომწერეთ, ან ტელეფონის ნომერი. მინდა, დაუახლოვდეთ ერთმანეთს და ვიმეგობროთ, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება. დამიმესიჯეთ, რა. თეონა ქანთარია, ქ. თბილისი“.

აქტივი კითხვა

— როგორ უნდა მოიხცას ძალი ან ვაჟაკაცი, რომ საყვარელმა ადამიანმა არ მიატოვოს?



თეონა თავართქილაძე:
— იმისთვის, რომ ქალმა ან მამაკაცმა რჩეული არ დაკარგოს, საყვარელ ადამიანს სიტბო და ერთგულება არ უნდა მოაკლდეს... შეყვარებულობის პერიოდში კი, ვფიქრობ, აუცილებელია, რომ მათ ერთმანეთს დაუთმონ...



დასაწყისი

ინგა ჯაყელი

ბატონი დათა, ანას მამა

როცა გვიან ღამით, ჩემს ტელეფონზე უცნობი ნომერი დაფიქსირდა, თავიდან არც ვაპირებდი პასუხის გაცემას, მაგრამ ზარი რომ აღარ შეწყდა, უხეშად ჩავძახე:

— გისმენთ! ჰო, გისმენთ, ნახევრად მძინარე და თქვენი მოურიდებლობით გაღიზიანებული...

— მაპატიეთ, მაგრამ ახლა რომ არ დამერეკა, მერე შეიძლება, გადამეფიქრებინა. არადა, მინდა, მომისმინოთ... ძია დათა ვარ, ანა ჯაფარიძის მამა.

გამოვფხიზლდი, მოვუბოდიშე და შეხვედრახე, რომელიც მეორე დღის ნაშუადღევისთვის დავთქვით, უყოყმანოდ დავთანხმდი...

ბატონი დათა, „ვარდების რევოლუციამდე“, ყოველთვის დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. ის სიტყვააქუნნი და უემოციო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მისი უწყების შესახებ რაც არ უნდა თქმულიყო და დანერგილიყო, პასუხს არავის აღირსებდა, არც სკანდალის აგორების საბაბს იძლეოდა და მის მიმართ ინტერესიც ქრებოდა...

ანას მამა ძალიან უყვარს, მასზე ლაპარაკი კი ისევე, როგორც ოჯახის სხვა წევრებზე — არა... ერთხელ წამოსცდა: მამის ძალიან მერიდებია, თვალს ვერ ვუსწორებ. მისი გაზრდილი ცოტა სხვაგვარი ცხოვრების წესით უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ. ამიტომაც, მირჩევნია, იშვიათად შევხვდე. ეჭვი მაქვს, ისიც ამავეს განიცდისო... როცა ბატონი დათა დავინახე, რატომღაც, სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა. ვიცი, მძლოლი ჰყავს, მაგრამ

შაჰრიბაბალი ანა

დაბრუნება

ნანილი მეორე

ანას დღიურებს, რომლებიც „გზის“ ფურცლებზე ამ რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა, არაერთი მკითხველის გამოხმაურება მოჰყვა. სკანდალური ჟურნალისტი, აქტიური საქმიანობის გარდა, პირადი ცხოვრებითაც გამორჩეული ქალია. შეგახსენებთ: ანას ვნებიანი რომანი ჰქონდა მამაკაცთან (გიგი), რომელიც მასში ერთდროულად, სიძულვილსა და დაუოკებელ ვნებას იწვევდა... მერე კი შემთხვევით, შეხვდა კაცს, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა. დათო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი აღმოჩნდა და მალე მოკლეს. მან ანას სოლიდური თანხა და საპატრონოდ, საკუთარი შვილი დაუტოვა, რომელიც საზღვარგარეთ მყოფი ახლობლებისთვის ჰყავდა მიბარებული...

მოთხრობილი ამბის დასრულების შემდეგ დაგვირდით, რომ საქართველოში ანას დაბრუნების მერე, მისი თავგადასავლის გაგრძელებას შემოგთავაზებდით. ამ დაპირების შესრულების დროც დადგა.

საფრანგეთში მყოფმა ანამ ზამთარში მომწერა, რომ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა და ისე მახარა, — ბილეთები უკვე მომიტანესო. მივხვდი, ეს არ იყო „უბრალო“ დაბრუნება და მხოლოდ მონატრებული სამშობლოს ხიბლი არ უფორიაქებდა სულს...

— ჩემთვის დღიურები თუ მოგაქვს? — პირველად ეს ვკითხე.

— წერის არც დრო მქონდა, არც განწყობილება და საერთოდ, ასე მგონია, კალამს ველარასოდეს ავიღებ ხელში. ჩემთან გეპატიუები, ლაპარაკში გავათუნოთ ღამეები, შენ დიქტოფონი მოიმარჯვე და... ახლა საოცრად მჭირდება მსმენელი, ემოციებით ვარ სავსე და ისეთ ვინმეს უნდა გავუზიარო, ვინც კი არ განმსჯის, არამედ თანამიგრძობს. იცი, მას შემდეგ, რაც დედა გავხდი, ვცხოვრობ არა საკუთარი თავისთვის, არამედ იმ საოცარი ბავშვისთვის, რომელმაც რამდენიმე თვეში სულ სხვა ადამიანად მაქცია. თითქოს, ანა-მარია ჩემი სისხლი და ხორცია, გარეგნულადაც მგავს. თუმცა, ის მომავალში ბევრად უფრო ლამაზი გოგო იქნება და იმედი მაქვს, ჩემზე ჭკვიანიც... მოკლედ, გელოდები...

...სანამ ანასთან შეხვედრის ამბებს მოგიყვებით, იმ ორ ადამიანზე მსურს გიამბოთ, რომლებმაც „შეურიგებელი ანას“ ნანილის გამოქვეყნების შემდეგ ჩემი ნახვა მოინდომეს.

იმ დღეს თავად უჯდა საჭეს. გადმოვიდა და კარი გამიღო.

— ქალაქგარეთ ჩემი მეგობრის რესტორანია. ძალიან მყუდრო გარემოა. ბუხარსაც დაანთებენ. თუ სანინალმდეგო არაფერი გექნება, იქ წაგიყვან! — მითხრა ბატონმა დათამ.

— როგორც გენებოთ, — ვუპასუხე და რატომღაც, შემეშინდა. მისგან საყვედურის მოსმენა არ მინდოდა და თავი ვიმართლე: — ანამ დღიურების გამოქვეყნება თავად მოინდომა.

— ვიცი და ამიტომაც, არაფერს გისაყვედურებ. არც შვილს ვეტიყვი რამეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯს არ ვუნდობ. მესმის, ის გაგებას და თანაგრძობას ელოდა, მაგრამ მთავარი დაავინყდა: სხვა სხვის ომში ბრძენია და ქვას პირველ რიგში ის ესვრის, ვინც მართლა ბოზი და გარყვნილია. მათ რა მოვთხოვო, როცა ანას დღიურების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარმა ძმამ დამირეკა და სულ ქალაჩუნა მეძახა, — იმ

გოგოს გაათხსირება შენი ბრალიაო!.. ანა სხვის თვალში ერთი ავხორცი, თავნება და უზნეო გოგოა...

რესტორანში მისულეხს, კუპეში, რომელიც აშკარად განსაკუთრებული სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი, სუფრაც განყოფილი დაგვახვედრეს და ბუხარიც დაანთებული. სუფრას კი მივუსხედით, მაგრამ ჭამის თავი არც ერთს არ გვქონდა. მან ჭიქა ასწია და თქვა: ღმერთმა მშვიდობა მისცეს ჩვენს საბრალო საქართველოსო. მერე ბუხრისკენ შეტრიალდა, ცეცხლს თვალი გაუშტერა და ისე დაიწყო ლაპარაკი, მივხვდი, ზედმეტი შეკითხვებით არ უნდა შემეწუხებინა.

— მე და ჩემს მუღლეს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ნატოს მშობლები მიწუნებდნენ, რადგან ობოლი, ღარიბი ბიჭი ვიყავი, მათ ოჯახს კი ქალაქში ელიტურად მიიჩნევდნენ. ჰოდა, ქალიშვილი მათთვის სასურველი ოჯახის ერთადერთ მემკვიდრეზე ძალით დანიშნეს. ნატომ გაბედა და ქორწილის წინააღმდეგ სახლიდან გამ-

ოიპარა. ორი კვირის განმავლობაში გვეძებდნენ, მერე კი მაინც დაგვაშორეს. ნატოს მშობლებმა მიჩივლეს და ციხეში ამოვყავი თავი. რამდენიმე დღეში ჩემმა შეყვარებულმა თვითმკვლელობა სცადა. ჰოდა, მისი მშობლები იძულებულები გახდნენ, საჩივარი გამოეტანათ და ჩვენთვის დაქორწინების უფლება მოეცათ, მაგრამ ამის შემდეგ ურჩი ქალიშვილი მოიკვეთეს, მიუხედავად იმისა, რომ ის დედისერთა იყო... ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით ორი სტუდენტი, მერე კი შვილიც შეგვეძინა, რომელიც ერთი წლის ასაკში გარდაიცვალა (სიკვდილის მიზეზი უბრალო გაცივება და დაგვიანებული მკურნალობა იყო). სწორედ მაშინ, მის პატარა კუბოსთან დავიფიცე, რომ სიდერ-სიმამრს არასოდეს ვაპატიებდი გულქვაობას, შვილებს კი მათსავით არ გავწირავდი... ანა ხუთი წლის შემდეგ დაიბადა. ნატოს მშობლები უკვე გვეხვეწებოდნენ, — საცხოვრებლად ჩვენთან გადმოდიო, მაგრამ იქ ერთხელაც არ მივსულვართ. საკმაოდ ადრე დაიბოცნენ, მათი ქონება კი ჩვენ დაგვრჩა, მაგრამ ამის შემდეგ უფრო შევიძულე იქაურობა — სახლი გაცივდით და ფული სალაროში შევიტანეთ. იმ ფულს რაც მოუვიდა, კი იცი, ალბათ. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ მათ ქონება „საფლავში ჩავატანეთ“...

ანას შემდეგ ტყუპი ქალ-ვაჟი შეგვეძინა. არც ისინი არიან ცუდები, მაგრამ ანა ყოველთვის გამოჩნეულად ლამაზი და ნიჭიერი იყო. უკვე 12 წლისას ჰყავდა თაყვანისმცემლები და ვიცოდი, დიდხანს რომ არ გააჩერებდნენ გასათხოვარს, მაგრამ ის, რაც დაემართა, ყოვლად წარმოუდგენელი იყო... ის დამპალი ვატი სიხარულით ორმეტრიანი, აწონილი, ნარკოტიკებით დაგლახავებული ტიპი იყო. სხვათა შორის, ნარკომანობის გამო, ქურდებშიც თანდათან კარგავდა ავტორიტეტს და თავის საძმოსთანაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ანას რომ არ მოეკლა ის ნაბიჭვარი, მე გავასხმევივინები ტვინს. როცა გაუპატიურებული და ნაცემი ანა დავინახე, მიკვირს, როგორ არ გამისკდა გული და ცოცხალი როგორ გადავრჩი. ბავშვი ვეღარც ტიროდა, შემლილი თვალებით იცქირებოდა, მთელი ათი დღე 40 გრადუსი ჰქონდა სიცხე და უგონოდ იწვა. კარგა ხანს ჰქონდა ფსიქიკასთან დაკავშირებული პრობლემებიც. სწორედ მაშინ გავხედი მორწმუნე. ღმერთს ვევედრებოდი, რომ თუ გონება არ დაუბრუნდებოდა, აღარც სიცოცხლე შეერჩინა მისთვის. უფალმა დამინდო და ანა გამოკეთდა, მაგრამ შეიცვალა — თითქოს, უცებ გაიზარდა და დაბრძენდა, ჩემთვის უცხო სხივი ჩაუდგა

თვალეში. ერთ დღეს კი მითხრა: მე ძველი ანა ვეღარასოდეს ვიქნები და ჩემს დაბრუნებას ნურც შეეცდები-თო! მივხვდი, უნდა გამეშვა... თბილისში ჩავიყვანე, ბინა ვუყიდე, გვარიც შევუცვალე და აბსოლუტური თავისუფლება მივეცი. მხოლოდ ერთი რამე ვთხოვე, — ჩემთვის თვალის გასწორება არასოდეს შერცხვენიოდა...

— რა გიპასუხათ?
 — იმისთვის, რომ თვალი ვერ გავისწორო, ისიც საკმარისია, რაც უკვე მოხდა. ვიცი, ძნელია იმისი გააზრება, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ ის ანა, შენ რომ იცნობდი, მოკვდა. ჩემს სხეულში ახლა სულ სხვა ადამიანია ჩასახლებული, რომლის გაგება ძნელი იქნება და ამას ნურც შეეცდებიო!

— ამით რისი თქმა უნდოდა?
 — არ ვიცი... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ საკუთარი შვილის „ახალმა სახემ“ შემაშინა. იმდენად შემაშინა, რომ გულახდილად ვუთხარი, — თუ თავად არ დამიძახებ, შეიძლება, შენთან დაბრუნება ვეღარც გავბედო-მეთქი!.. სანამ სტუდენტი იყო, ბუნებრივია, მატერიალურად ვეხმარებოდი და მის ცხოვრებასაც ვაკონტროლებდი. ზოგჯერ რალაცები არ მომწონდა, მაგრამ შენიშვნის მიცემას ვერ ვუბედავდი, რადგან ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ ანა მართალი იყო, ყველა მის ნაბიჯს ჰქონდა გამართლება!.. როცა უურნალში ჩემი შვილის აღსარებას ვკითხულობდი, გაორება დამემართა: ერთი მხრივ, თითქოს, ვერ გამიმართლა ნდობა და მიღალატა, მაგრამ მეორე მხრივ, მისი

გამტყუნება მაინც არ შემიძლია. ვფიქრობ, რაც მის თავს დატრიალდა, ჩვეულებრივი ადამიანური აშბავია. ანა ძალიან ნიჭიერი, ლამაზი და მართალი ადამიანია. მინდა, რომ მას თავი დაანებონ და მეც შემეშვან. ნურავინ მასწავლის იმას, თუ როგორ უნდა მოვიქცე. არავისზე ნაკლები არ ვარ არც ვაჟკაცობით, არც — კაცობით და მხოლოდ იმიტომ, რომ შვილის ცხოვრებაში უხეშად არ ვერევი, სულში ნუ მაფურთხებენ. ერთმა „მეგობარმა“ ისიც მითხრა: ასეთ შვილს თმით ვითრევედი, წიხლქვეშ გავიგდებდი და შეიძლება, მომეკლა კიდეცო. ანას მოსაკლავი არაფერი სჭირს! მე ვამაყო მისით!.. გთხოვ, გულახდილად დაწერე ის, რასაც ჩემზე ფიქრობ, გააგებინე მთელ ქვეყანას, რომ არავისზე ნაკლები კაცი არც ვყოფილვარ და არც ვიქნები; რომ არც ანაა ჩასაქოლი შვილი... ანამაც იცოდეს, რომ ყოველთვის შეუძლია, ჩემი იმედი ჰქონდეს. მის შვილსაც შვილიშვილად ვაღიარებ და არც პატარა ანა-მარიას დაჩაგვრის უფლებას მივცემ ვინმეს!..

კაცი ყველაფერ ამას ისე ამბობდა, ერთხელაც არ მობრუნებულა ჩემკენ. მივუახლოვდი, მოვეხვიე და როგორც იქნა, გავბედე, — „ძია“ დავუძახე.

— ანას მამა სხვაგვარი ვერც წარმომედგინა... თქვენნიარ მამას ყველა ინატრებდა, ძია დათა. იცოდეთ, ანათი მეც ვამაყო და არასოდეს შემრცხვენია, მისი მეგობარი რომ ვარ...

საქართველოში

მეცით მაიონს უფლება...

ცხოველთა დაცვის საზოგადოების აქტივისტები ევროპის სასამართლოსგან შიმპანზეებისთვის ადამიანის ზოგიერთი იურიდიული უფლების მინიჭებას მოითხოვენ. საქმე ეხება შიმპანზე მეტიუს, რომელიც 1982 წელს სიერა-ლეონედან უკანონოდ გადმოიყვანეს. ავსტრიის პოლიციამ სამართალდამრღვევებს ცხოველი ჩამოართვა და მეტიუმ ვენის თავშესაფარში დაიდო ბინა. ახლა თავშესაფარი, სადაც მეტიუმ და მისმა მეგობარმა მდებარე შიმპანზე რომამ მთელი სიცოცხლე გაატარეს, გაკოტრების პირას აღმოჩნდა, რადგან ადამიანის მსგავსი მაიმუნის შენახვა თვეში 4.000 გირვანქა სტერლინგი ჯდება. ცხოველთა დამცველებმა წყვილისთვის ფულის შეგროვება დაიწყეს. საზოგადოების ლიდერი პაულა შტრიბე კატეგორიულად მოითხოვს, რომ იგი შიმპანზეების მეურვედ დაინიშნოს, რათა მათი ინტერესების დაცვა შეძლოს, მაგრამ ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, მეურვის ყოლისა და საჩუქრების მიღების უფლება მხოლოდ ადამიანს აქვს! ცხოველთა დამცველებმა დახმარებისთვის ევროპის სასამართლოს მიმართეს. შტრიბე ირწმუნება, რომ იგი მეტიუს ადამიანად ცნობას არ მოითხოვს, მას მხოლოდ ის სურს, რომ შიმპანზე იურიდიულ სუბიექტად ცნონ. „შიმპანური აფრიკის ჯუნგლში მაიმუნები საკუთარ თავზე მეურვეების გარეშე იზრუნებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანებმა მათთვის უცხო სამყაროში გადაიყვანეს, ტრავმა მიაყენეს და დაატყვევეს, ჩემი მეურვეობა ესაჭიროებათ, რათა მათთვის ნაჩუქარი ფული განვკარგო და მაიმუნები გამოსახლებისგან ვიხსნა“, — აცხადებს მოსარჩელე პაულა შტრიბე.



შიმპანზე მეტიუ და პაულა შტრიბე



მეოცის მსახიობის დაქვებულმა კახა იანდამაძემ

ის მიიჩნევს, რომ ბავშვობაში დარჩა. დღესაც დიდი სიამოვნებით კითხულობს სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ უამრავი ლექსი იცოდა, პოეზია დღეს ნაკლებად აინტერესებს. ამჟამად მსოფლიო კლასიკოსების მოთხრობების | ტომს ეცნობა. აკა მორჩილაძე, ნოდარ დუმბაძე, ალექსანდრე დიუმა, ასტრიდ ლინდგრენი — მათ შემოქმედებას ყოველთვის ინტერესით კითხულობს. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ალექსანდრე დიუმას — მეფის მასხარა შიკოს ირჩევს. ხოლო კითხვა — თავად რომ ყოფილიყო პრეზიდენტის მასხარა, რას ეტყობა? — უპასუხოდ ტოვებს... მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარია „Club-შოუს“ მსახიობი გურბა თანდარაშვილი.

„ამ ათხვავა ხამთხვავით გიჟახხა“...

თამუნა კვინიკაძე

- რომელი კონტინენტი აღმოაჩინა 1820-21 წლებში რუსეთის ექსპედიციამ, ბელინჰაუზენის და ლაზარევის მეთაურობით?
 - ანტარქტიდა.
- რომელი სახელმწიფოს დროშას არა აქვს ჰორიზონტალური ზოლები — გერმანიის, პოლონიის, იტალიის თუ ლიტვის?
 - იტალიის დროშას.
- რომელი ელემენტი აღმოაჩინეს ჯერ მზეზე, შემდეგ — დედამიწაზე?
 - (ფიქრობს) გაიხსენე, ეს ელემენტი პელიუმი.
 - რომელ ქვეყანას მართავდა ფარაონი?
 - ეგვიპტეს.
 - 1903 წლის ზაფხულში, ის ექიმების რჩევით, ვლადიკავკაზიდან თბილისში გამოემგზავრა. მას თან ახლდა მუუღლე ეკატერინა პავლოვნა. ეს მისი მე-4 ჩამოსვლა იყო საქართველოში — რომელ მწერალზეა საუბარი?
 - არ ვიცი.
 - მაქსიმ გორკი. რომელია ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი?
 - ფხენიანი.
 - 1492 წლის 3 აგვისტოს ზღვაში სამი გემი — „ნინია“, „პინტა“ და „სანტა მარია“ გავიდნენ. მათ შორის ყველაზე დიდი გემის სიგრძე 20 მეტრი იყო. გემის ეკიპაჟი უმეტესად მსჯავრდადებული დამნაშავეებისგან შედგებოდა. სამივე გემზე სულ 90 მეზღვაური იყო. ვინ მეთაურობდა ამ გემებს?
 - ქრისტეფორე კოლუმბი.
 - ილია ქავჭავაძის აზრით: „ჩემი მსაჯული, ჩემი ტვინი და ის პატარა ღმერთი, რომელსაც ეძახიან“...
 - ვერ გიპასუხებ.
 - „რომელსაც ეძახიან სინდისს“. გურამ ფანჯიკიძის რომელ რომანში გადაუნერგეს ტრავმირებულ სტუდენტს მომაკვდავი აკადემიკოსის ტვინი?
 - „სპირალში“.
 - რა ჰქვია რიცხვთა ჯამის განაყოფს ამ რიცხვთა რაოდენობაზე?
 - საშუალო არითმეტიკული.
 - რას უწოდებენ ზიარებისთვის განკუთვნილ პურს?
 - (ფიქრობს) ახლა აქ რომ ვასო ფხაკაძე იყოს, დამესმარებოდა. ვერ გიპასუხებ.
 - სეფისკვერი. ვინ თამაშობს მარგალიტას როლს ფილმში „შერეკილები“?

- ამ მსახიობს უცნაური სახელი ჰქვია (ფიქრობს)... არიადნა შენგელია.
- რა სახელი ერქვა დავით აღმაშენებლის ყოფილ მეუღლეს?
 - გურანდუხტი.
 - ვის მიმართა დახმარებისთვის წრუნუნამ მულტიფლემში — „წუნა და წრუნუნა“?
 - ფიცხელას.
 - რას მივიღებთ, თუ ჩიანს 12 ნულს მივუნერთ?
 - მილიარდს.
 - ცდებო, ტირლიონს. სახვით ხელოვნებაში რა ჰქვია საღებავების შესაზავებელ ფიცარს?
 - პალიტრა.
 - ვინ არის „პეპი გრძელწინდას“ ავტორი?
 - ასტრიდ ლინდგრენი. თბილისში მის ბევრ ფანს მივაკვლიე. შეიძლება, კარგი საღამოც მოვანყოთ.
 - რა ერქვა მაუგლის მეგობარ მგელს?
 - აკელა.
 - რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?
 - არ ვიცი.
 - გია...
 - (მანყვეტილებს) ჭირაქაძემ.
 - პასუხი არასწორია. გია ყანჭელმა ძველი არაბული ლიტერატურის ამ შედევრის სახელი არაბულად შემდეგნაირად შეურეს: „აღფ ლაილა ვა ლაილა“. ვარაუდობენ, რომ ის IX-დან XVI საუკუნემდე იქმნებოდა. ეს ნაწარმოები მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. — რას ვწოდებთ მას ქართულად?
 - „ათას ერთი ღამე“.
 - პოეტ ალექსანდრე აბაშელის ნამდვილ გვარს თუ გაიხსენებ?
 - ვერ გაიხსენებ, რადგან მისი გვარი არასდროს მცოდნია.
 - ჩოჩელი. რა ერქვა მთავარ გმირს ვიქტორ ჰიუგოს რომანში — „კაცი, რომელიც იცინის“?
 - (ფიქრობს) გუინპლენი.
 - „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?
 - ძალიან ნაცნობია, მაგრამ ვის ეკუთვნის? ამ კითხვაზე რომ ვერ გიპასუხო, დედაჩემი აღარ მაცოცხლებს (იცინის). ვაჟა-ფშაველა. ტყუილს ხომ არ ვამბობ?
 - არა. ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირალებში“ რა გვარია ლიონა?
 - დევდარიანი. დუმბაძე ჩემი საყვარელი მწერალია, რაც გინდა, მკითხე.

- „მარადისობის კანონის“ მიხედვით, რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი?
- ორთაჭალის სამების.
- რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაიდგო ხელში კუკარაჩამ მტრის ტანკი?
- ფინეთის.
- რომელი სახელმწიფოს დედაქალაქა ველინგტონი?
- ახალი ზელანდიის.
- რა ერქვა ავაზაკთა ქალაქს გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“?
- კამორა.
- რომელია დონ-კიხოტის სათავადაზნაურო ტიტული?
- იდალგო.
- რომელი ჟანრის ფუძემდებლად ითვლება ბერძენი მწერალი ეზოპე?
- იგავ-არაკის.
- ვინ იყო ტროას ომში ბერძენთა ლაშქრის სარდალი?
- არ მასსოვს.
- აგამემნონი. რას ნიშნავდა შუა საუკუნეების საქართველოში ზედწოდება ალასტინელი?
- ეს სიტყვა პირველად, ცოტა ხნის წინ გაიგვი, ვეღარ ვიხსენებ.
- უფლისწულს. ალასტანი იყო ჯავახეთში უფლისწულთა ალასტრედელი ცენტრი. პირველი იქ ლაშა-გიორგი აღიზარდა. ჩვენ ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე რამდენიმე დღის წინ ვიზეიმეთ. როდის აღნიშნავენ დამოუკიდებლობის დღეს აშშ-ში?
- 4 ივლისს.
- რომელი მსახიობი თამაშობს შვარცენგერის ტყუპსცალს ამერიკულ ფილმში „ტყუპი“?
- დენი დე ვიტო. ამ კითხვაზე შემთხვევით გიპასუხე, მსახიობებში კარგად ვერ ვერკვევი.
- რომელი სახელმწიფოა მეორე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით?
- ინდოეთი.
- რომელი ლითონთ მზადდებოდა ძველი რუსული მონეტა იმპერიალი?
- ოქროთი.
- ვის მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ „გველის პერანგი“?
- (ფიქრობს).
- გოეთეს.
- ვიცოდი, მაგრამ შენ დამასწარი. თუ შეიძლება, კითხვები სპორტიდანაც დამისვი?
- ახლა კი შენ დამასწარი, შემდეგი კითხვა სპორტიდან უნდა დამესვა. ვინ გამოიგონა კალათბურთის თამაში?
- კანადელმა ჯოის ნოინდსმიტმა.

- 1878 წელს, ინგლისში საფეხბურთო მატჩის დროს, მსაჯმა პირველად გამოიყენა სასტყენი. როგორ აჩერებდნენ მატჩის მსვლელობას მანამდე?
- ყვირილით.
- ისიც ხომ არ იცი, რას ყვიროდნენ?
- (იცინის) არ ვიცი.
- სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლებს აწერიათ ნომრები ქუდებზე?
- (ფიქრობს) წყალბურთელებს.
- ჭიდაობის რომელ სახეობას უწოდებენ კლასიკურს: სამბოს, ძიუდოს, ბერძნულ-რომაულს თუ თავისუფალს?
- ბერძნულ-რომაულს.
- რა ეწოდება კრივში ქვემოდან დარტყმას?
- აპერკოტი.
- ყოჩაღ. ლაროშფუკო ამბობდა: „არც მისთვის და არც სიკვდილისთვის თვალეში ჩახედვა არ შეიძლება“. რას გულისხმობდა ფილოსოფოსი — ეშმაკს, ცხოვრებას თუ მზეს?
- ალბათ მზეს.
- გამოიცანი. რა ერქვა მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟს?
- არ ვიცი.
- ფაეტონი. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეენირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, 3 დღეც ვეღარ იცოცხლა, რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?
- სიმძიმეების აწევაში.
- ცდები, ღვინის სმაში. შენ რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეგიძლია?
- 2 ლიტრის. სამაგიეროდ, შემიძლია 20 ლიტრი ლუდი დავლიო.
- კარგი, ახლა, ნუ ტრაბახობ.
- (იცინის) არა, 10 ლიტრ ლუდს 4-5 საათის მანძილზე მართლა ვსვამ.
- მეფეთა ერთი ჯგუფი: ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონ ბონაპარტი, ერეკლე II. მეორე ჯგუფი: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, პეტრე I — რა ნიშნის მიხედვით არიან ეს მეფეები დაჯგუფებული?
- პირველ ჯგუფში — ტანდაბალი, მეორეში კი ტანმაღალი მეფეები შედიან.
- ვინ აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები — ვასკო და გამამ, ჯეიმს კუკმა, მაგელანმა თუ კოლუმბმა?
- ვასკო და გამამ.
- ცდები, ჯეიმს კუკმა. რომელი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს კურორტი ბანმარო?
- გურიამი, ჩოხატაურის რაიონში.
- რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?
- გულივერმა.
- არტურ ლაისტმა რომელ მთას უწოდა საქართველოს მთების მეფე?
- მყინვარწვერს.
- დაასრულე ბუასტის ცნობილი გამონათქვამი: „უდიდესი ბოროტება, მტრისგან მიყენებული ის არის, რომ იგი ჩვენს გულს...“
- ვერ დავასრულებ, არ მასსოვს.
- „რომ იგი ჩვენს გულს სიძულვილს აჩვენებს“.
- მე მხოლოდ ერთი ცნობილი გამონათქვამი ვიცი ზუპირად — „სწავლა, სწავლა და სწავლა...“

იკუდილი +

წინა ნომრის „ერუდიტი +“-ში დასმული კითხვის პასუხი:

პირამიდების მშენებელთა აზროვნება, ხახვი და უხანაისი ქარაი

ძველ ეგვიპტეში ხახვი და ნორი მხოლოდ ქურუმთა ღვთაებრივ საკვებად მიიჩნეოდა. მდებარეობს კი სიკვდილის დასჯის შიშით, მათზე ხელი არ მოუწვდებოდათ. მოგვიანებით პირამიდის მშენებელთათვის გამონაკლისი დაუშვეს, რათა მათ ავადმყოფობას ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე არ შეეჩერებინა. ხახვის და ნორის საჭირო რაოდენობა, სპეციალური სარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული, რის შესახებაც სათანადო საბუთებია შემორჩენილი. მაგრამ ზოგჯერ მომარაგება ფერხდებოდა, რაც მშენებელთა ამბოხების საბაბიც კი გამხდარა. „ღვთაებრივი საკვების“ გაცემაზე თუ უზენაესი ქურუმის ნება არ იქნებოდა, საკითხის გადაწყვეტა თვით ფარაონსაც არ შეეძლო.

- ემანსიპაცია (ლათ.) — უფლებრივად გათანასწოლება.
- ექსპანსია (გერმ.) — აგრესიული პოლიტიკა — საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გავრცელება სხვა ქვეყნებში.
- გრიფი 1 (ბერძ.) — ანტიკურ მითოლოგიაში ფანტასტიკური ცხოველი, რომელსაც არწივის ფრთები, ლომის თავი და ტანი აქვს.
- გრიფი 2 (გერმ.) — სიმბიანი საკრავის ყელი, რომელზედაც თითებს დაჭიმული სიმების ხმის სიმაღლის შესაცვლელად აჭერენ.
- გრიფი 3 (ფრანგ.) — ბეჭედი, შტემპელი თანამდებობის პირის ხელმოწერით.

„მის ბიკინი“ – მესამე „გამოძევება“

უკვე მე-3 წელია, რაც საქართველოში, სილაშხის კონკურსი „მის ბიკინი“ ტარდება. წელს ამ კონკურსის შედეგად მე-3 „მის ბიკინი“ გამოვლინდება. სად ჩატარდება ეს კონკურსი, რა მოთხოვნები უნდა აკმაყოფილებდეს მასში მონაწილე გოგონა და რით განსვავდება „მის ბიკინი“ სხვა სილაშხის კონკურსებისგან? ამ კითხვებზე კონკურსის ორგანიზატორ მინი ზაბალიშვილი გვიპასუხებს:



სოფო ჯონიძე

— ქალბატონო მაია, რა გვიჩვენა განვლილმა ორმა წელმა — კონკურსმა გაამართლა და პოპულარობა მოიპოვა?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კონკურსმა გაამართლა. პირველად, როცა მის ჩასატარებლად მზადება დავიწყე, ძალიან ვნერვიულობდი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ყველაფერს ამხელა რეზონანსი მოჰყვებოდა. ამ კონკურსის პირველსავე დელეგატმა, თიკო ჩხეიძემ ტაივანში წარმატება მოიპოვა — „მის მსოფლიოს სახე“ გახდა. შარშანდელი დელეგატიც — ნანკა მამასახლისიც წარმატებით დაგვიბრუნდა: „მის დედამინის“ კონკურსზე „ტომ-მ“-ში შევიდა. ბუნებრივია, როცა ამხელა წარმატებებს მივალნიეთ, „მის ბიკინი“ პოპულარული გახდა. სამწუხაროდ, კონკურსების პრესტიჟი საქართველოში დაცემულია: გოგონების უმეტესობა ფიქრობს, რომ გამარჯვებული მხოლოდ ჩანწობით შეიძლება გახდეს. პირველ წელს „მის ბიკინიში“ 16 კონკურსანტი მონაწილეობდა, რეგისტრაცია 30-მდე გოგონამ გაიარა. შარშან კასტინგების შემდეგ უკვე 30 მონაწილე დარჩა, წელს რა იქნება, ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი.

— რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს „მის ბიკინის“ კონკურსში მონაწილე?

— იმ მოთხოვნებს, რომლებიც საერთაშორისო კონკურსშია მიღებული: 17-დან 25 წლამდე ასაკის უნდა იყოს, სასიამოვნო

გარეგნობის; სიმაღლე 168 სმ-იც შეიძლება ჰქონდეს, თუკი ვარგი, პროპორციული აღნაგობა აქვს. აუცილებელია კომუნიკაბელურობა, განათლება და კარგი ქცევის კულტურა.

— თქვენ თვითონ აღნიშნეთ, ქართველი გოგონების უმეტესობას კონკურსების მიმართ ნდობა აქვს დაკარგულიო. არადა, როცა კონკურ-



„მის ბიკინი“ 2006 — თიკო ჩხეიძე

სის შედეგების ჩანწობა ხდება, გამოდის, რომ საერთაშორისო კონკურსზე ნაკლებად ღირსეული წარმომადგენელი მიემზადება...

— სხვის მიერ ორგანიზებულ კონკურსებზე ლაბარაკი ჩემთვის ძნელია. არ მიყვარს სხვისი განკითხვა. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრა, რომ ჩვენს კონკურსზე მსგავს რამეს ვერავინ შეხვდება. ვმუშაობ იმისთვის, რომ საერთაშორისო კონკურსზე წასულმა ჩემმა გამარჯვებულმა იქ ნომინაცია აიღოს და საქართველო ასახვლოს. „ჩანწობილი“ კონკურსი წამგებინია: სილაშხის კონკურსში ლაშაზმა უნდა გაიმარჯვოს და არა ფულიანი მამიკოს გოგონამ... სულ ახლახან მანილიდან ძალიან საინტერესო შემოთავაზება მივიღე. იქაური „მის ბიკინის“ კონკურსის ორგანიზატორები მთხოვენ, 6-თვიანი კონტრაქტით გავუშვა ჩემი გოგონები. ამ შემოთავაზებზე ჯერჯერობით თავს ვიკავებ, მაგრამ ეს ყველაფერი იმის შედეგია, რასაც ვაკეთებ.

— სახელწოდება „მის ბიკინი“ კონკურსანტებს ცოტათი ხომ არ აზნუნებს? ბევრი ადამიანისგან მსმენია, რომ კონკურსის სახელწოდება არ მოსწონს...

— გეტანხმებით. ასეთი პრეტენზიით ჩემთვისაც მოუმართავთ. თავდაპირველად, როცა ამ კონკურსის ინგლისელმა წარმომადგენლებმა, კონკურსის რამდენიმე სახელწოდება შემოთავაზეს, მაშინ რატომღაც „მის ბიკინი“ ავირჩიე. რომ მკითხოთ, რატომ? — სიმართლე გითხრათ, ვერ გიპასუხებთ. ეს სახელწოდება ფაქტობრივად, ბევრს არაფერს ნიშნავს, ამ კონკურსზე მთავარი ყურადღება კონკურსანტის სხეულს ექცევა. გოგონა საცურაო კოსტიუმით გამოვლისას ფასდება. არიან მშობლები, რომელთაც შვილები თვითონ მოჰყავთ. თუმცა ვიცი, ბევრ მამას არ უნდა, რომ მისი შვილი ამ კონკურსზე გამოვიდეს. მე თვითონ მთელი ქალაქი „მის ბიკინის“ მეძახის.

— როგორც ვიცი, ამჟამად მონაწილეთა რეგისტრაცია მიმდინარეობს.

— დიას. რეგისტრაცია ცოტა ხანში დასრულდება, შემდეგ საცურაო აუზზე გვექნება რეპეტიციები და ფოტოსესიები.

— კონკურსის ჩატარებას სად აპირებთ?

— საფინანსო შოუ სილნაღში — სიყვარულის ქალაქში ჩატარდება.

— ჟიურის წევრები უკვე შერჩეული გყავთ?

— ჟიურის წევრების ვინაობა კონკურსის დღემდე გასაიდუმლოებულია. ჟიურის იქნებიან: დიზაინერი, ფოტოგრაფი, ქორეოგრაფი, ჟურნალისტი და ერთ-ერთი რომელიმე „მის“. ამ პროფესიის ადამიანებს პროფესიონალიზმის ნიშნით შევარჩევ. მინდა, რომ ობიექტურად გამოავლინონ გამარჯვებული. არ მინდა, ვიღაცამ, საზოგადოებაში კონკურსისადმი ნდობა დამაკარგვინოს...

— გამარჯვებულს რით დაავილდობთ?

— იქნება საჩუქრები, მაგრამ ამ საჩუქრებს შორის არ იქნება არც ავტომანქანა და არც ბინა. ამ კონკურსის ყველაზე დიდი პრიზი ის არის, რომ გამარჯვებული საერთაშორისო კონკურსებზე მიდის: „მის დედამინაზე“ და „მის ტურიზმზე“. კონკურსის ორი გამარჯვებული ყოვლად: „მის ბიკინი“ და „მის დედამინა“.

— კონკურსის თარიღი ჯერ არ დაგიდგინათ?

— ივნისის ბოლოს გვაქვს დაგეგმილი, კონკრეტული რიცხვი ჯერ არ ვიცი. სექტემბრისთვის უფრო გრანდიოზულ ღონისძიებას ვგეგმავ. ამაზე ჯერ არაფერს ვიტყვი, სიურპრიზად დავტოვებ. ■



„მის ბიკინი“ 2007 — ნანკა მამასახლისი

დაიწყო ზაფხული და თბილისში შოუბიზნესიც გამოცოცხლდა. ერთ-ერთი, იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც საინტერესო შოუების მოყვარულებს იენისში ელის, გრანდიოზული და ლამაზი სანახაობა იქნება: სამოდელი სააგენტო „ლიკა ყაზბეგის“ დიდი შოუ, სახელწოდებით — „წარმატებული ქალი პოდიუმზე“.

ბაღვაშის ასეთი მაჩვენებელი მაღაზრონები და ტანზე გამოხვეული ჰიტონი



ლალი შანიბა

ლიკა ყაზბეგი:

— დიდხანს მანუშებდა იდეა: მინდოდა, მომეწყო ისეთი ჩვენება, რომ პოდიუმზე გამომეყვანა არა თინეიჯერი მოდელები, არამედ 30 წელს გადაცილებული ანუ ბალზაკის ასაკის ქალბატონები. სასურველი იქნებოდა, რომ ეს ქალბატონები თავიანთ საქმიანობაში წარმატებულები ყოფილიყვნენ... ისე მოხდა, რომ დღეს ჩემი იდეა უკვე განხორციელების პროცესშია და 20 ცნობილ, წარმატებულ და პოპულარულ ქალბატონს მაყურებელი პოდიუმზე იხილავს. მათ შორის, ლიდერი ქალებიც არიან.

— როგორც ვიცი, ბევრი მსურველი იყო, რომ თქვენს შოუში მიეღო მონაწილეობა. საბოლოოდ, მინც როგორ შეერჩებოდა და შეარჩიეთ 20 ქალბატონი?

— ბევრი ჩემი მეგობარია, ზოგიც — მეგობრის მეგობარი, რომლებმაც ერთმანეთის საშუალებით შეიტყვეს, რომ ამ პროექტზე ვშუშაობდი. თავიდან 40 ადამიანის სია შეიქმნა, მაგრამ მათგან კიდევ შეირჩა და საბოლოოდ, 20 ქალბატონი დარჩა.

— იქნებ გვითხრათ, ვინ არიან ისინი?

— სიამოვნებით: ნინო ტურაბელიძე, ეკა ჩხეიძე, ნინო ხაჯომია, დინი ვირსალაძე, ლალი მოროშკინა, ნანა ნუბერიძე (წყალში მტომელი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადა გახსნა), ხათუნა ნოზაძე (ყოფილი ტელენამყვანი), მარინა სალუქვაძე, ნინო ლეჟავა, ანი მაღლაკელიძე, ეკა ანდრონიკაშვილი, მარინა კახიანი, ნინო კირთაძე, ლიზა ვადაჭკორია, ნატო მეტონიძე, ეკა ნიჟარაძე, ინგა დადიანი... ამრიგად, სულ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. ლალი მოროშკინა ვახსენე და მინდა ვთქვა, რომ სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ ღონისძიებას საბოლოოდ თავი მოვაბი, მან მირჩია და შემაგულიანა. ლალისთან საუბრისას ისიც გაირკვა, რომ პოდიუმზე გამოსვლა თურმე მისი აუხდენელი ოცნება ყოფილა. ახლა კი

ის ამ ოცნების ასახდენად ეზადება. ამასთან, ყველა ქალს საჭურჭრებსაც ვუვითებთ. ჩვენებაზე იქნება შოკის მომგვრელი ინტრიგაც...

— სად ჩატარდება ეს საინტერესო სანახაობა?

— ჩვენება მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ — „მუზის“ ტერიტორიაზე (ბაღში) მოეწყობა, რადგანაც სანახაობა ღია ცის ქვეშ არის დაგეგმილი. რაც შეეხება მაყურებლისთვის საგანგებოდ მოწყობილ ინტრიგას, ის მართლაც შოკის მომგვრელი იქნება. გვინდოდა, რომ ერთ-ერთი ქალბატონი ტანზე პითონშემოსველი გამოსულიყო. ისინი ყოჩაღები და გაბედულები კი არიან, მაგრამ მათგან ყველაზე უშიშარი ნინო ლეჟავა აღმოჩნდა... ის კი არა, მას სხეულზე კობრის შემოსვევის სურვილი ჰქონდა. მაგრამ ვინაიდან კობრა ცოტათი საშიშია, პითონზე შევჩერდით... სხვათა შორის, პირველი შემთხვევა არ არის, რომ ჩემ მიერ მოწყობილ ჩვენებაზე, პოდიუმზე ცხოველი გამოჩნდებოდა. პითონის თაობაზე ზოოპარკში უკვე ვიყავით და მის დირექტორს ვესაუბრეთ — ანუ ამჯერად ჩვენი პითონი თბილისის ზოოპარკის ბინადარი იქნება...

— ჩვენებაზე გველის გამოჩენას რაიმე სიმბოლური დატვირთვა ხომ არა აქვს?

— პოდიუმზე გველის გამოჩენა ძალზე ეფექტურია და მხოლოდ ამიტომ მინდა. დამიჯერეთ, მაყურებელს რაღაც დოზით, შოკი

და ინტრიგა სჭირდება. ერთხელ, ზოოპარკშიც მოვანყვით ჩვენება, სადაც ჩემი მოდელები პითონით გამოვიდნენ... სხვათა შორის, ნინო ლეჟავას მსგავსად, გველის სხეულზე შემოსვევის სურვილი ინგა დადიანაც გამოთქვა...

— ასაკით ყველაზე უფროსი ქალბატონი თქვენს ღონისძიებაზე ვინ არის?

— მე ქალბატონებს ასაკს არ ვეკითხები. ვიცი, რომ ისინი 30 წელს ზემოთ არიან და ყველაზე უფროსი მგონი, 48 წლის გახლავთ (მის სახელსა და გვარს არ გავამჟღავნებ).

— ჩვენებისწინა სამზადისი უკვე დაწყებულია. რას ავლენენ მუშაობის პროცესში ეს ქალბატონები?

— ისინი ჩემთან სახლშიც მოდიან და ინდივიდუალურად ვამეცადინებ. ზოგიერთი მათგანი თანამდებობის პირი და ლიდერია, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მემორჩილება თითოეული. ისინი ძალიან საყვარლები, ბავშვურები არიან, სულ თვალში შემომციცინებენ. პირველსავე გაკვეთილზე უკვე კარგი შედეგები გექონდა. ასეთ შედეგს თინეიჯერებთან, პირველ შეხვედრაზე ვერ ვაღწევ სოლმე. ესენი კი მონდომებულები და საოცრად მოიბილიბულები არიან, რომ პოდიუმზე კარგად გამოჩნდნენ და ამისთვის თავს არ ზოგავენ.

— მაინც რას ასწავლით და ურჩევთ მათ?

— უპირველესად, პოდიუმზე სიარულს და ისეთ იდეებს, რომლებიც შემდგომ, ცხოვრებაშიც გამოადგებათ. ქალისთვის სიარულის მანერას, ამა თუ იმ ჟესტს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს! კარგი იქნება, თუ არ დაავინყდებათ ეს გაკვეთილები და ჩემს რჩევებს მერეც გამოიყენებენ. იმედი მაქვს, ისინი პოდიუმზე კარგად გაივლიან. თან პარალელურად, მათთვის ფოტოების გადაღებაცა და პორტფოლიოების დამზადებაც მიმდინარეობს.

— ჩვენებაზე ისინი რა სამოსით გამოვლენ?

— დიზაინერები სპეციალურად ამ დღისა და ქალბატონებისთვის ნამდვილად არ ქმნიან სამოსს. კოსტიუმებს ერთ-ერთი მაღაზია მოგვანვდის. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი პარტნიორები არიან — „ერგოლანი“

ეკა ანდრონიკაშვილი




ნინო ტურაბელიძე



ლალი მოროშკინა



მარინა სალუქვაძე





ანი მალაქელიძე



დინი ვირსალაძე



ნინო ხაყონია

და დათო ჭაბაშვილის ფოტოსტუდია KLC. უდიდესი შრომა გახსნია ვიზაუსტმა დინამ. ლიკას შემდეგ, შოუს მონაწილე ქალბატონებსაც ვესაუბრე, რომლებსაც ფოტოგადაღებისთვის დავით ჭაბაშვილის ფოტოსტუდიაში მოეყარათ თავი.

უკა ჩხაიძე:

— სიამოვნებით დავთანხმდი ამ პროექტში მონაწილეობას. ნებისმიერი ახალი და საინტერესო შემოთავაზება თავისთავად, მიმზიდველია. ისე, ერთხელ უკვე მეყო თავზედობა და „მეტესში“ თათა ვარდანაშვილის კოლექციის პრეზენტაციზე გამოვედი. მაშინ მსახიობები დასჭირდათ, თეატრალურ სანახაობასავით მოეწყო. ახლა აქ, ჩვენგან მაინცდამაინც არავინ მოითხოვს მოდელის პროფესიონალიზმს, რადგანაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გახლავართ და ნაომი კემპელი ვერც ერთი ჩვენგანი ნამდვილად ვერ გახდება.

— **კულუარებში შევიტყვე, რომ ევა ჩხეიძეს რეპეტიცია არც სჭირდება, პოდიუმზე ძალზე კარგად დადისო, მართალია?**

— ეტყობა, თავზედობა მყოფნის, რომ გავიარო პოდიუმზე და ყველაფერი ამის ბრალია (იციანის).

— **ისე, მსახიობს რომ დასჭირდეს მოდელის როლის შესრულება, მგონი, პრობლემა არ უნდა იყოს, არა?**

— რა თქმა უნდა, ოღონდ — უტექსტო როლის (იციანის). ალბათ ამ როლის თამაში საინტერესო იქნება. საერთოდ, ძალიან მომწონს და მსიამოვნებს Fation TV-ის ყურება. მიყვარს, როცა ქალი მოვლილია და კარგად გამოიყურება; აქვს სასურველი პარამეტრები, არ ანუხებს ზედმეტი წონა... მერე, თუკი სადმე ერთად

შეიკრიბებიან ასეთი ქალბატონები, მათი ყურება, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა...

— მოდლობის სურვილი არსდროს გჭირათ?

— მოდლობა ძალიან კარგი პროფესიაა. თუმცა უცხოეთში იმ დონის მოდის სამყაროში შეღწევა, როგორც ვთქვით, ნაომი და მისი მსგავსი მოდელები არიან, ქართველისთვის, ძნელია. მე მშურს მათი. ამ ყველაფერს კიდევ სხვა რამეც სჭირდება: ისინი გაცილებით მაღლები არიან.

— თუმცა პარამეტრებისა და წონის მხრივ სანუწუნო მგონი, არაფერი გაქვთ. არადა, დღეს, სასურველი წონის შენარჩუნება ქართველი ქალბატონებისთვის სწორ შემთხვევაში, პრობლემაა.

— წონის პრობლემა არსდროს მქონია. მიუხედავად იმისა, რომ ორი შვილი მყავს გაჩენილი... ძალიან მინდა, ამ პროექტში კარგად წარმოვაჩინო თავი.

— წარმატებას გისურვებთ!

— დიდი მადლობა.

ანი მალაქელიძე:

— ლიკა ყაზბეგისგან სიამოვნებით მივიღე შემოთავაზება. ჩემთვის ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ყოველთვის სახალისოა, რადგანაც მსიამოვნებს და კარგ ხასიათზე მაყენებს. თან, როგორც რეჟისორს, მსახიობის ამპლუაში ყოფნაც მანტრერესებს და ძალიან მორჩილი ვარ მუშაობისას. ყველას ვუჯერებ. ჯერ არ ვიცი, რა ფორმით უნდა გამოვიდე პოდიუმზე, მაგრამ დაჯყვები ლიკას ნება-სურვილს. თავად შემოსასვლად ვაბასაც შემირჩევს...

— როგორ ფიქრობ — შენი გარეგნული მონაცემები პოდიუმზე შეესაბამება?

— არა, მაგრამ ამ პროექტში მაგ კუთხით არ შევურჩევია.

— მზადების პროცესში რა განჭვებს სიამოვნებას?

— სურათების გადაღება ანუ ფოტოსესია ძალიან სასიამოვნო იყო. პორტფოლიოს შექმნის პროცესმა გამიტაცა. ახლა სიარულში უნდა ვიმეცადინო და ესეც ძალიან მაინტერესებს. ამასთან, იმ წარმატებულ და ცნობილ ქალბატონებთან ერთად პროექტში მონაწილეობაც სიამოვნებას მანიჭებს. ცუდია, როცა საქართველოში 20 პოპულარულ ქალბატონს შორის მეც ვარ?! ძალიან მინდა, რომ საკუთარი თავი მაყურებლის წინაშე კარგად წარმოვაჩინო.

ნინო ლეჟავა (მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზის“ პიარ-მენეჯერი):

— პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ისე-

თი გულმოდგინე ადამიანი, როგორც ლიკა ყაზბეგია, ჯერ არ შემხვედრია. ის თავდადებითა და მონდომებით მუშაობს ამ პროექტზე. აღფრთოვანებული ვარ მისით. მისარია, რომ ასეთ ძლიერ პიროვნებას ვიცნობ.

— რას ელი ამ პროექტისგან?

— სასიამოვნოა, როდესაც ლამაზ და წარმატებულ ქალბატონად მიგიჩნევენ. თუმცა ქალისთვის ალბათ უფრო მნიშვნელოვანია, წარმატებული იყოს, მაგრამ როცა ეს ორივე ფაქტორი — წარმატება და სილამაზე — ერთმანეთს ერწყმის, ორმაგად სასიამოვნოა. პროექტიდან ველი იმას, რომ უნდა წარმოვაჩინო ჩემი თავი და შესაძლებლობების მაქსიმუმი. მინდა, პოდიუმზეც ვიყო ის, რაც ვარ, „ნიღბის გაკეთებას“ არ ვაპირებ.

— გაირკვა, რომ ტანზე „პოტონის“ შემოხვევას აპირებთ. ეს სარისკო არ არის?

— რატომ? სულაც არა! ეს ელემენტი მხოლოდ გამოაცოცხლებს მაყურებელს... თან, ერთგვარად, საკუთარი თავის გამოცდაც არის...

დავით ჭაბაშვილი („ქეი-ელ-სი“ სტუდიის დამფუძნებელი, ფოტოგრაფი, პროექტის თანაავტორი):

— ჩემი აპარატის ობიექტივმა უკვე დაახლოებით, 15 ქალბატონი აღბეჭდა. ცნობილი ფაქტია, რომ ქალბატონებს რაც წლები ემატებათ, უფრო მშვენივრებიან. ამრიგად, მშვენიერ და მომხიბვლელ ქალებთან მინვეს მუშაობა. პროცესი საინტერესოა. ისინი თავიანთ სფეროებში გამოცდილი ადამიანები არიან. მათ ვფალებში სილაღე, მიზნის მიღწევის სურვილი იკითხება, რაც არც კამერას ემალება და ამის გამო, ფოტოებიც საინტერესო გამოდის. თუმცა იმის გამო, რომ ისინი ამ საქმის პროფესიონალები არ არიან, ბევრი სურათის გადაღება მინვეს, საიდანაც მერე საუკეთესოებს ვარჩევთ. რაც მთავარია, ქალბატონები მუშაობისას გახსნილები არიან.

— ამობონ, ფატოზაფს შეუძლია, ქალის სილამაზე სრულად წარმოაჩინოს, ასევე — დაამაინჯოს კიდევო... თქვენ როგორ ფოტოებს იღებთ?..


— მე წარმოვაჩინე რეალობას, თუმცა რეალობის ცოტა (ზომიერების ფარგლებში) შელამაზება კი მიყვარს. მთავარია, რომ ზღვარს არ გადავაბიჯოთ. ისე, უმეტესად, მაინც რეალისტი ვარ, ვიდრე „სილამაზისტი“.

მინდა პოდიუმზე ვიყო ის, რაც ვარ, „ნიღბის გაკეთებას“ არ ვაპირებ



ახლოდღის კონკრეტული წინსვლა და ღრმადი სიხშირის უკონო ახალი კონკრეტული

ის საოცრად პოპულარულია. თითქმის ყველა ასაკის, პროფესიისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი იცნობს. ამის მიზეზი, ალბათ, მისი პიროვნული სიბილი და ის არის, რომ მომავლის განჭვრეტა ყველას აინტერესებს, ან კიდევ ვარსკვლავთა ის განლაგება, რომელიც ცის კაბადონზე მისი დაბადების დღეს იყო სოხუმის ცაზე.



მანანა ჭირაქაძე

— დავიბადე სოხუმში, 1954 წლის 27 აპრილს. ჩემი მშობლები — დედა, ზაირა ტაგანაშვილი და მამა, ლევან ცაგარელი, ექიმები იყვნენ. ბავშვობა სოხუმში გავატარე, ბებია და ბაბუა მზრდიდნენ. ბაბუა-ჩემი იქაური რკინიგზის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ახლაც მასსოვს ვარსკვლავებით მოჭედული სოხუმის ცა, აი, იქიდან გაჩნდა პირველი კითხვები: სად წავიდა მთვარე? რატომ დაპატარავდა, გაქრა? მერე კი ისევ მოვიდა... საიდან? ჩვენ ინტერნაციონალური ეზო გვექონდა,

თითქმის ყველა ასაკის, პროფესიისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი იცნობს



ვინ აღარ ცხოვრობდა იმ ეზოში — სომხები, ბერძნები, თათრები, უკრაინელები, ებრაელები... ერთ მოხუც კაცთან ვმეგობრობდი, რომელიც მალე გარდაიცვალა, ბევრს ვფიქრობდი მასზე, რა დაემართა? სად წავიდა? მაშინ 5-6 წლის ბიჭი თუ ვიქნებოდი.

სკოლაშიც იქ შეხვედით?

— არა, სკოლაში სიარული თბილისში დავიწყე, რადგან ჩემი მშობლები აქ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. პირველ სექტემბერს თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში შემიყვანეს. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ფიზკულტურის დარბაზმა მოახდინა. როგორც გაირკვა, იქ თურმე ძველად ეკლესია იყო, ახლაც ფიზკულტურის დარბაზში მოქმედი ეკლესია... კიდევ, მასსოვს სკოლის ეზოში შეკრე-

ბილი პოეტები. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იოსებ ნონეშვილმა მოახდინა. მან ძალზე შთაბეჭდავად წაიკითხა ლექსი მასწავლებელზე, ახლაც მასსოვს მისი თვალები... მე უმაღლეს ვგრძნობ სიყალბეს ადამიანში, უურნალისტია ის თუ პოეტი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. იქ სხვა პოეტებიც იყვნენ, მაგრამ ალბათ, სწორედ ამით დამამასსოვრდა მარტო ის.

იმ პერიოდში რა უფრო აინტერესებდა პატარა მიშა ცაგარელს?

— ძალიან სპორტული ვიყავი და უნდა გითხრა, რომ გარკვეულ წარმატებებსაც მივალნიე. მოხარდებოდა შორის, სპარტაკიადის ჩემპიონი ვარ წყალბურთში. ლეო ბარნაბიშვილი იყო ჩვენი მწვრთნელი, შესანიშნავი პიროვნება. გარკვეული წარმატებები მქონდა რაგბიში. რაგბი ძალიან მიყვარს, რადგან მიმჩნია, ეს არის ქართული სულის მატარებელი სპორტის სახეობა... დავდიოდი ფეხბურთზე 35-ე სკოლაში.

ეი. ჯანმრთელი და ღონიერი ბავშვი იყავით და შესაბამისად, სკოლაში ვერაფერს დაგჩაგრავდათ, არა?

— (იციან) ნაგარჯიშვილი ვიყავი და ჩემს კლასელებზე, გაცილებით მაღალი. სკოლაში მეექვსე კლასის მერე არ მიჩხუბია, მაშინ მეცხრეკლასელი გავლახე, რომელიც რეანიმაციამი მოხვდა...

ასეთი რა დაგიშავათ?

— მე კურო ვარ, ამ ნიშანს კი ერთი ასეთი თვისება აქვს: მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში, სტაბილური და

მშვიდი ნიშანი, წონასწორობა თუ დაკარგა — მტრისას! ჰოდა, მეც სწორედ ასე დამემართა, შუურაცხყოფა არ ვაპატიე და... ძლივს გადარჩა. ამ ამბავმა სერიოზულად შემაშფოთა. შემდგომში კი ასტროლოგიამ გამცა ამ საკითხზე პასუხი — თურის გამო მოხდა ეს ყველაფერი. ამიტომაც მართალია გამოთქმა — ვინც ინფორმირებულია, ის დაცულია. როდესაც სკოლას ვამთავრებდი, იმ წელს შევექმენით ანსამბლი, რომელიც შედგომში უკვე ინსტიტუტში განაგრძობდა აქტიურ საქმიანობას და წარმატებებსაც მივალნიეთ.

მაგრამ თქვენ გამოტოვეთ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი — სად, რატომ და როდის ჩააბარეთ უმაღლეს სასწავლებელში?


— სკოლა დავამთავრე 1971 წელს და პუშკინის (ახლანდელი სულხან-საბას. — ავტ.) ინსტიტუტში ჩავაბარე 1974 წელს.

რამ განაპირობა ამხელა ინტერვალი?

— 3 წელი სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი. გელბახიანის რექტორობის პერიოდი იყო და ფულის გარეშე, ფაქტობრივად, იქ ვერავინ ხვდებოდა. დღეს ძალიან მაღლიერი ვარ იმ ადამიანების, ვინც არ მომცა საშუალება, ექიმი გავმხდარიყავი. იმიტომ, რომ იმ ბიჭებს, ვინც მაშინ სამედიცინოზე ჩააბარა, ყველას საქმე უკულმა წაუვიდა... ერთი სიტყვით, ჩავაბარე „პუშკინში“, ბოიქიძის ფაკულტეტზე.

ისე, ჩემს ცნობიერებაში თქვენ ალქიმიკოსთან უფრო ასოცირდებით, ვიდრე ბოიქიძისთან, მაგრამ ამას თავი დავანებოთ... რას გულისხმობდით, როდესაც თქვით — ჩემმა ანსამბლმა წარმატებებს მიაღწია?

— მაშინ, კომუნისტების დროს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ სტუდენტთა თვითშემოქმედებას. იმარტებოდა „სტუდენტური დღეები“... სამწუხაროდ, ბიოლოგიის ფაკულტეტის შემოქმედებითი ჯგუფი ჩვენამდე, დიდი წარმატებით არ გამოირჩეოდა. მე და ჩემს მეგობრებს გვექონდა არა მარტო ვოკალური ინსტრუმენტული ანსამბლი, არამედ ცეკვის ჯგუფი, მხატვრულ კითხვასაც მივძვედით და ილუზიონისტიც კი გვყავდა. ოთხჯერ გავდით პირველ ადგილზე. ორსაათიან კონცერტებს ვანყობდით,



დიდი მუსიკალური წარსული მაქვს...

ინფორმაციულ-ჟეოგრაფიული კოლაჟი

ეოსი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. ადამიანს 20 სარქვევ კბილი აქვს.
2. კავკასიის მთები 25 მილიონი წლისაა.
3. „ქუინ მერი 2“ უდიდესი გემია მსოფლიოში.
4. სირაქლემის თვალი მის ტვინზე უფრო დიდია.
5. 1975 წელს დუბლინის ცირკიდან სპილო მოიპარეს.
6. კაზინოებში აკრძალულია ფოტო და ვიდეოგადაღება.
7. ჯონ კენედის უფროსი ძმა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.
8. კეისარი ძველი ნელთალრიცხვით 44 წლის 15 მარტს მოკლეს.
9. „დვინოი უდარ — ეტა კაგდა ნა გრავლი ეშო ი ნასრალი“, — ამბობენ რუსები.
10. მსოფლიო მასშტაბით „მაკდონალდსი“ ყოველდღიურად 46 მილიონ ადამიანს ემსახურება.
11. გარეუბნებში მცხოვრები ლონდონელები სიცოცხლის 18 წელიწადს მგზავრობაში ატარებენ.
12. პალმიდან ჩამოვარდნილი საშუალო ზომის ქოქოსის კაკალი მიწაზე ერთი ტონის ძალით ენარცხება. ცნობილია შემთხვევები, რომ იგი ადამიანს დასცემია თავზე და ადგილზე მოუკლავს.
13. XVII საუკუნის მინიატიურების შემდეგ, ქართველ მხატვართაგან პირველმა ლადო გუდიაშვილმა დაასურათა და გრაფიკულად გააფორმა „ვეფხისტყაოსანი“.
14. დოლო აბაშიძე სამამულე ომის დროს პურის გამყიდველად მუშაობდა. უფრო მოგვიანებით კი კინოთეატრ რუსთაველიდან სხვა კინოთეატრებში კინოფირებს დაატარებდა.
15. გალაკტიონი წერდა ყველგან და ყველაფერზე, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. წერდა მანქანაში, გზაში, რესტორანში, ფურცლის ნაგლეჯზე, ხელსახოცსა და სიგარეტის კოლოფზეც კი.
16. ბენჯამენ ჰოლი ლონდონის უზარმაზარ სამრეკლოს მშენებლობას ხელმძღვანელობდა, რომელსაც მოგვიანებით მის პატივსაცემად ბიგ ბენი უწოდეს.
17. ნონა მორდიუკოვა სოფლიდან მოსკოვში ჩამოვიდა „შტობი უჩიტსა ნა ლიუბოვ არლოვუ.“
18. 27 მაისს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი რეჟისორი სიდნი პოლაკი, ყველასთვის ცნობილი ფილმების „ტუტსისა“ და „კონდორის სამი დღის“ ავტორი.
19. ერთხელ, მიტინგზე გამოსვლისას ჩე გევარამ განაცხადა, ლექსი მინდა წაგვითხოთო. ხალხში ჩურჩული ატყდა. ნუ ლელავთ, ჩემი დაწერილი არ არისო, — დაამშვიდა რევოლუციონერმა მომიტინგეები.



სამყარომ უზარმაზარი მისია დამაკისრა

არაჩვეულებრივი სანახაობა იყო...
 — რამდენდაც ვიცო, თქვენი ანსამბლი შემდგომში, უკვე პროფესიონალური გახდა და დადიოდით გასტროლებზე, საქართველოში, რუსეთსა და საზღვარგარეთაც...
 — მართალია. იმ პერიოდში გავიცანი კომპოზიტორი ნიკოლაიშვილი და ერთად შევექმნით ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ნია“. გასსოვთ ალბათ — იყო ასეთი გრანდიოზული მშენებლობა — ბამი (ბაკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალი). ამ მშენებლობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ, ხოლო იმ ადგილს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, „ნია გრუზინსკაია“ ერქვა... ჯგუფი განახლდა 1979-80 წლებში. ჩვენთან მოვიდა ბას-გიტარაზე ზურაბ გაგინიძე (ამჟამად ჯგუფ „მინის“ ხელმძღვანელი, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს), სოლო გიტარაზე კი დათო მასტერანოვი უკრავდა, ის უბრწყინვალესი ჯაზმენია, ასეთი საქართველოში მეორე არ არის. მე რიტმ-გიტარაზე გადავედი, ასევე — დასარტყმელ ინსტრუმენტებზე და ვოკალშიც ვმონაწილეობდი.
 — როგორი რეპერტუარი გქონდათ?
 — გაგვიცინებთ და, „Широка страна моя родная“ -დან დაწყებული, უცხოური ჰიტებით დამთავრებული.
 — მაგრამ მაშინ ხომ უცხოური ესტრადა თითქმის ტაბუდადებული იყო!
 — იცით, როგორ გაგვექონდა? როდესაც კომისიაში მიგვექონდა სიმღერების ტექსტი, წინ წაუჭიმდვარებდით დაახლოებით ასეთ ფრაზას: „ზანგი ხალხისა და ანჯელა დევისის ბრძოლის ჰიმნი“... იმ დროს ჩვენთან მღეროდნენ: ინგა ბერაძე, ან გარდაცვლილი ლელა სიხარულიძე, ფორტეპიანოზე უკრავდა გია მაჭარაშვილი. კარგი ჯგუფი შედგა. სამჯერ გავხდით ახალგაზრდული ფესტივალის ლაურეატები: ერევანში, ბაქოში და ბოლოს — თბილისში.
 — უმაღლესის დამთავრების შემ-

დეგაც განაგრძობდა ჯგუფი არსებობას?
 — დიახ, ჯგუფი არ დაშლილა, კონცერტები სულ გვექონდა. რამდენჯერმე გამოვედით ტელევიზიით, გადაცემაში — „საესტრადო პანორამა“. ეს ჩანაწერები დღესაც არსებობს.
 — კონცერტები, გასტროლები... შესაბამისად, გჭირდებოდათ კონსტრუქციები, ინსტრუმენტები, გზის ფული. ვინ გაფინანსებდათ?
 — თავიდან, კომკავშირის ცეკას მეორე მდივანი, ყიუღი შარტავას პირველი მდივნობის დროს სოსო ორჯონიკიძე. ჯერ ჩვენი ანსამბლი — კომკავშირის ცეკას დაქვემდებარებაში იყო, ხოლო მერე გამოჩნდა მეორე ადამიანი, რომელიც ჩვენზე ზრუნავდა — ბატონი ვილი კაჭარავა. ის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს ედგა სათავეში. დღემდე მაქვს შემორჩენილი დიდი პლაკატი, სადაც მთელი ჩვენი ჯგუფია აღბეჭდილი. მაშინ ჩვენთან დაკვრა თემურ ყვითელაშვილმა დაიწყო. იმ დროს 16-17 წლის ბიჭი იყო. იცით, რომ ყვითელაშვილი დღეს მსოფლიოს საუკეთესო გიტარისტია ოცეულშია შესული, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენში ისეთ ყურადღებას არ აქცევენ, როგორც იმსახურებს ეს უკეთილშობილესი პიროვნება და არაჩვეულებრივი მუსიკოსი. ჩვენ დღესაც ვემუბრობთ.
 — როდის დაქორწინდით და რამდენი შვილი გყავთ?
 — მყავს ორი შვილი: 25 წლის ლევანი, რომელმაც უკვე უნივერსიტეტი დაამთავრა და 10 წლის სალომე. ლევანი პირველი ქორწინებიდან მყავს. ჩემი პირველი მეუღლე თამრიკო, ჩემი მოგვარეა, მაგრამ მაშინ უამრავი დოკუმენტი მოვექექეთ და ჩვენ შორის ვერანაირი ნათესაური კავშირი ვერ აღმოვაჩინეთ... 3 წელი გაგრძელდა ჩვენი ქორწინება. დავცილდით იმიტომ, რომ როგორც იტყვიან, „ხასიათებით ვერ შევეწყვეთ“. ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი გადაწყვეტილება დაქორწინების შესახებ, ნაჩქარევი იყო.
 — რამდენი წლის იყავით მაშინ?
 — 24-25 წლის... იცით, თამრიკო ტელეფონით გავიცანი. მერე ვხვდებოდი. მისმა ინტელექტმა მომიხილა. პროფესიით მხატვარი გახლავთ.
 — თქვენს ახლანდელ მეუღლეზე რას გვეტყვიან?
 — ჩემი მეუღლე ნანა ვაშაკიძე, უცხო ენების სპეციალისტია. ის უცხო ენების ინსტიტუტის ანსამბლში მღეროდა და იქ გავიცანი. ნანა ძალზე კარგი პიროვნებაა, ბევრი მისაბამი თვისება აქვს. კარგი დედა და მეუღლეა.
 — უმაღლესის დამთავრების შემდეგ, თქვენი ანსამბლის გარდა, რით იყავით დაკავებული?
 — 1989 წლის 9 აპრილამდე, მე და ჩემი ჯგუფი მხოლოდ მუსიკალური მოღვაწეობით ვიყავით დაკავებული. იცით, ჩვენ მოსკოვში გამოვედით (1987 თუ 1988 წელს), იუნესკოს დიდ ფორუმზე. იქ თამრიკო გვერდნითელიც შემოგვიერთდა.

ნაღებული გვექონდა ორსაათიანი ფილმი საქართველოს ბუნების შესახებ და მთელი ჩვენი გამოსვლა ამ ფილმის ფონზე მიმდინარეობდა. ძალიან მოენონათ, ამ ღონისძიებას აშუქებდნენ „სიენი“, „ბი-ბისი“... მასხოვს, როგორ დაგვედგინენ რუსი „კაგებუნელები“, რომ ინტერვიუ არავისთვის მიგვეცა... მივიღეთ მინივეები საზღვარგარეთიდან... მაგრამ 1989 წლის 9 აპრილმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავისი გზა მონახა. თითქმის ყველამ მუსიკალური საქმიანობა გააგრძელა.

— თქვენ რა გადანწყვტილება მიიღეთ?

— სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დავინწყე მუშაობა. მერე ასპირანტურაში ჩავაბარე. მინდა გითხრა, რომ ახლაც ჩემი პროფესიით ვმუშაობ — სამედიცინო აკადემიაში ვკითხულობ ლექციებს...

— პირველი შეხება ასტროლოგიასთან როგორ მოხდა? რა ლიტერატურა არსებობდა მაშინ და თუ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობას მისდევდნენ?

— ასტროლოგები, რომლებიც სერიოზულად იყვნენ დაკავებული ამ სფეროში, რა თქმა უნდა, იყვნენ. აი, ლიტერატურა კი „პერესტროიკამდე“, არანაირი არსებობდა.

— უკავშირდება თუ არა რაიმე უცნაურ შემთხვევას თქვენი ასტროლოგიით დაინტერესება?

— მიზანში მორატყით: მაშინ ჯერ კიდევ ანსამბლში ვუკრავდი, გასტროლები, კონცერტები, გოგოები, გართობა... მოკლედ — ყველაფერი, ნარკოტიკების გარდა და ამ დროს საქართველოში შემოვიდა საშინელი ვირუსული გრიპი. საიდან, როგორ? — არავინ არაფერი იცოდა. მოხდა ისე, რომ მეც შემხვდა ეს ვირუსი და ერთი თვე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვიყავი, კლინიკური სიკვდილიც კი გადავიტანე.



ოჯახთან ერთად

ასე რომ, იმის შესახებ, თუ რა ემართება ადამიანს, უფრო სწორად — მის სულს, როდესაც ის ტოვებს სხეულს, არა მარტო ლიტერატურიდან და ფილმებიდან ვიცი... როდესაც მოვმჯობინდი და უკვე შემქმნელო კითხვა, მაგრამ მაინც სუსტად ვიყავი და აუცილებელი იყო წოლითი რეჟიმი, ჩემმა ერთმა მეგობარმა მომიტანა წიგნი და მითხრა, — წაიკითხე, ასტროლოგიის შესახებ, იქნებ, დაგაინტერესოსო. წავიკითხე და მოხდა „ერთი ნახვით შეყვარება“: ვკითხულობდი ამ წიგნს და ვგრძობოდი, რომ ის იყო, რაც მჭირდებოდა და მაინტერესებდა. იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ პირველმა ასტროლოგიურმა წიგნმა, რომ დავინწყე სხვა ამგვარი ლიტერატურის მოძიება. ასე რომ, ისე არასოდეს არაფერი ხდება. მაინცდამაინც, მაშინ რატომ ჩამივარდა ხელში ეს წიგნი, როდესაც კინალამ წერილი წავიღე? იმიტომ, რომ სამყარომ გადანწყვტა ასე. აუცილებელია, ვიცოდეთ კოსმოსური კანონები და ვითვალისწინებდეთ მათ. მე სამყარომ უზარმაზარი მისია დამაკისრა და ამის შემდეგ გაიხსნა ახალი თვალი, დავუახლოვდი ადამიანებს, ვინც ერკვეოდნენ ამ სფეროში. ესენი არიან: ჯონდო ტუხაშვილი, გიორგი რამიშვილი.

— თქვენს მასწავლებლად ვის მიიჩნევთ?

— ალექსანდრე ზარევეს. ის დღეს უდიდესი ასტროლოგია და დიდი ასტროლოგიური სკოლა აქვს მოსკოვში. ძალიან სუფთა პიროვნებაა — ეს კი აუცილებელი წინა პირობაა ასტროლოგიაში. ხედავთ, რა დაემართა გლობას?

— რა დამართა? CTC-ზე გამოდის, თავისი ასტროპროგნოზებით, მაგრამ თითქოს პირვანდელი ხიბლი დაკარგა, არა?

— (იციანის) მართალია. მას ათი ცოლი მაინც ჰყავდა და ათივეს ასწავლა ასტროლოგია. ყველას გაეყარა და ამით დაარღვია კოსმოსური კანონი. გარდა ამისა, გვიტოვებთ — თქვენ მისხალთ კბილის სამკურნალოდ, უკბილო სტომატოლოგთან? რა თქმა უნდა, არა. ასტროლოგმა უნდა დაიცვას გარკვეული წესები, თუ არა და, ნაერთმევა ის უნარი, რომელსაც ფლობს. — რუსეთის გარდა, სხვა ქვეყნებშიც ხომ არის დიდი ასტროლოგიური სკოლები? თუ არ ვცდები, ინდოეთში ბევრია დაკავებული ოკულტური მეცნიერებით.

— მართალია, მე ინდოეთში არაერთხელ ვიყავი, მქონდა ურთიერთობა უდიდეს მოღვაწესთან, რომლის მოსვლაც ნოსტრადამუსმა იწინასწარმეტყველა. არის ასეთი ადგილი — პუნა, სადაც მოღვაწეობდა და ჰქონდა თავისი სკოლა. ის იყო უდიდესი გურუ, რომელმაც თქვა — მე ახალი არაფერი მოგიტანეთ, მე მოგიტანეთ მხოლოდ ის, რასაც ამბობდნენ: იესო, ლაო ძი, ბუდა და ა.შ. მაგრამ მე მოგიტანე ახალი გასაღები — მედიტაციური ტექნიკა.

ინფორმაციულ-ჰეპეხეპიტი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრას:

20. ახალ ზელანდიაში მოზინადრე კეას ჯიშის თუთუყუშები ნამდვილი ვანდალები არიან. მათი ნისკარტი შვეიცარიულ დანასავით მჭრელია. გადამლები ჯგუფის ავტომობილი მათ ზუსტად ნახევარ საათში დაშალეს. ამგვარი ნისკარტი შეიარაღებული კეა ანგარიშგასანვე ძალას წარმოადგენს. ისინი ღამით ცხვრებს ზურგზე ასდებიან, მატყლს უწენენ, ტყავს სწინკნიან და ქონს მიირთმევენ. კლდის თავზე შემომჯდარი ფრინველები ხშირად იმით ირთობენ თავს, რომ ნისკარტით დიდ ქვეს აგორებენ და ქვათა ცვენას იწვევენ. ფერმერებს სჭუთთ კეა და შეუბრალებლად ანადგურებენ მათ. მონადირეები სარგებლობენ მათი ცნობისმოყვარეობით. ღამით, გაშლილ ადგილას ცეცხლს ანთებენ და მიახლოებულ ფრინველებს, რომლებიც ხშირად ფეხით გადაადგილდებიან, უმოწყალოდ ხოცავენ.



21. ქვეყანას წითელი ნაგვისგან ვათავისუფლებთო, ამბობენ ესტონელები, როცა წითელარმიელთა მემორიალებისა და ძეგლების დემონტაჟს ახდენენ.

22. იმპერატორმა დიოკლეტიანემ თავისი მმართველობისას ქრისტიანების დევნა განაახლა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეთუღლე და ქალიშვილი ამ რელიგიის აღმსარებლები იყვნენ.

23. ნაპოლეონის ცალფეხა გენერალი კავარელი ქალაქ აკრას ალექსისას დაიღუპა. ნაპოლეონმა ბრძანება გასცა, მისი ცხედრის მუმიფიცირება მოეხდინათ, რათა მერე საფრანგეთში გადაესვენებინათ. საბოლოოდ, იმპერატორმა აკრას ალება ვერ შეძლო და კავარელიც ქალაქის მახლობლად დააკრძალვინა. დღეს ეს ისრაელის ტერიტორია გახლავთ.

24. ლეგენდარული მუსიკისმცოდნე ივან სოლერტინსკი არაჩვეულებრივი მახვილგონიერებითა და სარკასტული იუმორით გამოირჩეოდა. ერთ მის კოლეგას, რომელსაც ლაულაუა ლოყებს ხშირი წვერი უფარავდა, შეუბრალებლმა მუსიკისმცოდნემ „ჟოპა ვ კუსტახ“ უწოდა, რასაც ამ უკანასკნელის აღშფოთება მოჰყვა: „ა პაჩემუ ვ კუსტახ?!“

25. არტურო ტოსკანინი და კომპოზიტორი პიერტო მასკანი დიდ მუსიკალურ ფესტივალზე მიიწვიეს. მასკანი, რომელსაც შურდა ტოსკანინის სადირიჟორო დიდება, იმ პირობით დათანხმდა, თუ მას ტოსკანინიზე მაღალ ჰონორარს გადაუხდინენ, თუნდაც ერთი ლირით მეტს. მხარეები მორიდდნენ. ჰონორარის მიღებისას მასკანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან კონვერტში ერთი ლირა აღმოაჩინა. თურმე ტოსკანინი უსასყიდლოდ დირიჟორობდა.



ინდოელის ძაბოვანი ჰმანი ~ ნათია

„ბაუღლა მთხოვა, შავხვდა მიხილ საააზვილს...“



ინდური კულტურის სიყვარულმა ის ჯერ ინდოეთში ჩაიყვანა, შემდეგ კი ცხოვრების თანამგზავრი აპოვნინა. თბილისელი ნათია საჯაია ახლა მეუღლესთან და შვილთან ერთად, დელიში ცხოვრობს და იქაურებისთვის, ნაბილა ამანია. იშვიათად, მაგრამ მაინც ახერხებს თბილისში ჩამოსვლას და საიმოვნებით ურთიერთობს ურუნალისტებთან.

ნათია საჯაია-ამანი

— მუსიკისადმი სიყვარულს ბავშვობიდან ვავლენდი. ამიტომაც ჩავირიცხე მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში, სადაც ვიოლინოზე დაკვრას ვსწავლობდი და ვმღეროდი გუნდში, რომელსაც ქალბატონი მარინა ოცხელი ხელმძღვანელობდა. სკოლა-ინტერნატში და ვუმეგობრდი ერთ გოგონას, რომელიც ჩემსავით, ინდურ კულტურაზე იყო შეყვარებული. მე და ნესტან კაცია (ასე ერქვა ჩემს მეგობარ გოგონას) ხშირად დუეტში ვმღეროდით სიმღერებს ინდური ფილმებიდან, ვასახიერებდით ინდური კინოს ცნობილ გმირებს — ზიტასა და გიტას. სხვათა შორის, გარეგნულადაც ძალიან ვგავდი ინდოელს:

შავგვრემანი, შავი ხვეული თმით და დიდი თვალებით. ახლობლები ზუმრობდნენ კიდევ — შემთხვევით ხარ საქართველოში დაბადებულიო. გარეგნობის გარდა, ინდოელებთან ბევრი სხვა მსგავსებაც მქონდა: მაგალითად, ბავშვობიდანვე მიყვარდა ხელით ჭამა, ხოლო როდესაც ინდურ ფილმებს ვუყურებდი, მათ ხასიათსა და ქცევაში, ჩემთვის დამახასიათებელ ბევრ თვისებას ვხედავდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ზოგჯერ მართლაც დაფიქრებულვარ, მართლაც ინდური წარმომავლობა ხომ არ მაქვს-მეთქი? სკოლის დამთავრების შემდეგ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადაში მედდად დავიწყე მუშაობა. მასსოვს, ერთ-ერთი მორიგეობის დროს, გაზეთში განცხადება წავიკითხე, რომ კინოთეატრ „ბათუმში“ ინდური ფილმებისადმი მიძღვნილი საღამო იმართებოდა. რა თქმა უნდა, იმ საღამოზე მოხვედრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვი და აღმოვაჩინე, რომ კინოთეატრში ჩამოყალიბებული იყო საქართველო-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის ცენტრი. როცა გაიგეს ინდური კულტურისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ, იმ ცენტრში მიმიწვიეს. მასსოვს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ინდური ფილმებიდან ვსწავლობდით სიმღერებს, ვცდილობდით, რომ სიტყვები მიგვესგავებინა. ზოგჯერ უცხოელების საერთო საცხოვრებელში მივდიოდით და ინდოელებს ვთხოვდით, სიმღერის ტექსტი დაეწერათ. სწორედ ამ კულტურული ცენტრის წყალობით, გავიცანი ინდური ცეკვის უბადლო შემსრულებლები, ქართველი გოგონები — თამარიკო ლაშპარიძე და თამარიკო კურდღელია. ამის შემდეგ, ინდური ცეკვის შესწავლა დავისახე მიზნად.

— ინდოეთში როგორ მოხვდი?
— ერთხელ, მოსკოვში ინდოეთის საელჩოსთან არსებული კულტურული ცენტრის შესახებ მიაბეხეს, სადაც მსურველებს ერთ-ერთ კლასიკურ ინდურ ცეკვას — კათხაკს ასწავლიდნენ. უნდა ვაღიარო, რომ კათხაკი ჩემს ხასიათსა და სტილს არ პასუხობდა, რადგან ამ ცეკვას ინდოელი რაჯებისა და მაჰარაჯების გასართობად ასრულებდნენ. ვინაიდან სხვა არჩევანი არ მქონდა, მოსკოვში სასწავლებლად გავემგზავრე. ცეკვასთან ერთად, სიტარაზე დაკვრასაც ვსწავლობდი. მასზე დაკვრა ინდოელმა მისტიკურ შარმამ უფასოდ მასწავლა. რამდენჯერმე დამინახა, როგორ ვიდექი ატუზული მისი კაბინეტის კართან და სიტარას უღამაზეს ხმას ვუსმენდი. როცა შეიტყო, რომ სხვა ქვეყნიდან ჩასული სტუდენტი ვიყავი და მატერიალურადაც მიჭირდა, შემომთავაზა: სიტარაზე დაკვრას უსასყიდლოდ გასწავლიო. სხვათა შორის, სწორედ მან გამინია შემდეგ რეკომენდაცია ინდოეთის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტში, საიდანაც მოწვევაც მივიღე. ამ დროს საქართველოში უძძიმესი წლები იდგა: ომი, არეულობა, გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს, ვის ეცალა ჩემთვის?! ამიტომ, მოწვევის მიღებიდან სამი წლის მან-

ძილზე ინდოეთში გამგზავრება ვერ მოვახერხე. ამ წნის განმავლობაში, ერთი წამითაც არ დამიკარგავს იმედი, რომ მოხვდებოდი ჩემი ოცნების ქვეყანაში. მართლაც, მოხდა სასწაული. შევიტყვე, რომ იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა ინდოეთის ელჩი უკრაინაში (ცნობისთვის, არც მაშინ და არც ახლა ჩვენს ქვეყანაში ინდოეთის საკონსულარო არ არსებობს). ამიტომ უკრაინაში წარგზავნილი დესპანის უფლებამოსილებები საქართველოზეც ვრცელდება). მასსოვს, ინდოეთის ელჩის ვიზიტი საქართველოში ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა. დედას რომ ვერაფერი გაეგო, ჩანათაში ჩუშად ჩავაღაგე ინდური სარი, სამკაულები და ელჩთან შესახვედრად, სასტუმრო „შერატონში“ გავმართე. გზად ერთ-ერთ სიღამაზის სალონში გამოვიცვალე სამოსი და ნამდვილი ინდოელი ქალივით მოვიკაზმე... სასტუმროს მისაღებში ვერც კი მიხვდნენ, რომ ინდოელი არ ვიყავი და კონსულთან უპრობლემოდ შემისვეს. მოკლედ, ელჩი დამპირდა, რომ იქ ჩემი სწავლისა და ცხოვრების ხარჯს ინდოეთის სახელმწიფო გაიღებდა. ერთადერთი, რაზეც თავად უნდა მეზრუნა, თვითმფრინავის ბილეთი იყო, რისთვისაც დაახლოებით ათასი დოლარი მჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ელჩს მადლობა მოვახსენე, მაგრამ სახლში დადარდიანებული დავბრუნდი, რადგან ვიცოდი, ჩემი ოჯახი თვითმფრინავის ბილეთის შეძენასაც ვერ შეძლებდა. შემდეგ მოხდა კიდევ ერთი სასწაული: ღმერთმა გამომიგზავნა ქალბატონი, რომლის სახელსაც ლოცვებში სიცოცხლის ბოლომდე მოვიხსენიებ. ეს გახლავთ ელზა გიორგაძე, ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელი, რომელმაც უფასოდ წამიყვანა დელიში.



ნათია შეიღთან ერთად

— ვიცი, რომ ინდოეთში ოჯახიც შექმენა...

— თავიდან ინდოეთში ენობრივი ბარიერის გადალახვა გამჭირვარდა. ჩვენი ინსტიტუტის სასწავლო ნაწილმა ისიც კი თქვა: წაიყვ...



თბილისში ჩემი ნათესავებისა და ახლობელ-მეგობრების მოსახსულებლად ჩამოვედი

ანეთ უკან, საქართველოში. სულ რომ ქუჩაში დაფრჩენილიყავი, ასე ხელმოცარული როგორ დაგბრუნდებოდი შინ?! ცოტა ხნით, ერთმა ინდურმა ოჯახმა შემიფარა, გამაცნეს რუსი გოგონები და მათი დახმარებით, ინდურ ენას შევიდ თვეში დავეუფლე. შემდეგ, ადგილობრივ ტურისტულ კომპანიაში დავიწყე მუშაობა გიდად და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ტურისტებს ინდოეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს ვაცნობდი. ჩემი მეუღლეც იქ გავიცანი. ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელს ხშირად სტუმრობდა. თურმე შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას, მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ერთხელ, რაღაც პრობლემა მქონდა და ჩემი მომავალი მეუღლე რუსულად დამელაპარაკა. ისე გამიხარდა, რომ გადავეხვიე: მისტერ სირაჯ, თქვენ რუსული იცით-მეთქი? მას თურმე იმთავითვე მოვწონდი, მე კი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ მის ცოლობას დავთანხმებოდი.

— რატომ, რა გაბრკოლებდა?

— ჯერ ერთი, მე და სირაჯს სხვადასხვა რელიგიური მრწამსი გვქონდა და კიდევ — ის ჩემზე 14 წლით უფროსია. ამასთან ერთად, მათი ტრადიციებიც უცხო იყო ჩემთვის. როდესაც მეგობრები ვიყავით, მის მიერ გაცემულ შენიშვნას სხვა ინტონაცია ჰქონდა, რჩევას უფრო ჰგავდა, მეუღლეობის შემდეგ კი დამოკიდებულება შეიცვალა. მოგესხნებათ, ინდოეთი აზიურ ქვეყანაა, სადაც მამაკაცი ქალზე დომინირებს. არადა, ჩემი მეუღლე დიდი ხნის განმავლობაში, ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, აქედან ორი წელი აზერბაიჯანში გაატარა, საიდანაც მისი ავიაკომპანია პირდაპირ რეისს დელიში ასრულებდა. სირაჯი ოდესასა და მოსკოვში ცხოვრობდა. ვიდრე ვიქორწინებდით, მომავალ მეუღლეს რამდენიმე პირობა წავეყენე: გათხოვების შემდეგ, არ უნდა შემეცვალა ჩემი ეროვნება, ცალკე ვიცხ-

ვობრუნდით და საჭიროებისამებრ, ჩავიცვამდი ევროპულ სამოსს. მტკიცე ინდური ტრადიციების მიუხედავად, ჩემს პირობებს დღემდე მისრულებს. მე და სირაჯს ვაჟი გვყავს, მას ომარი ჰქვია. ჩემი შვილი ოთხ ენას ფლობს, მათ შორის, ქართულს. შვილს კი არა, მეუღლესაც კი ვასწავლე ქართული ენა.

— ნათია, ინდური ცეკვების ხელოვნებას კვლავ ეუფლები?

— ინდური კლასიკური ცეკვის ხელოვნება რვა საფეხურისგან შედგება. მე ჯერ მხოლოდ მესუთემ ვარ. მოგესხნებათ, ინდოელები კერპთაყვანისმცემლები არიან, ბევრი ღმერთი და წმინდანი ჰყავთ და ყველას სხვადასხვა ცეკვას უძღვნიან. ცეკვის დროს, ღმერთებს (განიშა, შივა, კრიშნა, ლაქში და სხვები) ვასახიერებთ. ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ეს მხოლოდ ხელოვნებაა, რაც ჩემს რწმენაზე არ აისახება. ინდოეთში დიდი მონივნებით ეჭრობიან ცეკვის მასწავლებელს, მას გურუს უწოდებენ და მისი ხსენებისას, პატივისცემის ნიშნად, ყურის ბიბილოზე წაიკვებენ ხოლმე ხელს.

— ინდოეთში ცეკვის შესწავლა ყველა ქალისთვის საავალდებულოა?

— ქვეყნის სამხრეთ ნაწილში თითქმის ყველა ცეკვავს, რადგან ეს იქ აუცილებლობას წარმოადგენს. ბავშვი 3 წლის ასაკიდან შეჰყავთ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. 7-8 წლის ასაკში, ის უვე პროფესიონალი მოცეკვავე, ხოლო 15 წლისას, მასწავლებლის სტატუსი აქვს დღისა და ინდოეთის სხვა დიდ ქალაქებში ცეკვის შესწავლა სურვილისამებრ ხდება. სხვათა შორის, მეც მყავს სამი მოსწავლე. ინდოელები არიან და მათთან ერთად, ჩემს ვაჟსაც ვასწავლი კლასიკურ ინდურ ცეკვებს. ცნობისათვის, კლასიკურ ცეკვას ინდოეთში ქალიც ასრულებს და მამაკაციც. ყველა ცეკვა რაღაც ამაზეა გადმოგვცემს, რომელსაც ხელუბის მოძრაობით, თვალებითა და მიმიკით უყვები მაყურებელს.

— როგორც ვიცი, ინდოეთის კონტრასტული ანუ ბოლივუდთანაც თანამშრომლობ, არა?

— ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ინდოელი პროდიუსერები ხშირად მიკავშირდებიან, როდესაც ფილმში მასობრივი

სცენების გადასაღებად უცხოელები სჭირდებათ. რამდენჯერმე კადრში მეც მოვხვდი. ერთხელ კი დელიში ფილმი პოლიცემსაც გადაიღო. არ მახსოვს, ვინ არის მისი რეჟისორი, მაგრამ ვიცი, რომ ერქმევა „კითხვა და პასუხი“. ამერიკელებმა მასობრივი სცენებისთვის ხალხის შეგროვება მთხოვეს და ფილმში მეც გადამიღეს.

— ვიცი, რომ საქართველოში იშვიათად ჩამოდიხარ, ახლანდელი შენი ჩამოსვლა რას უკავშირდება?

— უპირველეს ყოვლისა, თბილისში ჩემი ნათესავებისა და ახლობელ-მეგობრების მოსახსულებლად ჩამოვედი. მაგრამ გარდა ამისა, ვიდრე საქართველოში ვარ, მინდა, მონაწილეობა მივიღო რომელიმე კულტურულ ღონისძიებაში და კლასიკური ინდური ცეკვი შევასრულო ქართველი მაყურებლისთვის. სამშობლოში ჩამოსვლის კიდევ ერთი მიზეზი მქონდა: უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ჩემმა მეუღლემ მთხოვა, — შეგვედროდი საქართველოს პრეზიდენტს და გარკვეულ საკითხებზე დავლაპარაკებოდი. არ ვიცი, ეს რამდენად მოხერხდება, მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა, ბედნიერი ვიქნები.

— ინდოეთში მოსახლეობას ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის შესაძლებლობა აქვს?

— ჩემს მეუღლეს რამდენიმე პროფესია აქვს, მათ შორის, თქვენი კოლეგაც გახლავთ, იურისტიცა და დიპლომატიც. სხვათა შორის, მას, როგორც ყურნალისტს, შესაძლებლობა ჰქონდა, პირადად შეხვედროდა ინდოეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რაჯივ განდის. როდესაც ინდოეთში დაგბრუნდები, შეგხვდები რაჯივ განდის მეუღლეს და ინდირა განდის რძალს — სონია განდის, რადგან სურვილი მაქვს, ქალთა ასოციაციაში გაწევრდე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. შარშან კი ჩემი ვაჟი და მეუღლე ინდოეთის პრეზიდენტს — აბდულ კალამს შეხვდნენ. რამაზანის დასრულების შემდეგ, აბდულ კალამი სალოცავად ერთ-ერთ მეჩეთში მივიდა. სწორედ იმ მეჩეთში იყვნენ მისული ჩემი მეუღლე და ვაჟი. ინდოეთის პრეზიდენტმა ომარი ხელში აიყვანა, გულზე მიიკრა და ყურში ლოცვა უთხრა.

ქალიფოსოკი

ჩიხუახუა - ყველაზე ძვირად ღირებული ჯიბი

ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანიამ — ცხოველთა შენახვისა და მოვლის ხარჯები დაიანგარიშა და დიდ ბრიტანეთში ძალის ყველაზე ძვირად ღირებული ჯიბი გამოავლინა. მრავალთა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ პატრონთა ბიუჯეტს ყველაზე დიდ დარტყმას მინიატიურული ჩიხუახუა აყენებს: ინგლისში ამ ჯიბის ძალღის შენახვას წელიწადში 12.000 დოლარი ესაჭიროება. თუ ჩიხუახუას სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას (13 წელი) გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ეს პანია ძალღი პატრონს 160.000 დოლარი უჯდება. ექსპერტები ამას ჩიხუახუას განსაკუთრებული რაციონით ხსნიან — მათი პატრონები ახალ ხორცსა და ბოსტნეულს ორჯერ უფრო ხშირად ყიდულობენ, ვიდრე სხვა ჯიბის ძალღების პატრონები. ჩიხუახუას მოდური კოსტიუმებით, ბრილიანტებითა და ექსკლუზიურ დიზაინერთა მიერ შექმნილი აქსესუარებითაც ხშირად ანებივრებენ. ასე და ამგვარად, ძალღის ზომა მისი შენახვის ხარჯის უკუპროპორციულია!





როდის უნდა ამისულოლო თქვი ანუ „რა ღროს სხენები ღა მოტასუბაქ?!“

„გზის“ №18-ში, რუბრიკაში – „თინეიჯერული პონტები“ დაიბეჭდა სტატია, სადაც თინეიჯერები ქართულ ტრადიციებზე ლაპარაკობდნენ. შეგახსენებთ, ჩვენ ჩავატარეთ სახელდახელო სატელეფონო გამოკითხვა, რომლის დროსაც, გამოკითხულთა უმეტესობამ ქართული ტრადიციების მხოლოდ უარყოფით მხარეზე ილაპარაკა, დანარჩენები კი ან ნეიტრალურები იყვნენ, ან მას თავგამოდებით იცავდნენ და თანამედროვე ცხოვრების სტილს უხამსი სიტყვებით „ამეობდნენ“. სტატიას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ამჯერად, ქართულ ტრადიციებთან დაკავშირებულ რამდენიმე საინტერესო „ესემესს“ და მომღერლებს: ბიგ-თიქოსა და თამთა გოგუაძის ბლიც-ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

„ქალწულობის ინსტიტუტი“ ნადრევი და არამყარი ოჯახების შექმნას ემსახურება(?!“

ლიპა ქაჩაია

ბიგ-თიქო:

— ჩემთვის ქართული ტრადიციებიდან ზოგი მისაღებია, ზოგი — არა. საერთოდ, ამა თუ იმ ტრადიციის ჩამოყალიბებას დრო და გარემო უწყობს ხელს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი მათი ცვეთა, გადაგვარება ხდება და ამას უნდა შევეგუოთ! ზოგიერთი კარგი ტრადიცია აღარ შემოგვრჩა, ზოგი კი გენში გვაქვს გამჯდარი და მას შეძლებისდაგვარად ვიცავთ.

— **იქნებ, დაგვისახელო ტრადიცია, რომელიც ძალიან მოგწონს და იცავ კადეც?**

— მაგალითად, მიყვარს, როცა ახალ წელს ოჯახის წევრები ერთად ეგებებიან, მაგრამ ამას თითქმის ვერასდროს ვახერხებ.

— **შენი საქმიანობის გამო?**

— არა მარტო. უბრალოდ, უფრო ხშირად, ამ დღესასწაულს მეგობრებთან ერთად ვხვდები. ძალიან მიყვარს ის ტრადიცია, რომ ახალი წლის დადგომისთანავე, ყველა ქართველმა „მრავალ-ჟამიერი“ უნდა შემოსახოს და ა.შ.

— **რომელი ქართული ტრადიცია ინვესტს შენს გალიზანებას?**

— ძალიან მომწონს ქართული სუფრის კულტურა, მაგრამ ზოგჯერ, როცა ზღვარს გადადიან და ქეიფი ღრეობაში გადადის, საოცრად ვლიზიანდები. ქართული სუფრის ტრადიცია არაა ღვინის გაუთავებელი სმა, ბაჟეს თეფშში თავის ჩაყოფა და ა.შ. ეს ტრადიცია კი არა, მარაზმია! ბევრ ისეთ სუფრასთან ვმჯდარვარ, სადაც დრო შესანიშნავად გამოტარდება, ზოგჯერ კი პირიქით — ქეიფიდან 15 წუთში წამოვსულვარ...

— **„ქალწულობის ინსტიტუტზე“ რას იტყვი?**

— ნეტავ, მარტო ამ ტრადიციას არ ღვევდნენ, რა (იკინის). იცი, ეს იმდენად ინტიმური თემაა, რომ ამაზე ვერ ვილაპარაკებ. თანაც, არ მინდა, ვილა-

ცის გულისწყრომა დავიმსახურო. საერთოდ, XXI საუკუნე ფსევდო-ტრადიციების ხანაა. მაგალითად, ზოგისთვის ქალწულობის დაკარგვაში მიუღებელი არაფერია, მაგრამ მათ ემინიათ, რომ თუ ამას ხმამაღლა იტყვიან ან თავიანთი სიყვარულის ამბავს გამოაშუარავენ, საზოგადოების რისხვა დაატყდებათ თავს და ამიტომაც, საგულდაგულოდ მალავენ. აი, ფარული გამოკითხვა რომ ჩატარებულყო, საოცარ შედეგს მივიღებდით და ვნახავდით, რომ 100-დან 90% „ქალიწულობის ტრადიციას“ არ იწონებს.

— **რუბ ანუ სიმღერის ის ფანო, რომელსაც შენ მისდეფ, ქართულ ტრადიციებთან წინააღმდეგობაში მოდის?**

— სხვათა შორის, ფოლკლორსაც მშვენივრად ვმღერო, მაგრამ — მხოლოდ მეგობრებისა და ახლობლების წრეში, რადგან სინდისი მაქვს...

— **რას გულისხმობ?**

— იმას, რომ საბედნიეროდ, საქართველოში ბევრი ისეთი მომღერალია, რომელიც ჩემზე გაცილებით უკეთ მღერის. ყველას ვურჩევ, ის აუთოს, რაშიც ძლიერია. ჩვენ-ჩვენი ადგილი უნდა ვიცოდეთ!

— **თიქო, შენკენ რა სიხლეება?**

— მე, სალჯიმ და ამიგომ ჩვენ ერთ სიმღერა — „შეცხხოთ ერთად“ და მალე კლიმსაც გადავიღებთ. ამ სიმღერაში, როგორც უნდა გაგიკვირდეს, ფოლკლორის ელემენტებიცაა... პარალელურად, ვმუშაობ პროექტზე — „პირველი ნაბიჯები“ ანუ დამწყებ მომღერლებს რაღაცებში ვხმარები. სხვათა შორის, მათთან ერთად, უკვე რამდენიმე დუეტიც ჩავწერე.

— **ანუ შენ და სალჯი იმ ინტერვიუს შემდეგ, რომელიც ჩვენ ჩავწერეთ, დამეგობრდით?**

როგორც მახსოვს, სწორედ მაშინ გადაწყვიტეთ, ერთად გემღერათ...

— (იკინის) ჰო, მართალი ხარ და ახლა ერთად ვმუშაობთ, გვაქვს კარგი იდეები, რომლებსაც უახლოეს მომავალში განვახორციელებთ. პირველ რიგში, გაგიმხელ იმას, რომ უნარშეზღუდულ ბავშვებზე სიმღერის ჩაწერას და კლიპის გადაღებას ვაპირებთ.

— **როგორც ვიცი, რუსთაველი კონცერტიც გქონდა.**

— კი. კინოთეატრ „რუსთაველი“ მოეწყო კონცერტი, რომლის ინიციატორი გახლდნენ რუბ-ჯგუფები: „ტორნიცა“ და „ჯუჯები“. კონცერტი მართლაც, გრანდიოზული იყო, სპეცეფექტებით დიდ ეკრანზე. ეს იყო საქართველოში პირველი შოუკონცერტი რუბის განხრით და გვინდა, ის თბილისშიც წახონ.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობთ.

თამთა გოგუაძე:

— ახალი სიმღერა ჩავწერე, სადაც გაერთიანებულია ქართული ცეკვებიდან აღებული 3 თემა: „სამაია“, „მზე შინა და მზე გარეთა“ და „ჯვირანი“. სიმღერის ტექსტი ეკუთვნის ნანა ცინცაძეს, არანუირება — ოთარ ყუფუნისა, ხოლო



დასაბალანსებლად, მოსკოვში, კოტე ნონ-იკოვს გავუგზავნეთ... ასევე ვმუშაობ მეგრულ სიმღერაზე.

— **შენს პირად ცხოვრებაში სახსრები არ არის?**

— არა, სიხსრები არ არის, ე.ი. ყველაფერი წესრიგშია. ჩემს პირად ცხოვრებაში მხოლოდ შვილი ფიგურირებს.

— **ანუ ვინმე რომ შეეყვარებოდა, ეს პირად ცხოვრებას აგირევდა?**

— (იციანის) არა, არააა. კარგი იქნებოდა, ვინმე გამოჩენილიყო, მაგრამ „ის“ ჯერ არ ჩანს. დასამალი არაფერი მაქვს და თუ რაიმე სიხსრე იქნება, მას სიამოვნებით გაგიმხელ.

— **ქართული ტრადიციების მიმდევარ ბიჭს რომ შეუყვარდე და ცხენით მოგიტაცოს, რას იზამ?**

— (იციანის) რა სისულელეა! ასე რომ მოხდეს, წივილ-კივილის ნაცვლად, ძალიან ბევრს ვიცინებ, მერე იმ ბიჭს სულელი ვეგონები და თავადვე, ყოველგვარი ჩალიჩის გარეშე დაამბრუნებს... რა დროს ცხენები და მოტაცებაა, რომელი საუკუნეა?! ქართული ტრადიციები მომწონს, მაგრამ მოტაცების რა მოგახსენო. ვფიქრობ, ბიჭმა იმდენი უნდა შეძლოს, რომ გოგოს თავი შეაყვაროს და ძალადობა არ დასჭირდეს. თან, მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს არ უყვარხარ, მასთან ცხოვრება ძნელია. ასე რომ, როგორც გოგო, ისე ბიჭი მთელი ცხოვრება უბედური იქნება.

— **რატომ? ერთმანეთს დაშორდებიან და...**

— ძველად ეს მიუღებელი იყო — მოტაცებულ გოგონას მშობლები არ მიიღებდნენ და ქალიც იძულებული იყო, იმ ადამიანთან ეცხოვრა, რომელიც არ უყვარდა. ჩემი აზრით, ასე შეუგნებელი ადამიანები იქცეოდნენ (მგონი, მსგავსი რაღაცები დღესაც ხდება). მე სიყვარულით გავთხოვდი, გავიპარე, მაგრამ ხომ ხედავ, ოჯახი მაინც დაშინგრა და თუ გოგო-ბიჭს ერთმანეთი არ უყვარს, მყარი ოჯახი ექნება?..

— **რატომ, ასეთი მაგალითიც ხომ უამრავია?**

— არის, მაგრამ მაინც, ეს ჩემთვის დაუშვებელია. სანამ ადამიანს კარგად არ გავიცნობ, მასზე არ ვიფიქრებ. მეორედ შეცდომას ვერ დაფუძვებ. თანაც, მე შვილი მყავს და პირველ რიგში, მასზე უნდა ვიზრუნო.

— **რამდენად ტრადიციული ადამიანი ხარ?**

— დავიბადე და აღვიზარდე ოჯახში, სადაც ტრადიციებს პატივს სცემენ და შესაბამისად, მათ დაცვას ვცდილობ. მოკლედ, არც ძალიან აზიბი ვარ, მაგრამ არც ევროპელობაზე დავდებ თავს. ვარ ქართველი ქალი, რომელიც ტრადიციებს პატივს სცემს, მაგრამ თანამედროვედ აზროვნებს.

— **თანამედროვედ მოაზროვნეს ქართული ტრადიციების დაცვა არ გიჭირს?**

— არა, ნამდვილად არ მიჭირს. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. იცი, ძველ დროში არ უნდა ჩარჩე, დრომ არ უნდა გაგასწროს, თორემ დაიკარგები.

— **ყველაზე მეტად რომელი ქართული ტრადიცია მოგწონს?**

— ის, რომ ოჯახში მამაკაცის სიტყვა ფასობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, კაცი ქალის მოსაზრებასაც უნდა ითვალ-



ისწინებდეს. ოჯახში, სადაც მამაკაცია, ქალი თავს დაცულად უნდა გრძნობდეს... რაც შეეხება იმას, რომ დიდი თუ პატარა, თანამედროვედ იცვამს და თითქოს ეს ჩვენს ტრადიციებს არ შეეფერება, არ ვეთანხმები. ადამიანმა ის უნდა ჩაიცვას, რაც უხდება და რაშიც კარგად გრძნობს თავს.

— **როგორც ვიცი, ქართული ეროვნული სამოსი ბევრჯერ გცმია. მოუხერხებელია?**

— გადაღებების დროს ქართული კაბა ბევრჯერ ჩამიცვამს. ამ დროს სულ სხვა ადამიანი, რაღაცნაირად ამაყი ვხდებოდი. სასიამოვნოა, მაგრამ ყოველდღე ასეთი სამოსის ჩაცმას ვერ შეეძლებ — შარვალზე უარს ვერ ვიტყვი (იციანის).

— **ქართული სუფრის ტრადიციებზე რას იტყვი?**

— ძალიან მომწონს, მაგრამ ბევრი რამ თამადახეა დამოკიდებული. მან ლაპარაკით თავი არ უნდა მოგაბნეროს, სუფრის წევრებს გართობის საშუალებაც უნდა მისცეს. სხვათა შორის, ჩემს შვილსაც ისე ვზრდი, რომ მან ტრადიციებს პატივი სცეს. იცი, ის არ სვამს „კოკა-კოლას“ და სხვა გაზიან სასმელებს, სამაგიეროდ, გიჟდება ღვინოზე. ამ ერთი წლის წინ სადღეგრძელოების თქმაც ისწავლა. მოკლედ, კაცია, რა!

— **ამბობენ, თინიქაჰებმა ქართული ტრადიციები „დაიკვიდესო“. ამ მოსაზრებას ეთანხმები თუ არა?**

— ყველას თავისი გაგებით გაუმარჯოს. კარგი იქნება, ტრადიციებს თუ არ მივიწყებენ და უფროსების აზრსაც გაითვალისწინებენ, მაგრამ ყველას აქვს უფლება, ისე იცხოვროს, როგორც უნდა...

წილია:

„ქართული ტრადიციების შესახებ თანატოლების მოსაზრებამ ძალიან აღმაშფოთა. მე დიდ პატივს ვცემ თითოეულ ჩვენს ტრადიციას და ვამაყობ, რომ ქართველი ვარ. რადგან ქართული ტრადიციები და სარწმუნოება კრძალავს სიშიშველეს და „გელფრენდ-ბოიფრენდის ინსტიტუტს“, ამის გამო უნდა „დავიკიდოთ“? სხვა ერებისგან განსხვავებით, რომლებიც საუკუნეების წინ გადაშენდნენ, ჩვენ აქამდე იმიტომ მოვალნიეთ, რომ საკუთარ ადათებს არ ვლაღატობდით. სწორედ ახლა გვჭირდება ძველი შემართება, რათა ამ გლობალიზაციის პერიოდში საერთოდ არ გავქრეთ და არ დავეკარგოთ მეობა. ამერიკა და ევროპა ახლა რომ ყვირიან გენდერული თანასწორობის შესახებ, ამაზე დიდი შოთა XII საუკუნეში წერდა. ხალხნო, ნუ დავივიწყებთ, ვისი გორისანი ვართ. მე მწარე პატრიოტი და საქართველოზე გიჟურად შეყვარებული გახლავართ.“

იპუშპაძე:

„ჩემი თაობის ახალგაზრდების აზროვნებამ აღმაშფოთა. სამწუხაროდ, ყველა ჩვენს ტრადიციას ვერც მე ვიცავ, მაგრამ პატივს ნამდვილად ვცემ და მომწონს. უნდა ვეცადოთ და ერთმანეთს დაეუყვაროთ XXI საუკუნის ახალგაზრდების მოთხოვნილება და ძირძველი ტრადიციები. ისეთ ოჯახში ვარ აღზრდილი, უფლება არ მაქვს, მას ზურგი შევაქციო, პატივი არ ვცეთუმცა ვფიქრობ, „ქალიშვილების ინსტიტუტის“ არსებობა მხოლოდ ნაადრევი და არამყარი ოჯახების შექმნას ემსახურება. ხალხო, ვეცადოთ, პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს, მიუხედავად ასაკისა, სქესისა და აზროვნებისა. უფროს თაობას მიინდა ვთხოვო, — ნუ გაგვიცხავთ იმის გამო, რაც დრომ მოიტანა. ჩვენ უბრალოდ, ვალდებული ვართ, თანამედროვეობას ფეხი ავუწყყოთ.“

ლეიუჩია:

„ახლა დავამთავრე ქართულ ტრადიციებზე სტატიის წაკითხვა და სურვილი გამიჩნდა, მომენერა. ამ ხალხის გამკვირვებია. ქართველი ახალგაზრდების 90%-ს ქართული ტრადიციები არ მოსწონს (რაღაცები მეც არ მომწონს, მაგრამ ასეთი კატეგორიული არ ვარ), მაგრამ დღეს ექსკურსიაზე ვიყავი და მთელი გზა, ავტობუსში ძველქართულ სიმღერებს მღეროდნენ, მერე კი ღვინო ქართული სადღეგრძელოების თანხლებით სვეს. აბა, ტრადიციები არ მოგწონსო?.. ვერ ვხვდები, უფროსები ჩვენს თაობას რატომ ლანძღავენ? როცა საკუთარი ამბების მოყვალას იწყებენ, მათ პირდაღებულნი ვუსმენ და ჩვენ რა უკვირთ? ძალიან მაგარი თაობა ვართ, ერთი-ორი გამონაკლისი კი ყველგან და ყველაფერშია.“

უპ
უპ
უპ

„მთქმელი ლოველი“, ფეინისტვის კლუბი და სკილ-მზარე პრინცესა



„გზის“ №22-ში დაიბეჭდა 18 წლის ნილბოსნის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ თავიანთი მცემლები არასდროს აკლდა, მაგრამ ვერავინ შეიყვარა. ამბობდა, — ჩემი თანატოლები მათე შეყვარებულს იცვლიან, მე კი ჯერ არც ერთი მყოლიაო. მაგრამ ამაზე მეტად, გოგონას ის ანუხებს, რომ ვილაცები გამუდმებით ეკითხებიან: როგორ, „ლოვე“ არასდროს გყოლიაო? — და ამით გოგონას თავს აბეზრებენ.

ანუ რა არის სიყვარული?

ბრუნება:

„ჯერ მთელი ცხოვრება წინ გაქვს და ნურაფერს დარდობ. შენ აუცილებლად შეხვდები იმ ერთადერთს, რომელსაც ყოველთვის ეყვარები. ხალხის ქორაობას ყურს ნუ უგდებ. კარგი გოგო ხარ.“

ლუნა:

„ჩემო კარგო, შენ თუ არ იცი, მე გეტყვი, რა გრძნობაცაა სიყვარული: როდესაც შეყვარებული გყავს, ბედნიერებისგან ღრუბლებში დაფრინავ (ტყუილად კი არაა ნათქვამი: სიყვარული დაფრინავსო!), არავინ და არაფერი გაინტერესებს, მხოლოდ კარგს ხედავ, ყველაფერი გიხარია და შეყვარებულის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად გეჩვენება, მაგრამ ბოლოს, სიყვარულს ყოველთვის ტანჯვა, ცრემლები, გულსტიკვილი მოსდევს. ზოგჯერ ის გვიყვარდება, ვინც არ უნდა შევიყვაროთ. დამიჯერე, მალე შენც გენჯვება ნამდვილი სიყვარული და მიხვდები, რომ ეს ტკბილ-მწარე გრძნობაა.“

პახალი სალომა:

„ვიცი, გინდა, ვინმე გიყვარდეს, მაგრამ ამ სიყვარულმა შენც საყვარელადამიანად უნდა გაქციოს. თუ ჯერ არავინ გყვარებია, ეს ტრაგედია არაა. გგონია, ვინც ამბობს, — „ლოვე“ მყავსო, მათ ერთმანეთი მართლა უყვართ? არა, უბრალოდ, ახლა ამის თქმა მოდაშია. დაიმახსოვრე: სიყვარული ძალდატანებით არ მოდის.“

ბანის მაძიებელი:

„თუ არავინ გყვარებია, ვერც ჩვენი რჩევით შეიყვარებ ვინმეს. ბოლოს და ბოლოს, რობოტი ხომ არ ხარ, რომ დაგაპროგრამოთ? სიყვარულს თუ არ ეძებ, მერწმუნე, ის თავად გიპოვის, ხოლო თუ გზაში ასცდით ერთმანეთს, შეგიძლია, ფეინისტების კლუბის პრეზიდენტობაზე კენჭი იყარო. ხალხნი, ყველანი არჩევენზე! ხმის მიცემა დაინყო. მე ნილბოსანს ვაძლევ ხმას, თქვენ? P.S. ლიკა, ყველა გაჭირვებულისთვის დედა ტერეზა ხარ, რა.“

პარიზანა:

„ნაცნობი სიტუაციაა. მე 19 წლის ვარ და შეყვარებული არასდროს მყოლია :). მერე რა? სულ არ მინტერესებს, რას იტყვიან ის ტუტუცი გოგონები, ბიჭებს კისერზე რომ ეკიდებიან. იცხოვრე შენი ცხოვრებით და ადამიანთან მხოლოდ იმიტომ ნუ იქნები, რომ ასეა მიღებული!“

ღუბლი-GIRL:

„ის, რომ შეყვარებული არ ხარ, სირცხვილი არაა. მეც მყავს 16 წლის დაქალი, რომელმაც ვერავინ შეიყვარა. სიყვარული თავისთავად უნდა მოვიდეს, ძალით ვერაფერს მიაღწევ! ალბათ, „ლოვე“ იმიტომ არ გყავს, რომ სერიოზულ სიყვარულზე ფიქრობ, ხოლო ერთკვირიანი ურთიერთობები არ გიბიძგავს. გული არ გაიტუხო, აუცილებლად იპოვი იმას, ვისაც ეძებ.“

პაპა, 19 წლის:

„19 წლის ვარ და ჯერ მეც არ მყვარებია, არც „ერთჯერადი ლოვე“ გამიჩენია. რატომ? — შენსავით, ნამდვილი სიყვარულის მოლოდინში ვარ. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ. გაკოცე.“

შოკა:

„რაც გადავიტანე, იმას სჯობდა, საერთოდ არავინ მყვარებოდა. ვისაც ჰყვარებია, ყველა იმას ტირის, რატომ მიყვარდაო, ხოლო ვისაც არ ჰყვარებია, პირიქით — რატომ ვერ ვეღირსე ამ გრძნობასო. ხომ გაგიგონია: ყველა ალხანას თავისი ჩაღბანა ჰყავსო. ჰოდა, შენი ჩაღბანა შენთან აუცილებლად მოვა.“

გაფიქრება:

„მეც შენს პონტში ვარ (ოღონდ, შენგან განსხვავებით, ბიჭი ვარ და თან, 20 წლის :)). არც მე ვიცი, რა გრძნობაა სიყვარული. სერიოზულად არავისთვის შემიხედავს. კარგ გოგოს რომ გავიცნობ, მაშინვე იმას ვცდილობ, სხვანაირ პონტში „შევეკრო“. არადა, ხომ შეიძლება, ვილაცაზე სერიოზულად ვიფიქრო?.. მართლა ძალიან ბევრ გოგოს ვუყვარვარ, მათ ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი, მაგრამ არავინ მიყვარდება და

რა ვქნა? მეშველება რამე? ბიჭებო, იქნებ, ასეთ პონტში თქვენც ყოფილხართ და მითხარით, რა ვქნა?“

წილია:

„მე რაღა ვთქვა? — 21 წლის ვარ და ენ. „ლოვე“ არასდროს მყოლია :) მთავარი ის კი არაა, შენზე ვინ რას იტყვის, არამედ მთავარია, იპოვო ის, ვინც შენი სულის ნაწილი და მეორე ნახევარია. იმ გოგონებს ნუ აპყვები, რომლებიც შეყვარებულს ხელთათმანივით იცვლიან. პირიქით, დაელოდე შენს ნამდვილ სიყვარულს, რომელსაც უფალი გამოგიგზავნის.“

წინ:

„ვითომ სიყვარულს სჯობს, ნამდვილ სიყვარულს დაელოდო... პატარა ვიყავი და მეგონა, მიყვარდა, მაგრამ თურმე, თავს ვიტყუებდი. უკვე 21 წლის ვარ და მხოლოდ ახლა მენჭია ნამდვილი სიყვარული. შენც დაელოდე, ჩემო კარგო, ეგ სირცხვილი არაა. აი, ჩემი დაქალი 22 წლისაა, არც მას ჰყოლია შეყვარებული, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ „უტყდება“ — თავის პრინცს მშვიდად ელის. წარმატებები!“

პანტაღია:

„ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. 10 შეყვარებულის გამოცვლას სჯობს, ერთს და ნამდვილს ელოდო. ვისაც უყვარს: როგორ, შეყვარებული არასდროს გყოლიაო? ნე-

„მოგჯერ ის გვიყვარდება, ვინც არ უნდა შევიყვაროთ“

ტავ, თავად თუ იციან, რა არის ნამდვილი სიყვარული? ჩემო კარგო, გულს ვერ უბრძანებ, — გინდა თუ არა, ვინმე შევიყვარეო! თუ გინდა, ვიმეგობროთ.“

თაისი:

„შენ უპრობლემობა განუხებს. მე 20 წლის ვარ, არც მე მყვარებია ვინმე, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ჩემს საახლოლოში ბევრი შეყვარებული წყვილია და თითოეულს უამრავი პრობლემა აქვს. არ ვამბობ, რომ შეყვარებულის ყოლა ცუდია, მაგრამ არც უმაგისობაა საშინელება. მომავალში

ორმხრივ სიყვარულს გისურვებ. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ“.

ტოპოლინა:

„ვისაც შენს ასაკში ბევრი შეყვარებული ჰყავდა, დამიჯერე, მათ ნამდვილი გრძნობა არ გამოუცდიათ. უბრალოდ, თამაშობდნენ. ის, რომ აქამდე არავინ გყვარებია, გასაკვირი სულაც არაა — მეორე ნახევრის პოვნა ძალიან ძნელია. სხვების აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევ და თავი არასდროს მოიტყუო. ნიღბოსანო, ნამდვილ სიყვარულს დაელოდე!“

აზიელი, 18 წლის:

„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი „პაკლო“ მყავს, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ. დაელოდე და აუცილებლად შეგიყვარდ-

სატანა:

„ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის. გული არ გაიტეხო. შეყვარებულების გამოცვლა არაფერს ნიშნავს. ბედი არ დაგეკარგება, დამიჯერე“.

ვის ააოლიძე:

„მეც მსგავს სიტუაციაში ვარ. ბიჭებისგან ყურადღებაც არ მაკლია. თან, ამ ბოლო დროს, ჩემ გარშემო ძალიან მაგარი მასტები ტრიალებენ და სიყვარულსაც მისხნიან, მაგრამ... იცი, რა? — მოდი, სწავლას მიხედ, სიყვარული კი თავისით მოვა, თანაც — ნამდვილი და წრფელი. წარმატებები!“

ლოლი:

„თუ არავინ გიყვარდება, ამაში სამარცხვინო არაფერია. ხალხის აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევ ადრე თუ გვიან, შენც გენევა სიყვარული. ისე, არც მე მყავს „ლოლი“ (ერთ

დროს მყავდა), ბიჭებისგან უყურადღებობას არც მე ვუჩივი, მაგრამ გულს არც ერთი არ ეკარება და რა ვქნა? თუ სურვილი გქონება, დამიკავშირდი. უფაღს ებარებოდე“.

იაშუბაძე:

„ჩემო კარგო, შენ კარგი გოგო ხარ და არ უნდა ინერვიულო. მერწმუნე, შეყვარებულების ცხვირსახოცივით გამოცვლაში, კარგი არაფერია. მეც ბევრი შეყვარებული მყავდა (ოღონდ, ზღვარს არასდროს გადავსულვარ) და ამიტომაც, ახლა, კაცების ფსიქიკას გადასარევიდ ვიცნობ. ჰოდა, ვფიქრობ, ჯობდა,

რომ შენსავით, უსიყვარულოდ მეცხოვრა (ცალმხრივად შეყვარებული არ ვიქნებოდი). შენ მაგარი გოგო ხარ, ხოლო ვინც დაგცინის, ისინი ბოლმიანები არიან — შენი შურთ, რადგან ასეთი პატიოსანი ხარ. გაიხარე. უდიდეს სიყვარულსა და ბედნიერებას გისურვებ. უსინდისო კაცებს თავი არ მოატყუებინო!“

ნათია:

მეც შენსავით ვიყავი, არავინ მიყვარებოდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავი შემაყვარა და შენც იმავეს გისურვებ!“

BLACK PANTERA:

„მე 16 წლის ვარ და არც ერთი „ლოლი“ არ მყოლია. ეს არაფერში მჭირდება, თავს მათ გარეშეც არაჩვეულებრივად ვგრძნობ. ჰო, უსაქმურების აზრი „დაიკიდე“ და ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. ვიმეგობროთ. მპუა“.

უცნობი:

„სიხარულო, მერე, ამის გამო ნერვიულობ? მე თუ მკითხავ, შეყვარებულის ყოლა სულაც არაა საჭირო. მეც შენი ასაკის ვარ და „ლოლი“ არც მე მყავს, მაგრამ ეს არ მადარდება. ეტყობა, ჭკვიანი გოგო ხარ და შენს ტოლებს არ ჰგავხარ — ყოველი მეორე ბიჭი რომ უყვართ. მერწმუნე, წრფელი სიყვარული აუცილებლად გენევა“.

NIKE:

„ჩემო კარგო, სხვების აზრი ასე რატომ განუხეხებს? თუ შენ არ გინდა, ვიღაცის ძალით შეყვარება რა საჭიროა? ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს გასაყვლეული და როცა საჭირო იქნება, მაშინ შესვდები შენს ბედ“.

„ქარგ გოგოს რომ გავიცნობ, ვცდილობ, სხვანაირ პონტაჟი „მევეჯერო“

ება ვინმე, მე კი ვიცი, რომ ეს გრძნობა არასდროს შენევა, რადგან თავად ასე მსურს. მოკლედ, სიყვარულს არ ველოდები, მაგრამ თუ მოვა, ხელს ნამდვილად არ ვკრავ. თუ გსურს, ვიმეგობროთ“.

ირა:

„ხომ გაგიგონია: სიყვარული გრძნობაა და არა — თანაგრძნობაა. ამიტომაც, ნუ გიკვირს, რომ ვერაინ შეიყვარე. დაელოდე და შენს გულში ვიღაც აუცილებლად შემოქვრება. გირჩევიან, ასე მოიქცე, ვიდრე პატარ-პატარა სიყვარულობანას თამაშით დაიღალო. ბედნიერებას გისურვებ!“

ლოვაზ:

„სირცხვილი ისაა, როცა ყველას „ემატკულები“ და მაინც, უსიყვარულოდ მოკვდები. ახალგაზრდა გოგო ხარ და ნეტავ, ვიცოდე, რა განუხეხებს? ნამდვილი სიყვარული ერთხელ მოდის და ნეტავ, გამაგებინა, რა „ლოლი“ ლაპარაკი? ვინც შენ გეკითხება: რას ჰქვია, „ლოლი“ არ გყოლია? — იმათ ჯერ რძე უნდა შეიშრონ პირზე, რადგან სიყვარული ისევე საჭმელი ჰგონიათ, მაგრამ მერწმუნე, ასე ნამდვილად არაა. შენს ასაკში გოგო რომ იტყვის, — მათე შეყვარებული მყავსო, ის სამკურნალოა. ჩემო კარგო, ბავშვების ტიკტიკს ყურადღებას ნუ მიაქცევ: სიყვარული თავად გიპოვის და გაგაბედნიერებს. P.S. დაიკო, ქუთაისელი ლომაუა დაგიბრუნდათ და იმედია, ხელს არ მკრავთ. გთხოვ, დამიბეჭდე. თქვენთან ვარ“.

ღია:

„როცა „გზა“ გადავშალე და ნიღბოსნის მესიჯი წავიკითხე, მეგონა, მე ვნერდი. ჩვენ შორის განსხვავება ის არის, რომ მე 19 წლის ვარ. სიყვარულს დამსახურება უნდა და ალბათ, მე ჯერ არ დამიმსახურებია. ეტყობა, არც შენ...“

03.03:

„ნუ ნერვიულობ, სიყვარული თავისით მოდის და არა — შეკვეთით. მერწმუნე, თავისუფლებას არაფერი სჯობს და ეს სულაც არ „ტეხავს““.

„ერთხელაც მოვიკლავ თავს და ღკვირსკენ...“

„როცა მცემს, ვერც გაქცევას ვახერხებ და ვერც — დაყვირებას...“

დიკი ანბაღ:

„გამარჯობა, ლიკა. 6 თვის ასაკიდან ბებიასთან ვიზრდებოდი. დედაც აქ ცხოვრობს. 16 წელი სიმწარეში გავლიე და დავიღალე. დედაჩემის ძმამ ანუ ბიძამ, სიცოცხლე გამიმწარა. ერთხელ, როცა დედა შინ არ იყო, მცემა და სისხლი მადინა ცხვირიდან. როცა მცემს, ვერც გაქცევას ვახერხებ და ვერც — დაყვირებას... დაქალების შინ მიყვანის უფლება არ მაქვს — ვინმე რომ მივიყვანო, ვიცი, მცემს. როცა ვუსმენ, მხოლოდ ეს მამშვიდებს. უკვე თავის მოკვლაც კი მინდა... ჰო, ჩემი 7 თვის ძმაც მეზიზღება... ამ ბოლო დროს, ბიძაჩემი ლოთობას მიეჩვია. ყოველი მისი დათრობა ცუდად მხდის. ერთხელაც მოვიკლავ თავს და დავისვენებ...“



P.S. თუ დიკი ანბაღის წერილის წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმისჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენ დახმარების იმედი აქვს და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (სადაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნას გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

ზიარი ძროხა...

ინგა ჩაყელი

ჯერ ზინა გამოთხოვილა სამეგრელოდან იმერეთში, ამბავო ცერცვაძეზე და რამდენიმე თვეში მისი ბიძაშვილი თამარა გახდა ამბავოს უმცროსი ძმის, მინაგოს ცოლი. მინაგოს ჯერ კიდევ ძმის ქორწილში დაუდგამს თვალი თამარასთვის და როგორც კი ესტუმრა ბიძაშვილს, აღარც აქნევინა პირი სამეგრელოსკენ...

ეს ამბავი დაახლოებით 50 წლის წინ მოხდა. მაშინ ძმები ჯერ კიდევ ბაბუის აშენებულ, ზიარ სახლში ცხოვრობდნენ და ბუნებრივია, ჯამ-ჭურჭელიც საზიარო ჰქონდათ და ლეიბ-საბანიც. ჰოდა, როცა სამეგრელოდან მზითევი ჩამოუვიდათ ბიძაშვილებს, არც მისი გაყოფა უფიქრიათ. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და არც იყო რამე გასაყოფი, ერთად რომ დადეს, იმიტომ გამოჩნდა რაღაცა, თორემ... არც თამარა იყო მილიონერების ოჯახიდან და მით უმეტეს, არც 12 და-ძმის პატრონი ზინა...

ყველაზე ღირებული მათ მზითევი ჯიშის ძროხა — ლაზაჯია იყო, რომელიც დილა-საღამოს იმაზე მეტ რძეს იწველიდა, ვიდრე ცერცვაძეების დანარჩენი 5 ძროხა ერთად ალბუღი. ლაზაჯიას (დღემდე არავინ იცის, რას ნიშნავს ეს უცნაური სახელი და ვის მოუვიდა აზრად ძროხისთვის მისი დარქმევა...) დამსახურება იყო, რომ ერთმანეთის მიყოლებით დაბადებულ, მინაგოს — 4 და ამბავოს — 5 შვილს საკვები არ მოჰკლებიათ რძის, მანვინის თუ ყველ-სულგუნის სახით, მათ ნითლად დაბრანულ ლოყებსაც ყველა ძროხის დამსახურებად მიიჩნედა და რა გასაკვირია, რომ ყველა სხვა ძროხის თავიდან მოშორება და ლაზაჯიას ნაგრამის მოჯიშება გადაწყვიტათ ოჯახში. ეგ კი არა, მეზობლები ჩადგნენ რიგში — ლაზაჯიას ხბოში ლამის სპილოს საფასურის გადახდაზე იყვნენ თანახმა, მაგრამ ამ ყველა სიკეთით შემკულმა ძროხამ არა და არ გააჩინა ფური. ყოველ წელიწადს სახარე ხბოებს იგებდა და ისე ბერდებოდა, თავისი ჯიშის ძროხის ღირსი არ გახდნენ ცერცვაძეები, რომლებიც იმაზე მეტად დარდობდნენ ლაზაჯიას დაბერებას, ვიდრე ლამაზი ქალის გაუთხოვრად დაბერებას განიცდიან ჩვენში. არადა, როცა უკვე აღარ ელოდნენ, სწორედ მაშინ იმაკა იმ დალოცვილმა და ბოლოს და ბოლოს, გააჩინა ფური, რომლის გაჩენასაც შეიძლება ითქვას, გადააყოლა თავისი „სახელოვანი“ სიცოცხლე: მშობიარობის შემდეგ აღარც წყალს დააკარა პირი და აღარც ბალახს, დანვა ბოსელში და მესამე დღეს მშვიდად დალია სული... კი ურჩიეს მეზობლებმა ცერცვაძეებს — დროზე დაკალით, რატომ უნდა იზარალოთ?!

— მაგრამ იწყინეს ძმებმა: მაგი იყო ჩვენი დედა და შვილების გამზრდელი, კანიბალები კი არ ვართ, მაგისი ხორცი ყელში რავა გადაგვივა და შეგვერგებო! — წაიღეს და მართლა პატივით დამარხეს ვენახის ბოლოში. მომდევნო ორ დღეს ტელევიზორიც არ ჩაურთავთ სახლში...

ლაზაჯიას სახელის უკვდავსაყოფად, მის შვილსაც იგივე სახელი დაარქვეს და ასლა ამბავოს უფროსმა ბიჭმა ნიკუშამ სცადა ბიძასთან მოლაპარაკება:

— ხომ იცით, გასაყოფები ვართ. ჰოდა, ასე მოვილაპარაკოთ: ლაზაჯია — ჩვენ, სახლი — თქვენ, მშვიდობაში მოიხმარეთ!..

— ვის რა ჭირად უნდა ბაბუაჩემის აშენებული, დაფხვილი ქოხი?! წელიწადი და ლაზაჯია დამიტოვე, ამისთანა ძროხის პატრონს დასახლება გამიჭირდება?! — ეწყინა მინაგოს და აქედან დაიწყო მანამდე ტკბილად მცხოვრები ცერცვაძეების განხეთქილება: ერთმანეთის ჯინაზე, ორივე ძმამ მართლაც, სასახლეები წამოჭიმა და ავეჯით აავსო. ეზოებიც ნალკოტს დაამსგავსეს...

ზიარი ძროხის პატრონებმა ასევე ზიარი ბოსელი საზღვარზევე ჩადგეს და თავთავიანთი ეზოებიდან გაუკეთეს შესასვლელი. მოილაპარაკეს — ერთ დღეს ერთი მოუვლიდა და მოწველიდა ძროხას, მეორე დღეს — მეორე... მათ ტანჯვას კი მაშინ მოეღებოდა ბოლო, როცა ლაზაჯია საფურეებს გააჩენდა და დაითითოვებდნენ. მაგრამ თითქმის თვალი ჰქონდა ნაცემი — ესეც სახარებს აჩენდა ყოველ წელიწადს... თამარამ და ზინამ გაღმა სოფლიდან შემოლოცვილიც კი გადმოუყვანეს, მაგრამ არ გაჭრა არც ამ მცდელობამ და ლაზაჯია 1-მაც მხოლოდ სიკვდილის წინ გააჩინა საფურე...

ძალიან რომ არ გადაგქანცოთ, გეტყვით, რომ ამ 50 წლის განმავლობაში მეშვიდე ლაზაჯია ჰყავდათ ცერცვაძეებს ზიარად და არც ერთმა ინდომა დათმობა, რის გამოც ხშირად ებუტებოდნენ ერთმანეთს. ამ ორი წლის წინ ისეთი სერიოზული ჩხუბი მოუვიდათ, ხმა აღარ გაუტიათ ერთმანეთისთვის აღარც მინაგოს და ამბავოს და აღარც თამარას და ზინას. ეგ კი არა და, ლამის სასამართლომდე მიიყვანეს საქმე იმის გამოსაძიებლად — ვისი ოჯახის საკუთრება იყო ლაზაჯია I, მაგრამ რადგან აღარც ზინას მშობლები იყვნენ ცოცხლები და აღარც თამარასი, დავინყებებს მიცემული სიმართლის დადგენა შეუძლებელი გახდა...



ბელი გახდა...

არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს დავა, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად, დილით ბოსელში შესულ ზინას (მისი რიგი იყო), ლაზაჯია გამქრალი რომ არ დახვედროდა და კივილი არ მოერთო... ძროხა ვილაცას ღამით გაეყვანა და ბაგაზე მოკლედ შეჭრილი ბანარი დაეტოვებინა. თავიდან მავლის ოჯახზე მიიტანა ეჭვი, მაგრამ თამარამ ერთი ამბავი რომ ატეხა და გულიც შეუნუხდა, მიხვდა — ქურდი სხვაგან უნდა მოეძებნათ...

ანარიალეს ცა და ქვეყანა, პოლიციას შეატყობინეს. ნამდვილად ვიცი — კერძო დეტექტივიც დაიქირავეს, მაგრამ ლაზაჯია ისე უკვალოდ გაქრა, აშკარად გატაცების ღამესვე ძვლებიანად დეტექტივით ნამდვილ თუ ორფეხა მგლებს. ეს ის დრო იყო, როცა პირუტყვის გატაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო საქართველოში...

გინდ დამიჯერეთ და გინდ — არა, მას შემდეგ შავი კაბა არ გაუხდია არც ზინას და არც თამარას. ძროხის დაკარგვას ვერ ინელებენ, თორემ საბედნიეროდ, ბებერი ქმრებიც ცოცხლები ჰყავთ და შვილებ-შვილიშვილებიც. მაგრამ ლაზაჯიას დაკარგვამ ის სიკეთე მაინც მოიტანა, რომ ძმების ოჯახები ისევე გააერთიანა საერთო დარდმა. გაყოფილი ეზოებიც „გაამრთელეს“ და სადილ-ვახშამიც საერთო აქვთ მოხუცებს, რომელთა შვილები და შვილიშვილები დიდი ხანია, ქალაქებში გადაბარგდნენ...


მთავარი არ დამავინყდეს: ეს ამბავი კარგა ხანია, ვიცი, მაგრამ ასლა რატომ გადაწყვიტე, იცით, მისი მოყოლა? გასულ ზაფხულს მომიხდა ცერცვაძეებთან სტუმრობა და „ზალის“ კედელზე — იქ, სადაც გარდაცვლილი წინაპრების პორტრეტებს კიდებენ ხოლმე, ამბავოს ოჯახში დაკარგული ლაზაჯიას სურათიც ვნახე დაკიდებული, ოქროსფერ ჩარჩოში. იქვე გავიგე, რომ სხენებული სურათის ასლს მინაგოს ოჯახშიც თვალისჩინივით უფრთხილდებინა...

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ეგზემა

კანის ეს ქრონიკული დაავადება რალაციტ ფსორიაზს ჰგავს და იმუნური სისტემის მუშაობასთანაა დაკავშირებული. ეგზემა კანის დერმატიტის მსუბუქი ფორმაა. ის შეიძლება, ადამიანს როგორც ჩვილობის ან ადრეული ბავშვობის, ისე ზრდასრულ ასაკშიც გაუჩნდეს. ეგზემის სიმპტომებია: კანის განითლება, აქერცვლა, მისი უსწორმასწორო ზედაპირი, გარქოვანება და ძლიერი ქავილი. ეგზემა ყოველ მათე ბავშვს ემართება, მაგრამ მოზარდობის ასაკში ანდა უფრო ადრეც გაუვლის ხოლმე.

ეგზემა ადამიანებს ხშირად ამ დაავადებისადმი მიდრეკილი გენების გამო უჩნდებათ. ამ მხრივ ყველაზე უფრო ხშირი მაჩვენებელი ახლო ნათესავეების ასთმითა და (СЕННАЯ) ციებით დაავადების შემთხვევებია. გარეგნულად ეს დაავადება სხვადასხვა ადამიანში შეიძლება, სულ სხვადასხვაგვარად და სხეულის სულ სხვადასხვა ნაწილზეც გამოიყვანდეს. ზრდასრულებს ეგზემა, უფრო ხშირად, ხელის მტევნებზე, იდაყვებზე და, აგრეთვე, იდაყვებისა და მუხლების მოხრის ადგილებში უჩნდებათ, პატარა ბავშვებს კი ხშირად კისერსა და თავის კანსაც უზიანებს.



ეგზემის გარენის მიზეზები:

ამ დაავადების გარენის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ ძირითადი, დღემდე დაუდგენელია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზი — ალერგიული რეაქციებისადმი, (СЕННАЯ) ციებისადმი, ასთმისა და სასუნთქი გზების სხვა დაავადებებისადმი საერთო მიდრეკილებაა.

ეგზემით დაავადების ძირითადი მიზეზებია:

- ტემპერატურა და ტენიანობა. ტემპერატურული რეჟიმის მკვეთრი ცვლა ან მომატებული ტენიანობა არცთუ იშვიათად უკეთებს პროვოცირებას კანის მსგავს რეაქციებს.
- ვენების ვარიკოზული გაფართოება. ამის გამო გამოწვეულ ეგზემას, რომელიც ფეხებს მუხლს ქვემოთ აზიანებს, სტატიკურ ანდა ვარიკოზულ დერმატიტს უწოდებენ.
- კანის მექანიკური გაღიზიანება. მისი გამოწვევა უხეში ან მჩხვლეთავი მასალისგან, მაგალითად, შალისგან დამზადებულ ტანსაცმელს შეუძლია.
- კანის სოკოვანი დაავადებები.
- სასუნთქი გზების ალერგია. მაგალითისთვის — ალერგიულ სურდოს, რომელიც ადამიანს საყოფაცხოვრებო და მცენარეთა მტვერთან, ცხოველთა ბენჯთან, ალერგენტთან ხანგრძლივი ტაქტილური კონტაქტის შემთხვევაში ეწყება, შეიძლება, კანის გაღიზიანებაც მოჰყვეს.
- სხვა შესაძლო მიზეზი ის ქიმიური გამლზიანებლებია, რომ-

- ლებიც საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას — კონტაქტურ დერმატიტს იწვევს. დერმატიტი კანზე ისეთი ნივთიერებების მოხვედრით იწყება, როგორცაა ძრავას ზეთი ანდა ბენზინი, გამწმენდი და საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები.
- ძლიერი განცდები ან ხანგრძლივი სტრესი.
- საკვების ალერგია. საკვების ალერგია და ეგზემა ყველაზე ხშირად პატარა ბავშვებშია ერთმანეთთან დაკავშირებული. საზოგადოდ გავრცელებული „საბავშვო“ ალერგენებია: კაკალი, თხილი, კვერცხი და რძის პროდუქტები.
- ფიზიკური დატვირთვის, ღელვის, სამუშაო ადგილზე არსებული მაღალი ტემპერატურის ან სინთეტიკური ტანსაცმლით გამოწვეული ძლიერი ოფლიანობა.

- ბაქტერიული ანდა ვირუსული ინფექციები, რომლებიც შემდგომში შეიძლება, ეგზემაში გადაიზარდოს.
- სხვადასხვა ქიმიური გამლზიანებელი, კერძოდ, სასუქები, საღებავები, სპირტი, აცეტონი, სუნამოები, ტუტე საპონი, სარეცხი და გამწმენდი საშუალებები ეგზემას მასინ იწვევს, როცა მათი ხშირი გამოყენებისას ხელებს სათანადოდ არ ვიცავთ.

ეგზემის ზოგიერთი სხვა სიმპტომი და გამოვლინება:

- ზოგ შემთხვევაში, ეგზემა კანს არათანაბრად აზიანებს. ქერქის ნაცვლად, კანზე ბუშტუკები ჩნდება, რომლებიც შემდეგ სკდება და იარებად გადაიქცევა.
- ქრონიკული ეგზემის დროს კანი ძალიან შრება, სქელდება და რქოვანდება.
- ტუჩების გარშემო შესამჩნევად უფრო ღია ფერის კანი შეიძლება, ეგზემის გამოვლინება იყოს.
- ხელისგულებზე მატულობს ხილული ხაზების რაოდენობა.
- ეგზემა ყველაზე უფრო ხშირად სახეს, ხელის მტევნებს, იდაყვებს, მუხლის სახსარს, კისერს, ხერხემალს და გენიტალიებს აზიანებს.
- ეგზემის დროს შეიძლება, რამდენიმე პატარა ჩირქგროვაც წარმოიშვას, რომლებიც ხელის მსუბუქი დაჭერისთანავე სკდება.
- კანის დაზიანებული ადგილების (მაგალითად, დაბეჭდილი ადგილების) დასნებოვნება.
- ქალებში ეს შეიძლება, ციკლის განმავლობაში არსებული დისბალანსი იყოს.
- ზოგიერთ ადამიანს კანის ზედაპირზე ისეთი ნახეთქები უჩნდება, რომელთა გამოც კანი იმდენად შრება, რომ ელასტიკურობას სრულიად კარგავს. ეგზემის მსგავსი გამოვ-

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია www.elva.ge წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 კვ. ფაჩა | 5 თვე |
|----------------------------------|------------|-------|
| 1. რუბინის ლექსები | 0.80 | 11.2 |
| 2. ЗДОРОВЬЕ | 6.00 | 36.0 |
| 3. КАРДИОЛОГИЯ | 14.00 | 84.0 |
| 4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА | 11.00 | 66.0 |
| 5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ | 9.55 | 57.3 |
| 6. МЕДИЦИНА ТРУДА | 14.00 | 84.0 |
| 7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС | 59.95 | 359.7 |
| 8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ | 9.55 | 57.3 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები E-mail: elva@kvispalitra.com

პრესის გაერთიანების სააგენტო
ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

ლინება უფრო გამონაყარს მოგვაგონებს.

● ეგზემის არსებობა ძირითადად ხელებსა და ფეხებზე განლაგებული სითხით სავსე პატარა ბუშტუკებითაც დასტურდება.

● ატოპიური ეგზემა, ჩვეულებრივ, იდაყვების, მკერდისა და ყელის კანს აუხეშებს.

● პიგმენტის ხანგრძლივი კარგვის გამო იცვლება კანის ფერი.

● კანის დაზიანებულ ნაწილებზე შეიძლება, მუქი ლაქები გაჩნდეს.

● სხეულის დაზიანებული ნაწილები (განაკუთრებით კიდურები) არცთუ იშვიათად შუბდება კიდეც.


● ეგზემას შეიძლება, თან ფსიქიკური პრობლემებიც — უძილობა, გაღიზიანება, თავბრუსხვევა, ყურადღების გაფანტვა, გულმავიწყობა, ადრე შემჩნეული ალერგიის შეტევები ახლდეს.

ვაჯაიის მაკურნალობა:

● ეგზემის კომპლექსური მკურნალობის ძალზე მარტივი, მაგრამ აუცილებელი კომპონენტი დამატენიანებელი კრემის წასმაა. თანაც ამ დროს კანი რაც შეიძლება, ძლი-

ერად უნდა დაიტენიანოთ.

● მსუბუქი მკურნალობა ფოტოთერაპიაა. ეს მეთოდი ეგზემით შეწუხებულ ბევრ ადამიანს ძალზე ეფექტურად შველის. ფოტოთერაპიის დროს გამოიყენება UVB სხივები და, აგრეთვე კომბინაცია PUVA, რომლის



დროსაც პაციენტი პრეპარატ ფსორალენს, ორი საათის შემდეგ კი UVA გამოსხივების განსაზღვრული დოზის დასხივებას იღებს.

● ეგზემიან პაციენტებს ჰიპერმგრძობიარე კანი აქვთ. ამიტომაც ისინი უნდა მოერიდონ ყველაფერს, რაც კანს აღიზიანებს და აშრობს.

● ტროპიკული მცენარეების საფუძველზე დამზადებული კორტიკოსტეროიდები ხსნის სინითლეს და სწორად გამოყენების შემთხვევაში, კანისთვის სრულიად უსაფრთხოა. მსუბუქი კორტიკოსტეროიდები ბავშვებშიც და თვით კანის დელიკატური ნაწილების სამკურნალოდაც კი გამოიყენება.

● ანტიბიოტიკებით, ანტივირუსულ და სოკოს საწინააღმდეგო საშუალებებით მკურნალობა ამცირებს დაზიანებულ ტერიტორიას და ხსნის შეშუპებას.

● კანი რომ ზედმეტად არ გამოგიშრეთ, შხაპი დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღოთ.

● სედატიურ ანტიჰისტამინურ საშუალებებს ზოგჯერ ძლიერი ქავილით გამოწვეული მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად იყენებენ.

● იმუნომამოღულირებელი საშუალებების მიღებით, კანის ანთებით პროცესს გაიკონტროლებთ.

● ღამის იის (ночная фиалка) ექსტრაქტს ზოგჯერ ეგზემის სიმპტომების შესამსუბუქებლადაც იყენებენ. ის ცხიმოვანების დონეს ამალბებს და კანს უფრო რბილსა და ელასტიკურს ხდის.

სიასლა!

ჩანართი პათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ქურნალში

სასლუი პატარა ჰყავს

ვაჯაიის პედიატრი



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე




ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძა



საქართველო

ამერიიდან, „გზავნილებთან“ ერთად კიდევ ერთ ჩანართს შემოგთავაზებთ:

„ცხოვრება“

ალბათ ბევრი განმარტებასაჭირო არ არის: „ცხოვრება“ ჩვენს მრავალმხრივ

ცხოვრებაზე მოგვითხრობს – სიყვარულზე, ძმობაზე, ერთგულებაზე, ტალახზეც, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რითიც ცხოვრება გაცილებით მოულოდნელი და ფანტასტიკურია, ვიდრე ნებისმიერი გენიოსი მწერლის ფანტაზია...

თქვენთვის,

ქალბატონებო!

სიახლეს კი იმ რუბრიკით ვინწყებთ, რომელმაც უკვე კარგა ხანია, დიდი პოპულარობა მოიპოვა გაზეთ „კვირის პალიტრის“ მრავალრიცხოვან მკითხველებს შორის, — „თქვენთვის, ქალბატონებო!“

„ცხოვრების“ ფურცლებზე ამ რუბრიკის პერსონაჟთა გულის ამაჩუყებელი თავგადასავლის გაგრძელებას გაეცნობით.

ვახუშტაძის სიყვარულის სეზონი

მარინა ბაბუნაშვილი

სწორად ცხოვრებას წისქვილის დოლაბს ადარებენ... ის დალოცვილი ტრიალებს, ბრუნავს, ფქვავს და ფქვავს ხან თეთრ, ქათქათა, ხან — მოყვითალო-მონაცრისფრო დღეებს. სწორედ ასეა ჩვენი ცხოვრებაც ჭირთა და ლხინით, ბოროტებითა და სიკეთით, ცრემლითა და სიხარულით, ტკივილითა და სიამით, ცუდითა და კარგით, ათასგვარი მოულოდნელობით აღსავსე და მაინც, ბედნიერებაა ამქვეყნად ადამიანად მოსვლა...



როცა „კვირის პალიტრაში“ რუბრიკა — „თქვენთვის, ქალბატონებო“ — დაიბადა, გადამწყვეტილი გვექონდა, ყველა საკითხი გაგვეშუქე-


ბინა, რომელიც ქალბატონებს აინტერესებთ. ცოტა ხანში, რედაქციაში მოსულმა რესპონდენტებმა, წერილებმა თუ გამოხმაურებებმა რუბრიკა ეწ.

„ჩარჩოდან“ გაათავისუფლა და მკითხველისთვის სასურველ გზით წაიყვანა. ადამიანურ ურთიერთობები, სიყვარული, ლალატი, ერთგულება — ეს ი

თემებია, რომლის მიმართაც მკითხველს ინტერესი არ უნელდება. თავდაპირველად, რესპონდენტები ვინაობას არ მალავდნენ. ვატყობდი (ამას თავადაც აღიარებდნენ), ამის გამო ბევრი რამ უთქმელი რჩებოდათ. მერე ჩვენ შორის შეთანხმება შედგა — თუ ინკოგნიტოდ დარჩებოდნენ, ყველაფერს დაწვრილებით და

**ამბავი პირველი:
სელოვნურად შექმნილი სამკუთხედი**

როცა ლიზის პირველად შევხვდი, სახეზე ეტყობოდა, რომ დიდ სულიერ ტკივილს განიცდიდა. თავისი ამბის თხრობა ასე დაიწყო: „ცოდვა ღვთის რისხვას და უნებურად



გულახდილად მიაშობდნენ და წერილების ტალღაც უწყვეტ ნაკადად წამოვიდა.

მკითხველი ხშირად გვიკავშირდებოდა და ინტერესდებოდა — როგორ გაგრძელდა ამა თუ იმ ამბის „გმირების“ ცხოვრება. ადამიანები რესპონდენტთა ცხოვრების უბრალო მკითხველებად კი არ დარჩნენ, არამედ მათ გულშემატკივრებად გადაიქცნენ. გაჩნდა იდეა — ხომ არ გამეგრძელებინა და დაინტერესებული მკითხველისთვის მომეთხრო ესა თუ ის ამბავი, რომელიც ჩემთვის ცნობილია?

ფიქრობ, „კვირის პალიტრაში“ დაწყებული ამბის გაგრძელებას ჩვენი მკითხველი ინტერესით გაეცნობა „გზის“ ფურცლებიდან.

თავდაპირველად, მოკლედ შეგახსენებთ ამბავს, რომელიც 2002 წლის 2 დეკემბერს, „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა: „ცოდვა, რომელმაც სიცოცხლე სანანებლად გამიხადა“. მერე კი, რესპონდენტებთან შეთანხმებით, ამბის გაგრძელებას შემოგთავაზებთ.

ჩადენილიც კი მთელი სიცოცხლე არ მოგასვენებს. არადა, ერთხელ მაინც ხომ უნდა ამოთქვა ის, რაც განუხებს?! იმ საშინელი დღიდან ორი წელი გავიდა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიდანაშაულებ თავს. როცა თქვენს გაზეთში გზაკვალარეული ადამიანების ამბებს გავეცანი, მივხვდი, მეც იგივე უნდა გამეკეთებინა — ჩემი ამბავი მომეთხრო“.

ლიზის ცხოვრებაში დაღმასვლა იმით დაიწყო, რომ მშობლებმა საქმრო მისი სურვილის წინააღმდეგ შეურჩიეს, ქალიშვილს კი თავის გულის სწორთან ურთიერთობა აუკრძალეს. ლიზის ერთი ჩვეულებრივი, თბილისელი ბიჭი, კახა უყვარდა, რომელიც სპორტით იყო გატაცებული. მშობლებს შეძლებული ოჯახიშვილი, სერიოზული საქმით დაკავებული შალვა მოსწონდათ. ლიზის არც ჰკითხეს, ისე დანიშნეს ქორწილი. გოგონამ ქალურ ეშმაკობას მიმართა: იფიქრა, — იქნებ, შალვას თავად ვათქმევინო ჩემზე უარიო,

— და მარტო რომ დარჩნენ, საქმროს „გამოუტყდა“: შეყვარებული მყავს და მისგან ბავშვს ველოდებიო. შალვას უზომოდ შეჰყვარებოდა ლიზი, ამიტომ ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, ხმაგაბზარულმა უთხრა: ჩემზე მეტად არავის ეყვარები, გააჩინე ბავშვი, ყველას ვეტყვი, რომ ის ჩემია და მასზე ისე ვიზრუნებ, როგორც საკუთარ შვილზეო... ლიზიმ და შალვამ იქორწინეს. გავიდა დრო. შეეძინათ ორი ვაჟი. შალვა ცოლ-შვილს არაფერს აკლებდა, მაგრამ ლიზისთვის ცხოვრება მდორედ მიედინებოდა. ვერა და ვერ შეძლო შალვას შეყვარება.

როგორ არ არსებობს ბედისწერა?!

12 წლის შემდეგ, ბაკურიანში ლიზი და კახა ერთმანეთს სრულიად შემთხვევით შეხვდნენ. შალვას იმ დროს უამრავი საქმე ჰქონდა სამსახურში და ცოლ-შვილთან ერთად წასვლა ვერ შეძლო. კახასა და მის მეგობარს კი ბავშვთა სპორტული ჯგუფი ჰყავდათ სავარჯიშოდ წაყვანილი. მათი ურთიერთობა აღდგა. კახა კვლავ უცოლო იყო და სურდა, ლიზი თავის შვილებიანად წაეყვანა თავისთან...

თბილისში დაბრუნებულმა ლიზიმ ვეღარ შეძლო ტყუილით ცხოვრება. მით უმეტეს, რომ მისი ადრინდელი, ქალური ეშმაკობა ამჯერად აცხადდა: ერთ მშვენიერ დღეს ქმარს გამოუტყდა, — იმ კაცისგან ვარ ორსულად, ვინც დღემდე მიყვარსო. თუ შალვა ადრე მზად იყო, ლიზის ბავშვი საკუთარი შვილივით გაეზარდა, ამჯერად საშინელი რეაქცია ჰქონდა. მან ლიზის მკაცრად მოსთხოვა ბავშვის მოცილება. ლალატის მიუხედავად, კვლავ ისე უყვარდა ცოლი, რომ მის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა. ლიზი კი განშორებას მოითხოვდა. შალვა დაემუქრა: — იცოდე, თავს მოვიკლავ, მანამდე კი ყველას გავაგებინებ შენს „კარგ ქალობასო“. ისეთი სახე ჰქონდა, ქალმა უკან დაიხია. შალვას მოთხოვნაც შეასრულა — ექიმთან წავიდა და ბავშვი მოიცილა. იმ დღიდან ქმარი საბოლოოდ შეიძულა.

ბოლო ხანს, შალვას სამსახურში საქმეები აენუნა.

ლიზის გაანდო — ისეთ ფინანსურ მაქინაციებზე მაქვს ხელი მონერილი, რომ ციხე არ ამცდებო. მერე ირონიულად დაუმატა — შენც მეტი რა გინდა? იმ შენს კახასთან „გაჯეჯილდებო“!.. ერთხელაც, სამსახურიდან აღარ დაბრუნდა. გამთენიისას ლიზის გააგებინეს, შალვამ რევოლვერით თავი მოიკლაო. საშინელ დღეში ჩავარდა ქალი. ფაქტი შემზარავი იყო, მაგრამ ლიზი ორმაგად განიცდიდა ქმრის სიკვდილს. ჯერ ერთი, მართლა შეებრაღა სასიკვდილოდ, მეორეც, ერთი აკვიატებული ფიქრი ტვინს უბურღავდა — ვაითუ, მე მიმიძღვის ბრალი მის თვითმკვლევლობაში, იქნებ, ჩემი გულცივობის გამო გადადგა ეს საბედისწერო ნაბიჯი?.. ცოტა ხანში მოახერხა და შვილები სასწავლებლად, საზღვარგარეთ გაუშვა. მარტო დარჩენილი უფრო მეტად ჩაეფლო დარდსა და მწუხარებაში.

„თვითონ იმ ქვეყნად წავიდა, მე კი სიცოცხლე სანანებლად გამიხადა. რა ვქნა? ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მეც ხომ არ გადავდგა საბედისწერო ნაბიჯი? თანდათან უფრო მეუფლება სასონარკვეთა“, — ასე დაასრულა ლიზიმ ჩემთან საუბარი...

აგაპი გორა:

6 წლის უმეღბა

ლიზიმ შალვას სიკვდილის მერე კახასთან ურთიერთობა განწყვიტა. მისი სახელის ხსენებაც კი აღარ უნდოდა. ხანდახან მაინც გაუელვებდა თავში — მან რაღა დამიშავა? მე ვარ ცოდვიანიო!..

შვილები უკვე დიდები ჰყავდა. უმცროსმა აღარ მოისურვა თბილისში დაბრუნება; გერმანიაში დარჩა, გერმანელი შეირთო ცოლად. უფროსი კი დაბრუნდა, დედა ვერ მიატოვა. ამან ლიზი გამოაცოცხლა. მერე უფროსი ვაჟიც დაქორწინდა. ლიზი ახალგაზრდა ბებია გახდა. თავის სეხნია შვილიშვილთან ერთად რომ გაივლიდა, ყველას, დედაშვილი ეგონა. პატარა სულ მასთან იყო, რადგან ვაჟი და რძალი სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდნენ. შვილიშვილმა მეტი ხალისი შემატა ლიზის. მართალია, ქალი მთელი დღე

ბავშვითა და საქმით იყო დაკავებული და ფიქრისთვის არ ეცალა, მაგრამ ლამით მარტო დარჩენილს კვლავ წარსული ახსენებოდა. წარსულის განუყოფელი ნაწილი კი კახა იყო. ისიც არ იცოდა, დაოჯახდა თუ არა.

და ისევ ეს უცნაური და აუხსნელი ბედისწერა!..

მზიანი, კაშკაშა დილა გათენდა. ლიზიმ შვილიშვილი ასაუზმა, ჩანთაში საგზალი ჩაალაგა და გეზი კუს ტბისკენ აიღო. ახლა ის შვილიშვილის ტოლი იყო და მისი თვალებით უცქერდა სამყაროს. ტბაზე წყლის ველოსიპედით გაასეირნა ბავშვი, მერე ბურთიც ითამაშეს. ცოტა ხანს იქვე, ნაპირზე ჩამოსხდნენ, მაგრამ გოგონა აქეთ-იქით დარბოდა და არ ისვენებდა. უეცრად, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო, ისე გაუხურდა კეფა. ჩრდილში გადანაცვლება გადაწყვიტა. წამოდგა, უკან გაიხედა და სწორედ მაშინ წააწყდა მამაკაცის დაჟინებულ მზერას. ნაცნობი და დიდი ხნის მონატრებული თვალებიდან სითბო იღვრებოდა.

— კახა! — ტკივილთან ერთად, სიხარულიც იგრძნო ლიზიმ. ერთმანეთს მიუახლოვდნენ. განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალი ერთ რამესღა ნატრობდა — არ ნაქცეულიყო.

— როგორ ხარ? — ისე თბილად მოიკითხა კახამ, რომ ტირილი მოუნდა. მერე კითხვა შეუბრუნა:

— შენ? შენ როგორ ხარ? ამდენ ხანს რატომ არ ჩანდი?

— ხშირად მივდივარ საქართველოდან: ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვარ, სპორტულ შეჯიბრებებში ვმონაწილეობ.

ათასი რამ აინტერესებდა ლიზის, მაგრამ ბურთი გაეჩხირა ყელში, სიტყვა ვეღარ დაძრა. კახა მიხვდა, რა დღეშიც იყო ქალი, მაგრამ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა თავადაც... ბავშვს მიუბრუნდა, მოეფერა, მერე კი უთხრა, — ცოტა ხანს დაგტოვებ, ერთ საათში გავთავისუფლდები და სადმე კაფეში დავსხდეთო. პასუხს არც დალოდებია, ისე წავიდა.

დრო საშინლად გაიწელა. თითქოს მთელი ცხოვრება

გავიდა. არადა, მართლაც, ასე იყო. ლიზის თვალწინ ფილმის კადრებივით გაიელვა წარსულმა. ახლავა გამოუტყდა თავს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე კახა ტკივილამდე ენატრებოდა. ისიც აღიარა, რომ შალვას წინაშე სულ ტყუილად იდანაშაულებდა თავს. კახასთან უფრო ტყუოდა: ორჯერ ჰქრა ხელი და ზურგი შეაქცია...

— აი, მეც მოვედი! — ღიმილით თავს წამოადგა კახა და ფიქრებში ჩაძირული გამოაფხიზლა...

გვიანობამდე ისხდნენ კაფეში. პატარა ლიზის ყველა სურვილი აუსრულა „კეთილმა ბიძიამ“. კახას ეცინებოდა: ბიძია კი არა, ბაბუა უნდა დამიძახოო, — ეუბნებოდა გოგონას.

სახლამდე თავისი მანქანით მიიყვანა. ლიზი მანქანიდან გადმოვიდა და სანამ დაემშვიდობებოდა, ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა:

— ჰო, მართლა, დაოჯახდი თუ არა?

— შენ როგორ ფიქრობ? შენ გარდა, სხვას ვის მოვიყვანდი?! — უპასუხა კახამ.

ლიზიმ შვებით ამოისუნთქა, მერე დაემშვიდობა და ბავშვთან ერთად, კიბეს აუყვა...

ის ღამე თეთრად გაათენა. „ნუთუ, ღმერთს ჩვენი ერთად ყოფნა უნდა?! — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — მაშ, ამდენი წლის მერე ისევ რატომ შევხვდით ერთმანეთს? რაღა მაინცდამაინც გუშინ გადავწყვიტე კუს ტბაზე წასვლა?! ხომ შეიძლებოდა, რაღაცას შეეშალა ხელი?!“

დილით, ფიქრში თეთრად გათენებული ღამის მერე თავი ისე ჰქონდა დამძიმებული, აზროვნებაც უჭირდა. მერე ნელ-ნელა ყველაფერი ხელახლა გაიხსენა, თითოეული სიტყვა, ჟესტი, მიმიკა ანონდანონა... ჰო, კახას ისევ ისე უყვარდა, კვლავ ლიზის გზას გაჰყურებდა, წარსულს იმის შიშით ვეღარ უბრუნდებოდა, — ვაითუ, ქალმა ისევ ხელი მკრასო?! მომავალზე არ ფიქრობდა, მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა...

კვლავ ცრემლები წასკდა ლიზის. რა ბედნიერი იქნებოდა, მის ცხოვრებაში შალვა რომ არ გამოჩენილიყო!

ახლა კი შალვა აღარ არის, კახა და ლიზი ცალცალკე არიან და არც ერთი არ გრძნობს თავს ბედნიერად...

ფიქრიდან ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

— ლიზი, მე ვარ! ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ შენი ხმა გამეგონა. აქამდე შენთან მოახლოებას ვერ ვბედავდი, გუშინ კი დავრწმუნდი, კვლავ გიყვარვარ. აღარ მინდა, მესამედ დაგკარგო, გესმის?! — ხმა უთრთოდა კახას.

ვინ იცის, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა, რომ ეს ეთქვა?! მეორე დღესაც შეხვდნენ ერთმანეთს, მესამე დღესაც... და გადანწყვიტეს, მესამედ კარს მომდგარი ბედისთვის ზურგი



აღარ შეეცვიათ.

ლიზიმ შვილსა და რძალს ყველაფერი უამბო. ახალგაზრდებმა დედას მშვიდად მოუსმინეს. როგორც შენ გინდა, ისე მოიქეციო, — უთხრეს. მერე უმცროსსაც შეეხმინა

გერმანიაში. ის უკვე „ღრმა ევროპულად“ აზროვნებდა, ნურავის მიაქცევ ყურადღებსო, — უთხრა და მიულოცა კიდეც დედას გაბედნიერება.

რაც შეეხება კახას მშობლებსა და ახლობლებს, — გულის სიღრმეში არავის არ ესია მოვნა, უცოლო კაცმა შვილებისა და შვილიშვილის პატრონი ქალი რომ შეერთო, მაგრამ მათ იცოდნენ წყვილის მრავალწლიანი რომანის შესახებ და პროტესტი აღარ გამოუთქვამთ.

ლიზიმ და კახამ შარშან ზაფხულს, მარიამობის დღეს

მოაწერეს ხელი და ჯვარიც დაინერეს.

ლიზი:

— ბედნიერი ვარ-მეთქი, ვერ ვამბობ, რადგან ჩემი შვილების მამამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, თუმცა კახას

გვერდით, საოცრად მშვიდად და იმედიანად ვარ. პატარა ლიზიკუნა ხშირად ჩემთან. ორჯერ სპორტულ ტურნირზეც წავიყვანეთ, მოსკოვსა და ვილნიუსში. ჩვენ გარეშე ვერ ძლებს, ყველას ჩვენი შვილი ჰგონია... შალვას ყოველთვის ტკივილით ვიხსენებ. მისი დიდი შეცდომა ის იყო, რომ უსიყვარულოდ შემერთო და როცა განქორწინება ვთხოვე, არ დამთანხმდა. არ უნდა ჩამდგარიყო ჩემსა და კახას შორის. მას ეგონა, ფულით იყიდდა ჩემს სიყვარულს...

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ.: 8.99.27.25.61.


SPECIAL
მოსკარი 2 ივნისს
ყველაფერი აკადემიალურად

პრიკოლი და პაპარაცული ფოტოები, ფინალისტების პირადი ცხოვრება, ანექლოტები, პოსტერები, კარიკატურები - ყველაფერი ეს „პარსკვლავების აკადემიაზე“ ჟურნალი „მოსკარის“ სპეცნომერში! არ გამოგრჩეს! შენ შეგეძლება გაითიან შეხვედრა!

სოსო პავლიაშვილის გულისხმი ინტერვიუ:

უკვე 10 წელია, „სიყვარულის მომღერლის“, სოსო პავლიაშვილის გული ერთადერთ ქალს, ყოფილ მოცეკვავეს, ირინა პატლახს ეკუთვნის. რამდენიმე წლის წინ მათ გოგონა, ლიზა შეეძინათ, 3 ივნისს კი კიდევ ერთი ქალიშვილი — სანდრა. დღესდღეობით მათ ოჯახში სრული ჰარმონია სუფევს, რომელსაც წინ დიდი გამოცდა, ვნებათაღელვა და გაუგებრობა უძლოდა.

სოსომ და ირინამ ყველა სირთულე გადალახეს და ერთ-ერთ ინტერნეტპორტალს გულახდილი ინტერვიუ ყოველგვარი კომპლექსებისა და მორცხვობის გარეშე მისცეს.



მთავარია, რომ აღარ პარ მარტოსაღა მგანი

— მოგვიყვით პირველი შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც ერთმანეთის დანახვისთანავე დაგეუფლათ.

ირინა:

— ეს იყო პიონერთა სასახლის ეზოში, სადაც მე დრამატულ სტუდიაში დავდიოდი. მის გვერდით დღემდე სოსოს სტუდია მდებარეობს. ერთხელ, ეზოში მჯდარ სოსოს თვალი მოვკარი და გადავწყვიტე, მისთვის ავტოგრაფი მეთხოვა. მივუახლოვდი და ვუთხარი: „გამარჯობა!“ ის ზურგით იჯდა. ნელა მოტრიალდა. ძალიან სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა და ჩემს დანახვაზე სახეზე ღიმილი გადაეფინა. მე გავიფიქრე: „მაგარი! პოპულარობა თავში არ ჰქონია ავარდნილი“.

სოსო:

— ირა სულ მთლად ნორჩი იყო, მაგრამ საკმაოდ მრგვალი ფორმები ჰქონდა და ძალიან ლამაზი გახლდათ. მახსოვს, მას მალაქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, რომელიც უთოს მოგაგონებდათ. პირველად გავიფიქრე: „გიჟია, მაგრამ მადის აღმძვრელი“. ის მაშინ 16 წლის იყო. ურთიერთობის პირველი წუთებიდანვე იმით მოვიხიბლე, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმცროსი თაობის წარმომადგენელი იყო, თანატოლებს არაფრით ჰგავდა. მითხრა, რომ ჩემი სიმღერები ძალიან მოსწონს, განსაკუთრებით — „მე შენთან ვარ“.

ირინა:

— პრინციპში, სოსოსთან ავტოგრაფის გარდა, ამ სიმღერის ფონოგრამისა და მისი შესრულების ნებართვის სათხოვნე-

ლად მივედი.

სოსო:

— ძალიან მესიამოვნა, რადგან მაშინ მისი თანატოლი გოგონების უმეტესობა „ლასკოვი მაის“ უსმენდა, უცებ, მოდის გოგონა და კარგი მუსიკის ფონოგრამას გთხოვს. არ გეგონოთ, თავს ვიქებ. უბრალოდ, მუსიკა, რომელსაც მე ვწერ, კოსმოსიდან მოდის; მე მას ჩემში ვატარებ. რალაც კარგად გამომდის, რალაც — ნაკლებად კარგად.

— ურთიერთობის ინიციატორი ვინ იყო?

სოსო:

— როგორც მამაკაცმა, რა თქმა უნდა, ინიციატივა საკუთარ თავზე ავიღე, მაგრამ როგორც ქალი, არც ირინა იყო გულხელდაკრეფილი. აშკარა იყო, რომ ჩვენი ინტერესი ორმხრივი გახლდათ.

ირინა:

— ოო, სოსო ძალიან ინიციატივიანი იყო! მე შეძლებისდაგვარად, მისი ინიციატივის კალაპოტში მოქცევას ვცდილობდი, მაგრამ ეს იოლი არ იყო.

— სოსო, რა მოგეწონა მასში ყველაზე მეტად?

სოსო:

— მისი მშობლები. როდესაც მათ შევხვდი, მივხვდი, რომ ისინი ცივილიზებული, თანამედროვე ადამიანები იყვნენ და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დავმეგობრდით. ისინი რომ არა, მე და ირინა ერთად არ ვიქნებოდით.

— ირინა, შენ რით მოგებლა სოსომ?

— მახსოვს, პირველი დღე, როდესაც მისი სიმღერის — „მე და შენ“ — ჩანერას დავესწარი, სტუდიაში. გვიან ღამემდე მომი-

ნია იქ ყოფნამ, ვურთიერთობდი მის მუსიკოსებთან და ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი. მივხვდი, როგორი შემოქმედი და შრომისმოყვარე ადამიანია. ამით მოვიხიბლე.

— მას სიურპრიზებს უწყობდი?

ირინა:

— ურთიერთობის პირველი ეტაპი დაზვერვას ჰგავდა: ამ ასაკით უფროსი მამაკაცის შესახებ ყველაფერი მაინტერესებდა და მასზე შთაბეჭდილების მოხდენას ვცდილობდი. კონცერტის შემდეგ მასთან, როგორც ჟურნალისტი, ისე მივდიოდი და ინტერვიუზე მის დათანხმებას ვცდილობდი.

— თქვენ შორის დისტანცია იყო?

ირინა:

— ის ძალიან ტემპერამენტური იყო და მე ამ ენერჯისთვის წინააღმდეგობის განწევა მიწევდა. თუმცა, მომწონდა, რომ ის ჩემით აღფრთოვანებული იყო.


— მის თაყვანისმცემელ ქალთა მრავალრიცხოვანი არმია არ გალელვებდა?

— არა, რატომ? პირიქით, მომწონდა კიდევ, რომ ამდენ თაყვანისმცემელში მე ამომარჩია. რაში მჭირდებოდა, ყველასგან მიტოვებული, უსარგებლო მამაკაცი? მე მის გამოცდილებას ვეყრდნობოდი და მოვლენების განვითარებას ინტერესით ველოდი. ვგრძნობდი, რომ ალალი ადამიანი იყო და უსინდისოდ არასოდეს მოიქცეოდა. გადასარევი, როცა ორ ადამიანს შორის ნამდვილი სიყვარული, ვნება და რომანია.

— სოსო, რაში გჭირდებოდა ასეთი ნორჩი გოგონა, უფრო გამოცდილი ქალის

შერჩევა არ სჯობდა?

— თუ ახლა სექსზე ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ ნებისმიერ ქალთან შემძლეო დანოლა, მაგრამ ირინა განსაკუთრებული იყო. მე პარალელის გავლებაც კი მიჭირს. მას ჩემ მიმართ გულწრფელი საპასუხო გრძნობა ჰქონდა და როგორც უფროსი, ჩემი მხრიდან მის მიმართ, პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ეს იყო არაჩვეულებრივი შეგრძნება. ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ვნებიანი რომანი კი არა, მეგობრობაც



იყო. ირა დამეთანხმება, რომ არ ვაძლევდი იმის საშუალებას, რომ მომჩვეოდა. თავს მარტოხელა მგლად მივიჩნევდი, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს და არ მინდოდა, ეს პრობლემები მისთვის თავს მომეხვია; მაგრამ ირინა ძალიან ჯიუტია და მის სიჯიუტესთან ახლაც კი მიჭირს გამკლავება.

— და ვინ გაიმარჯვა ბოლოს?

— მე მივალწიე იმას, რომ მისი „კოკორი“ მოვწყვიტე, მან კი მიაღწია იმას, რომ ახლა ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

— ირა, მეგობრებთან თავს ინონებდი, რომ ვარსკვლავთან გქონდა რომანი?

— საქმე ის გახლავთ, რომ ნამდვილი მეგობრები არასოდეს მყოლია. ჩემს თანატოლებთან საერთო ენას ვერ ვპოულობდი. თითქოს, სხვადასხვა პლანეტაზე ვცხოვრობდით.

სოსო:

— მის მცირერიცხოვან მეგობრებს მეც არ ვაძლევდი საშუალებას, რომ ჩვენს ცხოვრებაში ჩარეულიყვნენ. როდესაც ისინი ირას სხვადასხვა პრობლემის

გამო ურეკავდნენ, ჯანდაბაში ვუშვებდი. ჩვენ ორნი ვართ და არავინ გვჭირდება. მის მშობლებს სწორედ ასე ვუთხარი: შეხედეთ მის თანატოლებს, გინდათ, რომ ირა მათ დაემსგავსოს? მიეცით ჩემთან ყოფნის უფლება, ბევრ კარგ რამეს ვასწავლი და მისი მფარველი ვიქნები-მეთქი.

— დაგიჯერეს?

— რა თქმა უნდა. ღმერთმა კარგად ამყოფოთ იმის გამო, რომ შვილი მანდვეს. თუმცა, არანაირ გარანტიებზე ლაპარაკი არ ყოფილა და არც ოჯახის შექმნაზე ვლაპარაკობდით. ის ჩემთვის მხოლოდ მეგობარი კი არა, შვილიც იყო და უფრო მეტ რამეს მანდობდა, ვიდრე მშობლებს.

— მაშინ შენს ცხოვრებაში ირა ერთადერთი ქალი იყო?

— ჩემს პირად თავისუფლებას ვერავინ შეზღუდავდა. სხვა ქალებთან ურთიერთობას განვაგრძობდი, მაგრამ როგორც ჩანს, ირას მიმართ სერიოზული გრძნობა გამიჩნდა და ეს გვიან გავაცნობიერე. მისი წყენინების უფლება არ მქონდა... მისი ერთგულება მჭირდებოდა.

— როგორც ვხედავ თქვენი ურთიერთობა თავიდანვე არ დალაგებულია.

— თანდათანობით... ჩვენმა სიყვარულმა დიდ გამოცდას გაუძლო. როდესაც უფულოდ დავრჩი და უამრავი პრობლემა გამიჩნდა, ირას ვუთხარი: ახალგაზრდა, ლამაზი გოგო ხარ, მაშინ უზრუნველყოფილი, გავლენიანი ადამიანია, ელცინთან ერთად ჩოგბურთს თამაშობს, პრესტიჟული თანამდებობა აქვს, შენს ბედნიერებას აუცილებლად იპოვი, უცხოეთში გაემგზავრები... ნუ შემეჩვენე, რადგან მე ის ადამიანი ვარ, ვისაც ხვალინდელი დღე არ გააჩნია-მეთქი. იმ დროს სწორედ ასე ვხედავდი ჩემს მომავალს.

— როგორი რეაქცია ჰქონდა ირას?

— მე არ მაინტერესებს ხვალინდელი დღე, მე ბედნიერი ვარ შენ გვერდითო, — მითხრა. არ მიმატოვა. შემდეგ ყველაფერი ნელ-ნელა დალაგდა. მიმაჩნია, რომ კარგ დამოკიდებულებას ვიმსახურებდი, რადგან არც ნარკომანი ვიყავი, არც ლოთი და

არც ფსიქოპათი. მე ვიყავი მომღერალი, რომელსაც თანადგომა სჭირდებოდა. ახალგაზრდული სიჯიუტისა და ერთგულებისათვის ირას მაღლიერი ვარ.

— ნუთუ ამდენი ხნის მანძილზე მას ეჭვის საბაზი არ მოუცია? ახალგაზრდა გოგონებს ცელქობა, ფლირტი და კეკლუცობა უყვართ.

— ჰოროსკოპით კიბო ვარ. ეჭვიანობა კი ყველა კიბოს ახასიათებს. ეს ნორმალური მოვლენაა. უკვე 10 წელია, ერთად ვართ და ეჭვი ხშირად გვირღვევს სიმშვიდეს. ეჭვიანობა უთიერთობას მხიარულ ელფერს სძენს და უფრო ძლიერ ორგაზმს იწვევს. ღალატზე კი არც ვფიქრობ... თუ ირას ვეტყვი, რომ მის გარდა არც ერთ ქალს არ ვცნობ, სახეში შემაფურთხებს. ის ყოველთვის ამაყოფს, რომ უამრავ ქალს ვუყვარვარ.

— როგორ გამონახეს საერთო ენა ირამ და შენმა უფროსმა ვაჟმა, ლევანმა?

— მათ საერთო ენა არ უძებნიათ, ისინი ერთად გაიზარდნენ. როდესაც რაღაცის ახსნის დრო დადგა, ლევანს ვკითხე: გინდა, რომ ბედნიერი ვიყო? — თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. — მაშინ იცოდე, რომ მალე და გეყოლება-მეთქი.

— ვინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ირას მშობლებთან ერთად გეცხოვრათ?

— ჩვენ ეს ძალიან მოგვწონს. ირას დედამ, ლარისამ ჩემთვის პიანინოც კი შეიძინა, რადგან ძალიან მენატრებოდა ჩემი როიალი, რომელიც ჩემს სახლში დარჩა. ერთად თავს კარგად ვგრძნობთ.


— შეიძლება ითქვას, რომ ცოლის ოჯახში ქართული ტრადიციები დაამკვიდრე?

— რა თქმა უნდა, მე თბილისელი კაცი ვარ და მოსკოვში ოჯახური კერა მენატრებოდა. ჩემი გული თბილისში დარჩა. ახლა მოსკოვში ახალ სახლებს ვიშენებთ და ახლო მომავალში ჩემს მშობლებს საცხოვრებლად აქ გადმოვიყვან.

— სოსო, შეგიძლია, თქვა, რომ ბედნიერი მამაკაცი ხარ?

— როგორც მამაკაცი, აბსოლუტურად ბედნიერი ვარ. ვიცი, რომ ბედნიერებას მხოლოდ მე კი არ ვიღებ, არამედ სხვა ადამიანებსაც ვანიჭებ ბედნიერებას. მთავარია, რამდენიმე წლის წინ რომ ვიყავი, ისეთი მარტოხელა მგელი აღარ ვარ.

ჭორს შეუძლია ადამიანი გაამხიარულოს, გააოცოს, გააოგნოს, დეპრესიაში ჩააგდოს და ცხოვრებაც კი დაუნგროს. საინტერესოა, დღევანდელი ახალგაზრდობა რაზე ან ვისზე ჭორაობს, ხშირად ჭორაობენ თუ არა და როგორ უმკლავდებიან გავრცელებულ ჭორებს? ამის გასარკვევად ჩემს თანატოლებს მივმართე და ერთგვარი გამოკითხვა ჩავატარე. შევითქვე, როგორ აფასებენ ჭორკანა ბიჭები მაგარ გოგოს და მაგარ ნაშას, რატომ ცდილობენ ქალიშვილები სექსის სფეროში ცოდნის გაღრმავებას...



შეუძლებელია სექსი ან უნდა „გააგავნი“

ეთო ყორღანაშვილი

აღმოჩნდა, რომ დღეს ჭორიკანობით ბევრი ერთობა და ეს ბევრი მათგანის ცხოვრების წესადაც კი იქცა. ვიდრე ახალგაზრდების აზრს მოგახსენებთ, მანამდე შვილზე განაწყენებული ქ-ნი ღიას გულისტკივილს გაგაცნობთ (ერთ-ერთი ჩემი მეგობრის დედა).

— ერთი ქალიშვილი მყავს. ის და მისი დაქალი თითქმის სულ ერთად არიან. ერთ კლასში სწავლობენ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს ხშირად ურეკავენ და გამუდმებით მესიჯობენ. რა აქვთ ამდენი საჭორაო, არ ვიცი. ჩაიკეტებიან ოთახში და საათების განმავლობაში ჩურჩულებენ. თუ ასეთ დროს მათთან შევალ, ვეკითხები: — ხელს ხომ არ გიშლით-მეთქი? ჯიუტად მპასუხობენ — არაო! ფაქტია, რომ ჩემი გამოჩენისთანავე საუბრის თემას ცვლიან. ოთახიდან გამოვალ თუ არა, ისევ ჩურჩულზე გადადიან. მათი კისკისი მეორე

ოთახშიც მესმის ხოლმე. ჩემი თანდასწრებით კი მხოლოდ რომელიმე სერიალზე თუ იტყვიან ორიოდ სიტყვას. შესაძლოა, კომპლიმენტი მითხრან ახლად შეღებილი თმის ფერთან დაკავშირებით... მესმის, ახალგაზრდები არიან, მაგრამ დედა ვარ და რა თემაზე ლაპარაკობენ, ძალიან მაინტერესებს. ყურმოკრული წინადადებებით თუ ვიმსჯელებ, გამუდმებით ვილაცხას ჭორავენ. ხან გოგონას, ხან — ბიჭს. საკმარისია, ერთმანეთს ცოტა ხნით დაშორდნენ, რომ მაშინვე მესიჯების გზავნას იწყებენ. ჩემი შვილი თავის ტელეფონზე თანხას ნულამდე რომ დაიყვანს, მერე ჩემს მობილურს იღებს და ანგარიშს მუსრს ავლებს. თან მოსულ და გაგზავნილ შეტყობინებებს მაშინვე შლის. ე.ი. საკუთარ დედას არ უნდობა. რა უნდა იყოს ისეთი, რომ მე მიმალავდეს? ძალიან მწყინს მისი საქციელი, მაგრამ რამეს რომ ვუბნები, იბუტება. მეშინია, რაიმე შარში არ გაეხვიოს. მეც ვიყავი მისი ასაკის

და ვიცი, რომ დაქალების ჭორაობას შესაძლოა, ცუდი შედეგი მოჰყვეს.

სოფო (18 წლის):

— ჩემმა გადარეულმა დაქალებმა მოიგონეს, რომ ყავაზე მკითხაობა მეხერხება. გადმოაბრუნებენ ჭიქას და აღარ მეშვებიან. მეც ვცდილობ, ვუმკითხავო. თუ რომელიმეს არასახარბიელო მომავალი ვუწინასწარმეტყველე, მერე მიმდინარეობს „სანაცნობოს“ გაჭორვა — ვის შეუძლია მის ცუდ მომავალში წვლილი შეიტანოს, ვინაა „აფერისტი“... არც საქმე გვაქვს და არც ქმარ-შვილი გვყავს, რამე ხომ უნდა ვაკეთოთ ამ ცხოვრებაში? ჰოდა, ვჭორაობთ, მაგრამ ჭორის გავრცელების არეალი ჩვენი შეკრების ადგილს არ სცილდება — მხოლოდ ერთმანეთში ვჭორაობთ და ამბებს არ ვავრცელებთ.

ნანა (18 წლის):

— იმ უნიჭოებს ვჭორავ, რომლებიც ამ ქვეყნის აზრზე არ არიან, ლეონარდო და ვინჩი ორი კაცი ჰგონიათ და გავლენიანი ნაცნობების წყალობით, მაგარ სამსახურში „იჩითებიან“.

ლაშა (21 წლის, სტუდენტი):

— ჩემს სექსუალურ თავგადასავლებზე დაქალს ვეჭორავები ხოლმე. ცოტა შელამაზებული ფორმით ვუყვები და იცი, რა ინტერესით მისმენს? ჩემს ყველა პარტნიორს



ვისაც სჯერა, რომ ადამიანს ისე შეუძლია მოიტყოს, როგორც თვითონ სურს, მას სიყვარული ამასობაზე გამოუცდას. *გიენზახი.*

იცნობს. მათ თავიანთი გარეგნობის მიხედვით, მეტსახელსაც უგონებს. ზოგჯერ მავინყდება, რომ გოგონაა და ისეთ რაღაცებს ვუყვები, ყურო, ნუ გაიგონებ...

— სხვა თემებზე არ ჭორაობთ?

— როგორ არა, მაგრამ ყველაზე მეტად ეგ აინტერესებს. სამაგიეროდ, ჩემი თავგადასავლების მოსმენა ცხოვრებაში წაადგება და ვერც ერთი ბიჭი ვეღარ მოატყუებს.

ნათია (17 წლის, მოსწავლე):

— მე და ჩემი „დაქალოჩკები“ ძირითადად, ინტიმურ თემებზე ვჭორაობთ. ყველაფერი გვანტერესებს სექსის შესახებ. როცა გავთხოვდებით, არც ერთს არ გვინდა, რომ პირველ ღამეს შეშინებულები და დაბნეულები ვიყოთ. ამას წინათ, ჩემი ძმის მობილში პორნოვიდეოს მივაგენი, მაგრამ სამწუხაროდ, ბოლომდე ყურება ვერ მოვასწარი. რაც ვნახე, დაქალებს მოვუყვები. ისინიც მეჭორავებიან ხოლმე და მიზიარებენ „თეორიულ გამოცდილებას“ სექსის შესახებ. მოკლედ, ძალიან „განათლებული“ მეუღლეები ვიქნებით ლოგინში, თანაც ქაღნულები.

ლიაკო (20 წლის, სტუდენტი):

— ჭორიკანა არც ბიჭი ვარგა და არც — გოგო. დაქალის ყოფილმა შეყვარებულმა საშინელი ჭორები გამივრცელა და ლამის ბავშვობის მეგობარი დამაკარგვინა. საშინელებაა, როცა ახსნა-განმარტების გარეშე შეგაქცევენ ზურგს. საბედნიეროდ, დაქალი დროულად მიხვდა, რომ ჭორის მსხვერპლი ვიყავი და ჩემთან შესარიგებლად პირველი ნაბიჯი თვითონვე გადმოდგა. ახლა უკვე ქმარიც ჰყავს, ოღონდ, მეორე ნახევრად ჭორიკანა

ბიჭი არ აურჩევია.

ბუბა (19 წლის):

— ყველაფერზე ვჭორაობთ. მათ შორის — პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზეც, მაგრამ ყველაზე აქტუალური ჩემს „სასტავში“ ქალები და სექსის თემაა. ვჭორაობთ სუსტი სექსის ნაცნობებზე — ვინაა მაგარი ნაშა და ვინ — მაგარი გოგო. ნაშები სექსისტვის არიან კარგები, მაგარი გოგოები კი — ყველაფრისთვის.

— ჭორი თუ გაგივრცელდება?

— ღმერთმა დამიფაროს! ბევრ ბიჭს აქვს ასეთი ჩვევა: გოგოსთან რომ არაფერი გამოსდის, ჭორებს უვრცელებს, თითქოს ის მსუბუქი ყოფაქცევისაა ანუ სახელს უტყვენ. ჩემი აზრით, ეს ლაჩრული საქციელია. თუ გოგო ვერ „დაკერე“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე საზიზღრობები ილაპარაკო. „დაჟე“, შეყვარებულთან თუ გაქვს სექსი და მას არ სურს, რომ „გაუბაზრო“, ასეც უნდა მოიქცე.

— ...და ძმაკაცებსაც არ უნდა მოუყვე ამის შესახებ?

— (იცინის) არა, ძმაკაცებს კი ვუყვები, მაგრამ შეყვარებულმა არ იცის ამის თაობაზე. რა მოხდა, მერე? ძმაკაცები არავის ეტყვიან(?!).

ლევანი (17 წლის, მოსწავლე):

— რაზე უნდა ვიჭორაობთ ბიჭებმა, ქალების გარდა? — ვისთან, რამდენჯერ და როგორი სექსი გვქონდა, რომელ გოგოს აქვს უკეთესი მკერდი თუ სხვა რამე; ვინ უფრო „ცხელია“ და ა.შ.

თაო (17 წლის, მოსწავლე):

— ჭორაობა საერთოდ არ მიყვარს. ახლახან გავიგე, თითქოს ჩემი დაქალი ანა


შეყვარებულს იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ გიო უკურნებელი სენით ყოფილა ავად და ანას შეჰპრალებია. გოცებისგან ყბა ჩამომივარდა. ვერ ვხვდები, ხალხს რატომ ანიჭებს სიამოვნებას ასეთი სისულელეების გამოგონება? ვინც ჭორაობით ერთობა, უსაქმურია ან — ბოროტი.

ნათია (20 წლის, სტუდენტი):

— ჭორაობა ძალიან მიყვარს. საძაგელი დედამთილი მყავს, მაგრამ მეუღლის ხათრით ვერაფერს ვეუბნები. ამიტომ, მეგობრებთან ჭორაობით ვიოხებ გულს. საცოდავს, ალბათ, სულ ასლოკინებს. ასეც მოუხდება! სანამ მისი რძალი გავხდებოდი, ჩემი და ალექოს ურთიერთობას ძალიან გულშემატკივრობდა, ახლა კი გარკვეული მიზეზების გამო, აღარ მოვწონვარ. ეგონა, ფულიანი გოგო დაითრია ჩემმა ბიჭმაო, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. დედა მყავს საზღვარგარეთ და ალბათ, ამიტომ იფიქრა ასე. ჩემს საქციელს ჭორაობა არც ჰქვია. თვითონ კი რას არ მიგონებს: თითქოს დედაჩემის გამოგზავნილ ფულს ჩუმი ვიღებ ბანკში და მხოლოდ ჩემს თავს ვახმარ... ასეთ დღეში ვარ, მაგრამ ვუძლებ. შვილი მყავს უკვე და მაგ უხასიათო ქალის გამო ოჯახს ვერ დავანგრევ. ზოგჯერ მინდა, ყველაფერი მივატოვო და სახლიდან გავიქცე.

ნიკო (16 წლის, მოსწავლე):

— მე არავინ გამიჭორავს... ამის არც დრო მაქვს და არც სურვილი. მაგას მირჩევნია, გაკვეთილები ვისწავლო. ჩემი თანაკლასელები მივრცელებენ ხოლმე უაზრო ჭორებს, ვითომ მე ვილაცაზე ცუდი ვთქვი ზურგს უკან. ასეთ რაღაცებს ყურადღებას აღარ ვაქცევ, მაგრამ ზოგჯერ მოთმინებას ვკარგავ. ბოლმიანი ადამიანი არ ვარ. თუ ვინმესთვის რამე მაქვს სათქმელი, ამას გულში არ ჩავიხვევ და ყველაფერს პირში ვეტყვი. შურისძიებისთვის ბოროტი ჭორის გავრცელება არაფერში მჭირდება.



ქალები ჩემთვის ყველაზე მშობლები და თბილესი ადამიანები, ყოველთვის უყვარს და ნიანჯიან ცხობილენ.

შთერ ქუყანას საიღუმლოდ ანუ ქონების აქცეზებში

ბრაზი თარხანი

ჭორების გამავრცელებლები მხოლოდ ეზოში, სკამზე ჩამომსხდარი ქალები როდი არიან. თითქმის ყველა ქვეყნის უშიშროების სამსახურს სპეციალური თანამშრომლები ჰყავს, რომლებიც სწორედ ამ საქმით არიან დაკავებული. მართალია, ოფიციალურად არ არსებობს თანამდებობა — ჭორების გავრცელების დეპარტამენტის უფროსი ან მეცნიერი თანამშრომელი, მაგრამ ცნობილია, რომ არაოფიციალურად არსებულმა ამ სამსახურებმა ბევრი ადამიანის იმიჯი შელახეს ან პირიქით — რეიტინგი მოუპოვეს. ჭორს ბევრი რამ შეუძლია — ხალხში განგაშის ან პანიკის გამოწვევა, რომლითაც შესაძლოა, ვინმემ ხელი მოითბოს. ცნობილი ფაქტია, როდესაც გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ხორბლის ყანებს რალაც დაავადება გაუჩნდა და მცირე მოსავალი იქნებოდა. ამის შედეგად ბირჟაზე ხორბლის ფასი გასამმაგდა და მავანმა დიდძალი მოგება ნახა.

გარდა ასეთი, „გლობალური“ ჭორებისა, არსებობს ჩვეულებრივი ჭორი. ისეთი, როგორც ამა თუ იმ ადამიანზე საზოგადოებაში ჩნდება. შესაძლებელია, თუ ჭორიკანებთან ბრძოლა?

ჭორი სოციალური მოვლენა გახლავთ, სადაც საზოგადოებაა, იქ აუცილებლად იქნება ჭორიც. ის ელვის სისწრაფით ვრცელდება და დიდ რეზონანსს იწვევს. რა თქმა უნდა, ჭორი თავისთავად არ ვრცელდება — მას ვილაც თხზავს და ავრცელებს.

ჭორი — ეს არის ახალი ამბავი, მესიჯი, რომელიც დამახინჯებულ სიმართლეს შეიცავს და მისი გავრცელების არეალი, განსაკუთრებით — დღევანდელი საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, განუსაზღვრელია.

ჭორის წარმოშობის მექანიზმი ასეთია: მაგალითად, საზოგადოებაში რალაც ხდება, მაგრამ ზუსტად არ არის ცნობილი სად, როგორ, ვისთან და რატომ? წარმოიქმნება საინფორმაციო ვაკუუმი იმის გამო, რომ ამომწურავ ინფორმაციას არავინ აწვდის. ჭორები კი ამ საინფორმაციო ვაკუუმს ავსებენ. ჭორი ყველა თემაზე არ ვრცელდება. მაგალითად, არავის აინტერესებს საახალწლო ნაძვის ხის შესახებ გავრცელებული ჭორები. საჭორაო თემა აქტუალური, გასართობი, ამაღლებელი უნდა იყოს. სახელმწიფოებრივ დონეზე ჭორის თემამ შესაძლოა, ქვეყანაში ბევრი რამ შეცვალოს. ყოფითი ჭორები კი იმ ადამიანების შესახებ ვრცელდება, ვინც გამავრცელებლისთვის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს.

ჭორი ყოველთვის განზოგადებულია და გარკვეულ დროსა და სივრცეშია აქტუალური. ჭორი, რომელსაც ცვლილებ-



ბების გამოწვევა არ შეუძლია, ნელა ვრცელდება.

საინტერესო ფაქტია, რომ ჭორს თავისი არსებობის ვადა აქვს. საშუალოდ ის 2 კვირა „ცოცხლობს“. ის აუცილებლად ვილაცის წინააღმდეგაა მიმართული. შესაძლოა, თითქმის გამონაკლის ინფორმაციას შეიცავდეს ან რეალურ ინფორმაციას ეყრდნობოდეს.

ჭორის გამავრცელებელი ძირითად შემთხვევებში, ჭორის ობიექტზე დაბალ სოციალურ და მატერიალურ საფეხურზე დგას და ამა თუ იმ ინფორმაციას შურის გამო ავრცელებს. ჭორის გავრცელება საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო, ცნობისმოყვარე და უსაქმური ადამიანების მავნე ჩვევაა.

ჭორთან ბრძოლა ძნელია. პირველი, რაც უნდა მოიმოქმედო, ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიანოდო იმ საზოგადოებას, სადაც ჭორი წარმოიშობა. მეორე — თუ ფიქრობ, რომ შესაძლოა ჭორმა რომელიმე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ყურამდე მიაღწიოს, ისინი წინასწარ უნდა გააფრთხილო, რომ შესაძლოა, დეზინფორმაცია გაავრცელონ.

დაუფერებელი ჭორების იგნორირება უნდა მოახდინო და შეძლებისდაგვარად, მისი საწინააღმდეგო არგუმენტები დადო. ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, ჭორის გამავრცელებლის გამოაშკარავება, რაც თითქმის შეუძლებელია.


როგორც ხედავთ, ჭორი უანრია, რომელსაც თავისი ამბები, გმირები, რეალური და ფანტასტიკური სამყარო აქვს.



პროქოლა

„ანა, ეგ ალენა მესიპათიურება, ძალიან... საყვარელი ტიპი ჩანს. ნეტავ, შენ მაგივრად მივდიოდე პარიზში... :) ცრემლუკა“.

„ანა, კარგი ხარ, კარგი... შენ მიმართ თავიდანვე სიპათიით განვწყვე. მაგრად მაინტერესებს, სხვა ვინ მიდის პარიზში. ალბათ, დათოს საქმესთან ისიც კავშირშია. ანა, ნეტავ ის



პარლამენტარი ხომ არ არის მაგ მესიჯების ავტორი, ჩანანერი რომ გადაეცი? თათა“.

„მაგდას არა და, ანას კი დიდი სიამოვნებით გავიცნობდი. ჭკუა მეკეტება ასეთ გიჟ ქალებზე — როდესაც წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ თუ რას მოიმოქმედებს... ანაააააა! მიდი, რა, ჩემი ნომერი გამოართვი მარის და დავცხოთ მესიჯები. მედედედე“.

ამ „რეალურს“ გამო ისეთ აზარტში ვარ შესული, რომ ლამის დაგიტოვო ხოლმე მარ, და წინასწარ გკითხო, რა მოხდება შემდეგ თავში. მაგარია“

„ანას უთხარით, თავის თავზე დიდი წარმოდგენა ნუ აქვს. არ გაბლატავდა?! დაეტივ, ქალო, შენს ტყავში და როგორც ქალს შეეფერება, ისე მოიქეცი. კასანდრა“.

„ვერ გავიგე, ანა ხან მომწონს, ხან — არა. თითქოს სხვადასხვა ადამიანია. ერთ დღეს რომ გიჟია და აზარტული, მეორე დღეს კვდება და დეპრესიაში ვარდება. ხან დათო მოსწონს, ხან ალენა და ხან კიდეც — ვერც ერთს ვერ იტანს. მაგ ქალს სექსი აკლია, სექსი!“

„აუ, მინდა, ანასნაირი ვიყო. მაგარი ქალია. ასეთი ტიპის ქალებზე ვგიჟდები, არაფრის რომ არ ეშინიათ და თავისი ადგილი და ფასი რომ ზუსტად იციან. ანა, მიყვარხარ. არა, სხვანაირად არ იფიქრო, რადგან გოგო ვარ. უბრალოდ, ძალიან მაგარი ხარ“.

დასაწყისი — „გზა“, №11-22

მარი ჯაშარიძე

ახლა კი ამბის თხრობას იმ ადგილიდან განვაგრძობთ, როდესაც ალენამ ანა რესტორანში დაპატიჟა და ისიც დათანხმდა.

— ამას წინათ ამბობდნენ, ბატონი დავითი აპირებს საფრანგეთში გამგზავრებასო და ახლა თქვენც იმავეს იმეორებთ, პარიზში მივდივარო. არ მომწონს ეს ამბავი, ქალბატონო ანა.

— მართლა? არ მითხრა, რომ ეჭვიანობ, — გულიანად გადავიკისკისე.

— ეს კაცი გაიძვერა ვინმეა. არ დაუჯეროთ, თუ სიყვარულში გამოგიტყდებით.

— საფრანგეთში მარტო მივდივარ, დათო არ მოდის.

— მეეჭვება, რომ მართალს ამბობთ. ვნახოთ, თუ ასე არ იქნება. თქვენ ნახვალთ და ისიც გაქრება სამსახურიდან... ჩვენ ხომ ვერ გავიგებთ, ერთად იყავით თუ არა? — შუბლი შეჭმუნა ალენამ.

— დამიჯერე, მარტო მივ-

დივარ.

— მისმა მძლოლმა თქვა, რომ სწორედ მან მოუტანა საფრანგეთში გასამგზავრებელი 2 ბილეთი. გვეგონა, ეკასთან ერთად წავიდოდა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ თქვენთან ერთად მოდის. — აშკარად ხასიათი გაუფუჭდა ალენას.

— მოდი, ამ თემაზე ნულარ ვილაპარაკებთ. მხოლოდ ერთს გეტყვი, რომ ჩემთან ერთად დათო მართლა არ მოდის. ჩემს პირად საქმეზე მივდივარ და თუ შემთხვევით დათოც იმ რეისით მოდის, ეგ უკვე აღარ ვიცი. გჯერა? — ალენას შევხედე, რადგან მისი გამომეტყველების მიხედვით მინდოდა, მივმხვდარიყავი, სჯეროდა ჩემი ნათქვამის თუ არა.

— გულწრფელ ნათქვამს ჰგავს... კარგი, მჯერა, — ისე ჩაიციხა, როგორც სჩვეოდა ხოლმე და მივხვდი, რომ სწორედ ეს ჩაცინება იყო, რაც ყველაზე მეტად მომწონდა მასში.

ცოტა ხანს ორივე ვდუმდით. ალენას ნათქვამზე ვფიქრობდი. გამახსენდა, 2 ბილეთი ჩემი თვალით რომ მქონდა ნანახი და ვშიშობდი, ვაითუ

დათო მართლაც აპირებდა წამოსვლას, მაგრამ რატომ ვშიშობდი, არ ვიცოდი. იყო დრო, როცა ამ ამბავს დიდი სიხარულით შევხვდებოდი.

— მარჯვნივ გაუხვიეთ, — ფიქრი ალენამ გამაწყვეტინა.

— რა საშინლად წვიმს, რა უბედურებაა, გაზაფხულის მოსვლას ვერც კი ვგრძნობ, — მის ბრძანებას დავემორჩილე და უფრო იმიტომ დავიწუნუნე, რომ რალაც მეთქვა.

— ამინდზე მაშინ იწყებენ ლაპარაკს, როცა სხვა სათქმელი არაფერი აქვთ, — ისევ ეს ჩაცინება, გამაგიჟებს ეს კაცი...

— ამჯერად ეს გამონათქვამი სიტუაციას არ შეეფერება, — თითქოს თავი ვიმართლე.

— O.K. ახლა, თუ იცით, მცხეთის სასამართლო სად არის, იქით გადაუხვიეთ. — გადავუხვიე. — ახლა აქ ჩაუხვიეთ — მიმითითა ერთ ჭიშკარზე. გზის პირას რალაც მოუვლელი სასადილო იყო და ჩვენ მის ეზოში უნდა შევსულიყავით.

— „ზაბეგალოვკაში“ დამპატიუე? — გამიკვირდა.

— ჩემი ფინანსები მხოლოდ ამის საშუალებას მაძლევს და

რა ვქნა? არადა, ძალიან მინდოდა, რომ თქვენთან ერთად 1-2 ჭიქა დამეღია, — თითქოს მომიბოდიშა ალენამ.

ცოტა კი გავბრაზდი და მინდოდა მეთქვა, — აქ წამოსვლას, თბილისში, 1 ფინჯან ყავაზე რომ დაგეპატიჟე, უკეთესი იქნებოდა-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. მანქანა ეზოში შევიყვანე და... რას ნახავს თვალი უკეთესს? ჩემ წინ ულამაზესი, ყვავილებით მორთული ეზო და აივნებიანი, კეთილმოწყობილი რესტორანი გადაიშალა. აღფრთოვანდი. აქ პირველად ვიყავი და აქაურობა დანახვისთანავე მომეწონა. მარჯვენა მხარეს ერთსართულიანი შენობა იდგა, რომელსაც უკანა მხარეს აივანი ჰქონდა და პირდაპირ არაგვს გადაჰყურებდა. ეზოში მიმტანი გამოგვეგება და წინ გაგვიძღვა. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა და საკმაოდ გრილოდა, მაინც აივანზე დაჯდომა ვარჩიე.

სახურავზე წვიმა ნაკაუნებდა და იქვე, მაგიდასთან, ფარდასავით ჩამოდიოდა. აივანზე რამდენიმე მაგიდა იდგა, მაგრამ ჩვენ გარდა გიჟი არავინ მოიძებნა და მარტონი ვიყავით.

— მოგწონთ? — გამიღიმა ალენამ.

— ძალიან.
— მიხარია, რომ სიამოვნება მოგანიჭეთ.

— ნამდვილად გამოგივიდა, — სიამოვნებისგან ლამის გავიზმორე.

ცოტა ხანში, ოფიციალტმა იმდენი საჭმელ-სასმელი მოზიდა, რომ მთელ პოლკს ეყოფოდა.

— ეს სულ ჩვენ უნდა შევჭამოთ? — გაოცებული ვუყურებდი.

— დიახ, უნდა შევჭამოთ და დავლიოთ კიდეც, — ალენამ კონიაკის ბოთლს ხელი წამოავლო და სასმელი

ჭიქებში ჩამოასხა.

სასმელი მალე მომეკიდა და საკმაოდ შევთვერი. ამასობაში გვარიანად დაღამდა კიდეც და დავიჟინე, შინ უნდა წავიდე-მეთქი. ალენას წინააღმდეგობა არ გაუწევია. დანახარჯი გადაიხადა და წამოვედით. ნასვამი კი ვიყავი, მაგრამ იმას მაინც მივხვდი, რომ ალენა ჩემზე ფხიზელი იყო. ჰოდა, საჭესთან დაჯდომა მას შევთავაზე და მე გვერდით მივუჯექი. კარგად ვიქცეოდი. სიმთვრალის დროს, ჩვეულებისამებრ, არ გამიფრენია; თავი ღირსეულად მეჭირა. ეგ იყო, ათას სისულელეზე ვლაპარაკობდი. მერე ძილი მომერია, ალენას ჩემი მისამართი ვუთხარი და დავიძინე.

არ ვიცი, რამდენი ხანი იყო გასული, მაგრამ რომ გამომეღვიძა, შევშფოთდი, რადგან მანქანა მცხეთის გზაზე იყო გაჩერებული და შიგ მარტო ვიჯექი. ერთბაშად გამოვფხიზლდი და შეშინებულმა, ის იყო, ყვირილი დავაპირე, რომ დავინახე, ალენა ლამის

თითქმის 1 საათია, მანქანის გაჩერებას ვცდილობ, მაგრამ მშველელი არ გამოჩნდა. ვერც თქვენ მიგატოვებთ და ახლა აქ მოგვიწევს ლამის გათევა.

— რას ამბობ? რაიმე მოიფიქრე, თორემ გავგიჟდები.

— ერთადერთი, რაც შეიძლება, მოვიფიქროთ, ის არის, რომ ტაქსის გამოვიძახებ და თქვენ გაგამგზავრებთ. მე კი მანქანას ხომ ვერ მივატოვებ? რაიმეს მოვიფიქრებ. აა, მოვიფიქრე კიდეც, — თქვა და მობილურზე რალაც ნომერი აკრიბა. — ტაქსის გამოძახება მინდა, — ჩასძახა ყურმილში. — მცხეთის გზაზე, ბენზინი გამოგველია და ტრასაზე ვდგავართ. გოგონა, იქნებ ტაქსის მძღოლს სთხოვოთ, რომ ბენზინი წამოგვიღოს? გადავუხდი, გულს არ დავწყვეტ. შავი, „ტოიოტას“ ჯიპია, თბილისიდან მე-8 კილომეტრზე ვართ, გაჩერებული. კარგი, გმადლობ. — ტელეფონი გათიშა და შემომხედა.

— მოვა?

რომ გამომეღვიძა, შევშფოთდი, რადგან მანქანა მცხეთის გზაზე იყო გაჩერებული და შიგ მარტო ვიჯექი

შუა გზაზე იდგა და გამველ მანქანებს ხელს უქნევდა. მერე ჩემკენ გამოიხედა, დაინახა, რომ მეღვიძა და მანქანისკენ წამოვიდა. საჭესთან დაჯდა და ამოიოხრა.

— რა მოხდა? — ვკითხე შეშინებულმა.

— ბენზინი გამოგველია.

— კი, მოვა.

— ალენა, მეგობრები არ გყავს?

— როგორ არა. რატომ მკითხებთ? — გაუკვირდა.

— ხომ შეგეძლო, მათთვის გეთხოვა დახმარება?

— აა, აქ ცოტა სხვა სიტუაციაა, ქალბატონო ანა. არ მინდოდა, ჩემს მეგობრებს თქვენ ენახეთ. იმედია, სწორად გაიგებთ, ჩემს ნათქვამს.

ხმა არ გავეცი, მაგრამ მისი ნათქვამი მესიამოვნა. ალენა თანდათან უფრო და უფრო მომწონდა. მასში ის თვისებები აღმოვაჩინე, რომელიც წესით, ყველა მამაკაცს უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს.

მისმა ტელეფონმა დარეკა და ვიგრძენი, როგორ



მამაკაცს, რომელსაც სიყვარულით უძამოიღებს, ყველამ ჰქვია.

აფათურდა ეჭვის ჭია ჩემს სულში. როცა მივხვდი, რომ ოპერატორმა გოგონამ დაურეკა და შეატყობინა, რომ ტაქსი უკვე გამოვიდა და მალე გვეშეველებოდა, ამოვისუნთქე.

1 საათში უკვე შინ, ჩემს საყვარელ ბალიშს ვიყავი ჩახუტებული და მთელი დღის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს ვაანალიზებდი. ბევრ რამეზე ვფიქრობდი, მაგრამ ერთადერთი დასკვნა გამოვიტანე — ალენა ძალიან კარგი ადამიანი იყო. გადავწყვიტე, ჩემი აზრი ჩემთვის შემენახა და არ მეგრძნობინებინა, რომ მისით აღფრთოვანებული ვიყავი. — პირველ ეტაპზე ასე ჯობს-მეთქი, გავიფიქრე და იმასაც მივხვდი — „პირველი ეტაპი“ იმას ნიშნავდა, რომ ქვეშეცნეულად, მეორე ეტაპს და კიდევ მომდევნო ეტაპებს ველოდი.

დღით შინიდან გამოსვლა ვიჩქარე, რადგან აეროპორტში წასვლამდე ბევრი საქმე მქონდა მოსასწრები. პირველ რიგში, ბუბას დავურეკე და შეხვედრაზე შევუთანხმდი. გულახდილად ვუამბე პარიზში ჩემი წასვლის მიზეზის შესახებ, რადგან მინდოდა, ერთ ადამიანს მაინც სცოდნოდა სიმართლე. თავს ვიზღვევდი, ხომ შეიძლებოდა, გაუთვალისწინებელი რამ შემმთხვეოდა? ვილაცას ხომ უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა ჩემს თავს? ჰოდა, საკუთარ ძმაზე უფრო ვის ვენდობოდი? ბუბა შემფოთდა. შეეცადა, ჩემთვის გამგზავრება გადაეფიქრებინებინა, მაგრამ მიხვდა, რომ გადანყვეტილების შეცვლა უკვე გვიან იყო და ჭკუის დარიგება დამიწყო. თან მისაყვედურა, თავიდანვე რომ არ ვუთხარი ყველაფერი.

ბუბას დავემშვიდობე და სამსახურში წავედი. ალენა დერეფანში შემხვდა და ჩვეულებრივად მომესალმა. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ რამეს მეტყოდა ან შეთქმულივით ჩაიციინებდა; სწორედ ისე, რომ სჩვევია და ძალიანაც უხდება, მაგრამ მოვტყუედი. მივხვდი, ეს მისი მხრიდან ერთგვარი ჟესტი იყო, რითიც მაგრძნობინა, რომ ჩვენი გუშინდელი თავგადასავალი არაფერს ნიშნავდა და ჩვენი

ურთიერთობა ძველებურად წარიმართებოდა. უზომოდ მაღლიერი დავრჩი და კიდევ 1 პლუსი დავუნერე.

მთელმა დღემ ფაციფუცში ჩაიარა. შინ ღამის 10 საათზე დავბრუნდი. მოსამზადებლად ცოტა დრო მქონდა. სულ 3 დღით მივდიოდი და ბევრი არაფერი მჭირდებოდა. ჩანთაში რამდენიმე სპორტული მაისური, ორიოდე შარვალი, ბოტასი და პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ნივთები ჰაიპარად ჩავყარე, შავი, მოტყეცილი ჯინსის შარვალი და თეთრი პერანგი ჩავიცვი, მხრებზე ჯინსის ქურთუკი მოვიგდე და უკვე მზად ვიყავი. მხოლოდ ოჯახის წევრებთან გამომშვიდობება დამრჩა და ახლალა გამახსენ-

მივედი, როცა რეგისტრაცია უკვე დაწყებული იყო. მივიხედ-მოვიხედე და ჩემკენ მომავალი დათო დავინახე. ხელი ჩამომართვა, ჭირისუფალივით გადამკოცნა და ფლეშკა გამომიწოდა.

— რომ ჩახვალ, ფრანგი ქალი დაგხვდება, ირენი ჰქვია. დანარჩენს ის გეტყვის. რატომ დააგვიანე? მეგონა, წასვლა ბოლო წუთს გადაიფიქრე...

— კარგი, — თავი დავუქნიე და ბოლო კითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— აბა, შენ იცი, — ცივად გამიღიმა, კიდევ ერთხელ გადამკოცნა და გასასვლელისკენ დაიძრა.

თვალი გავაყოლე. ის იყო, უნდა გავსულიყავი, რომ დარბაზის ერთ კუთხეში ალენას

მაგრძნობინა, რომ ჩვენი გუშინდელი თავგადასავალი არაფერს ნიშნავდა და ჩვენი ურთიერთობა ძველებურად წარიმართებოდა

და, რომ ჩემი გამგზავრების შესახებ მინიშნებითაც კი არავისთვის არაფერი მითქვამს. სალომეს დავუძახე და გულში ჩავიკარი. მერე მზიას დავემშვიდობე და ბოლოს, მახოს შორიდან გავძახე — 3 დღით მივდივარ და ბავშვს არაფერი გაუჭირვო-მეთქი. კარი რომ გამოვიხსურე, თითქოს გულში სიმძიმე ვიგრძენი; ყოველთვის ასე მემართება, როცა სადმე მივდივარ. მერე რა, რომ 3 დღით უნდა წავიდე? ჩემი სალომესგან ხომ რამდენიმე ათასი კილომეტრით ვიქნები მოშორებული?!

აეროპორტში ისეთ დროს

მოვკარი თვალი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ნამდვილად ის იყო, რადგან ვილაც უცხოელი ჩამოეფარა, მე კი ამაჩქარეს და იძულებული გავხდი, გამეგლო.

სისხლი სახეზე მომანვა. რას იფიქრებდა ალენა? დათოს ხომ დაინახავდა? ან რა უნდა ვუთხრა, თუ მკითხავს, დათოს რა უნდოდაო? რა ჯანდაბამ მოახეტა აეროპორტში? ნამდვილად ალენა იყო? ვფიქრობდი და თვითმფრინავში ასული საკუთარ ადგილს ვეძებდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალღმერთის მოხარული მოსალოდნელია, შინს ვაშშ-ში მოვალს და მომ ვამოგზავნის.



როგორ უნდა მოექცე ქალის ჩანთას



იცი, რით განსხვავდება მამაკაცი ქალისგან? იმიტომ, რომ ჩანთას არ ატარებს (რა თქმა უნდა, სხვა არაერთი განსხვავებაც არსებობს, მაგრამ ეს – ყველაზე მნიშვნელოვანია). შეიძლება ითქვას, რომ ჩანთა ქალისთვის „ინტიმურ“ აქსესუარს წარმოადგენს და მის შიგთავსს ყოველთვის უამრავი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. არ დაიზარო, 1-2 საათით ქუჩაში ფეხით გაიარე და გამვლელებს დააკვირდი. აი, მოდის მამაკაცი, ნიაკით თავისუფალი, მხრებგამოხრილი და ხელებს მიიქნევს. მოდის ქალი – ერთი მხარი მეორეზე მაღალია, მოკრუნჩხული თითებით ჩანთის სახელურს ჩაჰტრენია, იდაყვით ჩანთას სხეულ-

ზე იყრავს... არასოდეს სცილდება ჩანთას 5 მეტრ რადიუსზე მეტი მანძილით. შინ ყოფნისასაც ჩანთა მისი თვალთახედვის არეშია და ერთად იძინებენ; ერთი – სანოლზე, მეორე – სანოლის ქვეშ, რომ სიზმარშიც კი შეძლოს, მისწვდეს მას. ასე რომ, გაითვალისწინე, ჩანთა ჩვენი სულისა და სხეულის განუყოფელი ნაწილია და მასთან ურთიერთობისას შენ, მამაკაცმა, გარკვეული წესები უნდა დაიცვა.

1. ნუ ეცდები, მის ტარებაში დამეხმარო, თუნდაც მასში მთელი 2 ფუთი კარტოფილი „ჩავტვიროთ“. ჯერ ერთი, მამაკაცს ქალის ჩანთა არ უხდება. მეორეც — მაინც არ განდობ. ჩემია!

2. არასოდეს გაბედო მისი დაცინვა. ხომ არსებობს ისეთი რამ, რაც ხელშეუხებელია და მასზე ხუმრობა არ შეიძლება? მე ხომ არ გიყვები, როგორ სასაცილოდ გამოიყურები, როცა ძალიან დაბნეული ხარ?

3. არასოდეს ჩაიხედო მასში და არ დაინტერესდე, მისი შიგთავსით, თუნდაც მე თვითონ გთხოვო, რაიმე მოძებნო მასში. მართალია, ამით მე ძალიან დიდ პატივს დაგდებ, რადგან ყველაზე პირადულს განდობ, მაგრამ შენ ჯენტლმენი უნდა იყო და ჩემი საკუთარი სივრცის ხელშეუხებლობა უნდა დაიცვა. უბრალოდ, მომიტანე ჩანთა

და მე თვითონ მოვძებნი საჭირო ნივთს.

4. ნუ ჯუჯღუნებ, როცა ნახევარი საათის განმავლობაში ვიქექები ჩანთაში და რაიმის მოძებნას ვცდილობ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ დაბნეული ვარ. საქმე ის გახლავს, რომ ყველა ქალის ჩანთაში „შავი ხვრელია“, რომელიც პარალელურ სამყაროში გადის. სწორედ ამის გამოა, რომ ხშირად ჩანთაში ნივთები ქრება, ზოგჯერ კი „შავი ხვრელიდან“ მასში უცნაური ნივთები ჩნდება. თუმცა, თუ ხელს უფრო ღრმად ჩავყოფ (იდაყვამდე ან მხრამდე), შესაძლოა, „შავ ხვრელში“ გაუჩინარებული გასაღები ან საფულეც კი „დავითრიო“. ამას კი დრო და მოთმინება სჭირდება. ხომ ხედავ, რომ ვეძებ?

5. არასოდეს მაჩუქო ჩანთა, თუ არ გინდა, რომ ჰალსტუხების ჩუქება დავინყო.

ჩანთის არჩევა ინტიმური პროცესია. მე ის უნდა დავინახო, შევეხო და შევიყვარო, პასუხად კი მან „კუდი“ უნდა გააქიციოს და ხელში თვითონ ჩამიხტეს.

6. არასოდეს მომანოდო შენი პირადი ნივთი და არ მითხრა: „ჩანთაში ჩაიდე“. ეს საშინელებაა. თუ საჭიროდ მივიჩნევ, მე თვითონ შემოგთავაზებ შენი ნივთების ჩემს ჩანთაში შენახვას. ამ 2 მომენტს შორის ის განსხვავებაა, რაც ნებაყოფლობით სექსსა და გაუპატიურებას შორის.

7. გაუფრთხილდი ჩემს ჩანთას. მე ხომ ისე ხშირად ვურთიერთობ მასთან, რომ განუყოფელ ნაწილად მივიჩნევ. თუ უხეშად მოისვრი მას დივნიდან სავარძელზე ან ფეხით მისწევ, დამეუფლება გრძნობა, რომ ძალიან სასტიკი ადამიანი ხარ და ჩემ მიმართ — გულგრილი.

რა გვიჩვენებს უნდა რაიღონოს ქანდაკება სოცოტსის განათვლობაში

ცხოვრება მოსაწყენია? სულაც არა! ამ ფრაზას არასოდეს წარმოთქვამს ის ადამიანი, ვისაც სიცოცხლით ტკობა, ათასი სისულელისა და იმ არაერთი გმირობის ჩადენა შეუძლია, რომელსაც ქვემოთ ჩამოვთვლი. შესაძლოა, მათგან რამდენიმე უკვე ჩაიდინე კიდევ, მაგრამ ზოგიერთი ჯერ ოცნებადაა დარჩენილი. ნუ დაკარგავ დროს, გარისკე და ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღე. შემდეგ კი მემუარები დაწერე. მას ასე, რა გმირობა უნდა ჩაიდინოს ქალმა?

1. ბესტსელერი უნდა დაწერო.
2. რაიმე მნიშვნელოვანი უნდა გამოიგონო.

3. მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა უნდა იცოდე (ნერვები მუსიკალური ინსტრუმენტი არ არის!).

4. კარდინალურად შეიცვალო იმიჯი (მაგალითად, შავგვრემანიდან ქერა ქალად უნდა გადაიქცე).

5. მომავალ თაობას გზავნილი უნდა დაუტოვო. ამის გაკეთება შეიძლება წყალში გადაგდებულ ბოთლში, ინტერნეტში, ელფოსტაზე ან კედელზე.

6. ნახო მსოფლიო კინემატოგრაფის ყველა კლასიკური შედეგრი.

7. საცხოვრებლად იქ გადახვიდე, სადაც გსურს და მუდმივად იქ დარჩე.

8. მიატოვო მომბებრებელი სამსახური. საუკეთესო ვარიანტია, ხმაურიანად, კარის გაჯახუნებით წასვლა. თუ ამ გადაწყვეტილების შედეგად შენს მაცივარში თავსე შიმშილით სიკვდილი დაემუქრება, მაშინ ჯობს, კარგად დაფიქრდე და ჯერ ფასიანი შვებულებით ისარგებლო, ამასობაში კი კარგად მოიფიქრო რა გსურს.

9. ქვეყნის ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთის პირველ გვერდზე უნდა მოხვდე.

10. მსოფლიოს ყველა არქიტექტურული საოცრება საკუთარი თვალი უნდა ნახო.

11. რომელიმე ფრაზა 10 ენაზე უნდა შეისწავლო. არა აქვს მნიშვნელობა, მისალმება იქნება, გინება თუ მადლობა.

12. თვითმფრინავის მართვა უნდა ისწავლო.

13. რამდენიმე წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ასაკში უნდა დარჩე და წლები არ უნდა მოგემატოს.

14. უნდა გაიკეთო პირსინგი ან ტატუირება.

15. ვარსკვლავების რუკა უნდა შეისწავლო.

16. გაიცნო ვინმე ინტერნეტით ან „პაემნის“ რუბრიკით.

17. ახალი წელი პლაჟზე უნდა აღნიშნო.

18. ღამით შიშველმა იცურო.

19. უნდა აითვისო კულინარიული ხელოვნება.

20. შექმნა პოპულარული ვებ-საიტი.

21. იმდენს უნდა მიაღწიო, რომ შენი სახელობის ქუჩა დაარსდეს ან კოქტეილი შექმნა.

22. შური უნდა იძიო მოღალატე მამაკაცზე. მისი საყვარელი ავტომობილის კაპოტზე მთელი ფლაკონი „ვალერიანის წვეთები“ დაღვარო, მისი საყვარელი პერანგებისგან გულები გამოჭრა ან მძინარეს შუბლზე „ზელიონკით“ დააწერო — „ბაბნიკი“.

23. კინოგადაღებებში მო-



ნაწილეობა უნდა მიიღოს. თუ მთავარ როლზე რომელმე ვარსკვლავს მიიწვევენ, შეგიძლია, კოსტიუმებზე ღილები დააკერო.

24. კაცობრიობის გამრავლებაში შენი წვლილი უნდა შეიტანო.

25. რომელიმე მავნე ჩვევისგან სამუდამოდ უნდა გათავისუფლდე.

26. საყვარელ მამაკაცს უამრავი ლექსი უნდა მიუძღვნა და შემდეგ, წიგნად გამოსცე.

27. 100 წლამდე უნდა იცოცხლო.

28. ბევრი ფული უნდა იშოვო, რომ ამ სიაში ჩამოთვლილი, „ძვირად ღირებული“ პუნქტების სისრულეში მოყვანა შეძლო.

29. შეაგროვო ყველაზე უცნაური ნივთების კოლექცია — გამხმარი ხოჭოები, ბოთლის თავსახურები ან მაქმანიანი საცვლები.

30. შეისწავლო „კამასუტრა“ და თეორიიდან პრაქტიკაზე გადახვიდე.

31. რომელიმე ვარსკვლავი გაიცნო და დაუახლოვდე.

32. პარაშუტით გადმოხტე.

33. საკუთარი თვალთ ხახო ჩრდილოეთის ციალი, ვულკანის ამოფრქვევა, ტორნადო ან მზის დაბნელება.

34. თუნდაც 2 დღით დაბინავდე



ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს კომფორტულ ნომერში.

35. მიხვიდე ბუტიკში და მოიზომო ყველაზე ძვირფასი (რომლის ყიდვის საშუალებაც არ გაქვს) კაბა, რომელიც ყველაზე ცნობილი კუტიურის შექმნილია.

36. პოპულარულ ტოქშოუსში მიიღო მონაწილეობა.

37. რომელიმე პრესტიჟული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიაზე ვარსკვლავის სახით წარდგე.

38. ყოველ მეორე დღეს სოლიდურ რესტორანში ივახშმო.

39. დაეშვა ზღვის ფსკერზე

და შეიგრძნო დაივინგის გემო.

40. შეისწავლო თუნდაც ერთი უცხო ენა.

41. მსოფლიო ლიტერატურის ყველა (შექლების-დაგვარად) შედეგრი უნდა წაიკითხო.

42. შეიძინო ისეთი ნივთი, რომელსაც შენი ჯიბე ვერ სწვდება.

რა თქმა უნდა, ეს სია არასრულია. მისი გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. მე დასაწყისი შემოგთავაზებ, გაგრძელება კი შენთვის მომინდვია.

ჩვენი სანუკვარი სურვილი

• ეიფელის კოშკზე, დაჩოქილმა ოცნების მამაკაცმა სამუდამო სიყვარული შემოიფიცოს და ერთი წითელი ვარდი მაჩუქოს. სანაცვლოდ, ისეთ ლამაზ სიყვარულს ვაჩუქებ, როგორც ლამაზიც ეიფელიდან დანახული პარიზია. აი, ჩემი „მოკრძალებული“ ოცნება. :) ისე, ბიჭი იყოს და ჯანდაბას, ბოლოს და ბოლოს, თბილისის ანძა ხომ სჯობია ეიფელს? :) პარიჟანკა“.

• ჩემი სანუკვარი სურვილია, საქართველოში ყველა ადამიანი იყოს მორწმუნე და მაღალზნეობრივი. არ იყოს სილატაკე, მყავდეს მოსიყვარულე ცოლი და ლამაზი შვილები. ოჯახთან ერთად წავიდოდი ხოლმე ეკლესიაში და მოვილოცავდი საქართველოს ყველა სალოცავს და გავაკეთებდი უამრავ კეთილ საქმეს.

• ჩემი სანუკვარი სურვილია, რომ სიძულვილი და ბოროტება არ არსებობდეს! ხალხო, გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან მხ-

ოლოდ სიყვარული გადაგვარჩენს! მიყვარხართ! სევდიანი გოგო.

• ახალი წლის ღამეს კახი კავსაძემ დამირევოს და მითხრას — „თქვენ მოიგეთ მილიონი!“ აუუ! ნანიკანზ.

• ბევრი სანუკვარი ოცნება მაქვს, მაგრამ მათგან ერთ-ერთს გამოვარჩევ; ეს არის ის, რომ მინდა, ჩემი ორეული მყავდეს. იქნებ, ამისრულდეს?! ეშმაკი.

• ჩემი სანუკვარი სურვილია, გაერთიანებული, დაწყნარებული და ბედნიერი საქართველო. ნაც.

• მინდა, მაღლა ავფრინდე, უჩინარი ვიყო, იქიდან გადმოვხედო იმ ადამიანებს, რომლებიც მიყვარს... ჩემი სანუკვარი ოცნებაა, მასთან მივიდე და ვნახო, რომ ბედნიერი... ოცნება რომ არაა, რა მეშველებოდა? ბუბუსიკა.

გაგაფაფი გაგაქსეფი აჩსეპოგან!

— გამიხარდა, რომ თქვენს მკითხველებს შორის ამდენი გაბედული მამაკაცი აღმოჩნდა. სიმართლე გითხრათ, მეგონა, არავინ გამოიმეხმურებოდა, მაგრამ მამაკაცების აქტიურობით სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი.

ბევრი მკითხველი მეკითხება — მისია თუ არა ფოტო, რომელიც მაგდას განაცხადს ახლდა? მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ის ფოტო მაგდასი არაა, მაგრამ მერნშუნეთ, მის გარეგნობასთან მიახლოებულია.

ახლა კი მესიჯები და მაგდას კომენტარები. ჩათვალეთ, რომ მაგდას და მისი თაყვანისმცემლების მესიჯებით ურთიერთობას ადევნებთ თვალყურს ანუ თქვენ თვალწინ განვითარდება ისეთი მოვლენები, როგორც „მობილი-ზაციაში“ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ხდებოდა.

„მაგდა, ძალიან მინდა შენი გაცნობა. საოცრად დავინტერესდი. ვარ 33/188/65, სიმპათიური, სერიოზული და საქმიანი ადამიანი. მაქვს საკუთარი კომპანია და ვარ მისი ხელმძღვანელი. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი ან მე გამაგებინეთ მისი. გვედრებით, არ მიყვარს გაურკვეველობა. დარწმუნებული ვარ, რომ მე და მაგდა ერთმანეთს გაუფეხებთ. გთხოვთ, ნომერი გამაგებინეთ“.

— გაურკვეველობა არც მე მიყვარს. რაც შეეხება თქვენს სამსახურსა და მონაცემებს, აღფრთოვანებული ვარ.

ჯერია, ვისზე შეაჩერებს არჩევანს. მარი, წინასწარ გიხდით მადლობას!
— აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. თითქოს ყველა თქვენგანი კარგია. თუმცა, ერთი მესიჯით ადამიანის ამოცნობა მიძნელდება, მაგრამ შემოიძლია ვთქვა, რომ დასაჯარგავად არ მემეტები.

„მოგესალმებით, თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტო, იმ პიროვნებისაა, ვის გაცნობასაც გეთავაზობს თქვენი ჟურნალი? თუ ფოტოც შეცვლილია?“

— ამის პასუხი ალბათ უკვე ნაიკითხეთ. რისი დამატებაც შემოიძლია, ის გახლავთ, რომ მე გაცილებით უკეთ გამოვიყურები. მართლა... PS. სხვათა შორის, ფოტო ჩემი რომ იყოს, ასეთ გულისპირამოვლებულ კაბას არ ჩავიცვამდი. ეს ისე, განმარტების სახით.

„სამოქმედოთი გაცივობ მაგდას. თუ მოსურვებ, მიეცით ჩემი ნომერი“.
— აი, ასე მოკლედ და კონკრეტულად თუ მოვსურვებ, აუცილებლად მოგცემენ ჩემს ნომერს.

„თამამი განაცხადია, მომწონს თავდაჯერებული და ჭკვიანი ქალები. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი უფრო ახლოს, მაგრამ გადანყვებილება თავად უნდა მიიღო, ჩემო კარგო. ს. ც.“
— ვინაიდან გადანყვებილების მიღება ჯერ ადრეა, „განაჩენს“ ჯერ არ გამოგიტან.

მკითხველებს, ვინც უკვე საქმის კურსშია, შევახსენებ, ხოლო მათთვის, ვინც არ იცის, ვაცნობებ, რომ „გზის“ წინა ნომერში ერთგვარი რეალური ამბის დასაწყისს ჩაეყარა საფუძველი. 28 წლის მაგდა დაგვთანმდა, რომ ბედი სცადოს და ოცნების მამაკაცი „გზის“ საშუალებით მოძებნოს. მისი განაცხადი უკვე გაკეთდა. ამ ნომერში იმ მამაკაცების მესიჯები გამოქვეყნდება, რომლებსაც მასთან დაკონტაქტების სურვილი გაუჩნდათ. საბედნიეროდ, ასეთი ბევრი აღმოჩნდა. ჯერ მაგდას კომენტარს გაგაცნობთ:

„გამარჯობა. მე ვარ 30 წლის, მენეჯერი. ვცხოვრობ საირმეზე ვარ 194 სმ სიმაღლის. ვარ შავტუხა და მაქვს შავი თვალები. გამბედავიც ვარ“.
— შეჯერებანი მამაკაცები მომწონს. მალეღებო- მიიღე ჩემგან გულწრფელი სიმპათია.

„სალამი, მარი, ხომ ხარ მაგრად? ნამდვილად გულადი მამაკაცი ვარ და ამას ჩემ ირგვლივ ყველა აღნიშნავს, მაგრამ... მაგდას სიამოვნებით გავიცნობდი, თუ რა თქმა უნდა, სურათზე გამოსახული მანდილოსანი მაგდაა. :-) აუ, ცოტა რამ მაინც რომ ვიცოდე, რალაც გამოსავალს მოვძებნიდი და აუცილებლად გავიცნობდი. ყოველ შემთხვევაში, ჩემსას ვეცდებოდი. ისე, მარ, სიმართლე გითხრა, მგზავნელებიდან არავინ მომწონებია. სურათებს რომ ვუყურებ, ყველა სულ სხვანაირი წარმომედგინა. აი, კანიბალკა ხომ — საერთოდ! ეჰ, რა ვუყოთ? მაფიოზა“.

— წუნია ყოფილხართ. თქვენს მესიჯს რომ გავეცანი, მერე მგზავნელების ფოტოებს გადავაგლე თვალი და დასაწუნი არც ერთს არაფერი აქვს. იქნებ, თქვენ ხართ ზომიზე მეტად სიმპათიური?

„მარი, სალამო მშვიდობისა. მინდა, შენს ახალ რუბრიკას გამოვიმეხმურო. 34 წლის კაცი ვარ, სერიოზული, სიმპათიური, მაქვს ჩემი ბიზნესი. ვარ ძალიან უბრალო ადამიანი. ოჯახი არასდროს მქონია. ძალიან მინდა მაგდას გაცნობა. ახლა მაგდას

„თქვენი ჟურნალის ხშირი მკითხველი ვარ, მაგრამ მონერა პირველად გავბედე. მინდა, გამოვიმეხმურო ნერილს, „მხოლოდ გულადი მამაკაცებისთვის“. არ გეგონოს, შეუხედავი ან დაბალი ვიყო. საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი ვარ. მინდა, გავიცნო სერიოზული მანდილოსანი. თუ სურვილი გაგიჩნდათ, გამოიმეხმურეთ „გზის“ საშუალებით და მერე ვნახოთ. მომევალი გვიჩვენებს. ვარ მალალი, სპორტული აღნაგობის, 33 წლის, დასაქმებული. ჩემი სახელია ზაზა“.

— ზაზა, კონკრეტული და სიტყვააუნნი ადამიანი ჩანხარ. მესიმპათიურები.

„გასაგებია, მესიჯს გამოაქვეყნებთ, მაგრამ დალაპარაკების ან ნახვის გარეშე მაგდა როგორ უნდა მიხვდეს, ვინ არის მისი ღირსი? მე თანახმა ვარ, მიეცი ჩემი ტელეფონის ნომერი“.

— ქალური ინტუიცია მიკარნახებს, ძვირფასო... ყველას ხომ ვერ შევხვდები? როცა ვიგრძნობ, რომ შენ „ის“ ხარ, მაშინ შეხვედრაც შეიძლება.


„ჰო, მართლა, მაგდას ინტერვიუ ნავიკითხე და გთხოვ, გადასცე: მაგდა, მეც ექიმი ვარ, თერაპევტი, 30 წლის. არა, კანდიდატურას კი არ ვაყენებ, რჩევას მოგცემ, მთელი სერიოზულობით. დაიმახსოვრე! სიყვარულს ღმერთი აძლევს ადამიანს და არა „გზა“ (მაპატიე, მარი, შენ არ გეწყინოს). დამიჯერე, მოძღვართან მიდი, ეზიარე და უფალი ნამდვილ სიყვარულს მოგცემს და უბედნიერესი იქნები. თავს მოერიე ნეტავ, ჩემს ჯგუფში ხომ არ სწავლობდი? მე, 2004 წელს დავამთავრე“.

— ვცდილობ, ყველას მოზომილი პასუხი გავცე, მაგრამ ამჯერად თავს ვერ შევიკავებ და ჩემს კოლეგას ვეტყვი, რომ ნება მომცეს, ჩემი ცხოვრება ისე წარმეშალოს, როგორც მსურს. საშინლად არ მიყვარს, როცა ჭკუას მარიგებენ.



მუსიკანილები

5.06. - 11.06.2008



უჩუქულო გამოსაჯი

ქლორიანი გამოსაჯი, დაუპეპლავი დედლები და ღვინის ქურდები

ნათქვამია, გამოსაჯი ნებისმიერი სიტუაციიდან მოიძებნებაო. ჩვეულებრივი თუ უჩვეულო, ამას მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, რომ გამოსაჯი იყოს. ზოგიერთმა ძველმა მგზავნებმა ამ კვირაში ისეთი საყვედური მიიღეს, მტერს რომ არ ეტყვიან. მიმაჩნია, რომ ეს საყვედური დაუმასხურებელია. თითოეული თქვენგანი მე-

სოჯს იმიტომ მიგზავნის, რომ გამოვაქვეყნო. ჰოდა, რა საჭიროა შესწენება და თხოვნა? ერთ-ერთი გამოსაჯი, რომ მესოჯი დაგუბდოდ, ის გახლავთ, რომ საინტერესო ამბავი გამოგზავნოთ და არა — გაცვეთილი, რომელიც ყველამ, დიდმა თუ პატარამ ზეპირად იცის. იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ (სხვათა შორის, ბევრმა თქვენგანმაც აღნიშნა), თუ ვიტყვი, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები გაცილებით საინტერესო ამბებს მწერენ. ვიცო, ესეც გენყინებათ, მაგრამ სიმართლეა და რა ვქნა?

ლევების მონაწილეობით ზეიმს ამზადებდნენ. დაინყო რეპეტიციები. ერთ-ერთ ნომრად, სალამურზე „თუშურ სატრფიალოს“ ასრულებდა მერვეკლასელი ბიჭი. დირექტორმა თქვა: — კარგი იქნებოდა, სიმ-

მარი ჯაშარიძე

თან იმღერე, თან დაუკარი

„თემასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს გავისვენებ. სკოლაში მოსწავ-

ლერის თანხლებით იყოსო. კონცერტის ორგანიზატორმა პედაგოგმა უცებ იპოვა გამოსაჯი, ბიჭს დაკვრა შეაწყვეტინა და ჰკითხა — არ შეგიძლია, თან სალამურზე დაუკრა და თან იმღერო? :) ფინტიკოზა“.

„გრეჩისა“

„მარტო ვცხოვრობ და მეგობრები ხშირად „ვჭამთ“ „გრეჩისას“ ანუ ჩემთან სიგარეტს ჩუმად ვწვებით ხოლმე. „გრეჩისა“ წამოიღე, ვჭამოთ და ა.შ. — ვეუბნებით ხოლმე ერთმანეთს. ისე მივეჩვიე პაროლს, მარკეტშიც სიგარეტის ნაცვლად „გრეჩისას“ ვითხოვ. :) სინამდვილეში კი წამდვილ „გრეჩისას“ ვერ ვიტანთ. მეზობელს სულ ესმოდა, „გრეჩისა“ წამოიღე-მეთქი, რომ ვკიოდი და ერთხელ, მე და ჩემს „დაქალოჩკას“ დაგვიძახა და „უჰ, რა გემრიელია“ ძახილით გვაჭამა „გრეჩისა“. :) გამწარებულებმა სასწრაფოდ პაროლი გამოვცვალეთ. ნუ, პელმენს არა უშავს. ედყყბ“.

უხერხული სახმარი

„ჩვენს უბანში ჩამოიარეს იელოვას „მოციქულებმა“. რალაც ბროშურებს არიგებდნენ. ჰოდა, ერთმა კაცმა გამოართვა. გავიდა ოთხი დღე და კიდევ ჩამოიარეს. ამ კაცმა უთხრა — აღარ გაქვთ ბროშურებიო? — კი გვაქვს, მაგრამ ისინი თუ წაიკითხე, მოგვეცი უკან და ახლებს დაგიტოვებთო. ამ კაცმა უთხრა, ეგენიც მომეცით და შემდეგ მოსვლაზე ერთად მოგცემთო. კარგიო და ახლებიც დაუტოვეს. ამ კაცმა გამოართვა და უთხრა: — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქალაქის ხარისხი არ ვარგაო. — რატომ, უფროსო, რა არ მოგწონსო? — რა არ მომწონს, შვილო და ძალიან სქელია და ტუალეტში ცოტა უხეში სახმარიო. ისეთები გაიძურწნენ... მოკითხვა ყველა მგზავნელს. 9717“.

ნიაგმიუკარებელი

„მოსწავლეობისას ბიჭები ყვავილებით მანებივრებდნენ. შინ ხან იების კონით ვბრუნდებოდი, ხან — ვარდების თაიგულით. ერთხელ, როცა ჩემსიმაღლე ტიტების თაიგულით მივედი, ბებოს წერვებმა უმტყუნა: — ახლავე მითხარი, ვინ გაუბედა(!) ჩემს ხელისგულზე გაზრდილ

გოგოს (მისი სიტყვებია) ყვავილების ჩუქებაო, — და დაიწყო „დამნაშავის“ ძებნა. მას მერე დასჩემდა წნევები და გულის ფრიალი. აბა, ამის შემდეგ როგორღა გამოვაჩენდი სახლში ყვავილებს? ჰოდა, გამოვნახე გამოსავალი. იასამნების მორიგი თაიგულით ბიცოლას მივადექი. ვითომ, მისთვის ვიყიდე. „ბიცომ“ ნაძალადევი ღიმილით მიიღო ძღვენი. რატომ წუხდებოდი, გენაცვალოს ბიცოლაო? — და უნებურად, დაყნოსა. უეცრად, გადაატრიალა თვალები და გადავარდა. თურმე ყვავილებზე საშინელი ალერგია ჰქონია. ბიძაშვილს გავანდე ჩემი გასაჭირი და მანაც კაცურად გამიგო. ამჯერად, გიომ გამოწონახა უცნაური გამოსავალი და ჩემი ლამაზი თაიგული თავის ტურფას წაუღო. :) ასე „მატერორებდა“ ბებიკო. ჰოდა, ვყავარ ახლა „ნიაგმიუკარებელი“ გოგო. პარიჟანკა“.

დაგვიანებული მთხოვნელი

„მაღაზიიდან გამოვედი და ჩემ გვერდით მანქანა გაჩერდა. მამაჩემის გვარ-სახელი მკითხეს, სახლს თუ მიგვასწავლიო? უცხო ხალხი იყო (მძლოლი და 2 ქალბატონი). ვინ ბრძანდებით-მეთქი? — ვკითხე. მისი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მივდივართო. ელდა მეცა. მოგეხსენებათ, ქართული ტრადიციები. ცოტა შევშინდი, ვაითუ, დაითანხმონ

მშობლები-მეთქი (სასიძო არ ახლდათ, თურმე შორიდან მეტრფოდა). ჰოდა, უეცრად ვთქვი: — უიმე, გუშინ დანშინეს მაგათი გოგო-მეთქი. გადაირია „სამამამთილო“ და ცივად შეატრიალა მანქანა. გამოსავალი უკეთესი აღარ არსებობს! :) „ცოცხალი შოუ“ ვარ, რა! ნაციონალი“.

ქლორიანი გამოსავალი

„ამას წინათ დედამთილმა თმა შემალევივინა (რომელი სტილისტი მე მნახა). ერთ საათში გასვენებაში მიდიოდა და გამაფრთხილა, საღებავი სახეზე არ გამითხაპნოო. მეც შევვლებე, მაგრამ განა მარტო თმა? შუბლი და სახეც ყავისფერი ჰქონდა. ახლა, როგორც გინდა, ისე მომაშორეო, — რომ დამიბრიალა თვალები, რა მექნა? დავიწყე გამოსავალის ძებნა და ვიპოვე. ქლორით დავასველე ბამბა და დავუსვი სახეზე, მარა რა დავუსვი... ის კიოდა, მწვავსო, მე ვამშვიდებდი — სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, რომ გწვავს, იმიტომაა კარგი-მეთქი, მაგრამ საცოდავმა ქალმა ბოლომდე ველარ გამიძლო და გამექცა. წყალში რომ ჩაყო თავი, ყვინთვის რეკორდი მოხსნა. მერე რა, თუ იმ დღეს სახე ეწვოდა და გასვენებაში ჭირისუფალზე მეტი იტირა. სამაგიეროდ, ქლორმა სახე გაუთეთრა და ძალიან ეფექტურად გამოიყურებოდა. კამელია“.

საიქიოდან დაბრუნებული

„თელავს რომ ბევრი კოლორიტი ჰყავს, ყველამ კარგად იცის. მინდა, ერთერთის შესახებ გიამბოთ. დათუნა პაპას ცოლი მოუკვდა, რომელიც იელოვას მიმდევარი იყო. დათუნა პაპამ ერთკვირიანი გლოვის შემდეგ საქმეზე წასვლა გადაწყვიტა და კარის სახელურზე თავის ცოლს წერილი დაუტოვა — დედაკაცო, რომ მოხვიდე, გასაღებს იქა ვტოვებ, ჩვენ რომ ვიცითო. ამის შემდეგ მშვიდად წავიდა. ამ დროს მის მეზობელს რალაც დასჭირდა და სახლში მიადგა. წერილი რომ წაიკითხა, გაკვირვებულმა მრები აიჩჩა, მიხედ-მოიხედა, წერილი გადმოაბრუნა და ფანქრით მიანერა: ჩემო საყვარელო დათუნა, ვიყავი, მაგრამ სახლში არ დამხვდი და ისევ უკან წავედიო. გია თელავი“.

ნაოჭებიანი მცხოველი

„ერთმა ჩემმა ახლობელმა ნაოჭების წინააღმდეგ საბრძოლველად უჩვეულო გამოსავალი იპოვა: ერთ ჟურნალში წაიკითხა, რომ თურმე თვალის ირგვლივ ნაოჭებზე მასაჟი უნდა გაიკეთოს და შედეგს 4 თვეში მიიღებდა. ერთ დღეს მოვიდა და მეუბნება: — ოთხი თვის წინ მასაჟი გავიკეთე და მაინც არაფერი მეშველაო. აღარ შევკადრე, — მასაჟი ერთხელ კი არა, იმ 4 თვის განმავლობაში ყოველდღე უნდა გაგეკეთებინა-მეთქი. ამავე ქალბატონს მეზობელმა ასწავლა, ნამცხვრის ბეზე კარგად რომ გამოცხვეს, კარი ღია უნდა დატოვო. ერთ დღეს მივედი, ზამთარი იყო და გამიკვირდა, კარ-ფანჯარა ღია რომ ჰქონდა. ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი? ნამცხვარს ვაცხობ და ასე მასწავლეს, კარი გააღეო. აქ უკვე ვეღარ მოვითმინე და ვუთხარო: ქალო, ოთახის კარი კი არა, „დუხოვკის“ კარი უნდა გააღო-მეთქი. იმედა, არ მინყენს, თუ წაიკითხავს (ჯერ — თუ დამიბეჭდეს). აბლაბანუმი“.

ღვინის ქურდები

„დედაჩემს და მის დაქალს მაგრად მოსწონთ ლოთაობა. თვითონ კი ამას ღვინის დაგემოვნებას ეძახიან. დედაჩემის დაქალის ქმარს ღვინის სანყოფი აქვს. ამათაც, რომ შემოაკლდებოდათ, ჰპარავდნენ ხოლმე. ერთ დღესაც, მამუკა ბიძიამ ფაქტზე წაასწრო ღვინის ქურდებს. სულ არ გაბრაზებულა, გაუნოდა 2-ლიტრიანით ღვინო და შეგარგოთო, — უთხრა. ამათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მოვიდნენ გახარებულები. დედაჩემი ირინას ეჩხუბა: რა კარგი ქმარი გყავს, შენ კი სულ „უმოტს“ რატომ ეძახიო? ჩამოასხეს ღვინო და მამუკას თამადობით, ყველა ქმარი დალოცეს. ისეთი გემრიელი ძმარი იყო... ძმრის „დაგემოვნების“ შემდეგ აღარაფერი მოუპარავთ. აი, ასეთი გამოსავალი გამონახა მამუკა ბიძიამ. ნამცეცა“.

მოტყუებული თამადა

„ჩვენთან ერთი მაგარი მსმელი კაცი ცხოვრობს; ქორწილებში სულ თამადად დაჰყავთ (სხვა სოფლებშიც კი ეპატიჟებიან), მაგრამ მისი დამთრობი კაცი ვერ მოიძებნა. შესახედაობაც ისეთი აქვს,

ასი ლიტრი ღვინო ულაპარაკოდ ჩაუვა ღიბში. ჰოდა, ერთ დღესაც უცხო კუთხეში ჩვეულ თანამდებობაზე წაიყვანეს. მო-

კალათდა თუ არა სუფრასთან, დამხვდურ თამადას დაუნყო ძებნა და როცა საპირისპირო მხრიდან 25 წლის ტანსუსტმა ბიჭმა გაულიმა, კაცი გაგიჟდა; წაიყვანეთ ეს ბავშვი სახლში, ამას მაკვლევინებთო? მაგრამ პატარა თამადა დაჰპირდა, რომ აუცილებლად დაათრობდა; ოღონდ, თირკმლების პრობლემა მაქვს და გარეთ ორ-სამჯერ, 5 წუთით გამიშვიო (ჩვენთან თამადის გარეთ გასვლა სირცხვილად მიიჩნევა). დიდმა თამადამ თანხმობა მისცა და განაცხადა: თუ ამ ბიჭმა დამათრო, სასმელს ცხოვრებაში აღარ გავეკარებო. გაჩაღდა ქეიფი. ბიჭს მოეკიდა სასმელი და გარეთ გასვლა ითხოვა. ხუთ წუთში კი თითქმის ფხიზელი დაბრუნდა და სმა განაგრძო. ასე გაგრძელდა დილამდე და დაგვიტვრა ბუმბერაზი თამადა. გაგიჟდა მაცარი.

მამლების ბრძოლა

„ბავშვობაში სოფელში ვიზრდებოდი. ჩემს მეზობელ სულიკოს ისეთი ავი მამალი ჰყავდა, რომ გარეთ თუ იყო, მისი შიშით ეზოში ვერ გავდიოდი. ჰოოოდა, ერთხელ ისე დამკინა, ფრონტზე ნამყოფ „სალდათს“ ვგავდი. გადავწყვიტე შური მეძია. ბევრი ვიფიქრე და „ცივი იარაღი“ შევქმენი, რომლითაც მამალს გავუსწორებოდი. ახალი ნაყიდი ბურთი მქონდა. დავეჭერე კამერა და მისგან ისეთი შურდული ავანყვე მტერსაც თვალი დაუდგებოდა. ოღონდ მამალზე შური მეძია და ბურთს ვინლა ჩოოდა. „საბრძოლველად“ უკვე მზად ვიყავი. გამოვედი ქუჩაში და ეს ჩვენი სულიკოს მამალიც გარეთ ნავარდობდა. დამინახა თუ არა, ვერევე ჩემკენ გამოქანდა. მე ამ დროს „გადავტყენე“ ჩემი იარაღი, ვქროლუე და შიგ თავში „ჭიწიწი“. მამალი ნაბორძიკდა, „ბრძოლის ველზე“ დაეცა და სულიც განუტყევა. ვიფიქრე, სულიკო რომ ამას გაიგებს, გადაირევა-მეთქი. მივედი და ვეუბნები — მაპატიე, სულიკო ბიძია, შენი მამალი მე მოვკალი, „ლაგატკა“ ვქროლუე, აცილება მინდოდა და პირდაპირ თავში „ჭიწიწი“-მეთქი. ახლა ის რას მეუბნება? — მეინი, ბიძიკო, შენ აქეთ ახლა, მე ის მამალი შეშას არ მიჩხავდა, ისეთე მჭირდებოდა, ჰოოდა, დილით ჩამოდი, გამაღვიძე ხოლმე და დედლები არ დაგრჩეს დაუბეპლავიო. ვიფიქრე, ეს აღარ ხუმრობს-მეთქი და გამოსავალიც ვიპოვე. ავდექი და უმამლოდ დარჩენილი ათი დედალიც „გავტრუე“ და ამით ერთი პრობლემა მოვაგვარე. მაგრამ ერთი პრობლემა კიდევ იყო — დილით სულიკოს გაღვიძება! გამოსავალი აქაც ვიპოვე — მამლის ყვილი მაგნიტოფონზე ჩავწერე და ყოველ დილით ჩავრთავდი ხოლმე. „პოლნის“ ავუნწვდი და ორი კვირის განმავლობაში ასე ვაღვიძებდი სულიკოს. მერე კი „პაბევი“ ავწიე. ჯეჟეჟ“.

ნაიყვანეს მთვრალი თამადა...
საცოდავი, სირცხვილით სახ-
ლიდან აღარ გამოდიოდა.
სმას მიჩვეული კაცი თავისი
ნათქვამი სიტყვების გამო —
სასმელს აღარ გავეკარებო —
ველარც სვამდა და ეს მთლად
აგიჟებდა. ამ ქორწილიდან
სულ რაღაც სამ კვირაში
გოგო გაუთხოვდა — მშობ-
ლების უჩუმრად გაიპარა.
მიუვარდა სასიძოს საცემრად
და ის თამადა ბიჭი არ შერჩა?
იმ ქორწილში მოსწონებოდათ
ერთმანეთი. გაგიჟდა კაცი
სიხარულით, შენ უარს რო-
გორ გეტყვი, ასეთი ვაჟკაცი
ხარო და როცა სიძე და ქა-
ლიშვილი გულში ჩაიკრა, მა-
შინ მოხდა, რაც მოხდა: კარი
გაიღო და სიძის ორეული
შემოვიდა — მე არ მოგილო-
ცოთო? მაშინ გაირკვა, რომ
იმ ღამით ერთმა კი არა,
ტყუპმა ძმამ დაათრო ჩვენი
თამადა. ერთმანეთს ენაცვლე-
ბოდნენ და რიგრიგობით ფხი-
ზლდებოდნენ (მთელმა მათმა
კუთხემ იცოდა და მოუწყვეს
თამადას). კაცი დასაბმელი
გახდა, აღარავის დანახვა არ
უნდოდა, მაგრამ მალე მოლბა.
ხომ მაჯობე და რეალურად
თუ ჭკუით, მაგას რა მნიშვნ-
ელობა აქვსო? სახლში დაბ-
რუნებულს რომ ჰკითხეს, რო-
გორია შენი სიძეო? — კარგი
ბიჭია, მაგრამ „აფირისტიაო“.
კამელია“.

აფრიკელები

„კლასელებმა „შატალოზე“
ნასვლა გადაწყვიტეთ და
პარკში შევიკრიბეთ. 5 გოგოს
გარდა ყველამ სკოლაში დაბ-
რუნება გადაწყვიტა. დავრჩით
მე, 4 გოგო და კლასელის ძმა.
წავედით ზოოპარკში. იქ ხომ
ვიგიჟეთ და რამე... უეცრად
აღმოვაჩინეთ, რომ ფული
ფაფუ! გახვრეტილი 5-თეთრი-
ანიც კი აღარ გვაქვს. აღარ
ვიცოდით, რა გვექნა. ნიკამ,
ნაღდი მათხოვრებივით ვართო
და აგვიტყდა სიცილი. ჰოდა,
გადაწყვიტეთ, გაგვეკეთებინა
პლაკატი. ვეცდები, შინაარსი
ზუსტად გავიხსენო: „გთხოვთ,
დაგვეხმაროთ, ფული დაგვარ-
გეთ. გზის ფულს ვაგროვებთ.
პატივისცემით, აფრიკელები“.

ჩვენ იმ დღეს ფული ვი-
შოვევით! ღამის მომავალ
პროფესიაზე სერიოზულად
დავფიქრდი. მერე სახინკლეში
ვიგრიალეთ და დავანექით
მშობლიურ აფრიკაში, მაგრამ
მეორე დღეს „პოლუინსულტ-
მილებულმა“ დირექტორმა
ღამის ჩაგვნიხლა. მე ახალი
ვარ. მის აფრიკა“.

უეცარი გამოსავალი

„ჩემს ნათესავ კაცს (მაშინ
ბიჭს) ცოლი მოჰყავდა. საქორ-
წინო მოსაწვევებიც დაარიგეს,
300-კაციანი სუფრაც გაიშალა
და პატარძლის წამოყვანის
დრო რომ დადგა, სადღა
იყო პატარძალი?! გაიპარა და
თავის პირველ სიყვარულს
გაჰყვა (კარგ დროს გაახსენდა).
რა ექნა სიძეს? სიბრაზისა
და სირცხვილისგან ჭკუაზე
აღარ იყო, მაგრამ გამოსავალი
უცებ იპოვა. იქვე, მალაზიაში
ნაცნობი გოგო გამყიდველად
მუშაობდა. შევარდა და დაუ-
ჩოქა — მიშველე, გემუდარები,
ცოლად გამომყევით. იმდენი
ეხვეწა, გოგოს შეებრალა და

გაჰყვა. იმ ღამით ქორწილი
არ ჩაშლილა, მაგრამ სტუმრე-
ბი ქეთევანს ლოცავდნენ, პა-
ტარძალი კი ნინო იყო. დღეს
მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ
და 3 შვილიც ჰყავთ, მაგრამ
ცოლი ხანდახან, ნახევრად
ხუმრობით ახლაც აყვედრის,
შერცხვენისგან გიხსენიო.
კამელია“.

თემაზე მოსული მოკლე მესიჯები.

„მოკლედ, ქუთაისში რა
არ ხდება! ქალი შევიდა აფ-
თიაქში და 5 აბი წნევის
წამალი ითხოვა. გამყიდველს
10-აბიანი „ლისტიდან“ 5 უნდა
ჩამოეჭრა და ამ ქალმა იცით,
რა უთხრა? თუ შეიძლება,
მა ტაბლეტები შვაგულიდან
ამოჭერიო. ლივერპოლ“.

„ორი მეგობარი მყავს,
რომლებიც ერთმანეთს არ
ელაპარაკებიან. აქამდე ისე
იყო, რომ როცა ერთმანეთ-
თან საქმე ჰქონდათ, ეუბნე-
ბოდნენ — რაც გარკვეულ
უხერხულობას ქმნიდა. ახლა
კი ორივე ვითომ მე მელაპარა-
კება. არადა, ერთმანეთის

ყუთის უფროსი

„აქამდე თუ ჯარში ძალდატანებით მიჰყავდათ,
ახლა ვისაც ფეხი აუცდა, ყველამ ჯარში გაადინა
ტყაპანი — აქაოდა, დიდი ხელფასებიაო თვის ბო-
ლოს კი „საქართველოს ბანკის“ ბანკომატთან ისეთი
საშინელი რიგებია (მთელი ჯარი იქ იღებს ხელფასს),
თუ ბილბობილი არ გაქვს დაღუული, დაგაფინცდება,
რაზე მიხვედი დღეს, წვიმაში მეც მომიწია რიგში
დგომის „ბედნიერება“. ჩემ წინ ერთი ჯარისკაცი
იდგა და გაკვირვებული ხან ბარათს დასცქეროდა
და ხან ბანკომატს მისჩერებოდა შემდეგ მე მო-
მიბრუნდა, ყურებადვე გადაიხსნა პირი და ვითომ
ღიმილით მკითხა: — ამან უნდა მომცეს ფული?
ჯერ მეგონა, გაცნობის მიზნით გამომელაპარაკა და
უსიტყვოდ დაფუქნე თავი, მაგრამ როცა რიგმა მოუ-
წია, მიხვდი, პირველად სარგებლობდა ბანკომატით.
ჯერ იყო და ბანკომატის ეკრანზე მიაკაკუნა და
ომანიანად დაიძახა: — ეი, „საზინ“, გამოიხედე! რა
თქმა უნდა, ტყუილად გაისარჯა, მე კი სიცილით
აფუქსენი სარგებლობის წესები და თან დახმარე-
ბაც შევთავაზე, რადგან მეჩქარებოდა, მაგრამ ვინ
გისმინა? იმდენი აწვალა ბანკომატი, რომ ბოლოს,
„გაბრაზებულმა“ ბარათი გადაუყვალა. გამწარებული
ჯარისკაცი კი ბანკის წინ მთელი ხმით აყვირდა:
— ვინაა ამ ყუთის უფროსი? ჩქარა გამოიხედე!
ღრმად შევუდე და გამეჭვადო ვილას ახსოვდა რიგი
და წვიმა, ხალხი ძირს იწვა სიცილით. ოქრუაშვილის
თქმის არ იყოს, ამათი მოგებული ომის არადა,
ყოველი არჩევნების წინ, პრეზიდენტი დაკარგული
ტერორიზმის დაბრუნებას გეპირდება“.

გასაგონად ლაპარაკობენ, მე კი არც ვიმჩნევ, რომ ამას ვხვდები. პონტი მსიამოვნებს და იმიტომ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეს ორიგინალური გამოსავალი მე ვარ!”

ჟელაფერზე, თემის გარდა

„ბურძღლიანი“ და სულელი

„მარ, წვიმა გინახავს? თავისთავად! წვიმაში მოსიარულე წყვილი? ეგეც, რა თქმა უნდა. და განსაკუთრებული წყვილი? ავლაბრის (კიბალჩიჩის) აღმართზე, მოაჯირზე მავალი გოგონა გინახავს? გინახავს, როგორაა ბიჭის ხელს ჩაფრენილი? გინახავს, როგორ შეჰყურებენ რიყეზე მდგარი პოლიციელები გადასრულ გოგონას? მერე რა, თუ მას კაბა უფრიალებს? მერე რა, თუ აღმართზე ამავალი მძღოლები წყვილს გაკვირვებულები აყოლებენ თვალს? მერე რა, თუ გოგონას შიშისაგან გული მისდის? მას ხომ გვერდს ერთი „ბურძღლიანი“ ბიჭი, მისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი უმშვენებს? მარ, არ გინდა, ეს წყვილი უბედნიერესი იყოს? მე ძალიან

მინდა... უფალო, დაიფარე „ბურძღლიანი“ და სულელი გოგო... ილინი“.

პოლიტმესიჯი

„მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე სამთავრობო ბლოკისთვის არ მიმიცია ხმა, კამელიას მესიჯი პირად შეურაცხყოფად მივიღე. ქუთაისში ვცხოვრობ და ბაღდათში მაქვს სოფელი, სადაც ხშირად ჩავდივარ. თითქმის მთელი რაიონი ერთმანეთს იცნობს და ზუსტად ვიცი, რომ ხალხს არანაირი ზენოლა და მუქარა არ სჭირდებოდა იმისათვის, რომ „ნაციონალებისთვის“ მხარი დაეჭირა. იცით, უმრავლესობა რატომ უჭერდა მხარს „ნაციონალებს“? იმიტომ, რომ რაიონში, სადაც ნათურა საერთოდ არ გვეჭირდებოდა (თითქმის აღარ გვახსოვდა ელექტროენერჯის არსებობა), ახლა 24-საათიანი ელმომარაგება გვაქვს. ადრე თუ კურორტ საირმემდე 2 საათის სავალი გზა იყო, ახლა ნახევარ საათში ავდივართ და ვტკბებით ბუნებით, რომელიც ახალი კანონის დამტკიცების შემდეგ აღარ იჩეხება. სასამართლოებში არის უსამართლობა, რომელიც

ყველაზე დიდი პროტესტის მიზეზია და რის გამოც არც ერთ არჩევნებში 5 ნომერი არ შემოვხაზე, მაგრამ ვხედავ, რომ ხალხის ცხოვრება ვითარდება და ამ განვითარებულმა საზოგადოებამ უნდა შეექმნათ სამართლიანი სასამართლო და კარგი ქვეყანა. მოდი, ახალგაზრდებმა კარგად ვისწავლოთ და ქვეყანა ნომრების შემოხაზვით კი არა, ჩვენი საქმით ავაშენოთ. იმედია, ჩემი მესიჯი სწორად გაიგეთ. არც არავის ვეკამათები და არც არავის ვუნევ აგიტაციას (არ აკლიათ მაგათ აგიტატორები), მაგრამ ძალიან მინდა, რომ ეს მესიჯი დამიბეჭდო. თათია“.

მინისტრის შეცდომა

„შანსი მქონდა და რა შანსი?! წინა კვირას ჩვენთან სკოლაში განათლების მინისტრი ბრძანდებოდა. ათოსნებს ეგრეთ ნოდებული, ვითომდა ნოტებოკ-ები მისცეს. ამ კაცთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, რადგან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, პატარა თხოვნა მქონდა. დადგა კულმინაციური მომენტი და მობრძანდა მინისტრი. სკოლაში ამყად შემოაბიჯა, მე და ჩემს პარალელურკლასელს ძალღერი „პრივეტო“, მოგვიგდო და გაიარა. ყბა ჩამომვარდა კი არა და — მომძვრა. რას წარმოვიდგენდი, მინისტრებიც თუ „პრივეტებით“ საუბრობდნენ, თან ასეთი ჭალარა და სოლიდური ასაკის კაცი. ნანატრი შანსი რუსულმა „გამარჯობამ“ დამაკარგვინა და ვერაფერიც ვერ ვთქვი. დუშელი-გირლი“.

მადაგასკარი

„ახლა გაკვეთილზე ვარ და ექსკლუზიურ კურიოზს გნერთ. მასწმა საკონტროლოს შედეგები გამოგვიცხადა და თურმე, ერთ-ერთ კლასელს „შპარგალკა“ რვეულში ჩარჩენია (საწყალი). ამას წინათ კი გეოგრაფია გვექონდა. მასწმა გვკითხა, კუნძული მადაგასკარი სად მდებარეობსო?

ტლიკინა

„საყოველთაოდ ცნობილია, როგორ მიყვარს ყვეთელი „სანდრაბუსები“ (თვითონაც გიჟდებიან ჩემზე). ჰოდა, კიდევ ერთხელ „ავინიოუბკი“. :) რა თქმა უნდა, ჭყლეტა იყო და ფეხზე ვიდექ. მე გობარმა დაბირკა და ჩვეულებისამებრ, ფრანგულად ვისაუბრეთ. საუბრის დასრულებამდე დავაფიქსირე ხალხის გაოცებული მზერა. „ტელეს“ გათიშვისთანავე ერთი ქალი გვერდით მჯდომ ბიჭს მიუბრუნდა: — არიქა, დაუთმე ადგილი, თორემ მოგვეჭრა თავი მთელ ევროპაში და სამუდამოდ დავეშვიდობეთ მაუსო(?). ბიჭი ადგა მეც შევიფერე და თვალბის ფახულით ვუთხარი: მერსი. :) როგორც კი დავედეთ, ჩემ უკან ასეთი მონოლოგი გაიმართა: დედაა, გავსულელდი, გოგო! ნახე, რავარი გასხმა? აგი იცხოვრებს, აბა, რას იზამს? ნუ ქაჩავ თვალბს, დეეტე მაქანა და უყურე, რავარი ზის პარიზელი „უკულა“! გეიგონე, რაფერ იტლიკინა? „მალადეც“! არ გისწავლია ასთე და მიგასიკვტილებ, ჩემი ხელით. ამის გამგონეს, ერთი გადახარხარება ქვეყანას მერჩია, მაგრამ ბოლომდე ღირსეულად დავჩი პარიზულად. P.S. განძის მაძიებლის დაბრუნება გამიხარდა. :) პარიზანკა“.

ჩემმა „ანტიკვარმა“ კლასელმა კი დაამუნათა — მასწ, რას გვატყუებთ, ეგ კუნძული კი არა, მულტფილმიაო. ჩუპი“.

ისევ ვალიკო

„გზავნილეთში“ ყველა მგზავნილზე და ვფიქრობ, უკვე თვით მარიაზე უფრო პოპულარული ვალიკო გახდა. იდეა მაქვს: ვისაც რამდენის შესაძლებლობა გვაქვს, ავაგროვოთ ფული (მგონი, ბევრი ვართ, კაი დიდი თანხა იქნება) და ამ შეგროვილი თანხით დავასაჩუქროთ ის ადამიანი, ვინც ვალიკოზე რაიმე ინფორმაციას ან უკეთეს შემთხვევაში, მის ადგილსამყოფელს გვაცნობებს; რათა მივცეთ ამ გოგონას შანსი, შური იძიოს ამ მოლაღატე (მისი სიტყვებია) ადამიანზე. ჩვენც დავისვენებთ და მარისაც დავუბრუნებთ თავის ქვეყანაში პოპულარობას, მაგრამ ქალური ინტუიცია მიკარნახებს, რომ სულ ლანგრით რომ მივართვათ „აფერისტი“ (მისი სიტყვებია) ვალიკო, 2 ნომრის შემდეგ მარი — „ყველაფერზე, თემის გარდა“-ში დაბეჭდავს ამ გოგონას გამოუყენებელი შანსის შესახებ. თაკლო“.

დატარანებული

„გურიაში მოხუცი ქალი ცუდად გახდა. შვილებმა ექიმი მიუყვანეს. ექიმი რუსი აღმოჩნდა და თარჯიმანი, ახალგაზრდა გოგო მოჰყვა. თარჯიმანმა ბებოს უთხრა: — ბებო, მითხარი, რა გჭირთ, რომ ექიმს გადავუთარგმნო. ბებომ უპასუხა: — რა მჭირს, შვილო და... მტვირავს, მტვირავს, ძვლებში მამტვრევს და მატარანებსო. გოგონა განცვიფრებული მიუბრუნდა და უთხრა: — ქეც გაგძრობია სული, მე ეგ მაგას არ ვუთარგმნო. ლუნა“.

კომეტასავით ქალი

„თქვენი ჟურნალის დიდი მოტრფიალე ვარ, მაგრამ პირველად ვამესიჯებ. მინდა, ერთი კურიოზი გავიხსენო. გორიდან ბორჯომში მივდიო-

დი. ავტოსადგურში ვიყიდე „გზა“. ვიფიქრე, თავს ჟურნალით გავირთობ-მეთქი, მაგრამ ვინ გაცალა? დავიძარით თუ არა, გვერდით მჯდომმა, ასე, ორმოცდაათიოდე წლის ქალმა გამომტაცა ხელიდან და დაიწყო, მარა რა დაიწყო კითხვა... გორში რომ ჩარგო თავი ჟურნალში, ტაშისკართან გამოერკვა და თავაზიანად იკითხა — ხაშურში მალე შევალთო? გამეცინა. ხაშური უკან დაგვრჩა-მეთქი, რომ ვუთხარი, მიკიოტივით გაკიოდა — ახლანდელი ახალგაზრდები ასეთი უზრდელები ხართო, ჟურნალი სახეში მესროლა და „მარშრუტკიდან“ კომეტასავით ისკუპა. მგზავრები კი ბორჯომამდე იმ ქალზე ხარხარებდნენ. მის კეხურა“.

„შტუკა“

„ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მესიჯი მომივიდა. ჩვეულებრივი, მოსაწყენი და ბანალური თაყვანისმცემელი იყო, თუმცა მალე აღმოვაჩინე, რომ ის ჩემი ყოფილი „ლოვეს“ მეგობარი ყოფილა. ჰოდა, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, უსინდისო მოლატისთვის ჭკუა მესწავლებინა. ერთ საღამოს დავურეკე და პაემანზე შევეთანხმდი. იმ ბარში ნავედით, სადაც ჩემი მეგობარი იყო მენეჯერი და მთელ პერსონალს ვიცნობდი. ჩემი „პაკლო“ ისე გამოვათვრეთ, რომ საკუთარი სახელი და გვარიც კი დაავინცდა. კარგად რომ შებინდდა, ბარიდან გამოვედით და გეზი ვერის ბალისკენ ავიღეთ, სადაც დაქალები მელოდნენ. მივაჩანჩალებდი პეროვსკაიაზე გადამთვრალ კაცს და თან აღფრთოვანებული ვიყავი საკუთარი თავით. საწყალს, სკამზე დაჯდომისთანავე ჩაეძინა. გოგონების დახმარებით კი განაჩენი სისრულეში მოვიყვანე. წარმოიდგინეთ, რა კარგი სანახავი იქნებოდა, დილით საკუთარ თავს მაისურში, „ნასკებსა“ და ტრუსში რომ აღმოაჩენდა. დიახ, ჩვენ

ის შარვლისა და ფეხსაცმლის გარეშე დავტოვეთ. თურმე, დილის 6 საათზე გამოეღვიძა. მობილური გულში ჩაეხუტებინა და შუა ბაღში ნებივრად იზმორებოდა. როცა მიხვდა, რაც სჭირდა, ძმაკაცებს დაურეკა დასახმარებლად. იკუშკები“.

მთამთა ჯობია თუ გორაგორა?

„მე რომ დავიბადე, ჩემს სანახავად დიდი ბებია მოსულა. ჩემი სახელი უკითხავს. დედაჩემს უთქვამს, მთამთა ჰქვიაო. ჩემს ბებოს კი მთამთა ნაცვლად, მთამთა გაუგონია და დედაჩემისთვის უთქვამს — შვილო, მეორე შვილი რომ გეყოლება, იმას გორაგორა დაარქვიო. :) აი, ეს იყო სულ. გკოცნით. ნარჩიტა“.

„ბრავო! „დიდების ზღაპარი“ მართლაც არაჩვეულებრივია. გთხოვთ, იაქტიურეთ, ბატონებო და ქალბატონებო! თქვენით მოხიბლული თინეიჯერი“.

„მარი, ამ ბოლო დროს ჟურნალ „გზის“ ყიდვის სურვილი მიქრება. მით უმეტეს — მონერის. ისეთ მესიჯებს მიბლოკავ, რომელსაც თუ რეიტინგის აწევაზე ზრუნავ, წესით, უნდა ბეჭდავდე. მე ჩემი პოპულარობა სულ არ მაძარდებს. უბრალოდ, მკითხველს მინდა ვასიამოვნო. შენ მკითხველის აზრი უფრო მეტად უნდა გაინტერესებდეს. მაპატიე საყვედურისთვის, მაგრამ მინდა, ეს რჩევის სახით მიიღო. კახელი სალომე“.

„მარი, იცი, რა მაინტერესებს? აუცილებელია, ყველა მესიჯის ბოლოს მივანერო — „მარ, დამიბეჭდე“, „მარ, თუ არ დაბეჭდავ, მოვკვდები“, „მარ, გაფიცებ“, „მიყვარხარ“? ამის გამო მბლოკავ, რომ ასეთ გაცვეთილ ფრაზებს არ გწერ? მეგონა, მთავარი შენთვის იუმორი იყო. არ გსაყვედურობ, უბრალოდ, ცუდია ასეთი სიტუაცია და „გზავნილები“ რეიტინგს კარგავს. ვიცი, ამას დაბეჭდავ. თუმცა შენი საქმის შენ იცი. მის რეალი“.

ლიქვის ფლავანი

ჯულიას ამბავი

„ჩემს მოხუც მეზობელს, ჯულიას ვთხოვე, მისი ახალგაზრდობიდან რაიმე ამბავი მოეყოლა. აი, რა მომიტხრო: — ერთხელ გოგოები საქონელს ვუდევით, ღმერთმა აცხონოთ, მათგან ცოცხალი აღარც ერთი აღარაა. მე გოგოების ატამანი ვიყავი, იგეთი კუდიანი ვიყავი, იგეთი, კაცს წყალზე ჩავიყვანდი და არ დავალევივინებდი. იქვე ერთი შაშვის ბუდე ვნახე, ავიღე ნეხვი და შიგ ჩავდენინას დავუძახე, ღმერთმა აცხონოს მისი სული — მოდინინა, დამუწნეი პირი, კბილები არ გამოაჩინო და ხელით დათვალე, ამ შაშვის ბუდეში რამდენი კვერცხია-მეთქი. ჩაყო, ხელი და... სულ გვეთხუპნა ხელები. სამი დღე მოსაკლავად დამდევდა. ლუნა“.

„მფრინავი რვეული“

„გამარჯობა, მოგესალმებით ყველას. თქვენმა „მფრინავმა დღიურმა“ ჩემი

ქართულის თემების რვეული გამახსენა. სკოლა 1976 წელს დავამთავრე. სკოლაში 3 დამამთავრებელი კლასი იყო. ერთმა პარალელურკლასელმა ბიჭმა თემები მთხოვა. საკონტროლო ჰქონდათ. ვერ მოასწრო და წერა მათემატიკის გაკვეთილზე გააგრძელა. ნინო მასწავლებელმა ჩემი რვეული რომ დაინახა, წაართვა და სამასწავლებლოში, თავის უჯრაში შეინახა. ზაური ჩუმად შესულა, რვეული აუღია და ჩემს ჩანთაში ისე ჩაუდვია, რომ არ ვიცოდი. შემოვიდა გაკვეთილზე ნინო და მაშინვე მე გამიძახა დაფასთან. ყველაფერი რომ ვუპასუხე, მითხრა: ახლა თემების რვეული მომიტანეო. გავშრი, რადგან მივხვდი, რომ რაღაც მოხდა. ინსტიტუტურად წავედი ჩანთისკენ და სასწაული თუ გინახავთ? რვეული ჩანთაში აღმოჩნდა. მინდა, რომ თქვენი ჟურნალით ხმა მივანვიდინო ჩემს მასწავლებლებს, ნინო ნასარიძეს, ლია ყალიჩავას, ლენა ტულუშს“.

საჭირო ტყუილი

„მარი, მართლაც კარგია, დიდებსაც რომ მოგვეცი საშუალება, ჩვენი ტკივილი თუ სიხარული გამოგვეხატა. წლებია, თქვენი მკითხველი გახლავარ. 37 წლის ვარ. როცა ქმარს გავცილდი, ბავშვით ხელში საერთოდ მარტო დავრჩი. ახლა ჩემი ბიჭი 17 წლისაა, დიასახლისი ვიყავი და არასოდეს მემუშავა, თუ არ ჩავთვლით, რომ ცოტა ხანი ბარში ბარმენად ვმუშაობდი, მაგრამ უნდა ვალიარო, გამიძნელდა. სადაც მივდიოდი, პირველ რიგში მეკითხებოდნენ, სად ხარ ნამუშევარიო. რომ ვამბობდი, ბარში-მეთქი, არავინ მიღებდა. შემთხვევით, ჩემს სახლთან ახლოს, სუპერმარკეტში წარწერა დავინახე — გამყიდველი სჭირდებოდათ. არც დავფიქრებულვარ, ისე წავედი გამგესთან და მაშინვე მიმიღო. უკვე 1 წელია, ვმუშაობ. პატივს მცემენ და ყველაფერს მშვენივრად გავართვი თავი. ასე ვიპოვე გამოსავალი. გამგე რომ არ მომეტყუებინა, არსად მიმუშა-

მოკლე ჩართვა

<<< 15

ჩვენი სანუკვარი სურვილი

- ძალიან დიდი და ლამაზი სიყვარულის პოვნა მინდა საოცრად მინდა, მეც გაჭნე ნამდვილი ქალი, რომელსაც სიყვარული და ერთგულება შეუძლია ფიქრია სევდაც.
- ერთი სანუკვარი სურვილი მაქვს — ჯანმრთელობა. ღმერთს ჰგონია, ნაკლით რომ ქმნის ადამიანს, ის ბედნიერი იქნება თავისი შინაგანი სამყაროს ხარჯზე თუმცა, ეს ასე არაა გრუზინკა.
- ჩემი სანუკვარი ოცნება იცით, რა არის? მინდა, მამა მყავდეს და ერთად ბედნიერად და ტკბილად ვცხოვრობდეთ. სამწუხაროა, რომ ჩემი ოცნება ოცნებადვე დარჩება ცრემლუკა.
- სანუკვარი სურვილი კი არა და, უკვე ოცნებად მექცა, ერთი ადამიანი გავნადგურო, მინასთან გავასწორო ისე, რომ ვერ მიხვდეს, მე ვინ აკეთებს ამას.
- მინდა, რომ მე და ჩემმა საყმრომ მეტალჯგუფი შევექმნათ და მათგანად გავიქაჩოთ! მდებრი ვიკინგი.
- ჩემი სანუკვარი სურვილია, კაბა კონიოშვილი

- ვანამო ისე, რომ სიცოცხლე არ უნდოდეს უჩემოდ. ბუზლუნა.
- ჩემი სანუკვარი სურვილი კახი კალაქსთან შეხვედრია, მაგრამ ვიცი, რომ ამ ოცნებას ასრულება არ უნერია თუმცა, კაცი იმედით ცოცხლობს. კალა.
- ჩემი სანუკვარი სურვილია, 12 წლის წინ, რუსეთში დაკარგული ძმა დამიბრუნდეს. ჩვენი ბედნიერება უიმისოდ არასრულყოფილია ყველას ბედნიერებას ვსურვებ. ეკლა-ტირიფი.
- ჩემი სანუკვარი სურვილი ჩემი ყველა სურვილის ასრულებაა, მათაა! თათა.
- ჩემი სანუკვარი სურვილია, მათხოვრები არ არსებობდნენ (აღბათ, ჩემი მეუღლისაც, რადგან იცის, მისი ხელფასის მქსამედს მათ რომ ვუნანილებ) მინდა, აღარავის დასჭირდეს სამონყალოდ ხელის განწვენა და ყველა მათგანს ჰქონდეს არსებობისთვის სამყოფი თანხა. მეც ორმაგად ბედნიერი ვიქნებოდი, რადგან ძალიან ვდარდობ მათზე კამელია.

ვია-მეთქი, ახლაც უმუშევარი ვიქნებოდი. აი, ასეთი პრობლემები გვაქვს დიდებს. ნინო“.

უსიყვარულო

„ოჯახი მაქვს და მეუღლეს მყავს. 20 წლის გათხოვილი ვარ, მაგრამ ნამდვილი სიყვარული არ ვიცი, რა არის. საერთოდ, სიყვარულზე წარმოდგენა არა მაქვს. ამდენი წლის თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეს უბრალოდ შევეჩვიე. ვერ შევიყვარე იმიტომ, რომ მომიტაცა; მისმა მშობლებმაც ჩემი თხოვნა არაღააგდეს და ყველაფერში ხელი შეუწყვეს. არადა, რა ლამაზი მომავალი მქონდა... მე ტრადიციებს თავი ვერ დავალწიე და ვცხოვრობ ახლა სხვისი ლამაზი ცხოვრების ყურებით. ჩემთვის ხომ განგებამ სიყვარულის ნიჭი არ გამოიმეტა. ახლა ჩემი

ქმარი ჩემგან ძალიან შორსაა და უზომოდ ბედნიერი ვარ. რა თქმა უნდა, მისი ცუდი არ გამიხარდება, მაგრამ ასე უფრო მშვიდად ვარ“.

აი, რძალიიი!

„გმადლობ, მარი, რომ არაჩვეულებრივი სახელიც გამოგვინახე — „დიდების ზღაპარი“. ჰოდა, ვფიქრობ, ცოტა ხანში მისი ფორმატიც სიახლეებით დაიტვირთება. ახლა — თემაზე: ერთი ჩემი ნაცნობის დედა აფთიაქში შევიდა და ძლიერი საძილე საშუალება მოითხოვა. თან დასძინა: სახლში 95 წლის დედამთილი მყავს, მთელი ღამე წუხს, არ სძინავს და კვნესისო. იქვე მდგარმა ასაკოვანმა კაცმა დალოცა — შენნაირი რძალი ამრავლოს, ღმერთმა, როგორ ზრუნავ დედამთილზე, ჩემი

რძალი ნამალს კი არა, რომ ვკვდებოდე, ჭიქა წყალს არ მომანდისო. — რას ბრძანებთ, ბატონო, ამ ძვირიან ნამალს მისთვის კი არა, ჩემთვის ვყიდულობ, ღამე რომ კარგად დამეძინოს და დედამთილის კვნესამ არ შემანუხოსო. საცოდავი, ცოცხალი აღარაა, დედამთილი კი 100 წლისაა და ისევ კვნესის. ესეც უჩვეულო გამოსავალი. დაკარგული“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — გამოუსწორებელი შეცდომა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მოკლე ჩართვის თემად გთავაზობთ — რა არის ეგოიზმი? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ორმხრივი საიდუმლო

„გამარჯობა. გამატუტუცეთ ამხელა კაცი და ახლა მესიჯს გწერთ. იმედი, არ შევრცხვები და გამომიქვეყნებთ. უკვე 50 წლის ვარ და 30 წელია, ოჯახი მაქვს. ჩემი ქეთინო რომ გავიცანი, არც კი მიფიქრია, რომ ოდესმე შემეყვარებოდა, რადგან დანახვისთანავე არ მოვხიბლულვარ მისით. ერთხელ დედაჩემმა მასთან ერთად, ქუჩაში მიმავალი დამინახა და მითხრა: თუ მაგ გოგოს შეირთავ ცოლად, წინააღმდეგი არ ვიქნებიო. დავფიქრდი და მივხვდი, რომ მისგან მართლაც კარგი ცოლი „დადგებოდა“, მაგრამ ეგ იყო, — არ მიყვარდა. ერთმანეთს კვირაში ერთხელ, შაბათობით ვხვდებოდით ხოლმე. ერთ შაბათსაც კინოში დავპატიჟე. 2-სერიანი ფილმი იყო და კარგა ხანს გაგრძელდა. გარეთ რომ გამოვედით (გაზაფხულის წყნარი, თბილი საღამო იყო), შევთავაზე, მის სახლამდე ფეხით გაგვევლო. უარი არ უთქვამს. სადარბაზომდე მივაცილე და ცოტა ხანს შევჩერდით. ისეთი უცნაური თვალებით მიყურებდა, ისეთი საოცარი გამოსხედავა მქონდა, რომ იმ საღამოს შემეყვარდა. მთელი ღამე არ მასვენებდა მისი თვალები და გამოსხედავა. მეორე დღეს მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ცოლობა მეთხოვა. 1 თვეში ვიქორწინეთ და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ. ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენი ქორწინების 30 წლისთავი აღვნიშნეთ და სწორედ იმ საღამოს გავუმხილე ის, რაც ზემოთ მოგიყვით. ამბის დამთავრება იყო და ქეთინო სიცილით გადაბჟირდა. სული რომ მოითქვა, მერე მითხრა — იმ საღამოს ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომელსაც მეც საიდუმლოდ ვინახავდი, მაგრამ ახლა მეც გამოგიტყდები. მთელი საღამო ტუალეტში მინდოდა და მერიდებოდა, რომ შენთვის მეთქვა. რომ შემომთავაზე, ფეხით გავისეირნოთ, გული გამისკდა, რადგან უკვე ვეღარ ვითმენდი, მაგრამ მაინც დაგთანხმდი. სადარბაზოსთან რომ გავჩერდით, თავი ვეღარ შევიკავე და გავუშვი. ფეხებთან მოზრდილი გუბე დავაყენე. თვალეში ისე საცოდავად იმიტომ გიყურებდი, ჯერ ერთი, დამნაშავის გამომეტყველება მქონდა, მეორეც, გაკვირდებოდი, დაინახე თუ არა ჩემი მარცხიო. აი, ასეთ საიდუმლოებებს ვინახავდით თურმე და ახლა, ამდენი წლის შემდეგ გამოვუტყდით ერთმანეთს. არადა, მართლაც, იმის შემდეგ მისი ასეთი გამოსხედავა აღარასოდეს შემინიშნავს. პატივისცემით, ლადო“.

სარ თუ არა მზად, უმასპინძლო საქართველოს პრაზიდანტს?

ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ქარზე ვიტაცამ დაგიაკუნოს და ზღურბლთან დაუპატიჟებელი სტუმარი – საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დაგხვდეს. ხარ თუ არა მზად, რომ ის შინ შეიპატიჟო და უმასპინძლო? ამის გარკვევაში ტესტი დაგეხმარება.



1. გაძვს თუ არა ზადმეტი სანოლი (ან თუნდაც „ლეჰანკა“)?

ა) რა შეკითხვაა, ღმერთო ჩემო, ასეთ სტუმარს საკუთარ სანოლსაც კი დაფუთობ.

ბ) ჯერ არ ვიცი, მეზობლებში გავიკითხავ. თუ პრეზიდენტი მესტუმრება, იმედია, მათხოვებენ.

გ) სანოლი რა საჭიროა? მთელი ღამე ვისაუბრებთ და საქართველოს სადღეგრძელოსაც შევსვამთ.

2. გაძვს თუ არა თავისუფალი სანოლები მისი თანმგლები პირები-სთვის?

ა) რაიმეს მოვახერხებ.

ბ) მოვიფიქრებ! სასწრაფოდ შემატყობინეთ, რამდენი ადამიანი ახლავს ხოლმე თან, ასეთ შემთხვევაში.

გ) სანოლები არ დასჭირდებათ. ისინიც ჩვენთან ერთად მიუსხდებიან სუფრას და საქართველოს სადღეგრძელოს დალევენ.

3. იცი თუ არა ინგლისური ან

უკრაინული ენა?

ა) ვიცი!

ბ) რამდენიმე უცხოური სიტყვა ვიცი, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რომელ ენას მიეკუთვნება.

გ) ვიცი მხოლოდ „კონაიუ“ და „ფოქ იუ“.

4. იცი, რა ჰქვია საქართველოს პრეზიდენტს?

ა) ვიცი.

ბ) არ ვიცი, მაგრამ შემიძლია ინტერნეტში მოვძებნო ან სტუმრობისას ვკითხო.

გ) არ ვიცი, მაგრამ „ბატონო პრეზიდენტოთი“ მივმართავ. ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება.

5. შეგიძლია თუ არა, რომელიმე ეგზოტიკური კერძით გაუმასპინძლოდე?

ა) შემიძლია.

ბ) ბაყაყის ჩახობილი და ძაღლის ყაურმა საფრანგეთსა და ჩინეთში მიირთვას (მაინც ბევრს მოგზაურობს), მე

ქართული კერძით გავუმასპინძლდები.

გ) რა თქმა უნდა, შემიძლია. უცხო მო და უმწვანლო წვნიანი ეგზოტიკური არ იქნება მისთვის?

6. შეგიძლია თუ არა, რაიმე ძბრ-თული ხალხური სიმღერა შეუსრულო, რომ პრეზიდენტი გაბართო?

ა) რა თქმა უნდა, შემიძლია.

ბ) შევუსრულებ ქართულ, „ხალხურ“ სიმღერას — „ასეთია ქურდი კაცის ბედი“.

გ) მეტი საქმე არა მაქვს. თვითონ იმღეროს, თუ კარგია.

7. შეგიძლია თუ არა, უცეკვო?

ა) შემიძლია. სასწრაფოდ შევისწავ-ლი რამდენიმე ილეთს.

ბ) მთელი ღამე „ბრეიკ-დანსს“ ვიცეკვებ.

გ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონაც რაიმეს წაუცეკვებს.

8. გყავს თუ არა ავი ძაღლი, რომელსაც სტუმრები არ უყვარს?

ა) არა. პრეზიდენტს ნურაფრის შიში ექნება.

ბ) მყავს — ინგლისური სეტერი. იმედია, საერთო ენას გამოიხატავს.

გ) ქართული ნაგაზი მყავს. ამიტომ, ჯობია, როცა წამოვა, 1-2 ტომარა ძაღლის საკვები წამოიღოს.

9. ხვრინავ?

ა) არა. ყოველ შემთხვევაში, არ შემინიშნავს.

ბ) კი, ვხვრინავ. თვითონ ხვრინავს?

გ) ვხვრინავ, მაგრამ მუსიკას ხმამალ-ლა ჩაფრთავ და ვერ გაიგონებს.

10. გაძვს თუ არა ტელევიზორი, რომ საღამოს საინფორმაციო გა-მომავას ერთად უყუროთ?

ა) მაქვს.

ბ) მაქვს, მაგრამ შავ-თეთრი.

გ) ტელევიზორი არ მაქვს, მაგრამ კარის მეზობელმა, ჟუჟუნა დეიდამ ყველაფერი იცის. ისიც კი — რა მოხდება ხვალ. ის უამბობს.

11. ძრება თუ არა სინათლე შენ-

თან?

ა) ძალიან იშვიათად.

ბ) ხანდახან ქრება, მაგრამ სანთელს მოვიმარაგებ.

გ) არ ქრება, რადგან უკვე დიდი ხანია, დენი არ მაქვს. სახლში ყველაფერი დინამო-მანქანაზეა შეერთე-ბული, რომელიც მოქმედებაში პედლის საშუალებით მოდის. სხვათა შორის, პედლების ტრიალი პრეზიდენტის ჯანმრ-თელობისთვისაც სასარგებლოა.

12. ზამთრის პერიოდში ბათუმში გაძვს?

ა) საშუალოდ ვთბებით. ჭერზე ლოლოები არ კიდება ხოლმე.

ბ) ოდნავ მეტად თბილა, ვიდრე ქუჩაში, მაგრამ ეს პრობლემა არაა. „ჭაჭა“ მაქვს ისეთი, რომ სიცხვეს ვერც კი იგრძნობს.

გ) ცოტა გამოიწრთოს, რა უჭირს?

13. წყალი ვუდმევად გაძვს?

ა) კი, თითქმის სულ.

ბ) ხანდახან წყდება, მაგრამ შემიძლია, ჭა გავთხარო.

გ) არ წყდება, რადგან საერთოდ არ მოდის. უთხარით, თან წამოიღოს.

14. შეგიძლია, თუ არა, საძბ-რთველმოს პრეზიდენტს ჭადრაკი ეთაბაშო, თუ მას ამის სურვილი გაუჩნდება?

ა) შემიძლია!

ბ) შემიძლია, მაგრამ წაგება არ მიყვარს და აუცილებლად „მივმატავ“.

გ) შემიძლია, მაგრამ ჭადრაკს ნარდის ან კარტის „მაზიანზე“ თამაში არ სჯობია?

15. გაძვს თუ არა ფსიქიატრი-ულიდან ცნობა, რომ ჯანმრთელი ხარ (პრეზიდენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არ დაეჭაქები და არ დაეკბენ).

ა) ცნობა არა მაქვს, მაგრამ აღება შემიძლია.

ბ) ცნობას უპრობლემოდ ავიღებ, ფსიქიატრიულში ყველა მიცნობს.

გ) შემიძლია, მაგრამ რა საჭიროა, მეც ხომ ვრისკავ?

პასუხები:

თუ შენს პასუხებში „ა“ ვარიანტი ჭარბობს, მაშინ შეგიძლია, საქა-რთველოს პრეზიდენტს რამდენიმე დღითაც უმასპინძლო.


თუ „ბ“ ვარიანტი ჭარბობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლია მისი მასპინძლობა, თუ გაძლიერებული დაცვა ეყოლება.

თუ „გ“ ვარიანტი ჭარბობს, მაშინ... შემთხვევით, საიმედო მეზობელი ხომ არ გყავს, ვინც პრეზიდენტს უმასპინძლებს?



მობილი-ზაცია

კაბუჩი



- კაბუჩი, ყველაფერი მხოლოდ შენს ხელშია! არ მინდა, ცრუიმედები გქონდეს. გაჭიანურებით ყველაფერს გააფუჭებ. შანსი ერთია და გამოიყენე. ჩვენზე იფიქრე. გვიყვარხარ.

- ლეო, შვილო, სად იყავი ეს ორი წელი, რომ არ ჩანდი? — ჯარში ვიყავი, მამა. — მერე, სახლში არ უნდა დაიბარო? ოლეგარიო.

- პრივეტ, როგორ ხართ? გრუზინკა, „ბალი“ ჩართე, რა? 71... მინდა, დაგირეკო. მოვიკითხავ გიო-93-ს, ოლეგარიოს, პრინცესას, ნონ-სტოპს, ნინო-მილანს. სესი, სად ხარ? მანაველი.

- გრუზინკა, თბილისში ხარ? სადმე შეგბვდები და გაგიცნობ. მე კვირას ან ორშაბათს შემიძლია გნახო. მომწერე სად, როდის და მოვალ. ჩართე რა, „ბალი“, დაგირეკავ. მანაველი.

- გაუ, ყველას! აუ, ვერ-მახტი გავიცანი, მაგარი კაცია დიდი სიამოვნებით გაგიცნობთ ყველას. რა მაგარია, მგზავნელის გაცნობა! მგზავნელებო, გელით ბათუმი ყველას. სუპერსთარი.

- ეგრე არ ჯობია? დედა, რა მქუხარე აპლოდისმენტები გავიგონეეე... :) ძვირფასო გრუზინკა, შენც კარგი გოგო ხარ. ოქრო ხარ, ოქრო! :)

- მინდა გითხრა, რომ ბრწყინვალე ადამიანი ხარ. მიგულე ერთგულ მეგობრად. გრძნობებს გაუფრთხილდი, მინდა იყო ცხოვრებით ლალი და ბედნიერი. მაღლობა უფალს, რომ არსებობ. მოხუცი.

- მაფიოზა, ფეხი მტკივა და ხეზე ვერ ავალ, სულ ესაა. ძალიან გამიხარდა ბოტოტას და ვარდენას გაცნობა. ჩემი ოჯახის წევრები იქნებიან დღეიდან. მიყვარხართ. გრუზინკა.

- მგელო, მარის გამოართვი ჩემი ნომერი. ინტერვიუ ლუნას დაუნუნა და იქნებ შენ არ დაგინუნოს. სესი, ლორეალი და კანიბალკა ანგელოზები არიან. მიყვარხართ. გრუზინკა.

- ყველას, ვისაც აქვს სურვილი გაიცნოს მგზავნელები, ველოდები 7 ივნისს, ზოოპარკის შესასვლელთან. იმედი მაქვს, ერთმანეთი მაიმუნებში არ აგვერევა. :) ჭრიჭინა.


- მარ, ვერ წარმოიდგენ, ნათლული, ზურა.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ფრცვლი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ყურადღება!

გთხოვთ, ნუ ეცდებით საყვარლისა თუ სექსუალური პარტნიორის მოძებნას ამ რუბრიკის მეშვეობით. ამ რუბრიკაში მხოლოდ დაოჯახების მსურველთა განცხადებები გამოქვეყნდება.

საქართველო



1. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. ვარ 36 წლის მანდილოსანი. გთხოვთ, გამომეხმაუროთ.

საქართველო



2. ვარ 40 წლის მამაკაცი, თბილისელი. ოჯახის შექმნის მიზნით გთხოვთ, დამიმესიჯოთ.

3. ვეხმარები 35 წლის თამთას. მე ვაჟა ვარ, 43 წლის. მეც ინვალიდი ვარ. მსურს ვიმეგობროთ, მესიჯებით. ველი თქვენს პასუხს.

4. ვარ 28/185/85, უზრუნველყოფილი, სამსახური. ვარ განქორწინებული. გავიცნობ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ბაჩო.


5. ვეხმარები 34 წლის, განათხოვარ გოგონას, 21-ე ნომრიდან. მსურს თქვენი გაცნობა, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 43 წლის. დანარჩენი — პირადად.

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-30 წლის, განქორწინებულ, სიმპათიურ გოგოს. ვარ 28 წლის, თბილისელი.

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 35-40 წლის, უშვილო ქალბატონს, რომელიც დარწმუნებული იქნება საკუთარ ვიზუალურ და მორალურ მონაცემებში.

8. სიყვარულში ერთხელ არ გამიმართლა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლამდე ასაკის გოგოს. ვარ დასაქმებული. გამომეხმაურეთ.

საქართველო



9. ვეძებ ფონიჭალაში მცხოვრებ დედა-შვილს, ლიას და ეკას. ლია, იქნებ წაიკითხო და მოძებნო შენი ნათლული, ზურა.

როგორ მიყვარხართ „გზის“ მთელი სასტავი. უზომოდ მილამაზებს ცხოვრებას „გზა“. მადლობა ამისთვის.

• იმ წყვილის კეთილი შურიტ მშურს, ჟურნალ „გზით“ რომ გაიცნეს ერთმანეთი და ბედნიერები არიან. განა ტყუილადაა ნათქვამი? — ბედი მომე და სანახევრე გადამაგდეო. გრუზინკა.

• ჯენი, მადლობა მოკითხვისთვის. შენი ნომერი რომ მქონდეს, გაგიცნობდი. ქუთათურო, ცოცხალი ხარ? რა გჭირდა საექიმო? ღმერთმა გიშველოს. მგელკაცას ვთხოვ, გამოჩნდეს. გრუზინკა.

• განძის მაძიებელო, მხდალი იმ გაგებით გინოდე, სალამს რომ მამადლი. დავიჯერო, ვერ მიხვდი? მაშინ, მიგახვედრებ — მეტი სიტბო გამოიჩინე და ეს გული შენი იქნება! ვინმე.

• კობას, 12-ში! გვენატრები ყველას. ახალი ჯერ არაფერია. იმედს ნუ დაკარგავ, ჩვენ შენთან ვართ. გკოცნი, გეხვევი. ეთერიკო.

• ბუბუსიკა, ჩემი ნომერი აქვს ლუნას, შენირულს, ვერმახტს, ბოტოტას, გრუზინკას. თუ იცნობ რომელიმეს, გამოართვი და მომწერე. მოკითხვა ლევა მადრიდს და ashleys. :) მის რეალი.

• კობუშკის, 12-ში. მამა, სიგიჟემდე მენატრები. მალე სკოლას ვამთავრებ, ალა ბებოც ჩამოდის და მასთან ერთად ნავალ ქობულეთში. მანამდე შენ განახავ. ლიკუნა. გკოცნი.

• თითოეული მგზავნილი ძალიან მიყვარხართ, თქვენ ჩემი ცხოვრების ნათელი ვარსკვლავები ხართ. ბედნიერი ვარ იმით, რომ გიპოვეთ. მგზავნილებზე შეყვარებული ლუნა.

• გრუზინკა და ლუნა, მადლობა, სოლიდარობისთვის. მიყვარხართ! უცნობო, ჩემს რეიტინგს რეიტინგული კაცი თუ დააგდებს და არა მეზობლის ცინგლიანი გოგო! განძის მაძიებელი.

• ლუნა და გრუზინკა, რა ავი მულებივით დამეტაკეთ, არავინ გყვარებიათ? განძის მაძიებელო, სხვა რამის თქმა მინდოდა და სიტყვა გამექცა. არ შემრიგდები? ვინმე.

• გამარჯობა. პირველად გიმესიჯებთ. დღეს სამებიდან მოვდიოდი და ფეხი ვიღრძე. ახლა გასოტილი ვწევარ, „გზას“ ვკითხულობ და გადავწყვიტე დამესიჯება. ახალი მგზავნილი, ცირა.

• ეკა და მაკა, „გზა“ აღარ იყიდოთ, ამიერიდან და აღარც „ის“ მისწეროთ, მარის. მართლები იყავით თავიდანვე, ვნანობ, რომ არ დაგიჯერეთ. ნავედით დღეს, ფიქროსთან. მალე ჩამოვალ.

• მოხუცის თამადაობით ყველა მოღალატეებს „პიკით“ გაუმარჯოს! მგელკაცას კი ჩემი ხელით გამოვჭრი ყელს. ის ურჩევნია, გამოჩნდეს. ჩემი კლუბის ყველა წევრს მოვიკითხავ. გრუზინკა.

• უსიყვარულოდ არ არსებობს არც ნამი დილის, უსიყვარულოდ ტირიფია მხოლოდ და ისიც ტირის. ლილუ.

• პრივეტ, მადლობა, მარიაშულო, წერილი რომ დამიბეჭდე. კიდევ ერთის გულში გაჩნდა შენი სიმპათია. ჰო, მართლა, ჩემი ორი შვილი (ანიშოკო) მოკითხვას გითვლის. ეკა-პპ.

• არა, ისე კაი მისაბეთქი კი ვაარ და... არც „გზავნილებში“ ვწერ, არც „მობილი-ზაცი-აში“. ჰუჰ, ისა და... რა უნდა მეთქვა? პენსიონერს მივმართავ თხოვნით — იქნებ ჩემთვის გაისარჯო და მეც შემასწავლო შენი ლექსიკონი, ჰაა? გპირდები, აუცილებლად ვისწავლი. ვოტ! და კიდე, ძაან საყვარლები ხართ ყველა და მიყვარხართ. **avril lavigne.**

• გაუმარჯოს ყველა მაგარ ხალხს! როგორ ხართ? გთხოვთ, თქვენს ულამაზეს ოჯახში პაატარა ადგილი მაინც დამითმეთ. ყველა მიყვარხართ და გკოცნით. **crazy-girl.**

• ნანვიმარ სულში მზის შუქი შემომეპარა, ჩუმად... ეს შუქი შენ ხარ, დათუნია, ბაჯბაჯა. გკოცნის შენი ფისო.

• მარ, მაგრად მიყვარხარ შენც და შენი „გზა“, მთელი მგზავნილებით. გისურვებთ წარმატებებს. ფისო.

• ყველას მოგესალმებით, კარგებო. მიკადრებთ, თქვენთან? მე ყველას გაფასებთ, ჯიგრებო. ქუთაისელი ლომუა ვარ. ღმერთმა გამრავლოთ, მართლა კარგები ხართ. შემომიპატიჟებთ?

• გაუმარჯოს, როგორ ხარ? ტრაგიკოს, მეც ზესტაფონელი ვარ, შევხვდეთ? ბიჭი ხარ? აუ, ხალხო, გუშინ მაგარი „გავინუნე“, ახლაც მაკანკალებს. ვერმახტ, ძაან ლამაზი ხარ. შავტუხა.

• ქალბატონო მედეა და ქალბატონო ათენი 50, გაიხარეთ, გამახარეთ! მაგარი კარგი ხალხი ხართ. რომ იცოდეთ, მეც

ჯიგარი დედიკო მყავს. დიდი მადლობა, რომ შრომობთ ჩვენთვის. ვარდენა.

• გერასიმე, გაიხარე, როგორ ხარ? გამიხარდა, ისევ ჩვენთან რომ ხარ. არ უღალატო, მგზავნილებს.

• აუ, გრუზინკა დამევა-სა! ჯიგარი ხარ, დაიკო, გაიხარე! პატალა მავნეს ძველი ნიკი ნეტავ ლა იკო? მეწნობაო... განძის მაძიებელო, სალოლ! ჰმ, თელაველი და — ცუდი? მარ, ბედნიერი ვარ! განყვეტილი ცხვრის მოშენება ისევ დავინწყე! ვავა! აბორიგენ გზავნილიორკელებს მატერია შამოლუვიათო? ილინი.

• კვირას, ომონიაზე გასულს „გზა“ ყველგან გაყიდული დამხვდა და ჭკუაზე არ ვიყავი. მირეკავს მეგობარი და მეკითხება, ვიპოვე თუ არა ნატვრის თვალზე ძვირფასი. მე კიდევ, შევჩვილე, „გზის“ ნატამალი არსად არის-მეთქი, დიდად დამწუხრებულმა. უეცრად, ხანში შესული მანდილოსანი მეუბნება: გამაგიჟებთ ეს ახალგაზრდები, გზა-კვალისთვის ვერ გაგიგნიათ და ათენში რა გინდათო. ასეთი კურიოზები გვემართება „გზის“ ერთგულ მკითხველებს, ათენში. გაიხარეთ... ათენი82.

• მარიკუნა, რა ხდება „გზაში“? ჩემი მესიჯები გამოგრჩენია. არ მითხრა, გულმავინყობის ბრალიაო. ახლებიც უნდა მივიღოთ, მაგრამ ძველებსაც ნუ დაგვივინწყებ, კარგი? ნავედი აბა, კარგად! იმედია, ეს მესიჯიც არ დაგავინწყდება. ათენი-23.

• 10 ივნისს ჩემი მეუღლის პერსონალური გამოფენის გახსნაა, 3 საათზე, ვარლამიშვილის ქუჩაზე, ხარების ეკლესიასთან (მხატვართა კავშირის შენობა). ვისაც სურს, გერასიმე გაიცნოს, ვეპატიჟები. მგზავნილებო, მობრძანდით, გელით. გერასიმე.

• ყველა მგზავნილი მიყვარს, მაგრამ ახლა ვაპირებ, კანიბალკას ფანი გავხდე. ულამაზესი გოგო ყოფილა. მაგრად მინდა, პირადად ვიცნობდე. ჩაგეხუტეთ. თაისი.

• ერთი სტაჟიანი, მოშარაფე მეზობელი მყავს, ვალოდა ჰქვია. თბილისში პანაშვიდებს ქელეხის ემხით არ აცდენდა, მაგრამ... ერთხელ მიცვალებული სხვა ქალაქში წაასვენეს და მკვდარი დაწყველა — შენ არ ჩაგიყვანა ღმერთმა ცოცხალიო.

• მაფიოზ, მე ვბალე-

შიკობ „მანჩესტერს“, ოლონდ, რა თქმა უნდა, „რეალის“ შემდეგ. რაღაც, ეს კანიბალკა იმ კანიბალკას არ ჰგავს, მე რომ ვნახე სხვა სურათში. რა ვიცი, რა ვიცი... 9122.

• ბორის პაიჭაძეც აღარ თამაშობს, მაგრამ ხომ სარგებლობს ძველი ავტორიტეტი? ლაგოდებიც მიყვარს და საერთოდ, მთელი კახეთი. კახეთში ბევრი ბრატები მყავს. ჯეჯე.

• შენს ღიმილს ვნატრობდი, მტანჯავდა სიმარტოვე და ბოლოს, ნანატრი ღიმილით მიმატოვე. იაგო, არც ისე სიგიჟემდე მიყვარხარ, რომ ვერ დაგივიწყო.

• ჩემს ორ მეგობარს კამათი მოუვიდა. ერთი თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდება, მეორე — „მერსედესზე“. მე სულ გავაგიჟე — ე გოგო, მილიონზე „ამხედრებულს“ დაინუნებთ-მეთქი? ლუნა.

• ქუთაისში წრიულის ავტობუსში არის ძალიან ბევრი ხალხი, გადაჭედვითა და ერთმანეთს აწვებიან. ერთი მალალი, ეროყია კაცი მიჭედებია ვილაც ქალს უკან და მოკლედ, დიდი მიწოლ-მიწოლა ავტობუსში. გავიდა რამდენიმე ხანი. ამ ქალბატონმა ახედა ამ ეროყია კაცს — ნამუსიც კაი საქონელია, რომ იცოდე შენ! — რა იყო, ქალბატონო, ახლა რას ჩხავიხარ, ჩემი გაჭირვებაც მიყოფა მე! რავა, შენ რო განობიენ მე არ მანობიენ თუ რა გინდა, ახლა? ხელფასი არ მქონდა ექვსი თვეა აღებული, დღეს მომაშავენ და აგერ, ერთ ჯიბეში მაქვს ჩანყობილი და მაგია, რო განობა თორე, მეტი არაფერი არ მოგანობა, არ დაიჯერო მაგი შენ. გაიარა რამდენიმე გაჩერება ავტობუსმა. ამ ქალბატონმა ისევ ახედა ამ ეროყია კაცს — შენ, გენაცვალე, რაა, ყოველ გაჩერებაზე გეზრდება ხელფასიიი?! ჯეჯე.

• ჩვენში რაც ტაში იკვრება და ენერგია იღვრება, კარგად რომ გამოვიყენოთ, ჰესები არ დაგვჭირდება. **green girl**, მიმკითხავე, ოლონდ განვადებთი. აუ, პასპორტი რომ არ მაქვს?!

• გიო, უზომოდ მენატრები. შენს განამებულ ცხოვრებაში დიდი წვლილი მე მიმიძღვის. უკეთილშობილესი კი არა, უსაზიზღრესი ადამიანი ვარ და მაპატიე, ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ გნახო, ჩემო სანატრელო. იცოდე, ძალიან

მიყვარხარ და არასდროს შეგეპაროს ამაში ეჭვი. ჩემი გაუბედურებული ცხოვრება შენთვის არ უნდა მომეხვია თავს, მაგრამ ყველაფერი ღმერთის ნება იყო, ალბათ. გიო, სამსახურს ვანებებ თავს და აქედან მივდივარ. შეიძლება, მეტად ვერც გნახო. არადა, როგორ მინდა, ვეღარ ვუძლებ ცხოვრებას. დავიტანჯე, არასოდეს დაგივინყებ, გიგლა, ის გულსატკეპნი შეხვედრა ღმერთმა იცის, ჩემი ბრალი არ იყო. ძალიან ბევრი ცუდი მითხრეს, მაგრამ მე მსაჯული არ ვარ. ღმერთი განსჯის ყველას. გიო, მე სხვაგვარად ვერ გიკავშირდები. თუ კიდევ ერთხელ მაინც გნახავ, მადლობელი ვიქნები ღმერთის და შენი. ათ რიცხვში უკვე მივდივარ. მიყვარხარ. ნატა.

• ლამაზი და განუმეორებელი სიყვარული, ნამდვილი სიყვარული ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ეწვევა. ეწვევა და სულით ხორცამდე შეძრავს. გ.

• რამაზ ზაზაძეც, ლაილაზე გამოვჩნდები, ლამის საათებში. დედიკო.

• აუუ, მგზავნელების გაცნობა მინდა და რომელი გამეცნობით? ხუთშაბათს თქვენს გამოხმაურებას ველოდები. თათა.

• ჩვენო მარიამულო, მგზავნელების ინტერვიუებს რატომ აღარ გვიბეჭდავ? არადა, რა ინტერესით ვკითხულობდი! ბავშვებოო, ყველამ ვთხოვოთ მარის, რომ ისევ დაბეჭდოს ინტერვიუები.

• რაო, პარიჟანკა კახელიაო? არ მეტყვი, კერძოდ საიდან ხარ? მეც კახელი ვარ და მაინტერესებს. თათა.

• აგნეცა, ჯაგარა, რამაზი, ქავთარაძე, თემო, ქოსა, ვიტალა, გველო, ნოდო სამნიაშვილო, ყველანი მენატრებით.

• მინდა გითხრა, რომ ძვირფასი ადამიანი ხარ. უშენოდ გამიჭირდება. როცა არ ხარ, წყვილია მიპყრობს. გმადლობთ მეგობარო, რომ ასეთი ხარ. მადლობა უფალს, რომ არსებობ. მოხუცი.

• ხალხო, დავიტანჯე მწვანეთვალელებს ძებნით, იქნებ დამეხმაროთ! არა და, უნდა ვიპოვო, სიტყვა მაქვს მიცემული. მხოლოდ მწვანეთვალემა! დანარჩენი — პირადად მასთან. მოხუცი.


• მგზავნელებო, მიხარია, ბედნიერები რომ ხართ. სწორედ აქ არის ცხოვრების არსი. მუდამ მენახეთ ასეთი თბილები და ლამაზები, არა მარტო „გზაში“.

მთელ ცხოვრებაში. მოხუცი.

• გიჟი ნახო, გვერდს ნუ აუვლი, გთხოვ, შეაჩერო და მას შეიცნობ. გახსოვს? ოდესღაც რომ შეუყვარდი. დღესაც უყვარხარ და შენთვის გიჟობს. რამდენი გიჟია ქვეყნად? მოხუცი.

• მინდა, საბერძნეთში მოვიკითხო დიდი სიყვარულით ნინა (ბებე) მათურელი, მშვიდობით დაბრუნება ვუსურვო, საქართველოში. დათკა (ჯანდაბა).

მარიამ



• შენ რომ გინათებს ბილიკებს, ჩემი თვალია, გიო... მე რომ მიყვარხარ ასე, შენი ბრალია გიო... შენი ფისო.

• მარი ზაზუნისვილო და ნათია სუბელიანო, მიყვარხართ ძალიან და ჩემი ცხოვრება ხართ. სულ გახარებული და ბედნიერები მენახეთ, ჩემთვის ძალიან ძვირფასები ხართ. ვასო.

• მხოლოდ თვალები გრძნობენ ერთმანეთს, გულები დუმან, თვალები შორს და ახლოს ხედავენ, როცა გულები არიან ჩუმად. ანტონ, გული მტკივა, ჩემთან რომ არ ხარ. მიყვარხარ. ნინო.

• ლადო კაბულაშვილს! ლადო, ძალიან გვენატრები ყველას. თავს გაუფრთხილდი. იცოდე, ყველას გვიყვარხარ და გვჭირდები. უფალი გფარავდეს, ჩემო კარგო. გკოცნით ბევრს. ლეილა.

• ქუთაისს სალამი, როგორ ხართ, ქუთაისელებო? ჩემს ქუთაისელ სიცოცხლეს მოვიკითხავ. მარი ომანაძე, უსაზღვროდ მიყვარხარ! ხალხო, მიშველეთ, ქუთაისზე მახოდებს. :) მანაველი.

• მაგრად მენატრები, დათუნია, უშენოდ ვეღარ ვძლებ. მიყვარხარ. შენი ფისო.

• გიო მგალობლისვილო, ერთი რამ მინდა იცოდე: შენს მაკას შენ გარდა არავინ უყვარს და შენით ცოცხლობს. ნუ მატკენ გულს, უაზრო ეჭვიანობით. მე ასეთი უნდობლობა არ დამიმსახურებია.

• ბუსკუს, ნუ დადებ სასწორზე ჩვენს ბედს! იცოდე, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა და უარი არ უნდა თქვა. იქნება კი იმავეს შანსი? შეცდომის უფლება არ გვაქვს! მიყვარხარ!

• მარ, გეხვენები, დამიბე-

ჭდე. მინდა, ჩემი ქმარი მოვიკითხო. ის ახლა ჯარშია და მინდა ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს. ფისო.

• გუდუნა, ჩემო სიცოცხლე, მაგრად მიყვარხარ და მენატრები. მინდა იცოდე, რომ შენზე ვაბოდებ. მინდა კიდევ ერთხელ გითხრა და ყველამ გაიგოს, რომ მიყვარხარ. ათენი-23.

• მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, როგორ ხარ, სად დამეკარგე? გეძებ და ვერ გპოულობ. იმედი, განახავ, კისო, მენატრები. ზაზა ულუა.

ნიერებას ვუსურვებთ. ღმერთმა კიდევ ას 2 ივნისს დაგასწროს. გვიყვარხარ და ყოველი კარგი გაგვიხარდება, შენი. ვამაყობ შენით, ლე. იბედნიერე. ვ.მ.

• დავით ქარქაშაძეს და სალომე ბარათაშვილს ვულოცავ გაბედნიერებას. გისურვებთ ღვთის წყალობას და მარადიული სიყვარულის მადლი არ მოგკლებოდეთ. დავით, გილოცავ. მგზავრი.

• კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი, განონასწორებული, თავმდაბალი... ეს იმ დადებით თვისებათა არასრული ჩამონათვალია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, კახა ფოფხაძე საუკეთესო უფროსად ვალიაროთ. კახა, დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ, გაზაფხულივით ლამაზ სიცოცხლეს, ზაფხულივით მხურვალე გრძნობას, შემოდგომასავით სავსე ოჯახს და ზამთრის თოვლივით თეთრ თმას. მანამ ჯანმრთელად და ბედნიერად იცხოვრე, სანამ მზე ჩრდილოეთიდან არ ამოსულიყოს. გაფასებ.

• ეკა ბაცაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, ჩემო ბავშვობის მეგობარო, ჩამოდი ბაკურციხეში და ჩვენებურად ვიქეიფოთ. 27 მაისი მაგარია. ეკუნია, მიყვარხარ.

• ეკა დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ცხოვრებაში ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. ყოველთვის ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი. შენი დისშვილი, ფატი.

• ჩემს მონატრებულ დისშვილს, ნანა მიგრიაულს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. ნანა, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ბევრს. დეიდა.

• ზემო ქედში, ნომა გოგოლაურს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი,

ჯანმრთელი და ბედნიერი, შენს ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ნანული.

• გიო ლომიძე, ბრატუხა, გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი, შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. გისურვებ ლამაზ სიყვარულს და წარმატებებს, პირად ცხოვრებაში. ათენი-23.

• ნინელი სურმაგას ვულოცავ დაბადების დღეს. ბე, მრავალს დაესწარი, სულ ჯანმრთელად და კარგად. მენატრები. შენი უფროსი, „მოსწრება“ შვილიშვილი, ათენიდან. გუგა.


• ათენში, ჩემს დას, მარინა კვათელაძეს მინდა მივულოცო ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გისურვებ მალე დაბრუნებას, შენს ოჯახში გკოცნი.

• ბორის ქურასბედიანო, ჩემო ბაჩო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხოვრებაში წინსვლას, ბედნიერებას, ლამაზ სიყვარულს. უფალმა დაგლოცოს. ბორის, მიყვარხარ ძალიან. გაკოცე! ჩემი სიხარული და სიცოცხლე ხარ. ჩემი ხუტუხარ და ულამაზესი სვანი, იუბილარი, 6 ივნისის. შენი ხატია.

• რამაზი ზაზაძე, გილოცავ გაქრისტიანებას. შენი ამბავი ძალიან გამიხარდა. მოკლედ, შენ არსად დაიკარგები. თამო დედა.

• ჩვენს უსაყვარლეს მშობლებს, სოსო და მათა ღვინიაშვილებს ვულოცავთ ქორწინების 20 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და განვლილი წლებივით ლამაზ მომავალს. დედააა, მიყვარხარ! პატარა მანე.

• გიო-93, ძამიკო, გილოცავ დაბადების დღეს. სიხარულს, სიყვარულს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ, ცხოვრებაში. წმინდა გიორგი გფარავდეს მუდამ. ნონ სტოპ.



ნუგზარ გვარამაძეს, 8 ივნისს ვულოცავ დაბადების დღეს. მისი მშობელი დედა, ზალინა, ბორჯომიდან. მენატრები და შენ გვერდით ვარ, ყოველთვის. გკოცნი.

• ლელა სუბელიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 ივნისს. ლელა, იხარე, იბედნიერე და ყველაფერს კარგს და ლამაზს გისურვებ, ცხოვრებაში. დაესწარი მრავალს. ნათია, ვასო, მარი.

• ლელა, მრავალ დაბადების დღეს დაგასწროს, ღმერთმა. 2 ივნისს, მშობლებთან და დაძმასთან ერთად, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებთ. ასევე, მიზნის მიღწევას.

• 2 ივნისი ლელა, შენი დღეა და გილოცავთ სულით და გულით. სულ გახარებული გვენახე და ბედნიერი ყოფილიყავი. ხომ იცი, ძალიან გვიყვარხარ, მე და ვასოს და გაფასებთ, ჯიგარო.

• ლელა სუბელიანს ბედ-

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

მამის მებობარი

ამას წინათ „მარშრუტკის“ ბოლო სავარძელზე მჯდომმა საკმაოდ საინტერესო „რეისი“ შევასრულე „ნახალოვკა“-საბურთალოს მიმართულებით. ჩემი ადგილიდან „მარშრუტკის“ მთელი სივრცე ხელისგულივით ჩანდა. გვერდით უცხოელი, ახალგაზრდა მამაკაცი მეჯდა, რომელიც საშინელი ინგლისური აქცენტით, მაგრამ გამართული ქართულით ლაპარაკობდა, მისი თანამგზავრი ქართველი გოგონა კი — სუფთა ინგლისურით. ერთი შუახანს გადაცილებული ქალბატონი ვერ ისვენებდა და ყველა ახალამოსულს უთითებდა, სად დამჯდარიყო. მის გვერდით „სამკუთხათავიანი“ მამაკაცი იჯდა, რომელიც ქალის ყველა სიტყვაზე ირონიულად ჩაიცინებდა ხოლმე. ეკლესიასთან გავლისას „სამკუთხათავიანმა“ პირველად გადაისახა. „თანამესკამე“ კი მიუბრუნდა და უსაყვედურა: — რა, ეკლესიაში კი არ ხარ, „მარშრუტკაში“ ზიხარ, პირველად რატომ იწერ? უნდა თქვა — ღმერთო, მიშველე და მორჩა!

— თქვენ არავინ გეკითხებათ, ქალბატონო, თქვენს საქმეს მიხედეთ, — შეუღრინა მამაკაცმა. ამ თემამ მწვავე დებატები გამოიწვია და თითქმის ყველა მგზავრი ამ ქალბატონს დააცხრა. ქალი გაჩუმდა, მგზავრები კი უკვე ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ამ დროს, კამათის წამომწყებმა დააცემინა.

— სიცოცხლე! — ეს ის უცხოელი იყო, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა.

ქალმა კიდევ დააცემინა.

— სიცოცხლე! — ისევ „დალოცა“ უცხოელმა.

ამ ამბავმა ყველა გაამხიარულა და დაძაბული სიტუაცია უცებ განიმუხტა.

ამასობაში „მარშრუტკაში“ ახალგაზრდა გოგო, სამიოდე წლის ბიჭუნა და შუახანის ქალბატონი ამოვიდნენ. ისინი მძლოლის უკან მოთავსდნენ და გზას გაუდევით.

ბავშვმა ყველას ყურადღება მიიპყრო. მივხვდით, რომ მას დედა და ბებია ახლდნენ. ცოტა ხანს დუმდა. შემდეგ, ფანჯარაში გაიხედა და ხმაძვლიანად წარმოთქვა:

— დე, აი, მამიკოს მანქანის-ნაირი მანქანა, — ბავშვი ძალიან საყვარლად გამოთქვამდა სიტყვებს. ტყლიპინებდა და „ს“-ს უჩლექდა.

— დედა, ეს მამას მანქანაა?

ბებიამ ჩაიცინა, დედა კი გაიღიმა.

— არა, ეს სხვა ბიძიას მანქანაა.

— მამას მანქანა შად ალის?

ბებიას უსიამოვნო გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე. — ჰო-ჰო... —

თქვა და განწყობებულმა ჩანთაში ქექვა დაიწყო. წარმოიდგინე, რომ სხვალ ისვენებ და გუუბნებინ, რომ უნდა იმუშაო. წარმოიდგინე და თქვი — „ჰო-ჰო“. აი, ზუსტად ასე თქვა იმ ქალმა.

— გარაჟში, — პასუხობს დედა.

— ჰმ, — დამცინავად შეიზმუკუნა ბებიამ.

— დე, მამა ლოდის მოვა?



— მამა მუშაობს და არ სცალია.

— ლამეც მუშაობს?

— ჰო, ლამეც მუშაობს.

— ალ ჯინავს?

— კი, სძინავს. ლამე ყველას სძინავს.

— სენტან ლატომ ალ ჯინავს? ლეო ბიჯიას და ლალი ბიჩოლას ხომ ელთად ჯინავს?

— იმიტომ, რომ მამას არ სცალია. — დედა უხერხულად შეიშმუშნა, ბებია კი გამარჯვებულებით ხითხითებდა.

— დე, მამა მოვჯებნოთ და უთხლათ, ლომ სახლში მოვიდეს. შენ ალ გინდა, ლომ მოვიდეს? — დიდი ადამიანივით აზროვნებდა თითისხელა ბავშვი.

ბებია მიბრუნდა და ბავშვს ქურთუკის გასწორება დაუწყო.

— გიო, მამა არასოდეს მოვა. მამა სხვა დეიდასთან წავიდა. შენ ის არ უნდა მოძებნო.

— დედა! — ხმაძვლიანად შეჰყვირა ბავშვის დედა.

ბებია კი მოზეიმე სახით იჯდა.

— ბიჭი, შენ გიო გქვია? — ეს ჩემ გვერდით მჯდომი უცხოელი იყო.

ბავშვი გოცუბული მობრუნდა და უცხოელს უნდობლად შეხედა. ფეხებით დედის კალთაზე იდგა და მუცლით მის მკერდს ეკვროდა.

— ჰო, — დაუქვია თავი.

— მე ანრი მქვია, — უცხოელმა წინ გადაინაცვლა, ბავშვის უკან, თავისუფალ ადგილზე მოთავსდა და ხელი გაუწოდა.

გიომ მუშტები მკერდზე მიიკრა

და განვიღო ხელს შემინებულმა დახედა.

— იცი, რა დიდხანს გქებდი? მე და შენი მამა ერთად ვმუშაობთ. აი, ნახე, — ბავშვს მარჯვენა ხელისგული უჩვენა, რომელზეც მონიტორული ფერის ნაიარევი ეტყობოდა. — მე ხელი მეტკინა და ჩემ მაგივრად მუშაობს. მამას მონეტრე და მთხოვა, შენთვის საჩუქარი გადმომეცა, მაგრამ მისამართი დამავინყდა და

ვერ გიპოვე.

ბავშვი დაკვირვებით უყურებდა უცხო ადამიანს და შკერულ შუბლს ნელ-ნელა ხსნიდა.

— სად ალის საჩუქალი?

— აი, აქ მაქვს, — გულის ჯიბიდან უცნაური ფორმის ბრელოკი ამოიღო, მაჯიდან საათი მოიხსნა და გაუწოდა.

ის იყო, ბავშვის ბებიას რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცხოელმა თანამგზავრ გოგონას ინგლისურად გადაულაპარაკა: — ეს ქალი გაჩუმე, თორემ დაბლა ჩავიყვან და შეურაცხყოფას მივაყენებო. გოგონამაც მორიდებით სთხოვა, ნუ ჩაერევით მათ საუბარშიო. ბებია გაჩუმდა.


ბიჭუნამ საჩუქრები გამოართვა და გულზე მიიკრა.

— ასე არ შეიძლება, თქვენ ცუდი ქალბატონი ხართ, თქვენ ბავშვთან საშიში ხართ, — ქართულად გამოცრა კბილებში ანრიმ, ბებიას გასაგონად. წამოდგა და გასუსულ მგზავრებს ჩუმად ჩაუარა. პატარა კი საჩუქრების თვალყურებით იყო გართული და არაფერი ესმოდა.

— გააჩრე! ნინო, ჩავიდე, — დაიძახა უცხოელმა — გიო, კარგად! — ჩასვლისას ხელი დაუქვია ბავშვს. გიომ გაიღიმა და ხელი დაუქვია.

ახალგაზრდა გოგონა ტიროდა, ბებია კი უხერხულობისგან ხანდახან ჩაახველებდა ხოლმე. სამეული მალე ჩავიდა. გიოს „მამის საჩუქრები“ გულში ჰქონდა ჩახუტებული და „მარშრუტკაში“ დარჩენილებს მხიარულად გვიჩვენებდა ხელს. ბებია კი დუმდა და იმედი მაქვს, დღემდე დუმს.

მეტაბოლიზმის დაზიანება შესაძლებლობების დაკარგვას იწვევს



გონების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, უამრავი საოცარი ფაქტი არსებობს.

დიდი ზომის ტვინი დიდ ჭკუას ნიშნავს? მართალია თუ არა, რომ ბრმებს გაცილებით უკეთესი სმენა აქვთ? რატომ აუკვიატება ხოლმე ადამიანს ესა თუ ის სიმღერა? ამჯერად ნაცრისფერი ნივთიერების კურიოზული საიდუმლოებების შესახებ ვიამბობთ.

ტვინი, მით მეტი გონებრივი შესაძლებლობები აქვს ადამიანს. ტვინის ზომა ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე გავლენას არ ახდენს. მიუხედავად ამისა, მეცნიერების აზრით, გონებრივი შესაძლებლობები ნეირონებს შორის

• ადამიანს არ შეუძლია, საკუთარ თავს მოუღიჯოს. საქმე ის გახლავთ, რომ ტვინი მხოლოდ გარეგან გამღიზიანებლებზე რეაგირებს, რათა საკუთარი მოქმედებით გამოწვეულ გრძნობათა ნაკადში, მნიშვნელოვანი სიგნალი არ გამოეპაროს.

• ფოტოს დათვალიერება ჭადრაკის თამაშზე რთული პროცესია. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანს უჭირს ვიზუალური ობიექტების იდენტიფიცირება. უცაბედად თვალმოკრული ობიექტი შესაძლოა, სრულიად სხვა საგნად იქნას აღქმული. მაგალითად, გაუნათებელ ტრასაზე მდგარი ადამიანი შესაძლოა, საგზაო ნიშნად იყოს აღქმული.

• ადამიანი ტვინის 10%-ს იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს, სინამდვილეში, ადამიანი ყოველდღიურად ტვინის მთელ პოტენციალს იყენებს. სხვადასხვა გამოკვლევამ ცხადყო, რომ სულ უბრალო ამოცანის ამოსხნისასაც კი ტვინის ყველა ნაწილი აქტიურდება.

• მთქნარება ტვინს აფხიზლებს. მთქნარება გამოუძინებლობასთან და მოწყენილობასთან ასოცირდება. სინამდვილეში კი ის ტვინს გამოფხიზლებაში ეხმარება. მთქნარების დროს სასუნთქი გზები იხსნება და ფილტვებს მეტი ჟანგბადი მიეწოდება, სისხლი ჟანგბადით მარაგდება — ეს კი მხნეობას გვმატებს.

• ბრმებს უკეთესი სმენა აქვთ. გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ბრმები სუსტ ბგერებს თვალხილულზე უკეთ არ აღიქვამენ. უბრალოდ, მათ უკეთ აქვთ განვითარებული სმენითი მეხსიერება. სწრაფად იგებენ უცხო ენაზე ნათქვამ წინადადებას და უკეთ განსაზღვრავენ ბგერის წყაროს.

• კომპიუტერული თამაშები რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთების ჩვევის გამომუშავებას უწყობს ხელს. კომპიუტერულ თამაშებში აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი „მტერი“ გაანადგურო, რომელიც სხვადასხვა ადგილიდან გესხმის თავს. კომპიუტერული თამაშები ადამიანს ყურადღების კონცენტრირებასა და ცვალებად სიტუაციაში ელვისებურ რეაქციას ასწავლის.

• რაც უფრო დიდი ზომისაა

კავშირზეა დამოკიდებული. ამ კავშირების რაოდენობა ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში იზრდება და ინტელექტზე გავლენას ახდენს.

• ვარჯიში ტვინს ფორმის შენარჩუნებაში ეხმარება. სპორტი ტვინში კაპილარების რაოდენობას ზრდის, რაც დიდი რაოდენობით ჟანგბადისა და გლუკოზის ათვისებას უწყობს ხელს. ყოფილი სპორტსმენები ჯანმრთელობას დანარჩენებზე ხანგრძლივად ინარჩუნებენ. ეფექტურობისთვის, კვირაში რამდენჯერმე, 30 წუთის განმავლობაში ვარჯიშია საჭირო.

• ადამიანის ტვინი გაცილებით ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მაცივრის ნათურა. ტვინის უჯრედებს შორის ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული სიგნალების საშუალებით ხდება. ამ დროს 12 ვატი ენერგია იხარჯება. ეს კი გაცილებით ცოტაა, ვიდრე მაცივრის ნათურის ასანთებად საჭირო ენერგია.

• მოცარტის მუსიკა ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას. ეს მითი 1993 წელს გაჩნდა, როცა ერთ-ერთმა ჟურნალმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მეცნიერები ირწმუნებოდნენ, რომ 10 წუთის მანძილზე მოცარტის ნაწარმოების მოსმენა, საკონტროლო წერის შედეგებს აუმჯობესებდა; მაგრამ მოგვიანებით, ეს მითი არ დადასტურდა. კლასიკური მუსიკა ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე გავლენას არ ახდენს.


• სულელური სიმღერის დავიწყება ძნელია. ტვინს ადამიანის დღის განრიგი, ყავის მომზადებიდან დაძინებამდე ახსოვს. ხანდახან კი ავტომატურად რთავს მოსმენილ მელოდიას და „პატრონს“ პერიოდულად შეახსენებს მას.



ჩვიანების დაცინვა
სულოვების მუხეზიჯ
წმივილივის წამოდადვენს.

მეცხის სიხიდან გაქსეული დკ საფრანკოთუი დსსსლეკული კატხიოტი ქატველის თავკადსავალი...

გასული საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოში არსებულმა რეჟიმმა ბევრი პატრიოტი აიძულა, სამშობლოდან გადახვენილიყო და უცხო ქვეყნისთვის შეეფარებინა თავი. მათ შორის იყო, 1924 წელს მეტეხის ციხიდან გაქცეული ელისე პატარიძე. პარიზიდან დიასპორის დღეებზე ჩამოსული, სამშობლოს მონატრებული მისი მოგვიდრე — **ოთარ პატარიძე** მოგვითხრობს:



ოთარ პატარიძე

— მამათქვენმა ტყვეობას თავი როგორ დააღწია?

— მამა მეტეხის ციხიდან გათხრილი გვირაბით გამოვიდა, მტკვარი გადაცურა და სამშვიდობოს გავიდა. მას თბილისი მალე დაუტოვებია და მშობლიურ რაიონში გადასულა. ერთი პერიოდი თავს სოფელ ნაგარევის ტყეებსაც აფარებდა, მაგრამ ხალხში ვერ ჩნდებოდა.

მამინ მისი ვაჟი, აჩიკო პატარიძე, 3 წლის იყო. იმ დროს, უცხოეთში ოჯახთან ერთად გადასვლა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მამა იძულებული გახდა, ცოლშვილი ნაგარევი დაეტოვებინა, თავად კი — ჯერ სტამბოლში, შემდეგ მარსელში წავიდა. ბოლოს პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო. პარიზში დასახლების შემდეგ, სულ ცდილობდა, შვილთან — აჩიკოსთან დაკავშირებოს, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი უფროსი ძმის ოჯახი, როგორც რეპრესირებულის შთამომავლობა, 1951 წელს ყაზახეთში

თამუნა კვინიკაძე

— მამაჩემი — ელისე პატარიძე 1896 წელს, თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევი დაიბადა. სწავლა ჯერ ქუთაისში დაიწყო, შემდეგ კი თბილისში გააგრძელა. იმავდროულად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიასთან თანამშრომლობდა. ილია ჭავჭავაძის იდეებით იყო შეპყრობილი. მამას 1924 წლის ამბოხების მეთაურებთანაც ჰქონდა მყარი კავშირი. მოგეხსენებათ, ეს ამბოხება საქართველოს ყველა რეგიონში ერთდროულად, 28 აგვისტოს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გამოსვლები ერთ რეგიონში, დანიშნულ დროზე ადრე დაიწყო, რამაც ამბოხებულთა გეგმები ჩაშალა. დაპატიმრებულ მეთაურთა შორის, მამაჩემიც იყო. იგი მეტეხის ციხეში გამოკეტეს.


— რას გიამბობდათ ციხეში გატარებული დღეების შესახებ?

— დაპატიმრებულთა შორის 18-20 წლის ახალგაზრდებიც იყვნენ. ჩვენთან პერიოდულად ციხის ხე-

ლმძღვენელობა შემოდოდა, რიგში ჩაგვყენებდნენ, გადაგვთვლიდნენ და ყოველი მე-10 პატიმარი დასახვერეტად გაჰყავდათო. ტუსალები თურმე სიკვდილს სიმღერით ხვდებოდნენ. მათ საკანში შემოსულ ოფიცერს დაინახავდნენ თუ არა, შემდეგი შინაარსის სიმღერას იწყებდნენ: „ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს/ არვის მივცემთ გულსაკლავად/ თუნდ მთელი ქვეყნიერება/ გადაგვექცეს შავბნელ საფლავად; / თეთრი გიორგი ქართველებს/ მოგვიძღვის აბჯარულრიალით/ ჩვენც შევეურთდეთ მამაცებს/ სამფერი დროშის ფრიალით./ ერთად წავიდეთ ბრძოლაში,/ ჩავღწეწოთ ციხის კარები./ საქართველოდან აღვგავოთ/ ცივ ჩრდილოეთის ჯარები“. ამ სიმღერით ამხნევებდნენ ერთმანეთს მეტეხის ციხეში გამოკეტილი პატიმრები. იგი ამდენი წლის შემდეგ, საქართველოში პირველად, მე, ოთარ ზურაბიშვილმა და მიხეილ გოგიტიძემ, კონსერვატორიის დარბაზში, 6 წლის წინ შევასრულეთ.



1937 წლის 26 მაისი, საფრანგეთი, ქართული ემიგრაცია



ყრილობაზე მამა სიგყვით გამოსულა და თანამემამულეებისთვის საკუთარი ლექსი - „26 მაისის“ წაუკითხავს

გადაასახლეს. აჩიკო პროფესიით ექიმი იყო. მას ორი შვილი დარჩა — თამაზი და მანანა. სწორედ თამაზ პატარაობის ოჯახი მინევეს მასპინძლობას, როცა სამშობლოში ჩამოვიდვარ.

უცხო ქვეყანაში როგორ წარიმართა მამათქვენის ცხოვრება?

— მან ავტომობილების მწარმოებელ ფირმა „პორშეში“ დაიწყო მუშაობა. შემდეგ, პარიზში პატარა დუქანი გახსნა და ოჯახს ისე არჩენდა. 1938 წელს ემიგრანტ ქართველებზე — თამარ ალშინაძე იქორწინა. ჯერ თინა, შემდეგ კი ტყუპი — მე და გულიკო დავიბადეთ. გულიკო რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელი იყო. დედა და მისი ოჯახი 1921 წელს, მაშინ, როცა წითელი არმიის ჯარები შემოვიდნენ, საქართველოდან ემიგრაციაში წავიდნენ. სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების შემდეგ, იგი საქართველოში 2-ჯერ ჩამოვიდა. ძალიან ემოციური იყო ნათესავეებთან შეხვედრა. ბოლოს საფრანგეთში დასახლდნენ.

მამათქვენი როგორ გაიცნო?

— საფრანგეთში მცხოვრები ქართველების ნაწილი 1938 წლის 26 მაისს შეიკრიბა. შეკრებას ილია ჭავჭავაძის და სპირიდონ კედიას იდეების მიმდევრები ესწრებოდნენ. ყრილობაზე მამა სიტყვით გამოსულა და თანამემამულეებისთვის საკ-

უთარი ლექსი — „26 მაისის“ წაუკითხავს. დედა იხსენებდა: ელისემ თითოეულ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მან ძალიან მომხიბლა, მაგრამ არ შემეყარებია, უფრო შემეცოდა: როგორ უყვარს თავისი ქვეყანა და რატომ არ უნდა ცხოვრობდეს საქართველოში-მეთქი? მალე მათ ლამაზი ქართული ოჯახი შექმნეს. დედა დღესაც ცოცხალია, გაისადა საუკუნე შეუსრულდება; მამაკე 1975 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა. ამ დღეს გარდაიცვალა აგრეთვე, ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელი ლევან ზურაბიშვილიც. ემიგრანტები ამ ორ ქართველს ერთად ვგლოვობდით.

— ოჯახში ქართულად ლაპარაკობდით?

— დიახ, მშობლები ქართულად გვზრდიდნენ. სკოლაში რომ შევედი, ფრანგული არ ვიცოდი, მაგრამ მალე ეს ენაც ავითვისე. როცა სახლში ფრანგულად ერთ-ორ წინადადებას ვიტყვოდით, მამას არ სიამოვნებდა, — ქართულად, ქართულად ილაპარაკეთო, — გვახსენებდა. 14 წლის რომ გავხდი, ფანდურზე დაკვრა ვისწავლე. ოჯახში ყველანი კარგი ხმითა და სმენით ვართ დაჯილდოებული. ბავშვობაში პარიზში, წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში ვგალობდით.

— მამათქვენი ისე გარდაიცვალა, რომ სამშობლოში ვერ ჩამოვიდა?

— სამწუხაროდ, ასე იყო. გარდაცვალებამდე 15 დღით ადრე, მძიმე ავადმყოფმა, მითხრა, — წუხელ კარგი სიზმარი ვნახეო. ჩავეკითხე, — როგორი სიზმარი ნახე-მეთქი? — საქართველოში, მეტეხის ციხეში ვიყავით, დროები ფრიალებდა, მეც, სხვა ქართველებთან ერთად, დამხვრიტეს; ეს კარგი სიკვდილი იყოო. თავად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება წილად არ ხვდა, მე კი გამუდმებით მიმეორებდა, — თუ გინდა, ბოლომდე შეიგრძნო საქარ-

თველოს მშენიერება, ის აუცილებლად მაისში უნდა ნახოო.

— პირველად როდის ჩამოვედი საქართველოში?

— პირველად რომ ჩამოვედი, 47 წლის ვიყავი. ეს 1991 წელს მოხდა. ამ წელს ჩატარებულ არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით ვიყავი. მაშინ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს. ჩემი უფროსი ძმა — აჩიკო და მისი მეუღლე 1984 წელს საფრანგეთში იმყოფებოდნენ და ვიცნობდი. სტუმრად მის შვილებთან — თამაზსა და მანანასთან მივედი. თამაზმა თავისი და აჩიკოს მეგობრები დამახვედრა. დიდი სუფრა იყო გაშლილი. ჩემი პირველი ქართველი თამადა — რამაზ ხუროძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი) გახლდათ. თითქმის მთელი ღამე გავატენეთ, ცაზე ლამაზი მთვარი ანათებდა... დილით ჩიტების ჭიკჭიკვმა გამაღვიძა. ჩიტების ასეთი გალობა — მანამდე არასდროს მომისმენია. წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. მზე ამოდიოდა... ნანახმა და განცდილმა გული ამიჩყყა. ქუჩაში გავედი და გზას ვაკიდან სიონისკენ ფეხით გავუყევი. ხალხის ლაპარაკს ყურს ვუგდებდი. ზუსტად ისეთი იყო საქართველო, როგორცეც მამა მიაშობდა. საფრანგეთში ყოფნის დროს, სულ მენატრება. ახლობლები მეუბნებიან, — უფრო ხშირად, მოწყენილი ხარ, მაგრამ მაშინ, როცა ქართულად ლაპარაკობ, საოცრად იცვლები, ბედნიერი ჩანხარო.

— როგორც ვიცი, მშობლიურ თურჯოლის რაიონშიც იყავით ჩასული...

— მამა სოფელ ნაგარევეზე ბევრს არაფერს გვიყვებოდა. ძალიან ემოციური ადამიანი იყო, ამბის მოყოლას ასე იწყებდა: როცა საქართველოდან წასვლა გადავწყვიტე და გამოსამშვიდობებლად დედასთან მივედი... ამის შემდეგ თხრობას წყვეტდა. იმ ეპი-



ზოდების გახსენება უჭირდა, არც ვაძალებდით. ცოტა ხნის წინ, თამაზ პატარიძეს ვუთხარი, — ნაგარევის ნახვა მინდა და თერჯოლაში წავიდეთ-მეთქი. არქივში დაცული მასალით გავიგეთ, რომ მამის ძმა ამ სოფელში იყო დაკრძალული. ჩავედით ნაგარევეში და კითხვა-კითხვით პატარიძეების სახლსაც მივაგენით. პატარიძეები აქ ცხოვრობენო, —



ოთარ პაკარიძის საუკუნის გოლი ღება

მიგვითითეს სახლზე, რომელიც სუფთა, მოვლილ იმერულ ეზოში იდგა. საოცარი განცდა დამეუფლა, ცრემლების შეკაფებაც ვერ შევძელი, პატარა ბავშვივით ავტირდი. სახლიდან შესანიშნავი ბიჭი — გელა პატარიძე გამოვიდა. ერთმანეთი გავიცანი. ტელევიზორში გნახეთ, როცა ქაჭუცა ჩოლოყაშვილის ნემსი ჩამოასვენეს, თქვენს სახელზე წერილიც დავეწერე, მოძებნას ვაპირებდიო, — მითხრა. არაჩვეულებრივი სუფრა გაგვიშალეს, ეს რა სტუმართმოყვარე მხარე ყოფილა! ქეიფი მარნიდან დაგვანყებინეს. ოქტომბერი იყო და მაჭარი შემოგვთავაზეს. ნაგარევიდან ლამის 3 საათზე წამოვედით.

— რას საქმიანობთ საფრანგეთში? ორიოდ სიტყვით თქვენი ოჯახის შესახებაც გვიამბეთ.

— ჩემი მეუღლე ფრანგია, ანი ჰქვია. ქართული ენა ვერ ვასწავლე, მაგრამ ისე გავაქართველე, — „ჩემი ანი“, — ასე მივმართავ... 2 შვილი გვყავს — სოფიკო და ნიკოლა. პროფესიით იურისტები არიან, ნიკოლამ უფრო კარგად იცის ქართული, ვიდრე სოფიკომ. ჩემი ვაჟი საქართველოში პირველად 4 წლის წინ ჩამოვიყვანე, ანზორ ერქომაიშვილმა მიგვიპატიჟა. შემდეგ, ხალხური სიმღერის ფესტივალზე გურიიში წავედით, გურიიდან — ბათუმში. ნიკოლას საქართველო ძალიან მოეწონა. შარშან თუშეთიც დალაშქრა, წელს კი მას 6 ივნისს ველოდები,

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი უნდა დაათვალიეროს. სამშობლოში ახლობელთა ორი ოჯახი გვყავს პატარიძეებისა და ალშიბაიების. საფრანგეთში 11 წლის მანძილზე, ფირმა „აქვამი“ ფინანსური დანესებულების დირექტორად ვმუშაობდი. ახლა პენსიონერი ვარ, ჩემმა სიცოცხლემ აზრი რომ არ დაკარგოს, აქტიურად ვთანამშრომლობ ხელნაწერთა ინსტიტუტთან და პირადად, ლუბა კუდავასთან. ის საფრანგეთში ხშირად ჩამოდის. ლევილის ბიბლიოთეკაში ერთად დავდივართ. როგორც მეცნიერი, ნაყოფიერად მუშაობს. გენერალ კვინიტაძის და სპირიდონ კედიას არქივებში საინტერესო მასალებს მიაკვლია. გენერლის ქალიშვილთან — ნანო კვინიტაძესთან დაცული, მამის არქივის ნაწილი დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. სამშობლოში ხშირად ჩამოდის მისი შვილიშვილი ნოდარ ოდიშერიძე.

— როგორც ცნობილია, ხელნაწერთა ინსტიტუტს მამის არქივის ნაწილი თქვენც გადაეცით...

— ხელნაწერთა ინსტიტუტს ჩემი პირადი ბიბლიოთეკიდან, მამის ნაჩუქარი, ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს ისტორიის“ I და II ტომი გადავეცი, ასევე — „ვისრამიანის“ უძველესი — 1865 წლით დათარიღებული გამოცემა; კიდევ — მამის ხელნაწერები, მისი პოეზია.

— დიახორაში რა როლი გავსრიათ?

— იქ დაბადებულმა ქართველმა ბავშვებმა მშობლიური ენა არ უნდა დაივიწყონ. მათ წმინდა ნინოს ეკლესიაში სისტემატურად ვხვდები. ცოტა ხნის წინ, სიმღერა — „ჭრელო პეპე-

ლა“ შევასწავლე. საფრანგეთში ჩემი ქვეყნის პოპულარიზაციას ვენევი. შექმენი საიტი — „სამშობლო“: ჩვენი ქვეყნის ისტორია, წეს-ჩვეულებები, გეოგრაფიული მდებარეობა, ფოლკლორი, კულტურა, „ჩვენებურების“ ფესტივალი, მიმდინარე პოლიტიკური ამბები — ერთი სიტყვით, ამ საიტზე ყველაფრის ნახვაა შესაძლებელი. დაინტერესებულ პირებს ქართულ ენასაც ვასწავლი. ყოველდღიურად საიტზე 150-ზე მეტი ადამიანი შემოდის. ფრანგებს ქართული სიმღერა ძალიან მოსწონთ. 1971 წელს პარიზში, ანსამბლ „გორდელასთან“ ერთად, ჩემი მეგობარი ანზორ ერქომაიშვილი იყო ჩამოსული. იქ მცხოვრები ემიგრანტი ქართველები ჩვენი გუნდით — „მერანი“ — დავხვდით. კონცერტის დასრულების შემდეგ, თანამემამულეები რესტორანში დავპატიჟეთ, იქ საღაც პიკასო და სხვა ცნობილი ადამიანები დადიოდნენ. დარბაზში 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა. სცენაზე ავედით და „შენ ხარ ვენახი“ ვიგალობეთ. 500 ფრანგი სულგანაბული გვისმენდა. რესტორნის შემდეგ, ლამის 4 საათზე ლევილის სასაფლაო მოვიხაბულეთ. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს. გული მტკივა, რომ მათი დიდი ნაწილი ღარიბია. ქალაქში მოძრაობის დროს, ბევრი ახალგაზრდა ტაქსისტი გავიცანი. ზოგს ინჟინრის, ზოგსაც — ეკონომისტის დიპლომი აქვს, მაგრამ სამსახურს ვერ მოულობს. მინდა, მათ ვუთხრა, — გული არ გაიტეხონ. ეს ყველაფერი დროებითია. მჯერა, რომ ჩემს ქვეყანაში მალე ყველაფერი კარგად იქნება.

კალიფორნია

YOU TUBE ბარორისტული ვიდეორგოლბის ამოღებაზე უარს აცხადებს

ვიდეოპორტალმა აშშ-ის სენატორ ჯო ლიბერმანის წინადადება უარყო და ტერორისტული დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ შექმნილი ვიდეორგოლების ამოღებას არ დათანხმდა. You Tube-ის მფლობელებისთვის გაგზავნილ წერილში სენატორი ირწმუნება, რომ მსგავსი მასალის განთავსებით, ვიდეოპოსტინგი უნებლიეთ, ტერორისტების პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ვიდეოპორტალის მესვეურები, თავის მხრივ აცხადებენ, რომ ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ჩაწერილი ყველა რგოლის ამოღებას არ აპირებენ, რადგან სურთ, მათ პორტალზე ყველა მოსაზრება იყოს წარმოდგენილი. მათ აგრეთვე დასძინეს, რომ მომხმარებლები ყოველდღიურად ასიათასობით რგოლს ტვირთავენ და ადმინისტრაციას თითოეულის ნახვის საშუალება არ გააჩნია.





ქარის საილუმინო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-22

სვეტა კვარაცხელია

ზარი განმეორდა. დაზაფრული ადგილიდან ვერ ვიძვროდი, ფეხს ვითრევდი, იქნებ არამკითხე სტუმარი გაბრუნებულიყო. ტყუილად მქონდა ამის იმედი, ზარი არ წყდებოდა. ბექამ ეჭვი თვალთ შემოძახდა. როცა ნახა, რა დღეშიც ვიყავი, წამოდგა და თავად გაემართა კარის გასაღებად. თვალები დაეხუჭე. დარწმუნებული ვიყავი, სანდრო იქნებოდა. გუმანმა არ მიმტყუნა.

— ოჰო, შენც აქ ყოფილხარ... ასეც ვიცოდი, — ჩემს სმენას მისი ხმა მოსწვდა. სკამს მიველურსმე. სახეზე ხელები ავიფარე და მწარედ ამოვიგმინე.

— მიმიღებთ? — ცინიკურად იკითხა მოსულმა. — თუ ხელს შეგიშლით?

— შემოდი და გავარკვიოთ, — მშვიდად უპასუხა ბექამ.

ესეც ასე! ესეც შენი გადამწყვეტი მომენტი. იქნებ ასე უკეთესია? ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მოეღოს ამ ტანჯვას ბოლო? უმჯობესია, ბექამ თავისი ყურით მოისმინოს ყველაფერი, მაინც ვერ ვებედავდი თქმას. სანდრო კი გამიადვილებს ამას, თავად უკეთ ისაუბრებს იმდამინდელ ამბავზე, არ მომაკლებს ამ სიამოვნებას.

ნაბიჯების ხმა უფრო და უფრო მიასლოვებოდა. შევეცადე, მშვიდი სახე მიმელო.

— გამარჯობა, სო-ფი! — სანდრომ ბოლო სიტყვა საშინელი სარკაზმით წარმოთქვა.

მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. ისეთი განმგმირავი მზერა ვესროლე, ვაგრძნობინე, მისი ნომერ პირველი მტერი რომ ვიყავი.

ირონიულად ჩაიცინა და ირიბად გაიხედა გვერდზე, ბექას ადგილმდე-

ბარეობას ზვერაჟდა. ბექა მის უკან იდგა ხელებ გადაჯვარედინებული, კედელს მიჰყრდნობოდა.

— რაო, სიყვარულს გიხსნის? — ჩემკენ გადმოიტანა მზერა სანდრომ.

მისი კითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— თუ შენ უხსნი? — არ მეშვებოდა.

— მე ვუხსნი, — თქვა მოულოდნელად ბექამ და ჩემკენ წამოვიდა, გვერდით მომიჯდა და მხარზე ხელი გადამსვია, — რამე პრეტენზია გაქვს, ძმაო? — აგდებით ჰკითხა.

— მაქვს, — თავი დააქენა სანდრომ, — და თუ დაჯდომის ნებას მომცემთ, მოგასხენებთ.

— დაბრძანდი, — ხელით მიუთითა ბექამ სკამზე.

— და დაღვევის ნებასაც ვითხოვ. — დაღიე.

— მომიჭახუნებ? დალევ ჩემთან ერთად? — სანდრომ ჭიქა შეავსო და ასწია.

— შენთან ერთად არ დავლევ, — პროტესტი გამოთქვა ბექამ.

— რატომ, ცუდი ბიჭი ვარ?

— იმიტომ, რომ მე ვარ ცუდი ბიჭი.

— მერე? ამაღ იცის ეს ამბავი? — თვალებით ჩემზე ანიშნა სანდრომ.

— გაცნობის დღიდან.

— და მაინც თანახმაა?

— თანახმაა, კი.

— კარგი, მაშინ მე დავლევ. შენ გაგიმარჯოს, სოფიო, — ჭიქიანი ხელით წრე მოხაზა სანდრომ და ბოლომდე დაცალა.

— აბა, დანიე, — ბექას ტონი არ შეუცვლია.

— რა დავინყო? — წარბები შეკრა სანდრომ. — სიმღერა?

— ის, რისთვისაც ჩემთან მოხვედი.

— შენთან არ მოვსულვარ, ამასთან მოვედი და რას წარმოვიდგენდი, სხ-

ვასთან ერთად თუ დამხვდებოდა.

— მე ვარ სხვა?

— ჩემთვის — კი.

— გასაგებია, მაშინ ამას უთხარი, რისთვისაც მოხვედი.

— შენ რომ წახვალ, მერე ვეტყვი.

— მერედა, ვინ გითხრა, რომ წახვალს ვაპირებ? მე აქ ვრჩები.

— ვა, მართლა? ლამისთევით ხარ?

— ჰო, ლამისთევით ვარ.

— რატომ, სახლში მარტოს გეშინია?

— კი, მეშინია.

— კარგი, რახან შენსას არ იშლი, ვიტყვი. ეს ქალი მე მეკუთვნის, თანაც დიდი ხანია და მის დათმობას არ ვაპირებ, ძმაო!

— ამ ქალს არ ეკითხები? იქნებ არ უნდა, რომ შენი საკუთრება იყოს?

— მე ვიცი, რომ უნდა.

— სცადე მაინც... ჰკითხე.

— ვკითხავ... სოფიო...

— ნადი აქედან, სანდრო. აქ შენი ადგილი არ არის, შენს ცოლ-შვილს დაუბრუნდი, — გაბზარული ხმით წარმოვთქვი.

— ნავიდე? მაგდებ?

— გაგდებ და ეს შენ არ უნდა გიკვირდეს.

— სხვათა შორის, ძალიან მიკვირს. იქნებ ამისხნა, რატომ?

მივხვდი, სანდროს უნდოდა, მე მელაპარაკა იმ საშინელი ლამის შესახებ, ამიტომაც მისვამდა ასეთ „მიამიტურ“ კითხვებს. ჩემთვის უკვე სულერთი იყო, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, ამიტომ არაფრის დამალვას არ ვაპირებდი.

— იცი შენ, რატომაც გეყოფა, რაც ჩაიდინე. ამის პატიებას არ ვაპირებ.

— რა ჩავიდინე? — ისე გულუბრყვილოდ იკითხა, თითქოს არაფერში ყოფილიყო დამნაშავე.

— იმ ლამეს ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, — ყრუდ ვოქვი და ამაკანკალა.

ბექას ხელი ნელ-ნელა მოსცილდა ჩემს მხარს. სიცივე ვიგრძენი ბეჭზე.

— რომელ ლამეს? — აგრძელებდა სანდრო თამაშს. — რალაც არ მახსენდება არც ერთი ლამე, ჩვენ ერთად ვყოფილიყავით.

— ნადი აქედან, მეზობლები, მძულხარ, ატანა არა მაქვს შენი, — მთელი ხმით ვიყვირე და ფეხზე წამოვიჭერი.

— ოპ, ოპ, ოპ, ნუ ნერვიულობ, რა გჭირს? — ხელები ისე ასწია სანდრომ, თითქოს მასზე თავდასხმას ვაპირებდი და ჩემს შეჩერებას ცდილობდა. — რატომ ხარ ასეთი აგრესიული?

— მორჩი ამ კომედიას, — ბექაც წამოდგა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, — თუ რამე გაქვს სათქმელი, თქვი და გაათავე!

ჩემდა გასაოცრად, სანდრო დადუმდა, თავი ჩაქინდრა და იატაკს დააშტერდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. არც ერთი ხმას არ ვიღებდით. პაუზა გაიწვია. რამდენიმე წუთის შემდეგ სანდრომ თავი ასწია, ჯერ მე შემომხედა, მერე — ბექას, ღვარძლიანად გაიღიმა და თქვა.

— მე მასთან სექსი მქონდა.
— მართლა? — ხმა შეეცვალა ბექას.
— მართლა, — სანდრო უხერხულად შეიშმუშნა და თმაზე გადაისვა ხელი.

ერთხანს ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც ბექამ დაარღვია. მომეჩვენა, რომ სანდროს ნათქვამი დიდად არ გაჰკვირვებია, სრულიად აუღელვებელი ჩანდა.

— რამდენჯერ?
— ერთხელ, — საჩვენებელი თითი გაფშოკა სანდრომ და ბოროტი ღიმილით თვალი ჩამიკრა.

— მერე რა. მე, სამაგიეროდ, აწი მექნება, თანაც ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, — ნიშნის მოგებით უპასუხა ბექამ და კვლავ გადაამხვია მხარზე ხელი.

სუნთქვა გამიჩერდა. სანდროს ნათქვამმა ბოლო მომიღო, ბექას სიტყვებმა კი საგონებელში ჩამაგდო. ჩემს დასაცავად ამბობს ამას? თუ გულწრფელია და მართლა ასე ფიქრობს?

— ჰო-ო? — სანდროს გკვირება გამოეხატა სახეზე. ალბათ არ ელოდა ამ სიტყვებს. — შენთვის ეს არაფერს ნიშნავს?

— რას უნდა ნიშნავდეს? მე, რატომღაც, მეგონა, რომ თქვენ წარსულში სიყვარულთან ერთად სექსიც გაკავშირებდათ ერთმანეთთან.

თურმე ვცდებოდი. მით უკეთესი, თუ მხოლოდ ერთხელ იწევი მასთან. ეს ბევრ რამეს მეუბნება. ახლა ხომ გასაგებია ყველაფერი?! შეგიძლია ნახვიდე, ხელს მიშლი. ძალიან ცუდ დროს მოხვედი. ის იყო, სიყვარულის ახსნა დავინწყე... — ბექა შესაშურად მშვიდი იყო.

— მართალი ხარ. ჩემი ნასვლის დროა. მე აქ არაფერი მესაქმება, როგორც ვატყობ, — ღრმად ამოისუნუნა სანდრომ, კონიაკის ბოთლს ხელი დაავლო, მოიყუდა და ლამის ბოლომდე დალია.

— უკაცრავად, ხელი რომ შეგიშალეთ. არ უნდა მოვსულიყავი. ნანკამ შემაცდინა... ნავედი, — ხელი აიქინა, თითქოს აბეზარ ფიქრებს იშორებო თავიდან და ბარბაცით გაემართა ჰოლისკენ.

— სანდრო! — გასძახა ბექამ კართან მისულს.

მან თავი მოაბრუნა და ამღვრეული

თვალებით მოხედა.

— რატომ, სანდრო, რატომ? რატომ მოიქეცი ასე? შენ ხომ იცოდი, რომ ის მე მიყვარდა?!


სანდრომ თავი ჩალუნა, ჩაიციხა, მერე შეხედა ბექას და უთხრა.

— მეც მიყვარდა. თოთხმეტი წელი მიყვარდა... შორიდან ვეფერებოდი, რადგან ვიცოდი, უფულებო ვიყავი... მაგრამ შენ გაიმარჯვე. დავმარცხდი... ცხოვრებაში მეორედ დავმარცხდი... — მწარედ გაიღიმა, ხელი ჩაიქინა და კარი გაიხურა.

ყველაზე მტანჯველი წუთები ახლა დაიწყო. ბექას თვალს ვერ ვუსწორებდი. რას იზამს, მომთხოვს ახსნა-განმარტებას თუ არაფერს მკითხავს? იქნებ დავასწრო და თავად მოვუყვე ყველაფერი?

— იცი, ბექა... — ის იყო, საუბარი დავინწყე, რომ ცივად გამანყვეტინა.

— გვიანაა უკვე, ნადი, დაწევი. ამოვიოხრე და წამოვდექი.



— არ მეძინება, მე შენთვის ბევრი რამ დამიგროვდა სათქმელი.

— სხვა დროისთვის გადავდოთ. ნავალ მე, ღამე ნებ...

— არა, არ ნახვალ, — მკაცრად ვთქვი და შევხედე.

ერთხანს თვალებით ვზვერავედი ერთმანეთს.

— ერთი მიზეზი მაინც დამისახელე, რატომ უნდა დავრჩე? — სიმწრით გაიღიმა.

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მეშინია, — საცოდავი ხმით წარმოვთქვი, თვალთ დამიბნელდა და ჩავიკეცი. მუხლები მიცახცახებდა.

ბექა მომვარდა და წამომაყენა, მხარში შემიდგა და ლოგინამდე მიმიყვანა.

— რა გჭირს, პატარა ბავშვი ხომ არ ხარ? რა გემართება? წყალი მოგიტანო? ცუდად ხარ? — შემფოთებულმა დამაყარა შეკითხვები.

— დარჩი, გთხოვ... დივანზე დანევი.

— კარგი, დავრჩები, ოღონდ არ დამიწყო ახლა, გაგიშლი და თეთრეულს დაგიფენ და ასე შემდეგ. არაფერი მინდა, ასევე მივწვები, მაინც არ მეძინება.

— მეზიზღება, მძულს! — ვიყვირე უცებ და ცრემლები წამსკდა. — რა უბედური ვარ...

— ნუ, ნუ, არ გინდა, ნუ ტირი. ვერ ვიტან ცრემლებს. ტირილი რა საჭიროა?

— ძალიან გთხოვ, მათქმევინე, ასე არ შემიძლია.

— რა უნდა მითხრა, სოფი, ისეთი, რაც არ ვიცი? უკვე მითხრეს, გავიგე ყველაფერი.

— არა, ასე არა. მინდა დანვრილებით მოგიყვე.

— დანვრილებით ვიცი. გგონია, შემთხვევით ვარ აქ? ნანკამ ყველაფერი მიაბო, უფრო სწორად, ვაიძულე, ეთქვა. სანდროს დიდი ხანია, ინფორმირებული ჰყავს. ასე რომ... დამშვიდდი და დაიძინე.

— ხომ არ ნახვალ? — მაჯაზე წავეპოტინე.

— არა, არ ნახვალ. მეც დავწვები.

ბექამ თავზე მზრუნველად გადამისვა ხელი, მერე შუქი ჩააქრო და ტახტზე გაუხდელად მიწვა.

თვალზე რული არ მეკარებოდა. ან რა დამაძინებდა, იმდენი რამ მოხდა. ამ ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ ბექა აქ იყო, სულ ახლოს, ჩემგან ორიოდ მეტრის დაშორებით.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. მთელი გულისყური ტახტისკენ მქონდა მიპყრობილი. ბექამ რამდენჯერმე იცვალა გვერდი, მასაც უჭირდა დაძინება. არა, დილაამდე ამ ყოფაში ვერ გავძლებდი.

— ბექა, — ხმადაბლა დავუძახე.

— რა იყო, სოფი? — დასშული ხმა ჰქონდა.

— მცირა... ვერაფრით ჩავთბი, მოდი, ჩემთან დანევი, — ძალიან გამიჭირდა ამის თქმა, მაგრამ მაინც შევძელი.

სიჩუმემ დაისადგურა, ბექა არ შერხეულა. მე სუნთქვაც კი შევწყვიტე, ისე დავიძახე. მერე ტახტი აჭრიალდა... წამოდგა... სიბნელეში გარკვევით ვხედავდი მის სილუეტს.

— ვერ შეგპირდები, რომ შენს გათბობას შევძლებ, — ჩურჩულით თქვა, საბანი გადასწია და გვერდით მომინვა, თავქვემ ამომდო ხელი და ჩამიხუტა.

მის მკერდზე მისვენებული გავინახე, მამაკაცის გულის ბაგაბუგი მესმოდა.

— ძალიან ხმაურობს ჩემი გული, არა? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ჰო, ამ ხმაურში როგორ გინდა

დაიძინო?! — კმაყოფილმა სიბნელეს გადავლიძე.

— შენც ნუ დაიძინებ, — თქვა და თავქვეშ ამოდებული ხელი ნიკაზე ამოძლო, სახე მისკენ მიიმინია და ტუჩებზე დამაცხრა...

ეს იყო ღამე, რომელშიც ნაღველი და სევდა სინაზეში გადაიზარდა, ტკივილი — ვნებათაღელვაში, სიმწარე — ნეტარებაში. ახლა, სწორედ ამ წუთებში უნდა გადაემერჩინა ჩემი სიყვარული, სხვანაირად მის შენარჩუნებას ვერ შევძლებდი. თან მეშინოდა, ამით არ დამთავრებულყო ყველაფერი, ვნების დაცხრომის შემდეგ ბეჯა არ გამქრალიყო ჩემი ცხოვრებიდან, სინანული არ ეგრძნო ერთად გატარებული ღამის გამო. ვცდილობდი, არ მეფიქრა ამაზე, მთელი არსებით მივცემოდი სიამოვნებას. ისე ხარბად ვკოცნიდი, თითქოს ჩვენი შეხება უკანასკნელი ყოფილიყო, თითქოს მეტჯერ არასდროს განმეორდებოდა ბედნიერების ეს წუთები. ასე მეგონა, სხვა განზომილებაში მოვხვდი, სხვა პლანეტაზე, სადაც მალლა ავინიე, უსასრულო სივრცეში და მასში დავსახლდი... ვცხოვრობდი მასთან ერთად, როგორც შემეძლო, როგორც გამომდიოდა... ვცხოვრობდი ყოველი მისი შეხებით, ყველა მისი ფესტით, მოძრაობით, მისი სიჩუმითაც კი... ის მიკოცნიდა თითებს, ყელს, მკერდს... ვგრძნობდი, როგორ მითრთოდა სხეული მისი ტუჩების შეხებაზე. ის წარამარა იმეორებდა ჩემს სახელს, მერე კვლავ ისრუტავდა ჩემი შიშველი სხეულის სურნელს, თან ისე ძლიერად მიკრავდა მკერდში, თითქოს სადმე გაქცევა მქონოდა განზრახული... მე ვგრძნობდი ამას, ამიტომაც მთელი არსებით ვეძლეოდი მამაკაცს, ნეტარების მეცხრე ცაზე ასული...

გარეთ კი ქარი ანგრევდა არემარეს, ზრიალი გაჰქონდა ფანჯრებს...

ბეჯა ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გადაჰყურებდა. მზიანი დილა იყო, ქარი ჩამდგარიყო. ავდექი, სარაფანი გადავიცივი და მას მიუუახლოვდი, ზურგიდან ჩავეხუტე და ხელები მოვხვიე. თვალები ცრემლით ამკვებოდა, უხმოდ ვტიროდი, ოდნავ მიცასცავებდა მხრები.

— რამე მოხდა? — მკითხა მან ისე, რომ არ განძრეულა.

ნაღვლიანად გავიღიმე.

— იცი? საბოლოო ჯამში, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რა იქნება დღეიდან, წახვალ თუ დარჩები. მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვო. თუ დარჩენას არ აპირებ, არ დამივიწყო მაინც. ქალი თუ მოგინდეს... სხვასთან ნუ წახ-

ვალ, მე გაგინევ მის მაგივრობას.

— რომელ ქალზე მელაპარაკებ, სოფი? — გაკვირვებული მოტრიალდა და დამაშტერდა.

— აი... ქალი... ხომ დადისარ ხოლმე ქალებში... როგორც კაცებმა იციან... — თვალი ავარიდე.

— შენ რა... მთავაზობ, რომ... სწორად გავიგე?

უხმოდ დაფუქნიე თავი. რამდენიმე წამი ასე მიყურებდა გაშტერებული, მერე კი სიცილი აუტყდა.



— რა სულელი ხარ... რატომ გადაწყვიტე ასე, რა შემატყვე სამაგისო? არ გირჩენია, სამზარეულოში გაცუცულდე და ყავა გამიკეთო? საუზმეც არ გვანყენდა. მე უკვე მოვედი შენთან და უკან გაბრუნებას არ ვაპირებ. გასაგებია? — მკლავებში მომიწყვდია და მაკოცა. სუნთქვა შემიგუბდა.

— რა ლამაზი ხარ, რომ იცოდე, რა ტკბილი. ამ სიამოვნებას ნამდვილად ვერ მოვაკლებ საკუთარ თავს. გგონია, ასე ადვილია შენი მიტოვება? არ ვაპირებ... და არც არასდროს მქონია ამის მცდელობა. მიდი, მაჭამე რამე, მგელივით მშია...

ის იყო, საუზმობა დავსრულეთ და სუფრის ალაგებას შევუდექი, რომ ბეჯას მობილურმა დარეკა.

— გისმენ, ვაჟა, ჰო, — ჩასძახა ბეჯამ და მოულოდნელად სახე შეეცვალა, — რას ამბობ, როდის?! ა! არა, მე არა... ვერ მოვალ... „პახმელიაზე“ ვარ, არ შემიძლია. გელას დაურეკე ან სხვა ვინმეს... არა-მეთქი, ხომ გითხარი! — ნამოიყვინრა უტყე და გათიშა, ფერი არ ეყო სახეზე.

— რა მოხდა? — ფრთხილად ვკითხე, გული გადამიქანდა.

უაზროდ შემომხედა. თავი გადააქნია და წამით თვალები დახუჭა.

— ბეჯა, არ იტყვი, რა მოხდა? — მიუუახლოვდი.

— სანდრო ავარიაში მოყოლილა.

ცუდად არის, მთლად დაღვნილია, სასწრაფო ოპერაცია სჭირდება, შეიძლება ვერც გადარჩესო, — ყრუდ ჩაილაპარაკა.

— მერე? — ვერ მივხვდი, მენწყინა თუ გამიხარდა.

— მე არ გავაკეთებ.

— გელა სად არისო? ის რატომ არ აკეთებს? — ხმა გამებზარა.

— თბილისში არ არის... მე არ გავაკეთებ, სოფი, — თვალი თვალში გამიყარა.

წამით ჩავფიქრდი, გადანყვეტილებას ვიღებდი. მერე რალაც ღრმა ამოსუნთქვის მაგვარი გავაკეთე, თითები ერთმანეთში გადაავხლართე და დავინწყე.

— იცი, შენ ექიმი ხარ...

— გმადლობ, რომ შემახსენე, — ირონიულად შენიშნა.

— არ გაქვს უფლება, ასე მოიქცე. დაფიქრდი, — სიტყვებს დიდი სიფრთხილით ვარჩევდი, რომ არ განმერისხებინა, — მას თავისი გაჭირვება ეყოფა. უნდა აჯობო საკუთარ თავმოყვარეობას...

— რა შუაშია აქ თავმოყვარეობა? — გაბრაზდა ბეჯა.

— არ ვიცი, მაგრამ... ის კი ვიცი, რომ უნდა გადააჩინო. ეს შენი მოვალეობაა. დამიჯერე, გთხოვ, მას შეილები ჰყავს...

— ჩემ გარდა იქ არავინ არის? ხომ შეიძლება, სხვამ გაუკეთოს? მე რატომ მომჩერებიან?

— როგორც ჩანს, არავინ არის.

ამ დროს ჩემმა ტელეფონმაც დარეკა. გიზელა იყო, დროზე მოდი, ოპერაციაზე გიბარებენ, ანესთეზიოლოგია საჭიროო. სანდროზე სიტყვა არ დაუძრავს. მივხვდი, შეგნებულად არ მითხრა. ეგონა, რომ მეც უარს ვიტყვოდი.

— მე უნდა წავიდე, ბეჯა.

— ნება რომ არ დაგართო, მაინც წახვალ?

— შენ ხომ იცი, რომ წავალ. არა იმიტომ, რომ მისი გადარჩენა ჩემთვის ძვირფასია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში.

ბეჯას სახე აელენა. ვიგრძენი, მასაც უნდოდა წამოსვლა და ვერ გადაეწყვიტა.

— დრო არ იცდის, ბეჯა, წავედი, ჩვენ ორივეს გველოდებიან.

...და ჩვენ წავედით.

— ღამის ორ საათზე მოიყვანეს. უგონოდ იყო. სისხლდენა ჰქონდა ნაწლავებიდან. ვერ მივხვდით, საიდან ჟონავდა სისხლი. არც რენტგენმა და არც ექოსკოპიამ არაფერი უჩვენა. არადა, ღამისაა, დაიცალოს სისხლისგან, წნევა უფრო და უფრო უფარდება, ჰე-

მოგლობინიც. უნდა გავჭრათ, სხვა გზა არა გვაქვს, ეჭვი მაქვს, რომ თირკმელია, უბრალოდ, არ ჩანს, — მიმედ ლაპარაკობდა ვაჟა, — უაზრო რაღაცებს გაჰყვირის, ბოდავს თუ რა არის, ვერ გავიგე.

— თავზე თუ გადაუღეთ სურათი? — ვკითხე ვაჟას.

— ჯერ არა, ახლა მუცლის ღრუ უფრო მნიშვნელოვანია, ამას უნდა მივხედოთ.

— კარგი, მოამზადეთ ყველაფერი, ათ წუთში დავინეებთ, — თქვა ბექამ და კაბინეტში შევიდა.

— სოფო, ცოტა მეტი შეუშვი, რომ ვეღარ გავიღვიძო, — ძლივს ამოთქვა სანდრომ, მე რომ დამინახა, — ხედავ, რა ტუზი დაგეცათ შენ და ბექას, კარგი შანსი მოგეცათ შურისძიებისთვის.

— ნუ ლაპარაკობ, ეცადე, დამშვიდდე, ყველაფერი კარგად იქნება, — გავამხნევე გაფითრებული მამაკაცი, მისი სიტყვებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

...ოპერაცია სამ საათს გაგრძელდა. ბექას ვაჟა ეხმარებოდა. დროზე მოხდა ქირურგიული ჩარევა, სანდროს მუცლის ღრუ სისხლით ავსებოდა. თირკმელი ჰქონდა გაგლეჯილი, ღვიძლი და ელენთაც დაზიანებული. ელენთა და ცალი თირკმელი ამოაცალეს, მათი შენარჩუნება შეუძლებელი იყო. გაუმართლა, რომ დროზე მივუსწარით. კიდევ რამდენიმე საათი და, ცოცხალი აღარ იქნებოდა.

ოპერაცია რომ დამთავრდა, მხოლოდ მერე დაფურევე ნიტას. გულგახეთქილი მოვარდა, გულამოსკვნით ტიროდა.

— გადარჩება, სოფო? — უკვე მერამდენედ შემიკითხა.

— გადარჩება, ნუ გეშინია. დანყნარდი, ახლა მისთვის მხოლოდ ყურადღება და სიმშვიდეა საჭირო.

— ნუხელ დამირეკა, თუ მიმიღებ, დავბრუნდებიო. საშინლად ვეჩხუბე, რაც კი გულში მქონდა, ყველაფერი ვუთხარი, მთელი ბოლმა გადმოვანთხიე. ასე ნუ მელაპარაკები, თორემ საერთოდ არ მოვალო. ჯანდაბამდე გზა გქონია-მეთქი, ვუყვირე. გამითიშა ტელეფონი. მერე ვერაფრით დაუკავშირდი, საერთოდ გამორთო. რას ვიფიქრებდი...

— მთვრალი ყოფილა, ამბობენ, საშინელი სისწრაფით მიდიოდაო, — თავი გავაქნიე.

— ჩემი ბრალია, მე გავამწარე, ისეთი რამეები ვუთხარი. ღმერთო, გადააჩინე, მისი სიკვდილი ნამდვილად არ მინდოდა.

— არ მოკვდება, ნუ ნერვიულობ, — გავუღიმიე ნიტას და გადავხვიე, — ანი მაინც ისწავლის ჭკუას.

— ჰემატომა აქვს თავში, — კარი შემოალო ამ დროს გიზელამ, — კიდევ ერთი ოპერაცია სჭირდება.

— რას ამბობ! — შევიცხადე. — ვინ

უნდა გაუკეთოს?

— ჭკუასელს გამოუძახეს, უკვე მოდის.

— ახლავე უკეთებენ?

— ამნუთასვე, უფრო და უფრო იზრდება შეშუპება.

ნიტამ შევივლა და ღონემხიდილს გული წაუვიდა. ძლივს მოვასულიერეთ მე და გიზელამ.

— არ გრცხვენია?! მე შენ ძლიერი ქალი მგონიხარ, რა მოგდის? — უსაყვედურა გიზელამ გონზე მოსულს. — დიდი არაფერია, ადვილი ოპერაციაა, მალე დამთავრდება.

— კიდევ უნდა გაჭრან?

— არა, არა, ჩვეულებრივი ამოტუმბვა მოხდება და მეტი არაფერი. ოც წუთში მორჩებიან, დანყნარდი, — ამშვიდებდა გიზელა აკანკალებულ ქალს.

საორდინატოროდან გამოვედი და ბექას კაბინეტს მივაშურე. ის სავარძელში იჯდა დაღლილი, თავი უკან გადაედგო.

— როგორ ხარ? — თბილად მოვიკითხე.

— უკეთ. იცი, ახლა რა მინდა? — თავი წამოსწია და ეშმაკურად შემომხედა.

— ყავა?

— ჯერ ყავა, მერე ქალი, — მითხრა და გაიცინა.

— ერთი თუ ორი? — გავიხუმრე.

— რა — ყავა თუ ქალი?

— ყავა, რა თქმა უნდა. ორი ქალის უფლებას ვინ გაძლევს, რო?

— ასეც ვიცოდი. მშვიდობით, თავისუფლებავ! — პათეტიკურად წარმოთქვა და ხელები ჩემკენ გამოიშვირა.

ყელზე მოვხვიე მკლავები და ჩავეკონე.

— იცი, რომ მასთან ერთად ნანკაც ყოფილა? — თქვა უცებ.

— ნანკა? მერე? — ისე გამიკვირდა, გველნაკბენივით წამოვხტი.

— ისიც დამტვრეულია, ორივე ფეხი ჰქონია მოტეხილი და ხერხემალი სერიოზულად დაზიანებული. ტრავმატოლოგიურში გაუქანებიათ. შეიძლება მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩეს.

— არც ამას დაადგება კარგი დღე, კარგა ხანს ვერ გასწორდება წელში, — სანდროს მისამართით ვთქვი.

— ჰო, — თქვა ბექამ და ამოიხვნეშა, — მიკეთებ ბოლოს და ბოლოს ყავას თუ როგორ არის საქმე?

— ახლავე მოგიტან. ქალი სად მოგართვათ?

— ქალი, რა თქმა უნდა, სახლში, ცხელ წვნიანთან ერთად, — მხიარულად შესძახა, — „პასმელიაზე“ გამოსასვლელად, უკეთესი საშუალება არ არსებობს.

— მაშინ ყავას შემოგიტან და მე შინ წავალ, მოვემზადები, — მრავალმნიშვნელოვნად ვთქვი.

უსიტყვოდ დამიქნია თავი და სიყვარულით სავსე მზერა მესროლა.

ბექას შეაგვიანდა. შეგნებულად არ ვურეკავდი, ვიცოდი, უმიზეზოდ არ დააგვიანებდა. ცხრა ხდებოდა, რომ მოვიდა. ისეთი დაღლილი გამომეტყველება ჰქონდა, შემეცოდა. სუფრა გაშლილი დავახვედრე.

— რატომ დაგაგვიანდა?

— სახლში შევიარე, წყალი გადავივლე და ტანსაცმელი გამოვიცვალე. ახალა შევამჩნიე, რომ თმა სველი ჰქონდა.

— აქ ვერ დაიბანდი? — ვუსაყვედურე.

— კი, მაგრამ ტანსაცმელს ვერ გამოვიცვლიდი, — გამიღიმა და საბაზანოში შევიდა ხელების დასაბანად. მინდოდა მეკითხა, სანდრო როგორ არის-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

— ისევ ამოვარდა ქარი, — თქვა და მაგიდას მიუჯდა, — არა და არ გამოვიდა ამინდი. ვერ გაიგებ, ზაფხულია თუ გაზაფხული.

— მე მიყვარს ქარი, — იდუმალი ხმით წარმოვთქვი.

— ხანდახან მართლა ასწორებს, განსაკუთრებით სექსის დროს, განსხვავებულ ტალღაზე გაყენებს, მუსტს გამატებს, — ეშმაკურად შემომხედა, — კარგი იქნება, რომ არსებობდეს „ქარი გამოძახები“.

— უკვე არსებობს, — მრავალმნიშვნელოვნად ვთქვი და გვერდით მივუჯექი.

— ორმოცის შემდეგ ჩემთან გადმობარგდები, — უცებ დაუსერიოზულდა სახე, — ქორნილამდე ვერ მოვიცდი. წამოვნიტლდი.

— რა იყო, არ მოგნონს ჩემი წინადადება? — გემრიელად ილუქებოდა ბექა, თან თვალს არ მაცილებდა.

— როგორ არა, ამაზე უკეთესს რას შემომთავაზებდი, — ბედნიერებისაგან ფრთაშესხმულმა თავი მხარზე მივადე.

— რა-ას? ვიცი, რასაც. ავდგეთ და ახლავე ლოგინში გადავინაცვლოთ. ნუხელ შენი სექსუალური შესაძლებლობები კარგად ვერ შევაფასე. კიდევ ერთხელ უნდა ვნახო, რა შეგიძლია.

სიცილი ამიტყდა. ბექამ ხელში ამიტაცა და საძინებლისკენ გამაქანა.

— ბექა, მართლა არასდროს გიფიქრია ჩემი მიტოვება? — ჩურჩულით ვკითხე, სანამ ტანსაცმელს მხდიდა.

— მიტოვება?.. სულაც არა, — ჩურჩულითვე მიპასუხა, — ასეთი სიტყვა ჩემს ლექსიკონში არ არსებობს...

და ისევ ალერსის ბურანში გამოხვია. ისევ ატრიალდა სამყარო.

ისევ სხვა განზომილებაში აღმოჩნდით ორივე.

და ისევ ქროდა ქარი... გარეთ.

დასასრული

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)


ქვემოთ მოცემული კითხვები ურუნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვატისკან არ გაგაქმთ თვალი.

1. ტანზანიაში მცხოვრებ ტომებს სჯერათ, რომ სიკვდილის წინ პითონი ძვირფას ქვას გადმოაფურთხებს. რა ხდება მაშინ, როცა ამ უზარმაზარი გველის სიკვდილის შემსწრენი ქვას ვერ პოულობენ?
2. რომელ მწვერვალზე ასვლით იწყება ალპინიზმის ისტორია?
3. რა მოხდა ჩინეთში (ოფიციალური ცნობით) 1982 წლის 27 ოქტომბერს?
4. კვირის რომელი დღეა ზღვაში გასულ მებღავურთათვის უქმე?
5. რა ერქვა ნადირ-შაჰის მიერ შემოღებულ ირანულ ვერცხლის მონეტას, რომელსაც თბილისშიც ჭრიდნენ?
6. უნევაში არსებობს ე.წ. „ოფიციალური“ ნაბლის ხე, რომელსაც მუნიციპალიტეტის საგანგებო წარმომადგენელი ადევნებს თვალყურს. რას აკეთებს ეს წარმომადგენელი, როცა ხეზე პირველი კვირტი იშლება?
7. რა გვარი იყო ლენინის დედა?
8. ეს ფრანგი მოქანდაკე სამჯერ აბარებდა ნატიფი ხელოვნების აკადემიაში და არც ერთხელ არ მიიღეს. დაასახელეთ იგი.
9. იმისათვის, რომ აღწერილი ფაქტის უტყუარობას გაუსვას ხაზი, პლუტარქე თავის პარალელურ ბიოგრაფიებში დროდადრო იფიცებს... ვის?
10. ვინ უშრობდა სისხლს მულტიპლიკაციურ ფილმ „კაპიტან ვრუნგელის თავგადასავლის“ პერსონაჟებს: უულიკო ბანდიტოს და დელა ვორო განგსტერიტოს?
11. „ელევატორი ხალხისათვის“ — პირობითად ასე ერქვა 1867 წელს, პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილ ორთქლის მექანიზმს. რა ეწოდება მის თანამედროვე ანალოგს?
12. რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის კუნძული მალიორკა?
13. ვის ეკუთვნის საქვეყნოდ ცნობილი ლოზუნგი — „ნო პასარან!“ და რას ნიშნავს იგი?
14. მისი ნამდვილი გვარი სეფისკვერაძე გახლდათ. ამ კაცმა, თავის დროზე, ლეკებთან ომში გაიტყვა სახელი, რისთვისაც კუჭატანში მამული უბოძეს. მას ერთხელ სახელგანთქმული ყაზალი შემოაკვდა ისე, რომ არც კი იცოდა, ვინ მოკლა. როცა გაიგო, დაწესებულ ჯილდოზე უარი თქვა. ვისზეა ლაპარაკი?
15. ჩინეთის თეატრებში სულ რამდენიმე ბუტაფორია არსებობდა: მაგიდა ნიშნავდა ხიდს, ნიჩაბი — ხომალდს, მახვილით ცეკვა — ბრძოლას. რას განასახიერებდა მსახიობი, რომელსაც ცისფერი პირსახოცი ჰქონდა გადაფარებული?

ანკლოცეპი

— აი, ამ ფოტოზე ხუთი წლისა ვარ.



— ამ ასაკშიც მელიოტი იყავი?

— სურათი უკულმა გიჭირავს.

— ნახე, იმ ტიპს როგორი მიჭყლელი ცხვირი აქვს!

— აუ, მაგას ვიცნობ, ქალების აბანოში მუშაობს მინების მწმენდავად.

ორი მეგობარი ქუჩაში სეირნობს. მათ გვერდზე ახალგაზრდა, სიმპათიურმა გოგომ ჩაუარა. ერთი მეორეს ეუბნება:

— შეხედე, შეხედე, გამიღიმა!..

— დიდი ამბავი, პირველად რომ გნახე, კინალამ სიცილით მოკვვდი!..

კონცერნის შეფმა ასისტენტი იხმო:

— ჩვენს ფირმაში მოძებნეთ მიზანსწრაფული ახალგაზრდა კაცი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ჩემს შეცვლას შეძლებს.

— რომ ვიპოვი, მერე რა ვქნა?

— კინისკვრით გააგდეთ!

— როგორი ტემპერატურაა დღეს?

— 34 გრადუსია, ჩრდილში!

— მზეზე?

— ოთხი მილიონი. მთვარეზე შედარებით გრილა.

ხანში შესული კაცი მეგობარს შესჩივის:

— სულ აირია ქვეყანა, უამრავი ლამაზი გოგო დადის, რომელსაც გათხოვება არ უნდა!

— შენ რა იცი?

— თავად შევთავაზე!

მღვდელი და პოლიციელი ქუჩაში მიდიან და ერთმანეთს დროის ძნელბედობაზე ესაუბრებიან. ხედავენ, ორი კაცი გამწარებით ურტყამს ერთმანეთს. ბოლოს, ერთმა დანა ამოიღო. პოლიციელმა მათი გაშველება დააპირა, მაგრამ მღვდელმა შეაჩერა:

— ჯერ დრო არ არის, შვილო ჩემო!

ბოლოს, ერთმა მეორე სასიკვდილოდ დაჭრა და გაქცევა დააპირა.

— აი, ახლა შეიძლება! მიდი, ერთი შენია, მეორე — ჩემი!

ახალგაზრდა გოგო მდიდარ ოლიგარქს ეჩხუბება:

— შენ მე ქალიშვილობა დამაკარგვინე.

— არა უშავს, ახალს გიყიდი.



კადრების უფროსი ქუჩაში თან-ამშრომელს ხვდება:

— რას ჰგავს ეს? თქვენმა ძმამ ახლახან დამირეკა და მითხრა, რომ საავადმყოფოში დაგანვინეს.

— იდიოტი, ხვალ უნდა დაერეკა!..

მამაკაცი ღმერთს ეკითხება:

— უფალო, რატომ შექმენი ქალი ასე ლამაზი?

— იმიტომ, რომ მისი შეყვარება შეგძლებოდა.

— მაშინ რატომ შექმენი ასეთი სულელი?

— იმიტომ, რომ შენი შეყვარება შესძლებოდა.

მამა შვილს ეუბნება:

— შვილო, როგორ შეიძლება, ცხოვრების თანამგზავრი კომპიუტერის საშუალებით ეძებო? ეს ამორალურია!

— შენ როგორ გაიცანი დედა?

— როგორ... როგორ... როგორ და კარტში მოვიგე.

— აუცილებლად გიჩივლებთ! თქვენ რომ ჩრჩილის ნამალი მომეცით, არაფრად ვარგა!

— რატომ, არ კლავს?

— კლავს კი არა, ჰალვასავით ჭამს!

— ჭამოს მერე, გაძლება და ტანსაცმელს აღარ გაეკარება!

ქალაქელი ხათუნა სოფელში გათხოვდა და დაქალს მისწერა:

„აქ ისეთი სუფთა ჰაერია, ფეხმძიმე ქალი სამი თვით ადრე იმშობიარებს“.

— თუ შეიძლება, 48 გრამი შებოლილი ძხვი ამიწონეთ.

— ბარემ, 50 გრამი იყოს, — ღიმილით ეუბნება გამყიდველი.

— კარგი! თუ გრიალია, გრიალი იყოს!

გეოგრაფიის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

— ბავშვებო, დაიმახსოვრეთ: მეხიკო, ლონდონი, ბერლინი და მადრიდი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა განლაგებული, ხოლო ტაშვენტი, პეკინი, ულანბატორი და ტოკიო — მარჯვენაზე.

კურორტზე ერთი ქალბატონი სასწოროთან მივიდა, მონეტა ჩააგდო და ზედ შედგა. შედე-



გით უკმაყოფილო დარჩა. სვითერი გაიხადა და ისევ შედგა. შემდეგ, ფეხსაცმელებიც გაიხადა, მონეტა ჩააგდო და ისევ აიწონა. მას ერთი მამაკაცი ღიმილით უახლოვდება და ეუბნება:

— გააგრძელეთ, გეთაყვა, ფულს მე გადავიხდი.

გონაგონ სპასტიკა

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მის მოპარვაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.
2. ალპებში, მონბლანზე ასვლით და ამიტომაც ჰქვია ალპინიზმი.
3. დაიბადა მემილიარდე ჩინელი.
4. მათთვის უქმე დღე არ არსებობს.
5. ნადირი.
6. მოქალაქეებს გაზაფხულის დადგომას ამცნობს.
7. ბლანკი.
8. რენე ფრანსუა ოგიუსტ როდენი.
9. ზევსა და სხვა ღმერთებს.
10. სუპერმენი 00X.
11. ლიფტი.
12. ესპანეთს.
13. ეს სიტყვები ესპანეთის ეროვნულ გმირს, ანტიფაშისტ სოსე დიასს ეკუთვნის და ის ასე ითარგმნება: „ვერ გაივლიან!“
14. არსენა ოძელაშვილის მკვლელ გიორგი კუჭატენელზე.
15. დამხრჩვალს.

ჩვენი ფოსო მადარაა ძვირფასო მკითხველებო!

ეს ფოტო გურჯაანელმა თინათინ ცოფურაშვილმა გამოგვიგზავნა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონკურენტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



თუ დეპრესია დაგეუფლათ...

თავს ძალიან ცუდად გრძნობთ, ცხოვრების ხალისს კარგავთ, სრულ უუნარობას განიცდით, გაღიზიანებით ყველა და ყველაფერს, სამყაროს მუქ ფერებში ხედავთ და თითქოს საშველიც არსაიდან ჩანს... ეს სომ დეპრესიაა, რომელიც თითქმის ყველა ადამიანს ერთხელ მაინც ემართება.

დეპრესია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადებაა და ფსიქიატრები მის დამარცხებას უამრავი მეთოდითა თუ მედიკამენტით ცდილობენ, თუმცა როგორც ამბობენ, მის დასაძლევად ყველაზე მარტივი საშუალება — სუფთა ჰაერზე სეირნობა და მზეზე მიფიცება ყოფილა.



რებასა და სტრესსაც კი ამ დაავადების განუვითარებლად გაუძლონ.

ასაკი და დეპრესია

დეპრესია ადამიანს ნებისმიერ დროს შეიძლება დაეუფლოს, მაგრამ ის, ძირითადად მაინც, 35-40 წლის ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ზოგს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მხოლოდ ერთი შეტევა შეიძლება ჰქონდეს, ზოგს კი — რამდენჯერმე გაუქმორდეს. დეპრესიის ეპიზოდებს შორის, ადამიანი სრულიად ჯანმრთელად გრძნობს თავს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეოთხედს — განსაკუთრებით ქალებს — დეპრესია უზანგრძლივდება და ქრონიკულ ფორმას იღებს.

ქალებს დეპრესია შეიძლება დაემართოს ცხოვრების განსაზღვრულ პერიოდებსა და გარკვეულ სიტუაციებში. მაგალითად, გარდატეხის ასაკში, ორსულობის, ლაქტაციის (ძუძუს წოვების), კლიმაქსისა და ხანდაზმულობის დროს.

დეპრესიის გამომწვევი მიზეზები

დაპრესიის გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია: კონფლიქტი — ოჯახური თუ სამსახურებრივი; ინტიმური უსიამოვნებანი; მოლოდინის გაცრუება, ოცნებების დამსხვრევა, ხანგრძლივი ემოციური თუ ფიზიკური დაძაბულობა; ინტერესების სფეროს შევიწროება. დეპრესიის გამომწვევი მიზეზი ხშირ შემთხვევაში, შეიძლება გაუცნობიერებელიც იყოს. მაგალითად, შესაძლებელია, ჯანსაღ მდგომარეობაში დაიძინოთ და დეპრესიულში გაიღვიძოთ. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ წარსულში მძიმე

დეპრესია ხასიათის დარღვევის კატეგორიაა, რომლის დროსაც ადამიანი უდიდეს სულიერ ტკივილს, სევდას, დანაშაულის მტანჯველ შეგრძნებას განიცდის; საკუთარ თავს არაფრის მაქნისად, არარაობად მიიჩნევს და ცხოვრება აუტანლად ეჩვენება. დეპრესია შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: 1. სევდა, დამორცხველი სულიერი მდგომარეობა; 2. ყოფითი საქმეებისადმი ინტერესების დაკარგვა; 3. ძილის დარღვევა (უძილობა ან მუდმივად ძილის სურვილი); 4. აქტივობის დონის მკვეთრი ცვლილებები; 5. უმადობა (ან პირიქით, მოჭარბებული მადა); 6. ენერჯის დაკარგვა, ძლიერი დაღლილობის განცდა; 7. ნეგატიური თვითშეფასება; 8. ყურადღების

კონცენტრირების დარღვევა, აზროვნების შენელება და მერყეობა; 9. აკვიატებული აზრები სიკვდილსა ან თვითმკვლელობაზე და ა.შ.

ვის შეიძლება დაეუფლოს დეპრესია

სტატისტიკური მონაცემებით, ყოველ მესამე ქალს და ყოველ მეთამაჰაც, დეპრესია ცხოვრებაში ერთხელ მაინც ეუფლება.

დეპრესია დამახასიათებელია სუსტი იმუნიტეტის მქონე (და უმეტესწილად — სუსტი სქესის) ადამიანებისთვის. ფსიქოლოგიურად ძლიერი პიროვნებები დეპრესიას არ განიცდიან. მათ ძალუძთ, დიდ უბედუ-

ვარჯიშები წელსუფლის ნინააღმდეგ

როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, XX საუკუნის დასაწყისამდე ცელულიტი არათუ ქალის სხეულის ნაკლად, არამედ — მისი სექსუალურობის მაჩვენებლადაც კი მიიჩნეოდა. მაგრამ სილამაზის ეტალონები იცვლება და დღესდღეობით მრავალი ქალი ცელულიტისგან სამუდამოდ გათავისუფლებას ცდილობს.

გთავაზობთ ვარჯიშებს ცელულიტის წინააღმდეგ

1. დაჯექით ხალიჩაზე. ზურგი სწორად გეჭიროთ, ხელები კი იდაყვებში მოხარეთ. იმოძრავეთ დუნდულების საშუალებით — ხან წინ, ხან უკან, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს (10-10 მოძრაობა ოროვე მიმართულებით). გაიმეორეთ სამჯერ.

2. დანექით ზურგზე. მარცხენა ფეხი მოხარეთ და ეცადეთ ზევით აწევას. დაადეთ მას მარჯვენა ფეხ-

ისგული, ისე, რომ წელი იატაკიდან არ წამოსწიოთ. მარცხენა ფეხი კი მკერდისკენ მისწიეთ. შემდეგ გაიმეორეთ, ოღონდ ფეხები შეანაცვლეთ. ყოველი ფეხით 10-10 მოძრაობა შეასრულეთ. გაიმეორეთ 3-ჯერ.

3. დანექით მარჯვენა გვერდზე, დაეყრდენით მარცხენა ხელის იდაყვს, მარჯვენა კი გაჭიმეთ. აიქნიეთ მარცხენა ფეხი ზემოთ 25-ჯერ. გადაბრუნდით მარცხენა გვერდზე და გაიმეორეთ. შემდეგ დაისვენეთ და თავიდან გაიმეორეთ ყველაფერი. ნუ



ეცდებით ვარჯიშების მთელი კომპლექსის ერთდროულად შესრულებას. დატვირთვა თანდათან გაზარდეთ. შესამჩნევი შედეგის მისაღებად, ეს ვარჯიშები 2-3 თვის განმავლობაში, ყოველდღე უნდა შეასრულოთ.

რასე ჭორაობენ მამაკაცები

ფსიქოლოგიური თუ სულიერი ტრავმები, სტრესული სიატუაციები გადაიტანეთ, რომლებმაც თავის დროზე თითქოსდა „შესამჩნევი“ გავლენა ვერ მოახდინა თქვენს ფსიქიკაზე. სინამდვილეში, თქვენ ვერ მოახერხეთ ტკივილის „გამოგლოვება“, ინფორმაციამ ცნობიერების უკანა პლანზე გადაინია, მაგრამ — მხოლოდ დროებით და ერთ-ერთ დილას, დეპრესიის სახით გამოვლინდა.

თუკი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ოთხი-ხუთი მინც აღგნიშნებათ, სწორედაც რომ დეპრესია გქონიათ.

როგორ გავთავისუფლდეთ მისგან

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგს დეპრესია საერთოდ არ ემართება, ზოგს კი ძალუძს, საკუთარი ძალებით გაუმკლავდეს მას (თუმცა, ფორმას გააჩნია) და გააგრძელოს ნორმალური ფუნქციონირება ოჯახსა თუ სამსახურში. მაგრამ თუკი იმდენად ხარტ შეპყრობილი ავადმყოფური განცდებით, რომ რეალობასთან კავშირს კარგავთ და ნორმალური ცხოვრებით ვეღარ ცხოვრობთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ფსიქოთერაპევტს ან ფსიქიატრს.

დეპრესიის მსუბუქ შეტევას კი შეგიძლიათ თავადაც გაართვათ თავი. ამ შემთხვევაში ხელი უნდა მოჰკიდოთ თქვენთვის საინტერესო საქმეს. რაც მთავარია, არ მისცეთ თავს მარტო დარჩენის საშუალება. მოინახულეთ საყვარელი ადამიანები — უმჯობესია, დრო მათ გარემოცვაში გაატაროთ, ვისთანაც მშვიდად იგრძნობთ თავს; ასევე, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე მზიან ამინდში; განაახლეთ გარდერობი და მასში ღია, ნათელი ფერები (განსაკუთრებით — ყვითელი) შეიტანეთ. შეცვალეთ სახლის ან თქვენი ოთახის ინტერიერის დიზაინი; იკვებეთ სწორად — მიირთვით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. ზოგი მეცნიერის აზრით, კოფეინის შემცველი პროდუქტები, მაგალითად, ყავა და შოკოლადი (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უძილობა არ განუხებთ), მსუბუქი დეპრესიული შეტევის უეზარი საშუალებებია. საერთოდ, დეპრესიის თავიდან ასაცილებლად, უნდა იცხოვროთ ცხოვრების ჯანსაღი წესით, მისდით სპორტს.

დაბოლოს, ძვირფასო ქალებო, ეცადეთ დაივიწყოთ ყველანაირი უსიამოვნება და აკეთოთ ის, რაც გულით გსურთ. გააცნობიერეთ თქვენი დადებითი მხარეები და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თქვენ ხომ ერთადერთი და განუმეორებელი ხართ ამ სამყაროში?! გააცნობიერეთ თქვენი უნიკალურობა და დაიწყეთ ახალი ცხოვრება ამ შეგრძნებით.

ფსიქოლოგებმა უკვე დიდი ხანია დაასკვნეს, რომ მამაკაცებიც ისეთივე ჭორიკანები არიან, როგორც ქალები. მეტიც — ზოგიერთ მამაკაცს ქალზე მეტად უყვარს ჭორაობა. „კაცური ჭორებიც“ ისეთივე დეტალებითა და თანამიმდევრობით გამოირჩევა, როგორც „ქალური“. მხარდაჭერისა და მეგობრული რჩევის მოლოდინში, ისინიც ჩვეულებრივ განიხილავენ წერილმან უსიამოვნებებსა და პრობლემებს. მხოლოდ ერთადერთი განსხვავებაა: ქალების საუბარში მეტი ემოცია იგრძნობა. ძლიერი სქესის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მათი საუბარი უფრო კონკრეტულია და ის მთლიანად მამაკაცურ ლოგიკაზეა აგებული.



რაც უფრო ინტელექტუალური და განათლებულია მამაკაცთა საზოგადოება, მით მეტად საინტერესო საუბარი იმართება მათ შორის. ამ ლაპარაკის მოსმენისას ყველანაირ ინფორმაციას მიიღებთ.

კაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალები ერთმანეთს გაცილებით ბოროტად ჭორავენ, ვიდრე თავად; რომ მათი ჭორაობა ხუმრობას უფრო ჰგავს, ვიდრე გესლით გაჯერებულ „ეპითეტებს“, ქალები კი თავიანთ მეგობარსა და ახლობელს უმეტესწილად „მწარედ კბენენ“... ეს რა თქმა უნდა, ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სუბიექტური აზრია. სინამდვილეში კი გააჩნია კონკრეტულ შემთხვევასა და პიროვნებას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, მამაკაცი მამაკაცის მიმართ გაცილებით ლო-

იალურია. ალბათ ამიტომაცაა, რომ მათი მეგობრობა გაცილებით მყარია. თანაც ჭორაობისას ისინი ქალებს უფრო იოლად „განირავენ“, ვიდრე ერთმანეთს. ქალები კი საპირისპირო სქესის მიმართ გაცილებით ყურადღებიანები, დამთმობნი და ერთგულნი არიან. თუ კაცი ქალს ძალიან არ გააბრაზებს, მასზე აუცილებლად დასცდება. ასე რომ, მამაკაცებს ვურჩევთ, სანამ ქალებს აქტიურად გაჭორავენ, სერიოზულად დაფიქრდნენ.

საერთოდ კი — ეს ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს — გაითვალისწინეთ: ენას ძვალი არა აქვს და სანამ ვინმეზე რაიმეს იტყოდეთ, კარგად დაფიქრდით! არაფერი წამოგცდეთ ისეთი, შემდგომში უკან დასახევი გზა თავადვე რომ მოიჭრათ.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია www.elva.ge წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|----------------------|-------------|-------|
| 1. რეტიინგი | 1.00 | 26.0 |
| 2. გზა | 0.80 | 20.8 |
| 3. წაიწიეეე აბიიიი | 11.65 | 69.7 |
| 4. წაიწიეია ცაიბიიუა | 7.00 | 41.8 |
| 5. წაიიბბა | 4.00 | 24.0 |
| 6. აბბა ბბბ წაიიუუი | 0.80 | 19.9 |
| 7. აბბიბბ | | |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრების გაერთიანების სააგენტო

ქ. თბილისი, ოსტაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kivrispalitra.com



დიდბორის საჭე ფრენის Xპარი

ზორა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-22

დევნა დიდხანს გაგრძელდა. ახლა მადლობელიც კი იყო მუროჩი დავით უფლისწულის, ასეთი ცხენი რომ დაუთმო. შესანიშნავ ბედაურზე იჯდა. თურქებს კი შორი გზა გამოეველოთ, დაღლილი ჰყავდათ ცხენები. რომ მოენდომებინა, მაშინვე შორს ჩამოიტოვებდა და უხიფათოდ გაეცლებოდა, მაგრამ შიშობდა, გაშმაგებული თურქები უკან არ მიბრუნებულიყვნენ და ის ჭალა არ გაეჩხრიკათ, სადაც უშიშა დატოვა, ამიტომაც თავს უკავებდა ცხენს — არც ძალიან წინ გადიოდა და არც უკან რჩებოდა. ცხვირწინ უტრიალებდა თურქებს. აღიზიანებდა, თანაც ისე, რომ იმედი არ გადასწუროდათ და უკან არ გაბრუნებულყვნენ. ამასობაში, საკმაოდ დრო გავიდა. უშიშა ივრის მეორე ნაპირზე უნდა ყოფილიყო გასული. მუროჩი უკვე ცხენის მიშვებას და თურქების შორს ჩამოტოვებას ფიქრობდა და ამ დროს...

ბარძაყზე შეხება იგრძნო. ცერად გახედა. ცხენის ფერდიდან გამოშვერილი ისარი მოჰყვა თვალში. ცოტათი ასცდნოდა, მაგრამ ჯობდა, მას მოხვედროდა და არა — ცხენს. ახლა ცხენზე იყო დამოკიდებული მისი და მასთან ერთად, უშიშას სიცოცხლეც.

ისარს წაეტანა მუროჩი. იქნებ, ღრმად არ იყოს ჩამჯდარი, მოვგლეჯ და ცხენს ჭენების საშუალებას მიეცემო, მაგრამ ველარ მოასწრო. მოქაჩა თუ არა ისარი, ცხენს მუხლები მოეკვეთა და მძიმედ დაასკდა მინას. იგრძნო მხედარმა, ბედაური რომ ეცემოდა და დროულად მოემზადა. კისერზე გადაეწოდა ცხენს და მოქ-

ნილად გაგორდა მინაზე. დაშავებით არა დაშავებია რა. მაშინვე ფეხზე ადგა. უმალ ჩაესმა თურქთა ყიყინაც, რომლებსაც არ გამოჰპარვიათ ცხენის ნაქცევა.

ავად გახედა მუროჩიმ ჭენებით მომავალ მხედრებს. მიხვდა, ველარ გაერიდებოდა. თავად აირჩია საჭენებლად ღია სერი, რათა კარგად დაენახა მდევარს და არ ჩამოშორებოდა. ამ ღია სერზე იდგა ახლა, უცხენოდ და საფრის გარეშე, მაგრამ ხომ ჰქონდა ფარი და ხმალი. ჯაჭვიც საიმედოდ უცავდა მკერდსა და მკლავებს და ვიდრე ბრძოლა შეეძლო, გამარჯვებას ვერ დაიტრახებდა მდევარი. მისი სიკვდილის შემ-

დეგაც არაფერი ექნებოდა სატრახბახო, რამეთუ რამდენიმეს მაინც ნაიმძღვარებდა წინ ფხოველი...

ფლოქვების თქარათქურით მოცვივდნენ თურქი მხედრები. თხუთმეტნი თუ ოცნი იყვნენ. უღალწვერიანი ახმახი მეთაურობდა. ახლაც მშვილდი ეჭირა ხელში. ჩანს, მან მიანვდინა ისარი ცხენს.

სამი თურქი დანინაურდა. ერთი ხმალამართული მოინევდა წინ. ორნიც — ოდნავ უკან, მარცხნიდან და მარჯვნიდან მოსდევდნენ.

ფარი იფარა მუროჩიმ. ხმალი მოზიდა და როგორც კი საჭირო მანძილი შენიშნა მასა და თურქს შორის, ავაზასავით ისკუპა და ხმალი გამეტებით შემოიქნია. ზუსტი აღმოჩნდა დარტყმა. მუხლს ზემოთ უწია ცხენს. თითქოს ჩალის ღერიაო, ისე გადაიმტვრა ფეხი. საცოდავად დაიჭიხვინა ცხენმა. ნაიჩოქა, წინ გადაისროლა მხედარი და თვითონაც მძიმედ დაასკდა მინას. გადავარდნისას თურქი უზარმაზარ ლოდს დაეხეთქა და იქვე დაასხა ტვინი. მხედარი ჯერაც ჰაერში იყო, როცა მუროჩიმ მეორე თურქს უქნია ხმალი. ფოლადი წვივზე მისწვდა მხედარს და უზანგინად წააჭრა. განწირული ხმით იკვილა დაჭრილმა და მონყვეტილი გადმოეშვა უნაგირიდან. ფეხნაჭრილს, მეორე ფეხი უზანგში ჩარჩა და მისი კვილით დამფრთხალმა ცხენმა თრევიტ გაიყოლა თან. მესამე თურქმა ხმლის მოქნევა მოასწრო. ფარით მოიგერია მუროჩიმ დარტყმა და თვითონაც შემოჰკრა. თურქის მარჯა და ხმალი ერთად დაცვივდა მინაზე. დაჭრილმა ფარი გააგდო და საღი ხელი ღრიალით იტაცა მარჯვენაზე. მუროჩიმ ხმალი უნაცვლა. გუდურასავით დაახ-

ეთქა მინაზე ფერდგაფატრული თურქი და ცხენზე შემოსახტომად აზიდა სხეული. ცოტაც და, უნაგირზე იქნებოდა და თურქის ცხენით გაეცლებოდა მდევარს, მაგრამ ისევე გაიშხულია ჰაერში თურქთა მეთაურის ისარმა...

მკერდში ძლიერი ტკივილი იგრძნო ფხოველმა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც გაატანა ისპაჰანურმა ქეიბურმა ფხოვურ ჯაჭვში. ველარ დაიმორჩილა დასუსტებულმა, გაფიცებულმა ცხენი. გაეშვა აღვირი. ცხენი თავის ქნევითა და ჭიხვინით გვერდზე გახტა. ცერად შემოუბრიალა თვალები, თითქოს უბრაზდებოდა პატრონის მოკვლისთვის. მასთან ერთად დაიკარგა თურქთაგან თავის დაღწევის ბოლო იმედიც. ჩანს, იქ მოუწევდა სიკვდილი...

მამის სიტყვები გაახსენდა, გზად უშიშასთვის თქმული:

— სიცოცხლე შენი არდოტს ეკუთვნის, სული — მალალ ღმერთს და შენი მხოლოდ სახელი და ვაჟკაცობა არის!..

ხმლით ხელში სიკვდილი, ვაჟკაცის შესაფერისი იყო და მუროჩიმაც ერთი ხელის მოქნევით ამოიგლიჯა ჭრილობიდან ისარი და გულმშვიდად მიუბრუნდა ზედ მომდგარ თურქებს.

ჭკუა ესწავლა მდევარს. ორმა და სამმა ველარ გაბედა მიახლოება. ჯგუფად ეტაკნენ. შუბები მოულერეს.

ორი შუბი ხმლით დალენა. მესამეს ხელით სწვდა. მოზიდა, თურქი შუბიანად დაითრია ცხენიდან და მინაზე დაანარცხა. ამ დროს, ზურგს უკან თურქთა მეთაური შენიშნა, რომელსაც ზეაღმართა უზარმაზარი გურზი (საბრძოლო კვერთხის ნაირსახეობა). გარიდება სცადა, სწრაფად რომ მიჰბრუნებოდა და ხმლით მოეგერიებინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო: თურქმა გურზი დაიქნია...

მზე თვალებში ჩასცქეროდა. ესე იგი, ისევე ზურგი ჰქონდა შექცეული მშობლიური არდოტისთვის. ეს იყო ბოლო, რაც იხილა და რაც გაიფიქრა. მერე თითქოს მყინვარწვერს მონყვეტილი ზვავი დაეცაო. საშინელმა ძალამ დაიტანა, მინას დასცა და მზერას წყვიდადი წააფარა...

უერთგულა ცხენმა. გადაიყვანა მდინარეზე. დროულიც იყო. საერთოდ გამოეღია ძალა ისრით დაკოდილს. ცოტაც და, ჩამოცურდებოდა უნაგირიდან, მაგრამ მანამ მაინც გაუძლო, ვიდრე ხშირ ჭალას არ შეაფარა ცხენმა. მერე საფარიც მოძებნა — გადაქცეული მუხის ძირში თვითონაც დაეტეოდა და ცხენიც უფიქრე ზედ არ წაადგებოდნენ, ვერ შენიშნავდნენ. თვითონ კი კარგად ხედავდა ივრის ორივე ნაპირს.

უშიშა ჩამოქვეითდა. ცხენი ღრმად

მად შეიყვანა ხის ძირში, თვალი რომ არ მოეკრა ვინმეს. თვითონ ბუჩქების ძირში ჩაჯდა და საპირისპირო ნაპირს მიაჩერდა. იქიდან უნდა გამოჩენილიყო მისი ძმა.

სისხლით გამთბარმა ზურგმა ისევ შეახსენა ჭრილობა. მდინარეზე გადმოსვლისას, მწვავე ტკივილს გრძნობდა. თვითონაც მოძრაობდა და იარაში ჩარჩენილ ისრის ნვერსაც ამოძრავებდა. ჭრიდა და ფლეთდა ხორცს ისპაჰანური ფოლადი. ისევ ჟონავდა სისხლი. დროზე რომ არ დაბრუნებულყო მუროჩი, სისხლისგან დაიცლებოდა. სიკვდილი არ აშინებდა, მაგრამ გული სწყდებოდა: მის გადასარჩენად მუროჩიმ მკერდი შეუშვირა თურქთა ქეიბურებსა და ხმლებს და როგორ არ უნდა დახვედროდა ცოცხალი?! როგორ უნდა გაეხადა ამო მის თავგანწირვა?!

ფლოქვების თქარათქური ჩაესმა. იმ ნაპირზე ისმოდა, რომელზეც თვითონაც იყო. მოიღრუბლა, — მდინარეზე გადმოსვლისას ხომ არ შემნიშნეს თურქებმაო?..

ხმალი მოიმარჯვა და ფრთხილად გახედა ნაპირს. ფერდობზე თურქები ეშვებოდნენ. ხუთი ათეული მაინც იქნებოდა. ყაყანით იშვერდნენ ხელს მეორე ნაპირისკენ. მიხვდა უშიშა, რომ ვერ შეემჩნიათ მდინარეზე გადმოსვლისას. მდევარმა რაზმმა დაიგვიანა და სარდალმა სხვა მეომრები გაგზავნა მათ მოსაძებნად. ჩანს, აშინებდათ კახთა ლაშქართან შესვედრა. ხაფანგს უფრთხოდნენ.

დამხმარე რაზმმა სწრაფად გადალახა იორი და ტყვეს შეერია. ბრაზი მოერია უშიშას. ვინ იცის, როგორ უჭირდა ახლა მუროჩის. ის კი

დამფრთხალი კურდღელივით ჩირგვეს აფარებდა თავს. იფიქრა: ნეტავ, ახლა არ დაბრუნდეს უკან მუროჩი; მან ხომ არაფერი იცის ამ თურქების შესახებ და შემთხვევით არ გადააწყდესო. მერე შლეგური აზრიც გაუჩნდა — ხომ არ აფხმაურდენ, თურქები აქეთ მოვიზიდო, ჩემი ძმისკენ რომ არ ნავიდნენო? — მაგრამ მალევე ამოიგლო თავიდან. ეს მუროჩის თავდადების წყლისთვის გატანება იქნებოდა. ასეთი იყო მათი პირობა: ორივეს თავის საკეთებელი უნდა ეკეთებინა. საიმისოდ, რომ არდოტს დაბრუნებულყვენ, ერთი ჩირგვეში უნდა მჯ-

დარიყო მფრთხალი კურდღელივით, მეორეს — თავის თავზე უნდა მიეღო დარტყმა და თურქები გაეცყუებინა. უშიშა კი სიცოცხლის ფასადაც ვერ გატეხდა ძმისთვის მიცემულ სიტყვას.

თურქები ისევ გამოჩნდნენ, ოღონდ ახლა მდინარის მეორე ნაპირას. უშიშას საფრის გასწვრივ გამოვიდნენ ტყიდან. ის რაზმი იყო, წელან რომ გადაკვეთა იორი. ტყვეს ჩხრევდნენ თურქები. იქაურობა მოათვალიერეს. მოპირდაპირე ნაპირსაც დააკვირდნენ და ნაპირზე განაგრძეს ჩხრევა.

გული შეეკუმშა უშიშას — ცხენის ფლოქვის კვალი თუ შენიშნეს, მიხვდებიან, აქეთ ნაპირზე რომ ვარ; მერე მდინარეს გადმოვლენ, ისევ კვალს გამოჰყვებიანო და...

— ჰაი, დედასა, როგორ მწვერებივით მიდგანან კვალში?! — კბილე-

ჰყავდათ თურქებს. რა უნდა ეფიქრა ამაზე?! ბრძოლის გარდა, სად უნდა დაეკარგათ მხედრები ცხენებს, მაგრამ ვინ იყვნენ მათი მხედრები?.. ერთი, უეჭველად თურქი იქნებოდა. მეორე?!

მზერა დაძაბა. მუროჩი ნაბლა და თეთრფეხება ცხენზე იჯდა. ასეთი კი არც ერთი არ იყო იმ უმხედრო ცხენებს შორის. ესე იგი, თურქები იყვნენ ისინი, ვისი ცხენებიც უმხედრებოდ ბრუნდებოდნენ უკან. შიში სისხარულმა შეცვალა. ვის უნდა ჩამოეყარა ის მხედრები ცხენებიდან, თუ არა მუროჩის?! ჩანს, ანვალა, გააშმაგა მდევარი. მერე თავადაც მოჰბებრდა კატათაგვობანას თამაში, მიუბრუნდა და სისხლითა და სიცოცხლით აზღვევინა თავქარიანობა.

თურქები ივრის ნაპირზე შეხვდნენ ერთმანეთს. მცირე ხანს ილაპარაკეს. მერე, პირველი რაზმის მხედრებმა წყალში შეიყვანეს ცხენები, მეორე კი უკან ტყისკენ გაბრუნდა. მიხვდა უშიშა — სისხლი სწყუროდით თურქებს. ისევ მუროჩის საძებნელად მოედვნენ ტყეს...

უეცრად, ნაცნობმა ხმამ მიიპყრო უშიშას ყურადღება. საომარი ყიჟინა იყო, სადღაც მის ზემოთ, ბექობზე ყიჟინებდნენ. თავად ვერ ხედავდა, მაგრამ დაიფიცებდა, რომ ფხოველთა ყიჟინა იყო.

— ჰვა მაგათ!.. — და ატყდა ხმლების ფღრიალი.


ვერ მოითმინა უშიშამ მალვა, როცა მის სიახლოვეს ბრძოლად გასული ფხოველები ეგულებოდა. მისი მშველელნიც იყვნენ ისინი და მუროჩისაც.

აღვირი მოზიდა. დაჰყვა ცხენი. მორ-

ჩილად მიუდგა გვერდში. ომისა და ბრძოლისთვის განვრთნილს, თავადაც მოჰბებრებოდა ბუჩქებში მალვა.

ამხედრდა უშიშა. დეზი ჰკრა ცხენს და ბექობზე მიუშვა.

მართალი ყოფილა, როცა თავისიანების ხილვას ელოდა. არაგველები და ფხოველები ამოიცინო ჯარში, რომელიც თურქებს შესეოდა. ელვასავით ბრწყინავდა მათი ხმლები. ხვნიშით ჩეხდნენ ისპაჰანელ მეომრებს. ქართული ხმლის ერთი გაეღვება, ერთი ჩალმიანი თავის გაგორების ტოლფასი იყო. ჭრილობაც კი მიავიწყა თანატომელთა ლალი ბრძ-



ბი გაახრჭიალა უშიშამ.

მაგრამ ვერაფერი შენიშნეს თურქებმა. ქვიანი იყო ივრის ნაპირი და ცხენსაც ვერ დაემჩნია ფლოქვის კვალი.

მცირე ხანს კიდევ იყაყანეს და ისევ უკან გაბრუნდნენ.

ვიდრე თურქები ფონს გავიდოდნენ, ტყიდან მეორე რაზმი გამოვიდა. ეს რაზმი ჩაუდგა კვალში თავიდან, მერე კი მუროჩის დაედევნა. შიში შეიგრძნო უშიშამ, როცა რაზმში ორი უმხედრო ცხენი შენიშნა. მუროჩის დადევნებისას ყველა ცხენზე იჯდა მხედარი, ახლა კი ორი, სადავით მო-

ოლის ხილვამ. თავადაც მოზიდა ხმალი და ცხენი გააფიცა.

შორს იყვნენ მეომრები. თორზე მოგდებული ტყავის ჯუბები მიანიშნებდა, რომ ფხოველები იყვნენ ისინი, სხვა არაფერი, მაგრამ მარტო არდოტელები ეგულებოდა ბარში მოლაშქრე.

ცხენმა სამი ნახტომით დაფარა მთელი მანძილი. გული გულობდა, მაგრამ იარამაც შეახსენა თავი. ახალი ძალით იხუვლა სისხლმა. ბეჭი გაუთბო.

ამასობაში შემტევა ჯარმაც შენიშნა. სამი მხედარი ხმალშემართული შემოუბრუნდა.

იცნო უშიშამ. არდოტელი მოლაშქრეები იყვნენ. მათაც იცნეს თანატომელი და ხევისთავის ვაჟი. ბერდიას გასძახეს, — ხევისთავო, შენი ვაჟი გამოჩნდაო!..

უმალ მოსხლიტა ცხენი ბერდიამ და შვილისკენ გამოქანდა.

ეს ბოლო იყო, რაც უშიშამ ნახა. იარამ საბოლოოდ დაასუსტა და ღონემიხილი დასცა მიწას.

სიკეთის სიკეთით გადახდა სწევოდა არაგვის ერისთავს. მარტო არ გაუშვა ვეჟინის ციხიდან არდოტის ხევისთავი. ასი ცხენკეთილი არაგველი აახლა, შვილების საძებნელად დაძრულს.

დილაუთენია გავიდნენ ციხიდან ფხოველები და არაგველები. ფრთხილად მიიწვედნენ წინ. მსტოვრებს უკვე დაეზვერათ ვეჟინის შემოგარენი. გიორგი მეფის იმერ-თურქული ლაშქარი არსად ჩანდა. ბანაჯის ადგილას შავად მოჩანდა კოცონის ნათების ადგილები. ტყის პირას ლაშქრისთვის დაკლული ცხვარ-ძროხის შიგნეული ეყარა, მაგრამ არ იცოდა ბერდიამ, მართლა უკან გაებრუნებინა ლაშქარი იმერთ მეფეს თუ რამე ფანდს ამზადებდა.

ვეჟინს მშვიდობით გასცდნენ და რუსთავისკენ განაგრძეს გზა. იქ ეგულებოდა ბერდიას თავისი შვილები. იმედი ჰქონდა, რომ ატ ტავილის გადარჩენილ მოლაშქრეებს მოძებნიდა ან დავით უფლისწულის ჯარიდან მოიხელთებდა ვინმეს და მათგან გაარკვევდა შვილების ასავალდასავალს.

ივრის ჭალას მიუყვებოდნენ, როცა საპირისპირო მხარიდან მომავალი მხედრები შენიშნეს. თავიდან, დავით უფლისწულის მოლაშქრენი ეგონათ, მაგრამ მოახლოებისას, პერეთელი აზნაურები ამოიცნეს მათში.

ბერდია დანინაურდა და მხედრებს შეეხმინა. მაშინვე შეაჩერეს ცხენები პერეთელებმა. გვერდზე გაბრუნება და მხრის აქცევა სცადეს, მაგრამ მალევე ამოიცნეს ფხოველები და

არაგველები და მათკენ გამოაჭენეს ცხენები.

მართალი ყოფილა ბერდია. პერეთელი იყვნენ მხედრები. რუსთავიდან ვეჟინს მიემართებოდნენ.

გაუკვირდა ხევისთავს. რუსთავის ციხესთან გააფთრებული ომი ეგულებოდა და რისთვის უნდა წამოსულიყვნენ პერეთელები ვეჟინს?

ხელი ჩაიქნია ერთმა აზნაურმა. დღეს-ხვალ დაეცემა რუსთავიო.

ერთი კედელი უკვე მოერღვია ციხისთვის დავით უფლისწულის ლაშქარს. ციხეში შესვლაც შეეძლო, მაგრამ უკუხიმო ლაშქარი. ახლა გალავანმორღვეულ ციხეში იჯდა ალი ბაჰადური და შიშით ელოდა უფლისწულის ჯარის შემოსევას.

— მერედა რატომ გამოიქეცი? ხმლის მოუქნევლად დათმეთ ციხე. ამით უერთგულეთ მეფე აღსართანს?! — პერეთელებს ჰკითხა ბერდიამ.

— გატეხილია ჯარი, — ციხის შემოწყობამდე შემოუთვალა დავით უფლისწულმა: ციხე უსისხლოდ დათმეთ და ყველას შეგიწყალბეთო! უარი შეუთვალა ალი ბაჰადურმა. გალავნის იმედი ჰქონდა, მაგრამ ატ ტავილის ჯარის დაღუპვამ დააშინა მისი ციხიონი. ხმაილლა ვერავის გაუბედავს, თორემ ყველა ჩურჩულეს:

— ალი ბაჰადურს არ გადავაყოლებთ თავს. ჩვენ თვითონ გავგზავნით შუამავალი დავით უფლისწულთან და თუ შეწყალბების პირობას მოგცემს, უომრად ჩავაბარებთ ციხესა და ციხისთავსაც!

— ვერ იომებს ასეთი ჯარი და ჩვენც რისთვის უნდა შეგვეკლა თავი?! აღსართან მეფის აზნაურებს მოსისხლეებად გვთვლიან ბაგრატიონნი და ციხეს როგორც აილებდა, თავებს დაგვაყრევინებდა დავით უფლისწული. რაღა უნდა გვექნა, მოქნეულ ხმალს, კისერს ხომ არ შევაგებებდით?! უჩუმრად დავტოვეთ რუსთავის ციხე და ჩვენს მეფესთან ვბრუნდებით, — უპასუხეს აზნაურებმა.

— ფხოველები ხომ არ გინახავთ რუსთავის ციხეში? — თავისი შვილების ამბავი ჰკითხა ბერდიამ.

— ვნახეთ, ორნი იყვნენ — ტყუპი ძმა. ატ ტავილს მოჰყვნენ ციხეში, მაგრამ ეგ ბრძოლაში იყო. ატ ტავილის ჯარის განადგურების მერე, ციხეს შემოეხიზნა ორასიოდ გადარჩენილი თურქი. მათ შორის, ის ფხოველები აღარ გვინახავს, — თქვეს პერეთელებმა. მერე კი თავად ჰკითხეს:

— ვინ იყვნენ შენი ის მეომრები, ხევისთავო?..

— შვილები, — უპასუხა ბერდიამ. თავი გაიქნის პერეთელებმა:

— დროზე თუ არ გაეცალნენ ატ ტავილს, ცოცხლები აღარ იქნებიან. რუსთავის ციხეს შემოხიზნულმა

თურქებმა გვიამბეს იმ ბრძოლის ამბავი. მშვიერი ავაზებივით იბრძოდნენ თურმე, დავით უფლისწულის მოლაშქრეები. არავის ინდობდნენ. ვისთვისაც ხმალი ვერ მიუწვდენიათ, ჭაობში ჩაუხრჩვიათ. ტყუილად ნუ წახვალ, ხევისთავო, რუსთავს. ვერც შვილებსაც იპოვი და თავსაც დაკარგავ. ციხის გარშემო დავითის ლაშქარი დგას. თუ წაგანყდნენ, სისხლდაუდენლად არ მოგეშვებიან. ატ ტავილს ხუთი ათასი რჩეული მეომარი ჰყავდა, მაინც ვერაფერი გააწყო დავითის ჯართან და შენი ორიოდ ასეული მოლაშქრით რაღა გაქვს საომარი?!

არ შეისმინა ბერდიამ. წინასწარ იცოდა, რომ დავით უფლისწულის სპასთან მოუწევდა შეხვედრა და არც ეშინოდა ამისი. იქვე დაემშვიდობა პერეთელ აზნაურებს და შეწყვეტილი გზა განაგრძო.

პატარძელთან მიახლოებისას, ფხოველებმა კვამლის სვეტებს მოჰკრეს თვალი. მალე ალში გახვეული სოფელიც გამოჩნდა. ვეჟინის ციხიდან წამოსული თურქები შესეოდნენ. ვინც იარაღით ხელში შეებრძოლა, მოეკლათ. გზის პირას ეყარნენ ხმლით აჩეხილი კახები. ქალები და ბავშვები დაეტყვევებინათ, ცხვარ-ძროხა გვეტაცათ და ივრის ნაპირს მიუყვებოდნენ. არც ისე შორს იყო ნაძარცვით დამძიმებული თურქული ჯარი. თვალი მიადევნა ბერდიამ. ათასი ან ცოტა მეტნი იქნებოდნენ. გიორგი მეფის დამხმარე, თურქული ჯარის მცირე ნაწილი იყო. ძირითად ჯარს ჩამოაჩენენ, სოფელი ააოხრეს და ახლა ისევ წინ მიიწვედნენ.

სერს გაარიდა თავისი ჯარი ბერდიამ, თურქებს რომ არ შეენიშნათ და ივრის ნაპირის გაყოლებით დაედევნა მარბიელს. თურქების სისხლი არ სწყუროდა, თანაც ბევრნი იყვნენ ისინი. გაუჭირდებოდათ მის ფხოველებსა და არაგველებს ათასეულის დაძლევა, მაგრამ ტყვეები სჭირდებოდა არდოტის ხევისთავს. არ სჯეროდა შვილების სიკვდილის. გრძობდა, ცოცხალი იყო ორივე. იქნებ დაეტყვევებინათ დავით უფლისწულის მეომრებს და მათ თურქ ტყვეებში გაცვლაზე ფიქრობდა ბერდია...

ვერ შენიშნეს თურქებმა მდევარი. ისევ ტაბით აგრძელებდნენ გზას. ივრის ნაპირით, გზა უფრო მოკლდებოდა, მაგრამ გაუჭირდებოდა ათასეულს ხშირ ჭალაში სვლა, თანაც ნაძარცვიც ამძიმებდა. ცხვარ-ძროხას მიერეკებოდნენ, ტყვე ქალებსა და ბავშვებს და დატვირთულ ურმებს.

თურქებს მალე წამოეწივნენ. როცა გაუსწორდნენ, ივრის ჭალას გაეცალნენ და ბექობზე აიჭრნენ. შენიშნა მარბიელმა ჭალიდან გამომავალი

მხედრობა. დაიბნენ თურქები. უმაღ-
ამოიცნეს მხედრებში შმაგად მჩხე-
ავი ფხოველნი. საომრად მზადებაც
დაიწყეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.
თურქებს აღარ ენერათ ერთად შეკრე-
ბა და მტრისთვის საერთო ძალით
შეტევა. მგლის ხროვასავით წაესივნენ
ფხოველები და არაგველები, ცხვარ-
ძროხასა და ურმებს შორის გახირ-
ულ თურქებს. ოთხჯერ, ხუთჯერ მეტი
იყვნენ თურქნი, მაგრამ მაინც ვერ
შეაჩერეს მოიერიშენი. მძაფრი იყო
მათი შემოტევა. პირველსავე
დაკვრაზე, ასამდე თურქი დასცეს მი-
ნაზე. თანატომელთა დალუპვით
დაზაფრულებმა, გაქცევით სცადეს
თავის გადარჩენა და ჭალას მოედ-
ვნენ. ფხოველები და არაგველები
ყიჟინით მიჰყვნენ

უკან. გაფრთხილებუ-
ლი ჰყავდა ბერდიას
თავისი მეომრები —
არ დაენდოთ თურქ-
ნი, შეუბრალებლად
ეჩხათ და მარტო
მათი მეთაურები
აეყვანათ ტყვედ.

ამ დროს, ბექობზე
ეულად მომავალი
მხედარი გამოჩნდა.
უშიშა ამოიცნო იმ
მხედარში ბერდიამ,
თავისი ვაჟი, რომ-
ლის გამოც ფხოვე-
ლები და არაგველე-
ბი დაუნდობლად
ჩხედნენ თურქებს.

უშიშა ტკივილმა
მოიყვანა გონზე. მძ-
იმედ აზიდა თვალე-
ბი და მიმოიხედა.
დაბურულ ტყეში
ინვა. ირგვლივ ფხ-
ოველები შემომდ-
გარიყვნენ. გვერდზე
მკურნალი დახრილ-

იყო, მკლავები დაეკაპინებინა და მისი
ჭრილობიდან ისრის წვერის ამოლე-
ბას ლამობდა. მეორე მხარეს
მოღუშული იდგა მისი მამა, ბერ-
დია.

ბრძოლა, რომელსაც უშიშა
შეესწრო, უკვე დამთავრებულიყო.
თურქთა ნანილი ფხოველთა და
არაგველთა ხმლებს შეენირა, ნან-
ილმა ზურგი აქცია მდევარს, ჭენებით
გადალახა მდინარე და უღრან ტყე-
ში მიიმალა. ყველამ ვერ შეძლო ნას-
ვლა. ოცი თუ ოცდახუთი თურქი
ხელფეხგაკრული ეგდო ხის ძირში.

— მუროჩი... სად არის მუროჩი?..
ჯერაც არ გამოჩენილა? — პირველ
რიგში ძმა მოიკითხა უშიშამ.

— სად იყო მუროჩი? — ჩაეძია
ხევისთავი.

უშიშამ მოკლედ უამბო, რაც მოხ-
და რუსთავის ციხესთან. როგორ
გაიყოლა ატ ტავილმა ბრძოლაში;
როგორ ჩარჩნენ ჭაობში; როგორ
გაათავისუფლა უფლისწულმა; რო-
გორ გადააწყდნენ თურქებს და
როგორ გაიტყუა მტერი მუროჩიმ.

— და მერე აღარ გამოჩენილა.
კელასებრ წრიალებდნენ თურქნი.
გაედევნენ, უკან მობრუნდნენ, ისევ
გატრიალდნენ... ორი უმხედრო ცხენ-
იც ვნახე. ვკონებ, მუროჩის უნდა
აეჩხა მათი მხედრები. თავად კი
აღარ გამოჩნდა, — თხრობა დაამ-
თავრა უშიშამ.

მეტი აღარაფერი უკითხავს ბერ-
დიას. მკურნალს დაჭრილის მოვლა
უბრძანა, ფხოველები აიყოლია და

ვიან თურქები და უომიათ. სხვა ცხენ-
იც ეგდო იქ. მუხლში მოეჩხათ ფეხი.
მუროჩის მეტი ვინ იზამდა მაგას.
ჩანს, თურქებიც აუჩხავს. სისხლის
ტბორები იდგა ბექობზე. მკვდრები
ვერ ვნახეთ. თან წაასვენებდნენ
თურქები და მერე დაფლავდნენ. არც
მუროჩი ჩანს სადმე. ცოცხალი რომ
ყოფილიყო, აქამდე გამოჩნდებოდა...
აღარ ღირს ლოდინი... — ბოლმით
ჩაამთავრა ბერდიამ და ფხოველებს
შეუძახა: — მოემზადეთ, არაგვეს
ვბრუნდებით!

— არა!.. არ იქნების მასე. ცოცხ-
ალია მუროჩი! — შეენინაალმდეგა
უშიშა.

— რა იცი? — შემოხედა ბერ-
დიამ.

— ტყუპისცალია
ჩემი და ვის ეცოდ-
ინება ჩემზე უკეთ,
ცოცხალია თუ —
არა?! დაჭრილია...
ცუდად გრძობს
თავს, მაგრამ ვიცი,
რომ ცოცხალია! —
თქვა უშიშამ.

— არ მინდოდა,
მეთქვა. ვიცი, გული
გაგიტყუებოდა... ეს
ნახე, — თქვა ბერ-
დიამ და ჩაბალახი
გაუნოდა.

მაშინვე ეცნო
უშიშას ქორისფერი
ჩაბალახი. მისი ძმი-
სა იყო. ცალი მხარე
ჩაჭეჭილი ჰქონდა.
ჯაჭვიც ჩაგლეჯილი
იყო და თანაც სისხ-
ლით იყო მოსვრილი.
ხმალი ან გურზი
ექნებოდა დანაკრავი.
მართალი უნდა ყო-
ფილიყო ბერდია.
ცოცხალი აღარ
უნდა ყოფილიყო ამ



თავადაც ცხენს მოახტა.

გვიან ღამემდე ელოდა უშიშა ფხ-
ოველთა დაბრუნებას. იმედი ჰქონ-
და, მოძებნის მამა მუროჩისო, მა-
გრამ ამაოდ.

დაღვრემილი დაბრუნდა ბერდია
დაჭრილ შვილთან. ცხენიდან ჩამოხ-
და, სადავე მიაგდო და იქვე დაჯდა.

გულდასმით გაეჩხრიკათ ჭალა ფხ-
ოველებს. მერე თურქთა ცხენების
კვალს მიჰყოლოდნენ. გზად არავინ
შეხვედრიათ. უკვე შორს წასულიყვნენ
ბრძოლას გარიდებული თურქები.

— როგორი ცხენი ჰყავდა მურო-
ჩის? — იკითხა ბერდიამ.

— ნაბლა იყო, თეთრფეხება, —
უპასუხა უშიშამ.

— მდინარის გაღმა, ბექობზე გდია
ეგ ცხენი. ისრით მოუკლავთ. დასნე-

ჩაბალახის პატრონი.

წამოინია უშიშამ. ივრის გაღმა
ჭალას გახედა — მხარეს, საითკენაც
გააჭენა ცხენი მისმა ტყუპისცალმა.
მისი დალუპვის დასტური, კიდე-
შელენილი ჩაბალახი ხელში ეჭირა.
მამაც ასე ფიქრობდა და ირგვლივ
მდუმარედ ჩამომდგარი ფხოველებიც,
მაგრამ არ სჯეროდა, მაინც არ
სჯეროდა. სიტყვა ჰქონდა ნათქვამი
მუროჩის. პირობა მისცა, რომ უეჭვე-
ლად მობრუნდებოდა უკან. მას კი
არ სჩვეოდა სიტყვის გატეხა. და თუ
თქვა, დაბრუნდებოდა, მაგრამ რო-
დის?..

ხვალ... ზეგ... ერთი, ათი თუ ოცი
წლის მერე?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უპიქრესი ეპიპრანსტები

„ოქროს ციებ-ცხელება“ და ჩართული ბუქის შაქიბუქი

წერილი მისამი.
წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №22

მანანა ბაბრიქიძე

რუსუდან დაუზვილი, ისტორიკოსი, პროფესორი:

— ამერიკის კონტინენტზე ოქროს მოპოვება-დამუშავება პირველად კანადაში, კვებეკში 1823 წელს დაიწყო. 1848 წელს — კალიფორნიაში, 1858 წელს — კოლორადოში და 1859 წელს — ნევადაში ოქროს აღმოჩენას ნამდვილი „ოქროს ციებ-ცხელება“ მოჰყვა. ბუქის მაძიებლები ამერიკისავე მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაიძრნენ. XIX საუკუნის 70-იან წლებში „ციებ-ცხელება“ ჩაცხრა, მაგრამ 1890 წელს, კლონდაიკსა და ალასკაზე ოქროს აღმოჩენას ახალი აფეთქება მოჰყვა. ახლა იუკონისკენ დაიძრნენ ოქროს მაძიებელთა ქარავნები. გივი კობახიძის ცნობით, მათ შორის, ქართველებიც ყოფილან. ბევრი შეინირა ამ ლითონმა, ბევრს მოეცარა ხელი, ბევრი იმედგაცრუებული დაბრუნდა სამშობლოში ან საერთოდ ვეღარ დაბრუნდა. წარმატებას მხოლოდ ერთთულებმა მიაღწიეს. მათ შორის იყო დიმიტრი მეტრეველიც.

რაჭის სოფელ უწერაში დაბადებულ პატარა დიმიტრის, ამერიკისა და კანადის ამბები თანასოფლელებისაგან ხშირად ესმოდა. თვითონაც შეხვედრია იქიდან დაბრუნებულ მეზობლებსა და ნათესავებს, რომლებიც იმ შორეული ქვეყნების საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ, ამონაგები ფულით კი ცხოვრებას იწყებდნენ. 1913 წელს, ერთ დიდ ჯგუფს ამერიკაში 18 წლის

დიმიტრიც გაჰყვა, სადაც მას მრავლად დახვდნენ ქართველები, რომელთა ნაწილი ახალ მინაზე დამკვიდრებულიყო, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისე დასავლეთში — ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში, ლოს-ანჯელესში, დენვერში, აგრეთვე, მოსაზღვრე კანადის ქალაქებში: ტორონტოში, ოტავაში, ვანკუვერში, ედმონტონში და ა.შ. რაჭველები ძირითადად, სიეტლსა და ვანკუვერში იყვნენ დაჯგუფებული, საიდანაც ვიქტორიაში, საკრამენტოში, ტაკომა და სან-ფრანცისკოში მიდიოდნენ, იქიდან კი კანადაშიც გადადიოდნენ, რადგან, ამერიკასა და კანადას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა. ბევრი, სეზონური სამუშაოსთვის ჩადიოდა ამერიკაში, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა ამერიკასა და კანადაში, რომლებსაც ერთ გეოგრაფიულ ერთეულად მიიჩნევენ და ჩრდილო ამერიკას უწოდებდნენ.

— პირველად სად ჩავიდა მეტრეველი?

— დიმიტრი მეტრეველი ჯერ სიეტლში ჩავიდა, შემდეგ — ვანკუვერში. რიგ ქალაქებში მოგზაურობის შემდეგ, საცხოვრებლად, კვებეკის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქი — ვალდორი აირჩია. დაოჯახდა. ცოლად ლიტვური წარმოშობის ქალი შეირთო. მათ სამი შვილი: ორი ვაჟი — ავგუსტ მიტო, ნესტორი და ერთი ქალიშვილი — ემილია შეეძინათ. ბევრი ხელობა მოსინჯა მანამ (ერთხანს ჭიდაობდა კიდევ), სანამ „ოქროს ციებ-ცხელება“ შეეყარა. ოქროს მაძიებლობა დიდ ენერგიას, ნებისყოფასა და გამჭრიახობას მოითხოვდა, რაც დიმიტრის ნამდვილად აღმოაჩნდა. მან მალე მიაკვლია ოქროს და ჯერ ერთი, შემდეგ კი — რამდენიმე მალარო აამუშავა. მუშებთან ერთად, მის გარშემო ნელ-ნელა სხვა ხალხმაც დაიწყო დასახლება. დაბას, რომელიც ამ დასახლების წყალობით შეიქმნა, ხალხმა მეტრეველი უწოდა.

მიტო, როგორც იგი შემოკლებით უწოდებდა თავს, კანადური მალაროებით არ დაკმაყოფილდა და ბედი ალასკაზეც სცადა, სადაც მის მა-



ლაროებს „მიტოს ანომალიები“ უწოდეს. მალაროების წყალობით, მალე გამდიდრდა, მაგრამ სიმდიდრეს მისი კეთილშობილი ბუნება არ შეუცვლია — უშურველად ეხმარებოდა არა მარტო ამერიკაში მცხოვრებ თანამემამულეებს (რისი წყალობითაც, ბევრი ფეხზე დადგა და საკუთარი ბიზნესი წამოიწყო), არამედ ამერიკელებს, ბალტიისპირელებს, უკრაინელებსა და სხვებს. დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ ოჯახსა და ნათესავებს, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლა აუხდენელ ოცნებად დარჩა.

1929-33 წლების კრიზისმა მიტოსაც დიდი დარტყმა მიაყენა. დაბა მეტრეველი და „ანომალიები“ დაცარიელდა, მაგრამ მან მაინც შეძლო დაცემული წარმოების ისე გამართვა, რომ შეძლებულ კაცად დარჩენილიყო. 1945 წელს, დიმიტრიმ და მისმა ამერიკელმა პარტნიორმა — სალერნომ მათ მიერ ტორონტოში აღმოჩენილი, ალმასის დამამუშავებელი, სალმოტას საწარმო აამუშავეს. მაიკ მიტოსა და მისი ოჯახის შესახებ კანადური გაზეთები ხშირად წერდნენ და ოქროს მრეწველობის საქმეში მის დამსახურებას აღნიშნავდნენ. მიუხედავად ამისა, „დიდი დეპრესიის“ შემდეგ, მიტო მილიონერთა სიაში აღარ ირიცხებოდა.

დიმიტრი მეტრეველი 1970 წელს გარდაიცვალა და მისი საქმე უფროსმა ვაჟმა, ავგუსტ მიტომ (შემოკლებით — აგი) გააგრძელა. ის გახდა კომპანიის — Augimitto Explorations Limited — დამფუძნებელი და — Cache d'or Resources Inc-ის პრეზიდენტი. კანადის ხელისუფლებაც დიდად აფასებდა და ხელს უწყობდა მისი ბიზნესის განვითარებას. კვებეკთან კი ისევ არსებობს მეტრეველი — დიმიტრი მეტრეველის სახელობის ქალაქი...



დიმიტრი მეტრეველი და მოკრივე ლუისი

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მინიერი ტკივილებითა და განსაცდელებით იყო საფხე გზა, რომელიც მამა იოაკიმემ (შენგელაიამ) ღვთის სასუფევლისკენ სწრაფვისას განვლო. არცაა გასაკვირი — მას ხომ XX საუკუნეში, იმ ეპოქაში მოღვაწეობა ზედა, როდესაც არა თუ სასულიერო პირად შედგომა, არამედ უფლის სახელის სსენება და ტაძარში შესვლაც კი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაფენებას ნიშნავდა...

მორენა მერკვილაძე

— მამა იოაკიმე 1882 წელს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში დაიბადა. ჯერ კიდევ ყრობის ასაკში შეიმეცნა ღვთის არსებობა. ღვთის რწმენითა და უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული 12 წლის ყრმა სახლიდან ჩუმად გაიპარა და ცაიშის საკათედრო ტაძარს მიადგა. ტაძარში მისულ იოაკიმეს მსცოვანი დეკანოზი — მიხეილ მეუნარგია მიეგება. თურმე, კარგა ხანს ესაუბრა მამა მიხეილი პატარა იოაკიმეს და მისი გონიერებით, სიდინჯით მოიხიბლა. ტაძარში დარჩენის ნებაც დართო.

თავგამოდებით შეუდგა იოაკიმე სულიერ ცხოვრებას. მცირე ხნის შემდეგ ზეპირად იცოდა „სახარება“, „სამოციქულო“, ფსალმუნები... მშობლები 3 წლის მანძილზე ეძებდნენ შინიდან უჩუმრად წასულ შვილს და ბოლოს, მიაკვლიეს. მე ღვთისკენ სავალი გზა ავირჩიე, ჩემი გადამწყვეტილება უწყევია და შინ არ გამოგყვებიო, — მტკიცედ განუცხადა თურმე იოაკიმემ მამას. სხვა რაღა დარჩენოდა დამწუხრებულ მშობელს? — უსიტყვოდ დაჰყვა შვილის ნებას.

ცაიშის ტაძარში ხშირად მიბრძანდებოდა ხობის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სიმონი (აფაქიძე). მამა სიმონს შემწეველი არ დარჩენია იოაკიმეს საღმრთო

ყრმობის ასაკიდან დაწყებული ღვთისკენ სავალი გზა

მოშურნეობა და ის ხობის მონასტერში ნაუყვანია. იქ ყოფნისას, იოაკიმე ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ბერს, სქიმილუმენ ბენედიქტე ბარკალაიას შეხვდა. მისგან მრავალი რამ შეიტყო, ათონის მთაზე მდებარე ქართველთა სავანეებისა და იქ მოღვაწე ქართველი ბერების შესახებ. მას შემდეგ სურვილი გაუჩნდა, ათონზე გამგზავრებულიყო და იქვე დამკვიდრებულიყო.

ღვთის შეწვევით, რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველოდან გამგზავრება მართლაც მოახერხა. უპირველესად იერუსალიმის წმინდა მინას მიაშურა. იქაური სინინდევები მოილოცა, შემდეგ კი ათონისკენ გამგზავრა და იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანეში დამკვიდრა, სადაც იმუამად, ორმოცამდე ქართველი ბერი მოღვაწეობდა. ყრმობიდანვე გარჯასა და ღვთისათნო ცხოვრებას შეჩვეულ იოაკიმეს ათონზე დამკვიდრებულ მონასტრულ ცხოვრებასთან შეგუება არ გასჭირვებია. დაუღალავად იღვწოდა — შრომობდა, ლოცულობდა, მკაცრად ინახავდა მარხვას და სხვა ქრისტიანული სათნოებებითაც იმკობდა სულს. ბერძნული ენაც შეისწავლა. იმ პერიოდში, იოანე ღვთისმეტყველის სავანეში მოღვაწე ქართველ ბერებს უთანხმოება ჰქონდათ ახლომდებარე ივერთა მონასტრის ბერძენ ბერებთან. მათ ათონზე ქართველთა მომრავლება აფრთხოდა. შიშობდნენ, რომ თავიანთ სავანეში ქართველების მიღებაც მოუხდებოდათ და ყველაწიარად ცდილობდნენ, რომ ჩვენბური ბერები ათონიდან გაეძევებინათ — ავიწროებდნენ, წყლით და ტყით სარგებლობის უფლებას არ აძლევდნენ, ახალგაზრდა ქართველებს კი ბერად აღკვეცაში უშლიდნენ ხელს. ცხადია, არც იოაკიმე ყოფილა გამონაკლისი. ბერობის მსურველი ახალგაზრდა საქართველოში ჩამოვიდა, სამშობლოში აღიკვეცა ბერად და კვლავ ათონის მთაზე დაბრუნდა. სურდა, სიცოცხლის ბოლომდე იქ ეღვაწა. სამწუხაროდ, მალე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა: ბერძენმა ბერებმა, მონასტრიდან წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სავანეში მოღვაწე ბერების გაძევება მოახერხეს. მათგან ზოგი წმინდა მინაზე არსებულ მონასტრებში მიმოიფანტა, ნაწილი კი საქართველოში დაბრუნდა, მათ შორის — მამა იოაკიმეც...


სამშობლოში მძიმე ვითარება დახვდა მამა იოაკიმეს: ქვეყნის სათავეში მყოფი ბოლშევიკების გამო, სხვა სასულიერო პირთა მსგავსად,

ილორის ტაძრის მთავარი სიწმინდეები — წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზთა ჰელური საცხები

რამდენიმე წლის მანძილზე ისიც ფარულად მოღვაწეობდა, შემდეგ ფუწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში დამკვიდრდა. რამდენიმე წელი კი სოფელ წარჩეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი გახლდათ. მიუხედავად არსებული ვითარებისა, დევნისა და შევიწროებისა, მრევლის შემოკრება მინც მოახერხა. ღვთის მადლით შემოსილი მამა სულიერ ხაზრდოს აწვდიდა სოფელის მცხოვრებთ. ხალხმაც უსაზღვროდ შეიყვარა მოძღვარი...

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შედარებით მშვიდი ხანა დაუდგა საქართველოს ეკლესიას: შემცირდა სასულიერო პირთა დევნა, ტაძრებიც ამოქმედდა. მამა იოაკიმე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაადგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე). ილორის ტაძარი მთელი დასავლეთ საქართველოს სათაყვანებელი ადგილი გახლდათ და მომლოცველთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა. შეწირულობაც საკმაოდ ბევრი გროვდებოდა. მორწმუნეთაგან შეწირული თანხის წყალობით, მამა იოაკიმე თითქმის მთელი საქართველოს მონასტრების დახმარებას ახერხებდა.

ვიდრე არქიმანდრიტი იოაკიმეს შესახებ განვაგრძობთ თხრობას, ილორის ტაძრის მთავარი სინინდევების — წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზთა ჭედურ ხატებზეც მოგახსენებთ. არქიმანდრიტი რაფაელის გადმოცემით: ეს ხატები სამეგრელოს მთავარს, ლევან დადიანს შეუწირავს ტაძრისთვის. ხატები სასწაულომქმედებით გამოირჩეოდა. წმინდა გიორგის ხატის თაყვანსაცემად, მლოცველები მთელი საქართველოდან ჩადიოდნენ. წმინდა გიორგის ხატთან დადებული ფიცი წმინდა და შეუვალი იყო. ხალხში არსებობდა გადმოცემა, რომ ილორის წმინდა გიორგის წინაშე დადებული ფიცის



გატეხა მკაცრად ისევბოდა. ფიცის გამტეხს შურისძიება არ ასცდებოდა. იყო შემთხვევები, როცა უბედურება დასტყდომია ან ამოწყვეტილა კიდეც მთელი გვარი, რომლის წინაპარს ტყუილზე დაუფიცია ან გაუტეხია ილორის ეკლესიაში დადებული ფიცი. სასწაულომოქმედი ხატის ძალით, მრავალნი იკურნებოდნენ, განსაკუთრებით — სულიერი სნეულებებისგან.

დევის პერიოდში ტაძარი დაიხურა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სასწაულომოქმედი ხატები უჩუმრად გაიტანეს ტაძრიდან და უღმერთო ხელისუფლების ხელით განადგურებისგან იხსნეს. როდესაც უწმინდესი კალისტრატეს ძალისხმევით, ილორის ეკლესია კვლავ ამოქმედდა, მის წინამძღვრად კი მამა იოაკიმე დაინიშნა, ხატები ტაძარში დააბრუნეს...

მამა იოაკიმე მათხოვის დედათა მონასტრზეც ზრუნავდა, ხოლო მონასტრის ილუმინის, დავითის გარდაცვალების შემდეგ, სავანის პატრონობა და წინამძღვრობაც იტვირთა — იქ მოღვაწე დედათა დასს არა მხოლოდ სულიერად მზრუნველობდა, არამედ მატერიალურადაც შეწყოდა. არქიმანდრიტი ფარულად მოღვაწე ბერებსაც მფარველობდა.

იოაკიმე მკაცრი სულიერი ღვაწლით გამოირჩეოდა. მედავითნე კალისტრატე პაპია იგონებდა, რომ მას მუდამ ხელთ ჰქონდა „ლოცვანი“, როგორც კი თავისუფალი წუთი ჩაუვარდებოდა, ეკლესიის ეზოში იქნებოდა თუ ტაძარში, ლოცვას მიეცემოდა. მარხვით, თავმდაბლობით, ღვთისა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით ჰქონდა სული შემკული. ფიზიკურადაც შრომობდა, ტაძრის გასამშვენიებლად.

მამა იოაკიმე 1954 წლამდე წინამძღვრობდა ილორის წმინდა გიორგის ტაძარს. იმ წელიწადს ფილტვების ანთება შეეყარა. სნეულება გაურთულდა, სიკვდილის პირას იყო მისული. ამ დროს, თურმე, ილორის ეკლესიის მრევლის წევრი სიკვდილს ებრძოდა. მომაკვდავს ნათესავისთვის უთხოვია, — ილორის ტაძრიდან მღვდელი მომიყვანე, საზიარებლადო. ტაძარში მისულ კაცს მხოლოდ სნეული მამა იოაკიმე დახვედრია, მეორე მღვდელი სხვაგან იყო წასული. როდესაც ბერმა ტაძარში მისვლის მიზეზი შეიტყო, მაშინვე წამომდგარა, საკურთხეველში შესულა, წმინდა ძღვენი გამოუტანია და უთქვამს: ნავიდეთ, მზად ვარ, აღვასრულო ჩემი ვალიო. უთხოვიათ, არ წასულიყო, მეორე მღვდელმსახურის ჩამოსვლამდე დავიცადოთო. მამა იოაკიმეს კი უთქვამს: სიკვდილი არ ელის ადამიანს, ადამიანი ელის სიკვდილს; თუ ავადმყოფი უზიარებლად გარდაიცვლება, მისი ცოდვა ჩემს კისერზე იქნებაო, — და გზას გასდგომია.

სამინელი ამინდი იყო, თურმე. გადაუღებელ წვიმას მდინარე აუღიდებია და მასზე გადასასვლელი ხიდი წაუღია. ვერც ამ დაბრკოლებამ შეაჩერა — მამა იოაკიმე ფონი მოძებნა და მდინარე გადალახა. სველმა განაგრძო გზა, აზიარა ავადმყოფი, ტაძარში დაბრუნდა, საწანილე სამკვეთლოზე დადო და ლოგინში ჩაწვა. მას შემდეგ აღარც ამდგარა. რამდენიმე დღეში მშვიდობით შეკვედრა სული უფალს.

ფცხოეთის ცის ქვეშ

წარიღი მარვა

წინამორბედი წერილები იხ. „გზა“, №16-22

ლაზიკი

ვახუშტის საისტორიო ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ კვითხულობთ: „ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთას იქით არს ჭანეთი, და ან უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავის ზღვის კიდის ნაღვენებით, გონიილამ ტრაპიზონის სამზღვრამდე“.

ძველი კოლხეთის ბინადარი ორი მონათესავე ტომიდან ჭან-ლაზებს მთელი ჭოროხის ხეობა ეჭირათ ტრაპიზონამდე, მახლარ-მეგრელებს (ეგრი-სელებს) კი რიონის ხეობა.

ანტიკური ეპოქის მოაზროვნე აგათია სქოლასტიკოსი ასე ახასიათებს ლაზებს: „იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას (ე.ი. ლაზებს. — ავტ.), როგორც ბარაქა სიმდიდრით, ისე ქვეშევრდომთა მრავალრიცხოვნობით, როგორც ვრცელი მიწებითა და უხვი მოსავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით...“

ლაზიკის სატახტო ქალაქი, არქეოპოლი-სი (დღევანდელი ნოქალაქევი სენაკის რაიონში) ყოფილა, ხოლო ლაზთა ციხეებს შორის, ისტორიულ წყაროებში, უპირველესად ქალაქ პეტრას (პეტრას ციხე, დღევანდელი ციხისძირი) იხსენიებენ.

დიდი ზიანი მიაყენა ლაზიკას სპარსეთსა და ბიზანტიას შორის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ, რასაც რელიგიური პირველობისათვის ბრძოლაც დაერთო.

337 წელს იბერიამი ქრისტიანობა გავრცელდა, რაც ბიზანტიის არა მარტო რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ გამარჯვებასაც მოასწავებდა იბერიასა და ლაზიკაშიც.

VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ლაზეთმა

ლაზი მწყემსი (ილუსტრაცია რობენ ფედნის წიგნიდან „არგონავტების ნაკალებე“) —



ტერიტორიული მთლიანობა დაკარგა, ორ ნაწილად გაიყო: სამხრეთ-დასავლეთით მოექცნენ დასავლეთის ქართული მოდგმის ტომები — ჭან-ლაზები, ჩრდილო-დასავლეთით — ჩრდილოეთის ქართული მოდგმის ტომები — მეგრელები... ლაზეთის უდიდესი ნაწილი, ტრაპიზონის ჩათვლით, ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა.

XIII საუკუნის დასაწყისშივე, თამარ მეფემ გაათავისუფლა ლაზეთი, ცალკე — ტრაპიზონის სამეფო შექმნა და მეფედ თავისი ახლო ნათესავი, საქართველოში გაზრდილი ბერძენი — უფლისწული ალექსი კომნენოსი დასვა.

შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელია გაბატონებული მდგომარეობისთვის ბრძოლა ლაზებსა და ბიზანტიელთა მომხრე ჯგუფებს შორის. ასე გაგრძელდა 1453 წლამდე, ვიდრე საქართველოს



ლაზი ხელოსნების მიერ აგებული სახლი (ბაღდათის რაიონის სოფელი ხანი).

დაუძინებელი მტრები — ოსმალები კონსტანტინოპოლს აიღებდნენ და ბიზანტიის საეკლესიო ოსმალთა ბატონობას დაამყარებდნენ. ტრაპიზონის სამეფომ 257 წელი იარსება. სწორედ 1461 წელს, მას დიდი ჯარით მიაღება ძლიერი სულთანი მუჰამედ II. უკანასკნელმა მთავარმა დავითმა ვერ გაბედა ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერთან შებრძოლება და უომრად ჩააბარა ტრაპიზონი. „სანაცვლოდ“, სულთანმა დავითი და მისი რვა შვილი ჩამოახრჩობინა...

ამრიგად, ლაზეთი XV საუკუნიდან ოსმალთა მფლობელობაში მოექცა...

1964 წელს, თბილისში დაისტამბა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ლაზეთი“, რომელიც ლაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მთლიანობაში გაშუქების პირველ ცდას და პროფესორ სერგეი მაკალათას აზრით, ქართულ საისტორიო მწერლობაში წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ნარკვევში მოცემულია საკმაოდ მდიდარი მასალა ლაზეთისა და თვით ლაზეთის შესახებ.

ნარკვევის ავტორებს, სარფელ ლაზებს — ვანილიშა და თანდილაშას XVIII საუკუნის მინურულის ლაზეთისა და ლაზეთის დასახსნათებლად მოჰყავთ 2 ნაშრომი: ოსმან-ბეის, რომელმაც ლაზეთში 1864 წელს იმოგზაურა („ლაზისტანი“), ინგლისელი კონსულის — ჯიფორდ პალგრევის („ანგარი-ში ლაზისტანის ნაპირის შესახებ“, 1872 წ.) და საზოგადო მოღვაწის — ყაზბეგის ანგარიში — „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ (1876 წ.), რომელიც ლაზეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამხედრო-სტრატეგიული დავალებით მოგზაურობის შედეგებს ასახავს.

ლაზეთმა თავისი სახელწოდება მიიღო ლაზებისაგან, რომლებიც ქართველთა წარმომობისანი არიან. ლაზეთი ეწოდება შავი ზღვის სანაპიროს ნაწილს, რომლის საზღვრებია: ჩრდილოეთით — შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით — მდინარე ჭოროხი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით — მდინარე სამანსუ. ტერიტორია 7000 კვკმ ფართობს იკავებს. მხარის მთავარი ქალაქია ტრაპიზონი (წიგნში მითითებულია, რომ ლაზეთად მას ეწოდება ტრაპიტრა, ძველად ქართველები კი ხალდეს უწოდებდნენ). ლაზეთს აქვთ თავიანთი ენა (განსაკუთრებული დიალექტი), რომელიც ქართულის მონათესავეა.

ლაზეთი შრომისმოყვარე ხალხია, სოფლის მეურნეობას მისდევნენ, ძირითადად, მოჰყავთ: სიმინდი, ხორბალი, ქერი, თხილი, თამბაქო და ა.შ. ასევე, მისდევნენ მეფუტკრეობას — ლაზისტანი ძველთაგანვე თავლის ქვეყანა ყოფილა და სანთლისაგან არაყიც გამოუხდიათ, რაც გურულებსაც გადაუღიათ; კარგი გემთმშენებლებიც არიან (კვი, ვახუშტიც შენიშნავდა: „კაცი არიან ხელოვანი ხის მუშაობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“. — ავტ.). ოსმალეთის ფლოტში მებრძოლურთა სამ მეოთხედს ლაზეთი შეადგენენ. აგრეთვე დახელოვნებული არიან სპილენძისა და თიბრის ჭურჭლის კეთებაში...



„ჩემი ჭყონიები“, „ახაჩეურებისეი გამოფენა“ და 70-ს მიტანებური ბაეშეები

როდესაც ისეთ ადამიანზე აპირებ სტატიის დაწერას, როგორც ჩემი დღევანდელი რესპონდენტი, ეს ერთგვარი რისკიცაა, რადგან შიშობ, უნებლიეთ არ გაგეპაროს რაიმე ყალბი პათეტიკა, რის გამოც, ნათქვამი შესაძლოა, ოდნავ მაინც ხელოვნური მოეჩვენოს მკითხველს. ლაპარაკია სამხატვრო აკადემიის პროფესორზე, არაჩვეულებრივ მოქანდაკეზე, რამდენიმე წიგნის ავტორზე, ყველა ჭეშმარიტი თბილისელის უანგარო მეგობარსა და იშვიათ ადამიანზე — თემო ჭყონიაზე.

მშობა გობნიაშვილი

პირადად ჩემთვის, ჩემი ყურნალისტობის მანძილზე, მასთან მეგობრობა, ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში შესასვლელი, ყველაზე „გავლენიანი საშუა“ გახლდათ: მისი გვარ-სახელის ხსენება, ჯადოსნური სიტყვების — „სეზამ, გაიღე!“ — მსგავსად, უპრობლემოდ ალებდა ცხრაკლიტურის კარსაც და არც მახსოვს, მისი თხოვნის შემდეგ, ყველაზე ჭირვეულ რესპონდენტსაც კი ინტერვიუზე უარი ეთქვას...

უკვე ვიცი, „წარმომობით ზემელელი“, მაგრამ მკვიდრი საბურთალოელი, ჩემს დაწერილ მაინც გურულად გაუკეთებს კომენტარს და რადგან ძალიან თავმდაბალია, გამიციხავს: რად გინდოდა, ამხელა „მოსხენება“ რომ წაგვიკითხე?! არა, „გვინდოდა“!..

ახალ თაობას შევასხენებ, რომ თბილისს მისი არაერთი ქანდაკება და მემორიალი ამშვენებს. მარტო პირველი ქართველი მფრინავის — ქებურიას ან „სამაიას“ ქანდაკებებ-

ის გახსენება რად ღირს! ისინი ლამის თბილისის საეგიპტო ბარათებად იქცა. რაც შეეხება მის მიერ შექმნილ „პორტრეტებს“, — ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა. ბატონი თემური დიდი ხელოვნის, იაკობ ნიკოლაძის აღზრდილია და სწორედ მისმა ამაგმა აალებინა ხელში კალამი და დაანერინა წიგნი-მიძღვნა, სახელწოდებით: „იაკობი როდენის ქუჩიდან“.

მისი შემოქმედება — მისსავე მეგობრების პორტრეტული ქანდაკებებია, ყველასათვის საყვარელი თბილისელების თავისებური „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

მოგახსენეთ, რომ „წარმომობით ზემელელი“ ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეიყვარა ის მიდამოები, რომელსაც დღეს საბურთალო ჰქვია, თორემ: „მაშინ სად იყო საბურთალო?! ერთადერთი შენობა იდგა — სამედიცინო ინსტიტუტის; „შატალოზე“ რომ ვიპარებოდით, აქ გამოვრბოდით ხოლმე, ბურთის სათამაშოდ. ირგვლივ სულ ყანები იყო და იმ ყანებით ლისის ტბაზე ავდიოდით“...



აბესალომ ლორიასა და გურამ ლორთქიფანიძესთან ერთად

წელან, ბატონი თემოს სამეგობრო ვახსენე. ვის არ ნახავთ აქ?! — ნიაზ დიასამიძეს, დოდო აბაშიძეს, ქართლოს კასრაძეს, მერაბ დონაძეს, რამაზ ჭიაურელს, აბესალომ ლორიას, გივი ბერიკაშვილს, კარლო საკანდელიძეს, ზურაბ ანჯაფარიძეს, ნოდარ დუმბაძეს... ეს სია შეიძლება, უსასრულოდ გაგრძელდეს. არცთუ ისე დიდი ხნის წინ მას საკუთარი, ახალი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი მიუტანეს. წიგნს კი ასე უწოდა: „ჩემი ქანდაკებების მიღმა“. დამერწმუნეთ, მისი ნაკითხვით ძალზე ისიამოვნებთ.

— გადავწყვიტე, ასე მოვქცეულიყავი: მომეთავსებინა ჯერ ჩემი ნამუშევარი, გვერდით კი — იმის ფოტო, ვინც გამოვაქანდაკე. თან, ამბებს ვიხსენებ. მაგალითად, აბესალომ ლორიას რომ „ვამუშავებდი“, შემჭამა, — როდის დაამთავრებო? როცა პორტრეტზე მუშაობა დავამთავრე, დავურეკე და ვუთხარი: — აბეს, ქანდაკებას მოვრჩი; ახლა წადი და საფლავი ეძებ-მეთქი... გამიბრაზდა, აღარ მელაპარაკებოდა. ამ წიგნზე მუშაობა რომ დავასრულე, გადავწყვიტე, მასში ჩემი ადრინდელი მოგონებები, ახლანდელ დროში დანერგილი შემეტანა, თორემ ნეკროლოგების წიგნს ემსგავსებოდა. თან, აგულისა („არაჩვეულებრივი გამოფენიდან“. — ავტ.) არ იყოს, რომ ვათვალისწინებდი, მეც ვამბობდი: „ცხვირი ჰგავს? — ჰგავს! შუბლი ჰგავს? — ჰგავს! ესე იგი — ჰგავს!“

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თემურ ჭყონიას არც ერთი ქანდაკება არ გაუკეთებია შეკვეთით! ...მქონდა ბედნიერება, მისი კლას-

სელების შეხვედრას დავსწრებოდი და მათზე მომეზადებინა წერილი — „შეხვედრა 50 წლის შემდეგ“. გარწმუნებთ, რომ იქიდან გამოყო-

გახლდათ; შედაგოგები კი — ნუ იკითხავთ: ვარო ვარდიაშვილი, ვასო აბდუშელიშვილი... ისე, სწორედ ეს უკანასკნელი გახდა ჩემი პირველი ნატურა: მისი თავი ცარცისაგან გამოვთალე. გაგიჟდა ყველა, ისე ჰგავდა. თვითონ ვასომ რომ ნახა, ჩემზე თქვა: ამით მაინც შეჭამს პურს, ეგ უბედურიო.

სხვათა შორის, ბატონი თემოს კლასმა თბილისს 17 პროფესორი, 4 აკადემიკოსი აღუზარდა და ერთი... ქართლოს კასრაძე!

რაც შეეხება მის გურულობას, — ამით იმდენად ამაყობს, რომ წიგნიც კი გამოუშვა — „ჩემი ჭყონიები“, სადაც ლამის გენეალოგიური გამოკვლევა ჩაატარა და გაიხსენა ყველა ის ჭყონია, ვისაც ქვეყნისათვის ოდესმე უღვანია და უშრომია.

ისევე, როგორც ამ წიგნზე მუშაობისას, მას მთელი ცხოვრება ერთგულად უდგას გვერდით მეთულე, ქალბატონი პეპელა — სამხატვრო აკადემიის დოცენტი. მათი სიყვარულის ამბავი კი წლების წინ, პიონერთა ბანაკში დაიწყო და დღემდე

ბატონი თემოს კლასმა თბილისს 17 პროფესორი, 4 აკადემიკოსი აღუზარდა და ერთი... ქართლოს კასრაძე!

ლილი განცდა დიდხანს გამყვება. პირველად, იქ დავიჯერე, რომ ადამიანი არ ბერდება, იგი მხოლოდ გარეგნულ მეთამორფოზას განიცდის და მხოლოდ მისი ფიზიკური გარდასახვა ხდება. ჩემ წინ, 70 წლის, გულწრფელი, მხიარული და ბედნიერი ბავშვები იყვნენ! შეხვედრიდანვე შევიტყვე ბატონი თემოს, როგორც მოქანდაკის, „პირველი ალიარების ამბავი“:

— სკოლაში საოცარი შედაგოგები მყავდა. სკოლის (ყოფილი მე-18 სრული — ასე ერქვა; ახლანდელი 51-ე საშუალო სკოლა) დირექტორი თბილისში განთქმული, კოლორიტიული პიროვნება — პარმენ ქაჯაია

გრძელდება... ქალიშვილი და შვილიშვილი — გოგონები ჰყავს, რაზეც თავად ასე ხუმრობს: „ეს იმიტომ, რომ „სამაია“ გამოვაქანდაკე. აბა, „ხორუმი“ გამეკეთებინა?! მერე ალბათ, სულ ბიჭები მეყოლებოდა!“

მოკლედ, არ ვიცი, პროფესიონალურ ენაზე რომ ვთქვათ, რამდენად კარგად „გამოვაქანდაკე“ ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო და ახლობელი „პერსონაჟი“, მაგრამ თუკი მის პორტრეტს რაიმე დავაკელი, პატივებს ისევე ვის ვთხოვ.

ერთი კი ვიცი — ქალაქურად რომ ვთქვათ, „სიბზანდი“ აქ, ღმერთი-რჯუ-ლი, არაფერი ყოფილა!..

მართი ჭიტიხვა

— როგორ უნდა მოიქცას ძალი ან მამაკაცი, რომ ის საყვარელს ადამიანს არ მიატოვოს?

თათია გიორგობიანი:

— არც ქალი და არც მამაკაცი არ მიატოვებს საყვარელ ადამიანს, თუ ის დარწმუნებული იქნება მის ერთგულებასა და გულახდილობაში. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტყუილზე აგებულ ურთიერთობას მომავალი არა აქვს.





წელს კანის ფესტივალი რიგით სამოცდამეერთედ მასპინძლობდა მსოფლიო დონის ვარსკვლავებს, რეჟისორებს, სცენარისტებსა და პროდიუსერებს. ამ კინოდათვალიერებაზე მონაწილე კინობაზრობაზე, სხვადასხვა ქვეყნის პავილიონთან ერთად, პირველად ჩვენს ისტორიაში, ქართული კინოს 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ჩვენი პავილიონიც იყო გახსნილი. იქ მისულ სტუმრებს სთავაზობდნენ ქართული კინოპროექტების კატალოგსა და საქართველოს ღირსშესანიშნაობების ამსახველ ბროშურებს. ფესტივალის მონაწილეებს შორის, ორი ქართველი პროდიუსერი — თინათინ ყაჯრიშვილი და თამარ სულამანიძე იმყოფებოდა.

ქართველები უკანში და ძველი დიდების დაბრუნების პერსპექტივა

თორნიკე ყაჯრიშვილი

თინათინ ყაჯრიშვილი:

— საფრანგეთის საელჩომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „სინემა ფონდ სიუდემი“ (საფრანგეთში არსებული ფონდი) არჩევდა პროექტებს კანის ფესტივალისთვის, პროდიუსერთა ქსელში მონაწილეობის მისაღებად. სულ მსოფლიო მასშტაბით, 50 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საბოლოოდ, 7 პროექტი შეირჩა, მათ შორის მოხვდით ჩვენიც, პროექტით — „სამუშაო სათაური ანუ ერთი ბანკის ისტორია“. მიგვიწვიეს პროდიუსერთა შეხვედრებზე, სადაც თავს იყრიან თითქმის ყველა ქვეყნიდან მონაწილე პროდიუსერები. 4 დღის განმავლობაში საშუალება გვქონდა, თითქმის ყველა ჩვენს კოლეგას შეხვედროდით. გამოიკვეთა, თუ რა შეიძლება შევთავაზოთ ამ ადამიანებს, რა აინტერესებთ ჩვენი ქვეყნიდან, საერთოდ, რა ტენდენციებია მსოფლიოს კინოინდუსტრიაში.

— საქართველოს შესახებ ინფორმაცია თუ ჰქონდათ უცხოელ პროდიუსერებს?

— საკმაოდ. ძალიან კარგად იცნობენ ჩვენს კინოს... ჩვენი საუბარი ინყებოდა თუ არა, იმ რეჟისორებს გვიხსენებდნენ, ვინც სამწუხაროდ, საზღვარგარეთ მოღვაწეობენ. ესენი არიან: ოთარ იოსელიანი, მამა-შვილი ბაბლუაშვილები, ნანა ჯორჯაძე, გია დანელია. უცხოელ კინოპროდიუსერებს ასსოვთ ის ძველი, კარგი ქართული კინო, რომელიც მათთვის ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა კინო. როდესაც ვუკონკრეტებდით, რომ ამ ფილმებს ქართველი რეჟისორები ქმნიდნენ, ხვდებოდნენ, თუ საიდან ვიყავით და ვინ ვიყავით... მინდა ვთქვა, რომ ჩვენი კინოს ისტორია კვლავაც ჩვენს სავიზიტო ბარათად რჩება და დღესაც, სწორედ ამით შეგვიძლია მოვიზიდოთ

პარტნიორები, რადგან დიდი მიღწევები გვქონდა ამ სფეროში. ქართული კინო განსაკუთრებული ფენომენია და ჩვენი ვალდებულებაა, შევინარჩუნოთ მისთვის დამახასიათებელი ეს თეტიკა და თვისებები.

— თქვენი ვარაუდით, ამ ფესტივალში მონაწილეობა ქართულ კინოს რა სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს?

— კარგია, რომ შესაძლებლობა გვქონდა, ადამიანები, ვინც ჩვენით და საქართველოთი დაინტერესდნენ მიგვეყვანა ქართულ პავილიონში და უფრო მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა ქართული კინოსა და ბუნების შესახებ. იქვე შეეძლოთ გაესინჯათ ქართული ღვინო. ჩვენს პავილიონშიც გაიმართა წვეულება, რომელიც ქართული კინოს 100 წლის იუბილეს მიეძღვნა და ჩვენი ქვეყნით დაინტერესებულმა ყველა ადამიანმა მოიყარა თავი. მეორე დღეს გაიმართა შეხვედრა პრესისთვის. აღსანიშნავია, რომ წელს ვანო ბურდულის მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „გრაფიტი“ იყო ნაჩვენები პროგრამის — „კრიტიკის კვირეული“ — ფარგლებში. ჩვენი ზრუნვის საგანი იყო, გვეპოვა პარტნიორები ჩვენი პროექტებისთვის, ამასთანავე — ჩვენი ქვეყნის ბუნება წარმოგვეჩინა. საქმე ის გახლავთ, რომ პროდიუსერები გამუდმებით ეძებენ კინოგადაღებისთვის შესაფერის ადგილებს, ლამაზი, მიმზიდველი პეიზაჟით; ამასთან, უნდა დავაზუსტო, რომ

ეს ჩვეულებრივი ბიზნესის საკითხს წარმოადგენს — მათ კინოწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობები აინტერესებთ. ჩვენი ქვეყანა კი, შეიძლება ითქვას, ბუნებით, მთელი მსოფლიოს მინიოდელს წარმოადგენს — საქართველოში თოვლიანი მწვერვალებიცაა, ზღვაც, ტყეც, უდაბნოც, ურბანული პეიზაჟიც და ამავედროულად, ცივილიზაციისგან მოწყვეტილი სოფლები. რამდენიმე ფრანგი პროდიუსერი, რომლებსაც გადანყვებილი ჰქონდათ, უკრაინასა და მოლდავეთში ფილმების გადაღება, იმდენად მოიხიბლნენ ჩვენი ქვეყნით, რომ დაფიქრდნენ — საქართველოში ხომ არ გადავიღოთ ეს სურათებიო. ერთ-ერთ მათგანს, სვანეთში, კონკრეტულად კი სვანურ




თინათინ ყაჯრიშვილი და თამარ სულამანიძე

საუბარი იწყებოდა თუ არა, იმ რეჟისორებს გვიხსენებდნენ, ვინც სამწუხაროდ, საზღვარგარეთ მოღვაწეობენ

კოშკში გადაღება შევთავაზეთ: ის ფანტასტიკურ-ისტორიული ფილმის შექმნას აპირებს. ასევე საქართველოსკენ გადაიხარა პროდიუსერი, რომელიც ბულგარეთში გეგმავდა გადაღებას. ამგვარად, შეგვიძლია მოვიზიდოთ ევროპელები, ოღონდ საჭიროა, დავახვედროთ

FM 103.9



მსოფლიო კარავანი

და პრეზენტაციის სახელი

FM 103.9

მატდინ სუტსკი მთმ მატლის შესახებ თილმის გადაღმატე უას ამმთმს



BBC News-ის ცნობით, მუსიკოს ბობ მარლის შესახებ ჩაფიქრებული დოკუმენტური ფილმის რეჟისორის სავარძელს, მარტინ სკორსეზეს ნაცვლად, ცნობილი სურათის — „კრავთა დუმილი“ ავტორი, ჯონათან დემე დაიკავებს. Tuff Gong Pictures და Shangri-La Entertainment-ის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სკორსეზემ პროექტი მოუცლელობის გამო დატოვა. ფილმი, რომლის დასახლება ჯერჯერობით უცნობია, ეკრანებზე 2010 წლის 6 თებერვალს გამოვა. ამ დღეს ლეგენ-

დარულ მუსიკოსს 65 წელი შეუსრულდებოდა. როგორც ცნობილია, ბობ მარლი 1981 წლის მაისში, 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერი ბობ მარლის ვაჟი, ზიგი მარლი იქნება. ცოტა ხნის წინ, მარტინ სკორსეზემ ჯგუფის — Rolling Stones შესახებ დოკუმენტური სურათის გადაღება დაასრულა და 2008 წლის 7 თებერვალს, ბერლინის 58-ე კინოფესტივალი სწორედ ამ ფილმით გაიხსნა. ამჟამად რეჟისორი აშშ-ის 26-ე პრეზიდენტის, თეოდორ რუზველტისა და ჯგუფ THE BEATLES-ს შესახებ დოკუმენტური სურათების შექმნაზე მუშაობს.

ჯატე კლუნის ტული კლავთაჟისტალია



ერთწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ, მსახიობი და რეჟისორი ჯორჯ კლუნი სარა ლარსონს დაშორდა. კლუნიმ ლარსონი 4 წლის წინ, რესტორანში გაიცნო, სადაც გოგონა ოფიციალურად მუშაობდა, მაგრამ მათ შორის რომანი მხოლოდ 2007 წლის ივნისიდან გაჩაღდა. კლუნის პირადი ცხოვრების შესახებ მისი პრესმდივანი კომენტარს არ აკეთებს. როგორც ცნობილია, ჯორჯ კლუნი მარტოხელაა. მისი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ქორწინება მსახიობ ტალია ბალზამთან 1993 წელს, დაქორწინებიდან 4 წლის შემდეგ, განქორწინებით დასრულდა.


ასალი „მთილის“ სცენარს „ტუნის კაცი“ ავტორები შექმნიან

1986 წელს, კომპანია Summit Entertainment-მა საკულტო ფანტასტიკური ფილმის — „მთიელი“ — რემეიკის გადაღების უფლება შეისყიდა. პროექტის სცენარს სურათის — „ტუნის კაცი“ სცენარის თანავტორები: არტ მარკამი და მეტ ჰოლოუეი შექმნიან. რასეულ მალევე ფანტასტიკურ სურათ „მთიელში“ მთავარი როლები კრისტოფერ ლამბერტმა და შონ კონერიმ განასახიერეს. ფილმი იმ უკვდავი მეომრების ორთაბრძოლის შესახებ მოგვითხრობს, რომელთა მოკვლის ერთადერთი გზა — თავის მოკვდაა...

როგორც Summit Entertainment-ის პროდიუსერები ამბობენ, ახალი „მთიელი“ უბრალო რემეიკი არ იქნება. სიუჟეტი უამრავი ისტორიული ჩანართის გამო, ახალი ფილმი 1986 წელს გადაღებული სურათის პრიველი უფროა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მთავარი გმირისა და მისი ოცნების ქალბატონის ურთიერთობას ეძღვნება. მკითხველს შეეახსენებთ, რომ უკვე გადაღებულია ფილმ „მთიელის“ ოთხი გაგრძელება და ტელესერიალი.



„ტერმინატორი“ ტბოლდმა



„ტერმინატორის“ მეოთხე ნაწილის — Terminator Salvation: The Future Begins — პროდიუსერთა განცხადებით, ახალ „ტერმინატორში“ ჯონ კონორის როლის შემსრულებელმა ბრიტანელმა მსახიობმა, კრისტოიან ბეილმა ახალი ტრილოგიის ყველა ფილმში მონაწილეობის შესახებ კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. მსახიობი კრისტოიან ბეილის იცნობს ფილმებით: „ამერიკელი ფსიქოპათი“, „პრესტიჟი“, „ბეტმენი. დასაწყისი“ და „ეკვილიბრიუმი“.

სტუდიების — Warner Bros. და Halcyon Pictures ახალ ბოვეიკში მო-

ქმედება მომავალში ვითარდება. ტერმინატორის როლს სავარაუდოდ, ჯონ ბროლინი ითამაშებს, რომელიც მსახიობებმა ქმეტი კონენების სურათში — „აქ მოხუცებისთვის ადგილი არ არის“ (2007 წ.) იხილა. პროექტში აგრეთვე მონაწილეობენ: სემ უორტინგტონი, ანტონ ელჩინი, მუნ ბლადეუდი და რეპერი COM-MON. სურათს რეჟისორი ჯოზეფ მაკგინტი გადაიღებს (რეჟისორი ფილმისა „ჩარლის ანგელოზები“), სცენარი — ჯონ ბრანკატოსა და მაიკლ ფერისის ეკუთვნის, დისტრიბუციას კი Warner Bros. და Sony განახორციელებენ.

ახალი მბრძოელი მიჯიკლში



ჩინელი მხატვრის, ან პუმიანის მიერ შესრულებული ბრიუს ლის პორტრეტი

და მოღვაწეობას საზოგადოება 2010 წელს გაეცნობა. აღსანიშნავია, რომ მისთვის მიძღვნილი მიუზიკლის ლიბრეტოს საფუძვლად დაედო პოლიტიკოსის ქალიშვილის, ზინძის მოგონებები.

ბრიუს ლისადმი მიძღვნილ სპექტაკლში, რეჟისორი ბარტლეტ შერი უხვად გამოიყენებს თანამედროვე ქორეოგრაფიის, საბრძოლო ხელოვნებისა და ჩინური ოპერის ელემენტებს.

უილ სმიტმა შვილემს სულა „უყიდა“

ჰოლივუდის ვარსკვლავმა უილ სმიტმა შვილების საკადრისი სასწავლებელი ვერსად ნახა და ამიტომაც, ღირსეული სკოლა თავადვე შექმნა. ამ მიზნით, მან კალიფორნიის ქალაქ კალაბაზასში, საკუთარ სახლთან ახლოს მდებარე საშუალო სკოლის — Indian Hills High School — შენობა 889.000 დოლარად იქირავა და სახელიც შეუცვალა (New Villige Academy დაარქვა).

„უილი სკოლას 3 წლით იქირავებს და ყველა ხარჯს საკუთარ თავზე აიღებს. შენობაში საბავშვო ბაღი და საშუალო სკოლა განთავსდება“, — ამბობს სმიტის პრესმდივანი.

მსახიობი 3 შვილის მამაა: უფროსი ვაჟი, 16 წლის უილარდი — პირველ ცოლთან, შირი ძამპინოსთან, 10 წლის ჯეიდენი და 8 წლის უილოუ კი მეორე ცოლთან, ჯადი პინკეტთან შეეძინა. სანამ უილი სკოლის შენობას დაიქირავებდა, უმცროსი ბავშვები სახლში სწავლობდნენ. „ეს საქმე 6 წლის წინ დავინწყეთ. კიდევ 5-6 მშობელი მოეძებნეთ, რომელთა შვილებიც სახლში სწავლობდნენ და გავერთიანდით“, — ამბობენ უილი და ჯადი.



ქრწნალ Forbes-ის ახალი სააუცხმბილო ბიციწგი

ჟურნალმა — Forbes — ყველაზე „ქალური“ და „მამაკაცური“ ავტომობილების სია შეადგინა. რეიტინგის მიხედვით, პირველ ადგილზე Maybach-ის მარკის ავტომობილი აღმოჩნდა (ფოტოზე), რომელიც მამაკაცებს შორის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა; მშვენიერი სქესის წარმომადგენლები კი Honda Fit (Honda jazz) ანიჭებდნენ უპირატესობას. რეიტინგში აღნიშნული ყველაზე „მამაკაცური“ ავტომობილები — Maybach 57, 62, Mercedes-Benz GL და Lamborghini Gallardo — იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მამაკაცები ძვირად ღირებული და დიდი ზომის მანქანებს ანიჭებენ უპირატესობას. მაგალითად, 500.000 დოლარად ღირებული გერმანული სუპერკარის — Maybach — მყიდველთა 95% სწორედ მამაკაცია.

ლუქსის კლასის ყველგანმავალთა შორის, საუკეთესო ავტომობილად Forbes-მა Mercedes-Benz GL დაასახელა, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს — ამ ავტომობილის მფლობელთა 91% მამაკაცია. რეიტინგის მესამე ადგილი Lamborghini Gallardo-მ დაიკავა. ამ ძვირად

ღირებული სუპერკარის მყიდველთა 90%-ს მამაკაცები შეადგენენ. ყველაზე „მამაკაცურ“ ავტომობილთა ათეულში აღმოჩნდა: Rolls-Royce Phantom, Ferrari F430 და Aston Martin DBS. საგულისხმოა, რომ რეიტინგის თანახმად, ყველაზე ხელმისაწვდომი ავტომობილი 150.000 დოლარად ღირებული Mercedes-Benz G-Class აღმოჩნდა.

სუსტი სქესის მშვენიერი წარმომადგენლები, მამაკაცებისგან განსხვავებით, მეტად რაციონალური აღმოჩნდნენ. ავტომობილის შერჩევისას ქალები ისეთი ფაქტორებით ხელმძღვანელობენ, როგორიცაა დაბალი ფასი, მოხერხებულობა და მოხდენილობა! აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ყველაზე „ქალურ“

ავტომობილთა რეიტინგის სათავეში Honda Fit აღმოჩნდა. როდესაც გზაზე მიმავალ Honda Fit-ს დაინახავთ, შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ ამ მოხდენილი ავტომობილის საქმეს ქალი უზის. ამერიკული ჟურნალის — U.S. News & World Report ექსპერტებმა ფასის, ხარისხისა და ტექნიკური მახასიათებლების განაალიზების შედეგად, ამ ავტომობილის „2008 წლის საუკეთესო ავტომობილის“ ტიტული მიანიჭეს.

Forbes-ის რეიტინგში მეორე ადგილზე ელეგანტური ავტომობილი — Kia Spectra აღმოჩნდა, რომლის მფლობელთა 66,4% ქალია. ამერიკელ მძღოლ ქალბატონთა შორის განსაკუთრებული პოპულარობა კიდევ ერთმა კორეულმა ავტომობილმა — Hyindai Elantra მოიპოვა. Hyindai Elantra-ს მფლობელთა 64,2%-ს ქალები შეადგენენ. ოდნავ მცირე აღმოჩნდა Toyota Yaris-ის თავგანისმცემელთა რიცხვი, რომლის მრავა, 2008 წლის საერთაშორისო კონკურსზე, „1 ლიტრამდე მოცულობის ძრავებს“ შორის საუკეთესოდ აღიარეს.



მსედარითმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰელენი სუხოლაჟი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-22

1945 წლის 9 ნოემბერს გაზეთმა „პრავდა“ გამოაქვეყნა ლონდონიდან მიღებული კორესპონდენცია, თემათა პალატაში მამინ უკვე ოპოზიციის ლიდერის, უინსტონ ჩერჩილის გამოსვლის შესახებ. ამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მან საბჭოთა ხალხსა და სტალინს მიუძღვნა: „შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი შეერთებულ შტატებზე ისე, რომ არ გვეხსენებინა ჩვენი მეორე დიდი პარტნიორი. სხვაგვარად, ის წონასწორობა დაირღვეოდა, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ საქვეყნო საქმეებში ჰარმონიისა და სიმტკიცის შენარჩუნება შევძლოთ. ამიტომ მე ჯერ უნდა გამოვხატო გრძობა, რომელიც, მჯერა, ყოველი ადამიანის გულშია — ესაა უდიდესი მადლიერების გრძობა, რომელსაც განვიცდილია კეთილშობილი რუსი ხალხის მიმართ, ძლევამოსილი საბჭოთა არმიის მიმართ. მას შემდეგ, რაც მას თავს დაესხა ჰიტლერი, ის სისხლს ღვრიდა და საშინელ ტანჯვას განიცდიდა, სანამ აბსოლუტურ გამარჯვებას არ მიაღწია. ამიტომ ვამბობ: ამ პალატის დიდი სურვილია (ის კი ინგლისელი ერის სახელით

ლაპარაკობს), რომ ამხანაგობისა და მეგობრობის გრძობა, რომელიც ინგლისელ და რუს ხალხებს შორის გაჩნდა, არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ უნდა განვამტკიცოთ კიდევ... სტალინთან დაკავშირებით კი მე პირადად, არ შემიძლია არ ვთქვა: გამოვხატავ მხოლოდ უდიდეს აღფრთოვანებას ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც ქვეყნის ბედს განსაზღვრავს, როგორც მშვიდობიანობის უამს, ასევე ომის დროს, როგორც მისი ძლევამოსილი დამცველი“.

ჩერჩილის თქმით, „ნებისმიერი ვარაუდი იმისა, რომ ინგლისი წინასწარგანზრახვით ატარებს ანტი-რუსულ პოლიტიკას და რუსეთის საზიანოდ, რთულ კომბინაციებს აწყობს, სრულიად ეწინააღმდეგება ინგლისელთა იდეებსა და სინდისს“.

პარტიის ცენტრალურ ორგანოში აღნიშნული კორესპონდენციის გამოჩენამ ბელადის სასტიკი პროტესტი გამოიწვია. იგი ამბობდა: „როგორ შეიძლება, იყო პოლიტიკურად ისეთი ახლომხედველი, რომ ვერ დაინახო აშშ-ისა და ინგლისის პოლიტიკის მკვეთრი და მტრული ცვლილება საბჭოთა კავშირის მიმართ, ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ; ხოლო ბურჟუა პოლიტიკანების პირფერული საქებარი სიტყვები, რომლებიც ხალხის პოლიტიკურ სიფხიზეს ასუსტებს, გერმანული ფაშისმის განადგურებაში საბჭოთა ხალხის წვლილის ჭეშმარიტ შეფასებად მიიღო?“

უკვე მამინ გახდა ცნობილი, რომ პოტსდამის კონფერენციიდან 3 თვის შემდეგ, ვაშინგტონში შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმადაც აშშ-ს, ინგლისის მხარდაჭერით, მასირებულად უნდა დაეებომა საბჭოთა კავშირის 20 ქალაქი: მოსკოვი, ლენინგრადი, გორკი, კუიბისევი, სვერდლოვსკი, ნოვოსიბირსკი, ომსკი, სარატოვი, ყაზანი, ბაქო, ტაშკენტი, ჩელიაბინსკი, ნიჟნი ტაგილი, მაგნიტოგორსკი, პერმი, თბილისი, ნოვოკუზნეცკი, გროზნო, ირკუტსკი და იაროსლავლი.

ამასთან, ბარბაროსული ჩანაფიქრი ინიღებოდა კეთილშობილური — „საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფლების პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა

დამკვიდრების“ — განზრახვით.

ამასთანავე, ინგლისისა და აშშ-ის მმართველი წრეები სერიოზულად იხილავდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ამ საქმეში ჩაებათ ვერმანტის შეიარაღებული ძალები და დაეწყოთ სახმელეთო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ოპერაციის — Unthinkable („წარმოუდგენელი“) გეგმა, ჩერჩილის მითითებით, მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში, დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოს — შტაბების მეთაურთა კომიტეტის მიერ მუშავდებოდა. ოპერაციის მიზანი ის გახლდათ, რომ რუსეთი იძულებული გაეხადათ, დამორჩილებოდა შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის იმპერიის ნებას. ომის დაწყება 1945 წლის 1-ელი ივლისისთვის იყო ნაგარაუდები. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პირადი დოსიე 1998 წლის ოქტომბერში გაიხსნა და ინგლისურ და მსოფლიო პრესაში გამოქვეყნდა. ამ დოკუმენტების მოკლე კომენტარი პროფესორმა რუჟევესკიმ გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ 1999 წლის 27 თებერვალს დაბეჭდა, ხოლო ოპერაციის სრული გეგმა და მისი თანდართული მასალები ჟურნალის — „ახალი და უახლესი ისტორია“ 1999 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა.

როდესაც საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მდგომარეობას იხილავდნენ, ომის გეგმის ავტორები იძულებული იყვნენ, დაუფარავად აღნიშნათ: „ეკონომიკის სფეროში, რუსეთი სავსებით უზრუნველყოფს სახმელეთო ჯარებსა და ავიაციას მისთვის საჭირო, ფართო სპექტრის მატერიალური რესურსით. რუსეთის სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1945 წლის პირველ ნახევარში. მისთვის არ არსებობს სერიოზული პრობლემები არც სასურსათო მომარაგების სფეროში. რუსეთის არმიის შეიარაღება მთელი ომის განმავლობაში სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა და ახლა კარგ დონეზეა, არ ჩამორჩება სხვა დიდი სახელმწიფოების შეიარაღებას. ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა გერმანელები შეიარაღების ზოგიერთ სახეობას სხვების მიბაძვით ამზადდნენ. სახმელეთო ძალების შედარებისას აშკარაა, რომ ჩვენ არ ვფლობთ ისეთი იერიშის შესაძლებლობას, რომელიც სწრაფი წარმატების მისაღწევად გამოდგება. მიგვაჩნია, რომ თუ ომი დაიწყება, სწრაფი წარმატების მიღწევა ჩვენთვის შეუძლებელი იქნება და ჩათრეულები აღმოვჩნდებით ხანგრძლივ ომში, ჩვენზე უფრო დიდ ძალასთან. უფრო მეტიც, ამ და-

ლის უპირატესობა შეიძლება, უზომოდ გაიზარდოს, თუ ამერიკელებს დალდა და გულგრილობა მოეძალათ“. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: იმპერიის გენერალური შტაბის ფელდმარშალმა ბრუკმა და სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბების მეთაურებმა. მათი ანალიზი დამტკიცებულ იქნა 1945 წლის სექტემბერში, თათბირზე, რომელსაც ამერიკელი გენერალი ეიზენჰაუერი და ბრიტანელი ფელდმარშალი მონტგომერი უძღვებოდნენ. ეიზენჰაუერი მაშინ, ევროპაში განლაგებული, მოკავშირე ძალების მთავარსარდალი გახლდათ.

ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში, ჩერჩილმა ვერ შეძლო განეხორციელებინა მესამე მსოფლომის გაჩაღების გეგმა. ამასთან, საბჭოთა ხელმძღვანელობამ, დაზვერვის მიერ მონოდეული ინფორმაციის წყალობით, იცოდა ამ გეგმის შესახებ და შესაბამისი საპასუხო ზომებიც მიიღო — გადააჯგუფა ნითელი არმიის ძალები, გააძლიერა დაცვა, დეტალურად შეისწავლა დასავლელ მოკავშირეთა დისლოკაცია. ამან გამოაფხიზლა მოწინააღმდეგე.

აი, ასეთი მუხანათური გეგმა მუშავდებოდა მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოთა მეთაურები პოტსდამის კონფერენციაზე (1945 წლის 17 ივლისი — 2 აგვისტო) წყვეტდნენ ომის შემდგომი მსოფლიოს მშვიდობიანი მოწყობის საკითხებს.

ჩერჩილს არაფრით სურდა ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებასთან შეგუება. ის ხომ ჯერ კიდევ ჩვენს ქვეყანაზე გერმანიის თავდასხმის დღეს ამბობდა: „უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში არავინ ყოფილა კომუნისტების უფრო გააფთრებული მოწინააღმდეგე, ვიდრე მე. არც ერთი სიტყვა არ მიმაქვს უკან, რომელიც კი ამ მოვლენაზე ოდესმე მითქვამს. მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა აღარ აქვს... ახლა მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს, რომლის მისაღწევადაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავინცებთ მოლაპარაკებას ჰიტლერთან და მის დამქაშებთან... თუ ჰიტლერს მიაჩნია, რომ საბჭოთა რუსეთზე თავდასხმას შეუძლია გამოიწვიოს დიდი მიზნების სულ მცირედით შეცვლა და ძალისხმევის შემცირება, რომელსაც ჩვენ მის გასანადგურებლად ვიყენებთ, ის ძალიან ცდება...“

ასეთი იყო ჩერჩილი... სტალინს არასოდეს დავინწყნია მისი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური განწყობილების, მისი ორპირობის შესახებ. იგი ამბობდა: „ჩერჩილი მუდამ იყო ანტისაბჭოთა ელემენტი —

ნომერ პირველი. ის ბოლომდე ასეთად დარჩა“.

სხვათა შორის, არც აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი გახლდათ მარტივად ამოსაცნობი ფიგურა. თავის შვილთან, ელიოტთან საუბრისას, 1941 წლის აგვისტოში იგი გულახდილად ამბობდა: „ჩინელები ხოცავენ იაპონელებს, რუსები კი ხოცავენ გერმანელებს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, განაგრძონ დანებებული საქმე მანამ, ვიდრე ჩვენი საკუთარი არმიები და ფლოტები არ იქნებიან მზად, რომ მათ დასახმარებლად გამოვიდნენ. ამიტომ მათ ასჯერ, ათასჯერ მეტი ტყვია-ნაშალი უნდა მივანოდოთ, ვიდრე ახლა... ნარმოიდგინე, რომ ეს ფეხბურთის მატ-

ჩია. ჩვენ კი, ვთქვათ, სარეზერვო მოთამაშეები ვართ, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე სხედან. მოცემულ მომენტში, ძირითადი მოთამაშეები — რუსები, ჩინელები და, ყველაზე ნაკლებად, ინგლისელები არიან. ჩვენთვის განკუთვნილია იმ მოთამაშეთა როლი, რომლებიც თამაშში გადამწყვეტ მომენტში ჩაებმებიან. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩვენს ფორვარდებს ძალა გამოეცლებათ, ჩვენ თამაშში ჩაებმებით, რათა გადამწყვეტი გოლი გავიტანოთ. ჩვენ ახალი ძალებით, დასვენებული ჩაებმებით თამაშში. თუ მომენტს სწორად შევარჩევთ, ჩვენი ფორვარდები კიდევ დიდხანს არ დაიღლებიან“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ღია წერილი დიმიტრი მეღვინეს

1999 წლის სექტემბერში, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების სამი კოორდინირებული აფეთქების შედეგად 292 ადამიანი, მათ შორის დედაჩვენი — ლიუბოვ მოროზოვაც დაიღუპა. დიმიტრი ანატოლის ძე, ჩვენ ამ ტერაქტების ღია და ყოველმხრივი გამოძიების დაწყებისკენ მოგინოდებთ.

ამ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა ჩვენ ტერორისტებს დააკისრეს და მოგვიანებით, ეს ამბავი ჩვენთვის წინააღმდეგ დაწყებული ომის გასამართლებლად გამოიყენეს. მაგრამ არსებობს არაერთი მინიშნება თუ იმის აშკარა დამადასტურებელი საბუთი, რომ მომხდარში რუსეთის სპეცსამსახურები იყვნენ ჩარეულნი, ხელისუფლებამ კი სიმართლე დაძალა. ჩვენ ამ საქმეს დახურულად არ მივიჩნევთ. ნება მოგვეცით, რამდენიმე ფაქტი შეგახსენოთ:

— 1999 წლის 29 სექტემბერს მილიციამ ფედერალური სამსახურის სამი თანამშრომელი დააპატიმრა, რომლებიც რიაზანში, საცხოვრებელი სახლის სარდაფში ასაფეთქებელი მოწყობილობებითა და ჰექსოგენით (ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც წინა ტერაქტებისას იყო გამოყენებული) სავსე ტომრების გადამალვას ცდილობდნენ. უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა მომხდარს ასეთი ახსნა მოუძებნა: სინამდვილეში, აგენტები „სნაველებს“ გადიოდნენ, ტომრებში კი შაქარი ეყარაო. მათ ამის შემდეგ გამოძიება შეწყვიტეს, ხოლო ყველა სამხილი გრიფით „სრულიად საიდუმლო“ შეინახეს.

— დაახლოებით იმავე პერიოდში, რუსმა ჯარისკაცმა, რიაზანის მახლობლად განლაგებულ თავის სამხედრო ნაწილში, ტომრებში წარწერით — „შაქარი“ ჰექსოგენი აღმოაჩინა. ამ ინციდენტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გამოძიება ასევე არ ჩატარებულა და სამხილებიც კვლავ გაასაიდუმლოეს.

— 1999 წლის სექტემბერში სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა, გენადი სელენიოვმა ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლის აფეთქების შესახებ, ტერაქტამდე სამი დღით ადრე გამოაცხადა.

— მარკ ბლუმენფელდმა, რომელიც მოსკოვში, გურიანოვის ქუჩაზე აფეთქებული ჩვენი საცხოვრებელი სახლის ადმინისტრატორი იყო, ჩვენს ადვოკატსა და ჟურნალისტების ნაწილს აუწყა, რომ ჩვენება უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლების ზენოლით შეცვალა. სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მას ჩეჩენის, აჩიმეზ გოჩიაევის ფოტოსურათი უჩვენეს და მიუხედავად იმისა, რომ



ადმინისტრატორს ის მანამდე არასდროს ენახა, მასში მაინც „ამოიცნო“ ადამიანი, რომელმაც ვითომდა, მისგან სახლის სარდაფი იჯარით აიღო.

— ბლუმენფელდის წინა ჩვენების მიხედვით შედგენილი ნამდვილი ეჭვიტანილის ფოტორობოტი სისხლის სამართლის საქმიდან გაქრა და ის გოჩიაევის ფოტოში შეიცვალა. იმავედროულად, ადვოკატმა მიხაილ ტრეპაშკინამ, რომელიც წარსულში KGB-ს აგენტი იყო, ჟურნალისტებს აუწყა, რომ ფოტორობოტზე უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელი — ვლადიმირ რომანოვიჩი ამოიცნო. მოგვიანებით, რომანოვიჩი კვიპროსზე, საგზაო შემთხვევისას დაიღუპა. მომხდარში დამნაშავე მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და ეს საქმე ასევე არ გახსნილა.

— 2003 წლის ნოემბერში, მოსკოვში სახლების აფეთქებისას გამოყენებული ასაფეთქებელი მასალის გადატანაში დადანიშნული ორი ჩეჩენის სასამართლომდე მცირე ხნით ადრე, ტრეპაშკინს მანქანაში ცეცხლსასაროლი იარაღი ჩაუდეს და დააპატიმრეს. ამის გამო, მან სასამართლოსთვის ბატონ ბლუმენფელდის იმ განცხადების მიწოდება ვეღარ შეძლო, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ ფედერალური სამსახურის აგენტებმა როგორ აიძულეს, გამოძიებისთვის ყალბი ჩვენება მიეცათ. ორი ჩეჩენის სასამართლო, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და რომლის დროსაც უფლებადამცველმა ჯგუფებმა უამრავი დარღვევა დააფიქსირეს, არც ჩვენთვის და არც

მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. დღემდე, რუსეთის სასამართლოს არც ბატონ ბლუმენფელდის ჩვენების შეცვლის და არც ფოტორობოტის გოჩიაევის ფოტოთი შეცვლის ფაქტი არ განუხილავს.

— მოკვლია ოთხი ადამიანი, რომელიც აფეთქებებთან უშიშროების ფედერალური სამსახურის შესაძლო კავშირს იძიებდა. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სერგეი იუშენკოვი 2003 წლის აპრილში, მოსკოვში ჩაცხრილეს; სამი თვის შემდეგ კი მისი კოლეგა — იური შეკოჩინი მონამგლის დიაგნოზით გარდაიცვალა; ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია 2006 წლის წლის ოქტომბერში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჩაცხრილეს, ხოლო ერთი თვის შემდეგ ლონდონში, ასევე მონამგლის შედეგად გარდაიცვალა KGB-ს ყოფილი თანამშრომელი ალექსანდრე ლიტვინენკო.

რუსეთის ბევრმა მოქალაქემ დაასკვნა, რომ აფეთქებები შეიძლება, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ყოფილიყო მოწყობილი. რაც შეეხება ჩვენს ოჯახს, დიდი ხანია, ამ საქმეში „ჩეჩენურ კვალთან“ დაკავშირებული ვერსიის არ გვჯერა. იმაშიც დავრწმუნდით, რომ დედაჩვენისა და ჩვენი მეზობლების სიცოცხლე პოლიტიკური მიზანს — ჩვენთვის ომის გამართლებასა და მომდევნო წელს ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტების საქმეს შესწირეს და ამ აზრის შეცვლას მხოლოდ ობიექტური გამოძიება თუ გვაიძულებს.

ბატონო პრეზიდენტო, ამ ღია წერილს იმის იმედად გწერთ, რომ თქვენი არჩევა ბოლოს მოუღებს რუსული ისტორიის ამჟამინდელ ბნელ პერიოდს, რომელთანაც თქვენ კავშირი არ გქონიათ. გვესმის, რომ თავად ამ რეჟიმის მადლიერი და მის მიმართ ლოიალური ხართ, მაგრამ სახელმწიფო ძალაუფლება შესაძლო მკვლელების დასაცავად როდი მოგანდევს. ახლა რუსეთს თქვენ მართავთ და დაკავებული თანამდებობა დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. ისტორიის, ადამიანებისა და უდანაშაულო მსხვერპლთა გამო ვალდებული ხართ, სიმართლე დაადგინოთ და ის საჯაროც გახადოთ.

ტატიანა მოროზოვა, ალიონა მოროზოვა.

The Wall Street Journal.

P.S. დები ტატიანა და ალიონა მოროზოვები ამჟამად ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სპრინგფილდში ცხოვრობენ.

„ჩელსი – ამოავალი პარსკლავი“

ჯონ მაკქეინი რესპუბლიკური პარტი-
იდან ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კანდი-
დატების წარსადგენად მოლაპარაკებებს
იწყებს. მის სახლში, არიზონაში ვიცე-პრეზ-
იდენტობის სამი კანდიდატი ჩავა: ლუიზია-
ნის ახალარჩეულ გუბერნატორს, 36 წლის
ბობ ჯინდალს სამი ღირსება აქვს: ის
ულტრაკონსერვატორია, ახალგაზრდა და
რადგანაც ინდოელი იმიგრანტის შვილია,
უმცირესობასაც მიეკუთვნება; ბუშების
ოჯახისგან ყველაზე შორს მდგარი რესპუბ-
ლიკური ფრთის წარმომადგენელი — ჩარ-
ლი რისტი ფლორიდის ანუ იმ შტატის
გუბერნატორია, რომელმაც 2000 და 2004
წლების არჩევნებში გადამწყვეტი როლი
შეასრულა; მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერ-
ნატორი — მორმონი მიტ რომნი ეკონომი-
კური საკითხების ექსპერტი და მილიონიანი
ქონების პატრონია. მაკქეინის გარემოცვის
წარმომადგენლებმა ვიცე-პრეზიდენტის
პოსტზე კანდიდატების შერჩევის პროცე-
სის დეტალებზე ლაპარაკი არ ისურვეს.

ამასობაში კი ბილ კლინტონი ირწმუ-
ნება, რომ ყოფილ first daughter-ს („პირვე-
ლი ქალიშვილი“), ჩელსი კლინტონს პოლი-
ტიკური მომავალი აქვს და უახლოეს
ათწლეულში საკუთარი ქალიშვილის პრე-
ზიდენტობის კანდიდატად წამოყენებასაც
აპირებს. „უნდა ვაღიარო, რომ ჩელსი ნამ-
დვილად ყოჩაღია და დედის კვალზე წავა,
— აცხადებს კლინტონი, — აიოვამი არჩე-
ვებამდე ამას ასე დაბეჯითებით ნამდვილად
ვერ ვეტიყობდი, რადგან მანამდე, ჩელსი
თითქოსდა, ეწინააღმდეგებოდა ყველა-
ფერს, რასაც მე და პილარი ვაკეთებდ-
ით“. მაგრამ ახლა, მამიკო ბილს ბოლომ-
დე სჯერა თავისი 28 წლის ქალიშვილის,
რომელმაც „დედამისის საარჩევნო კამპა-
ნიის დროს ძალისა და სიმამაცის დემონ-
სტრირება შეძლო“.

კლინტონის ქალიშვილის პოლიტიკური
ბიოგრაფია ჯერ საკმაოდ მოკლეა, მაგრამ
ყველაფერი, რაც მან ბოლო ხუთი თვის
განმავლობაში, დედამისისთვის გააკეთა,
ნამდვილად პატივისცემის ღირსია.
როგორც ჩანს, დემოკრატიული პარტიის

ახალგაზრდა კანდიდატ ქალს პოლი-
ტიკისადმი ინტერესი 3 იანვარს, პირვე-
ლადი არჩევნების პირველ ტურში გაულ-
ვივდა. „აიოვამი ხმის მიცემის შემდეგ, მან
მნიშვნელოვნად წაიწია წინ, — აცხადებს
ბილ კლინტონი, — რადგან სწორედ იმ
დღეს მიხვდა, რომ პილარის დამარცხება
მის მიმართ ახალგაზრდა ამომრჩევლების
ნაკლებმა იტერესმა განაპირობა და ამიტ-
ომაც ჩაერთო ელექტორატის ამ ჯგუფის
მხრიდან დედის მხარდაჭერის განსამტკი-
ცებელ ბრძოლაში“. ჩელსიმ ამისთვის
საკუთარი სამსახურიც კი გაიღო მსხ-
ვერპლად. ერთ-ერთ წამყვან ამერიკულ
საინვესტიციო ფონდში ანალიტიკოსად მო-
მუშავე ჩელსიმ თავის ხელმძღვანელებს
ასე მიმართა: „მისმინეთ, მე სამსახური
უნდა დავტოვო ან ხანგრძლივი შვებულე-
ბა ავიღო, რადგან დედაჩემის რთულ
მომენტში მიტოვება არ შემიძლია“. საბ-
ოლოო ჯამში ხომ ის მამიკო ბილზე ადრე
დაფიქრდა „ყოფილი პირველი შვილის“
მომავალზე და სწორედ ამის შემდეგ გამოჩნ-
და ნიუ-იორკის სენატორის პოსტის
დასაკავებლად გამართულ წინასაარჩევნო
მიტინგებზე სამკერველი ნიშნები, წარწერით
— „ჩელსი 2016 წელს“.

ისმის კითხვა, თუ პოლიტიკურ მომავალს
ჩელსის ვუნდობთ, მამინ პოლიტიკურ ან-
მყოს პილარი ხომ არ უნდა ერქვას? ბილ
კლინტონი საღად მოაზროვნე პოლიტიკო-
სია და კარგად ხვდება, რომ უპირატესობა
ბარაკა ობამას მხარესაა. ამიტომაც, ფსონს
იმაზე ჩამოდის, რომ ყოფილი პირველი
ლედი როგორმე, აფროამერიკელი კანდი-
დატის ვიცე-პრეზიდენტი გახდეს. სწორედ
ესაა ის დიდი პროექტი, რომლის რეალ-
იზაცისაც კულისებს მიღმა მდგარი ბილი
ამ დღეებში, პარტიის ხელმძღვანელობასა
და სუპერდელეგატებზე ზეწოლის გზით ცდი-
ლობს. ამასთანავე, ბილი ობამას PEOPLE-ს
ფურცლებიდან ელაქუცება და ამბობს, რომ
„ის ძალიან ნიჭიერი ადამიანია“.

დასახული მიზნის მისაღწევად, თეთრი
სახლის ყოფილი მეთაური უკეთეს მო-
მენტს ვერაფრით შეარჩევდა — ობამა



სწორედ ახლა შეუდგა თავისი მოადგი-
ლის შერჩევას. შერჩევა ექსპერტების
ჯგუფის დახმარებით და სრულიად გასაი-
დუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობს,
მაგრამ დემოკრატიული პარტიის შიგ-
ნით არსებული წყაროები მაინც იტყობინ-
ებინან, რომ შესარჩევ კომიტეტს ნახევრად
სამთავრობო იპოთეკური კომპანია Fannie
Mae-ს ყოფილი თავკაცი, ჯიმ ჯონსონი
ხელმძღვანელობს, რომელიც 2004 წელს ჯონ
ქერის, ხოლო 1984 წელს უოლტერ მონ-
დეილის მოადგილეების შერჩევით იყო
დაკავებული.

ამასობაში კი ფლორიდის ირგლივ კა-
მათი ღვივდება. ამ შტატის წარმომად-
გენელი დელეგატები დენვერში გამართულ
ყრილობაში მონაწილეობას იმიტომ არ
მიიღებენ, რომ შტატის პარტიულმა ხე-
ლმძღვანელობამ არჩევნები უმაღლესი ხე-
ლმძღვანელობის სანქციის გარეშე დანიშ-
ნა. დემოკრატიული პარტიის სამმა მა-
ლალჩინოსანმა, დემოკრატიული პარტიის
მიერ გადანაცვლებების შეცვლის გამო,
სასამართლოში საარჩელი შეიტანა. ეს მს-
ოლოდ პარტიის სხვადასხვა მიმდინარე-
ობებს შორის კი არა, ცენტრალურ ხე-
ლმძღვანელობასა და ადგილობრივ კო-
მიტეტებს შორის განხეთქილების გაღ-
რმავების რისკის შემცველიცაა, რაც მე-
ტოქე რესპუბლიკელებს ხელს ნამდვილად
აძლევს.

La Stampa (იტალია).

სინდი მაქეინი VOGUE-ის გარეგანზე გამოჩნდება



როგორც მასობრივი ინფორმაციის
საშუალებები იტყობინებინან, პრეზიდენ-
ტობის რესპუბლიკელი კანდიდატის, ჯონ
მაკქეინის მეუღლე — სინდი მსოფლიოში
მოდების ერთ-ერთი ყველაზე რესპექტა-
ბელური ჟურნალის — Vogue-ს ივინის

ნომრის გარეგანზე გამოჩნდება. ქალბატო-
ნი, რომელიც პირველი ლედის ტიტულს
უმიზნებს, ფოტოზე შეზღონგზე ნებივრად
წამოწოლილია ალბეჭდილი. საინფორმა-
ციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ „ლუკა
ბრანდის“ ჯინსსა და „მაიკლ კორსის“ მაი-
სურში გამოწყობილი სინდი ძალზე
„ამერიკულად“ გამოიყურება.
ზოგიერთი გამოცემა იმასაც უსვამს ხაზს,
რომ ლედი მაკქეინი ქალის ყველაზე პატ-
არა, ნული ზომის ჯინსს ატარებს, რითიც
ვერც პილარი კლინტონი და ვერც მიშელ
ობამა დაიკვენიან.

სინდი ყოველთვის „100 მილიონ დოლა-
რად გამოიყურება“. სწორედ ამ თანხადაა
შეფასებული „ლუდის ბიზნესქალბატონის“

პირადი ქონებაც, რომლის ოჯახურ კო-
მპანიამაც ჯონ მაკქეინმა კარიერა პიარ-
განყოფილებით თანამშრომლის პოსტით
დაიწყო. ბრწყინვალე გარეგანობის მქონე
ქერათმიანი სინდი, რომელიც საზოგადოე-
ბის წინაშე ყოველთვის უზადოდ ჩაცმული
ჩნდება, ქმარს აშკარად ჩრდილავს.

ჟურნალ Vogue-ს გარეგანზე მისი ექსტრა-
აგანტური გამოჩენის მიზანი კი ალბათ, „ძალა-
ში შესული არცთუ მარტივი სააარჩევნო
კამპანიის პირობებში, ამერიკული ელიტის-
თვის სიგნალის გაგზავნაა“. Vogue ხომ თითქ-
მის ასწლიანი ისტორიის მქონე ის გამოცე-
მაა, რომელიც 18 ქვეყანაში გამოდის და
მსოფლიოში უპირველესი მოდების ჟურნა-
ლის ტიტულზეც აქვს პრეტენზია.

ზესცაოქონელი „ცაქსისცი“ და მისი თბილისელი მგზავრები

მარან ჭონიშვილი

ამას წინათ, მეგობრებთან ერთად, ჩემს სოფელს მივაშურე. ზესცაფონში ჩასულეზბმა, გადავწყვიტეთ, სოფლამდე ტაქსით წავსულიყავით. ტაქსის მძღოლ ხალისიანი კაცი აღმოჩნდა და სანამ სახლამდე მიგვიყვანდა, თითქმის მთელი თავისი ისტორია გვიამბო.

— დღეს უკვე მეექვსედ მივდივარ საზანოში, — დაიწყო მან გაბრაზებული ხმით. ამ დანგრეულ გზებზე მანქანას ვაფუჭებ, მაგრამ რა ვქნა, ოჯახი ხომ უნდა ვარჩინო?

— იმეღია, მალე გააკეთებენ ამ გზას და გვეშველება, — ვცადე მძღოლის დამშვიდება.

— რას ამბობთ, ნუთუ ამის გვერათ? — შემეკითხა და გაოცებული თვალებით გადმოშხედა, შემდეგ კი გააგრძელა:

— ისეთი მთავრობის ხელში ვართ, გზებს ვინ დაექებს, შიშშილით თუ არ დავიხოცეთ, კარგია. ბაზარში, ფასები პროდუქტზე დღითიდღე იზრდება.

— ძალიან გადაგინურავთ იმეღი. ასეც არ შეიძლება, — უთხრა ტაქსის მძღოლს ჩემმა მეგობარმა.

— გოგონებო, ღმერთმა ნუ მოგიშალთ ეგ იმეღი, მაგრამ არა მგონია, ამ გზების გაკეთებას საშველი დაადგეს. საარჩევნოდ იცოცხლე, დაპირებებს კი იძლევიან, მაგრამ გაინაღდებენ თავისას და მორჩა. ეჰ, გაჭირვებული კაცის საშველი როდის ყოფილა?!

— დიდი ხანია, ტაქსიზე მუშაობთ?

— თავიდან რუსეთში ვმუშაობდი. ახლობელმა წამიყვანა, მაგრამ ხელობა არ ვიცოდი და ბევრი არაფერი გამოშდიოდა. თუმცა იქ მუშაობით იმდენი შეგაგროვე, რომ ეს მანქანა ვიყიდე და უკვე ოთხი წელია, „ცაქსასობ“.

— დღეში რამდენს შოულობთ?

— ყოველდღე ვმუშაობ, ხანდახან — ღამითაც. ორ „კაპიკს“ ვშოულობ და ოჯახს ამით ვარჩენ. შორ გზაზე სიარულს ვერიდები. ხომ ხედავთ, როგორი საშინელი გზებია. მანქანა მალე ფუჭდება და არ მინდა, რომ აქ აღებული ფული „პროფილაქტიკაში“ დაეხარჯოს.

— თქვენ აქაურები ხართ თუ სტუმრად მიდისართ? — მძღოლი ჩვენი თ დანტერესდა.

— მე ვარ საზანოდან, ესენი კი ჩემი მეგობრები არიან, — აუუსხენი. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა და გოგოებს სათითაოდ გამოჰკითხა, თუ საიდან იყვნენ,



რა გვარისანი და სანამ თითოეული მათგანის წარმომავლობა არ გაარკვია, მანამ არ მოისვენა.

— ალბათ, ძნელია ყოველდღე დილიდან საღამომდე მუშაობა...

— არ მიჭირს. შევეჩვიე. „ტაქსისტობა“ ცოტა სასიფათოა. ათასწიერი ადამიანის წაყვანა გვიწევს. თავიდან არ ვერიდებოდი, ღამითაც ვმუშაობდი, მაგრამ ერთი თვის წინ, ისეთი ამბავი გადაშდა თავს, ღამით მუშაობას ვერიდები.

— რა შეგემთხვათ, იქნებ მოგვიყვებოთ, — შეაუღლიანეს ჩემმა მეგობრებმა, თუმცა შეგუღლიანება არც სჭირდებოდა, მოყოლას ისედაც აპირებდა.

— ამას წინათ, ცოტა ფული შემომაკლდა, — დაიწყო ღიმილით, — და სამუშაოდ გვიანობამდე დავრჩი. კახელი ბიჭები მოვიდნენ, სენაკში წაყვანა მთხოვეს. შევატყვე, წასვამები იყვნენ, მაგრამ რა თანხაც დაეუსახედე, წინასწარ მომცეს და დავთანხმდი. გზაში ლაპარაკობდნენ და გავარკვიე, რომ ერთ-ერთი მათგანი გოგოს სახახავად მიდიოდა, რომელიც ტელეფონით გაუცნია. ბიჭებო, ის გოგო გელოდებათ-მეთქი? — შევეკითხე. — არა, სიურპრიზი უნდა მოვუწყუოთ, — მიპასუხეს. გულმა რუჩხი მიყო. არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ ფული აღებულ იქონდა და რალას ვიზამდი? იმ გოგოს სახლთან რომ მივედი, დალ-

ოდება მთხოვეს, თან, რომ არ წავსულიყავი, ერთ-ერთი მანქანაში დატოვეს. სამნი გადავიდნენ და იმ გოგოს ჭიშკართან სიმღერა დაიწყეს. სიმღერის ხმაზე ორი კაცი გამოვიდა. თავიდან ლაპარაკობდნენ, შემდეგ კი ჩხუბი ატყდა. ხმაურზე თითქმის მთელი სამეზობლო გამოცვიდა. იქ ამბავი ატყდა... ეს კახელი ბიჭები ისე სცემეს, ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. რომ არ მოგატყუოთ, ერთი-ორი მეც მომხვდა. კი ვამბობდი, ტაქსის მძღოლი ვარ და მე არაფერი შუაში ვარ-მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა?.. ამას წინათ კიდევ, გამაჩერეს და მთვრალი კაცი ჩამისვეს. მითხრეს: კვალითში წაიყვანე და რომელ კორპუსთან უნდა ჩამოსვლა, თვითონ გეტყვისო. კვალითში რომ შევედი, ვკითხებო: ძია კაცო, რომელ კორპუსთან მიგიყვანო-მეთქი? — აქ გამიჩერე, გადადი და ნათელა დაიძახე, ჩემი ცოლია, უთხარი ჩამოვიდეს და წამიყვანოსო. თავიდან მეგონა, მესუმრებოდა, მაგრამ შევატყვე, მანქანიდან გადასვლას არ აპირებდა. მეტი რა გზა მქონდა? გადავედი და ჩუმად, რადგანაც ის კაცი ასაკოვანი იყო, „ნათელა დეიდა“ დავიძახე. ვილაც ქალმა აივნიდან „გამაგონა“. ქალბატონო, ჩამობრძანდით, თქვენი ქმარი მთვრალია და წაიყვანეთ-მეთქი, — ვუთხარი. — ახლავე. ცოტა ხანში კი აივნიდან წყველა-კრულვით გადმოდგა და გადმომძახა: ახლა აქედან გამასწარი, სანამ არ მიცემიხარო, რას მატყუებ, ჩემი ქმარი სახლშია და სძინავსო... მოკლედ, ხუთი-ექვსი კორპუსი „ნათელა დეიდას“ ძახილით რომ შემოვიარე და საშველი არა და არ დამადგა, ეს კაცი ერთ-ერთ კორპუსთან ჩამოხვდა, და მოვატყუე, აგერ შენი კორპუსი და შენი ნათელაც მალე ჩამოვა და წაგიყვანს-მეთქი... ერთხელ კიდევ, მთვრალი კაცი ჩამიჯდა; როგორც კი მისამართი მითხრა, ჩაქვინა. ეტყობა, ძილში ბოდევა იცოდა, მთელი გზა ლაპარაკობდა, ცოლს ხან საჭმლის მოტანას სთხოვდა, ხან აგინებდა. ბოლოს „მიშიკოს“ ძახილი დაიწყო. — ვიფიქრე, გამოველაპარაკებო, აბა, რას იზამს-მეთქი? კიდევ, „მიშიკო“ რომ დაიძახა, — რა გინდა, აქა ვარ-მეთქი, — ვუპასუხე. — მერე, რატომ არ მაგონებდი, მე შენიო... — და იმწიერი გინება მოაყოლა, კაცი ვარ და მეც გამიკვირდა. მოკლედ, სანამ სახლამდე მივიყვანდი, მაგრად მაგინა, — სიცილით დაასრულა მძღოლმა თხრობა.

„ტაქსისტი“ ალბათ კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს მოჰყვებოდა, მაგრამ უკვე სახლთან ვიყავით, დავეშვიდობეთ და კეთილი მგზავრობა ვუსურვეთ. ამოიხარა და თქვა: ნეტავ, ახლა ეს გზები თავიდან არ მქონდეს გასავლელი ან სასწაული მოხდებოდეს და რომ წავალ, არც ერთი „იამკა“ არ შემხვდებოდესო! — და იქვე დაამატა: — როდის იყო, სასწაულების მჯეროდაო?! — ხელი ჩაიქნია, დაგვეშვიდობა და წავიდა.

ჯული - „აჟო-ქალღუენის“ ქართული „ელაბოზაჟარი“!



რამდენიმე წლის წინ, თბილისის ქუჩებში უცნაური თმის ვარცხნილობისა და ჩაცმულობის მქონე გოგონა, სახელად ეშლი გამოჩნდა. უცნაური ვარცხნილობით, შავად მოხატული თვალებითა და ვარდისფერი შტრიხების მქონე შავი სამოსის მქონე ეშლის გამოჩენამ გარშემო მყოფები გააოცა. მის მიმართ საზოგადოების უმრავლესობა აგრესიულად განეწყო, ყველას ეგონა, რომ ეს გოგონა ნარკომანი, გარყვნილი და (რა თქმა უნდა) სატანისტო იყო! თუმცა ვინც ეშლის დაუახლოვდება და კარგად გაიცნობს, ნახავს, რომ ის არც სატანისტო, არც გარყვნილი და მით უმეტეს, არც ნარკომანი! სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივი ადამიანია. მას არასტანდარტული მხოლოდ გარეგნობა და ხასიათი აქვს.

გიორგი ცინაბე

ჩემი რესპონდენტი 1988 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა. გარკვეული დრო, მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. დაამთავრა თბილისის 81-ე საშუალო სკოლა; სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე. ძალიან უყვარს ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ (რომანის გმირს დორიანს, საკუთარ თავს ადარებს), წერს მუსიკას და არის ერთ-ერთი რადიოს დიჯეი. რაც მთავარია, არის სუფთა სისხლის ქართველი და თანაც სვანი (სხვათა შორის, ამით საშინლად ამაყობს!) დანარჩენზე კი თავად გაამბობთ.

— რატომ შეიცვალე ასე რადიკალურად იმიჯი? საერთოდ რამ გიბიძგა, ასეთი ნაბიჯი გადაგედგა? რატომ დაუბრისპირდი საზოგადოებას?

— 16 წლის ასაკში გამიჩნდა სურვილი, რომ ყველასგან განსხვავებული

ვყოფილიყავი. მაშინ თბილისში საშინელი მდგომარეობა იყო: ძირითადად ეცვათ ერთნაირი გრძელი, შავი კაბები, ჰქონდათ მელირებული თმა. მოკლედ, ყველანი ზომბებივით ერთნაირები იყვნენ, რადგანაც ლილოს ბაზრობაზე რაც შემოდიოდა, ყველას ის სამოსი ეცვა. ამან დიდი პროტესტის გრძობა გამიჩინა. ეს იმანაც განაპირობა, რომ მოსკოვში ვარ გაზრდილი, იქ უამრავ არაორდინარულ ადამიანს ვხვდებოდი. ამის ფონზე კი, საქართველოში სრული „რობოტული“ ერთფეროვნება სუფევდა. მეც პროტესტის ნიშნად, რადიკალურად შევიცვალე ვარცხნილობა. მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ პროტესტი არ იყო და საკუთარი თავი ვიპოვე! ასლა ჩემი თავი სხვაგვარად ვერც კი წარმომიდგენია.

— შენს ამ გადაწყვეტილებას მშობლები როგორ შეხვდნენ? ამასთან დაკავშირებით მათთან დაპირისპირება ხომ არ გქონდა?

— მშობლებთან არანაირი დაპირისპირება არ მქონია. მამაზე, გარკვეული

მიზეზების გამო, არ ვილაპარაკებ. დედაჩემი კი ერთადერთი ქალია ჩემს ცხოვრებაში, ვისთანაც ვემეგობრობ. ის ჩემი ერთადერთი დაქალია, რადგანაც გოგონებთან ვერ ვემეგობრობ, მხოლოდ ძმაკაცები მყავს. დედასთან ძალიან ახლოს ვარ. იგი ფსიქოლოგია და მაშინვე მიხვდა, რომ მე საკუთარი თავი ვიპოვე. მან ასეთი შევითხვა დამისვა: შვილო, დარწმუნებული ხარ, რომ შენს „მეობას“ საქართველოში გაიტან? შენ ეს ცხოვრებასა და კარიერაში ხელს არ შეგიშლისო? ყველაფრის მიუხედავად, მე გავრისკე... ჩემს ასაკში ჩემი იმიჯი ხელს არ მიშლის, როგორი იქნება ეშლი 5-10 წლის შემდეგ? ამას დრო გვიჩვენებს!

— გასაგებია, რომ შენი იმიჯის გამო, ადამიანებში უარყოფით ემოციებს იწვევს ისინი შენ მიმართ აშკარა აგრესიას სწორად ავლენენ?

— ჩემ მიმართ აგრესიას ადრეულ წლებში უფრო ავლენდნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს, ჩემი დაკვირვებით, საზოგადოება გარკვეულწილად შეიცვალა და

ბაპოვიდა!

იპნოსის ნოემერი

თქვენ სოც გაპოვნებიანი აკითხვანი ბრკანდებით...

ლას და დამკვირვებლების ჩამოყვანას ითხოვს. მერწმუნეთ, ევროპელი დამკვირვებლები აღარ ჩამოვლენ, გვეტყვიან, — ერთმანეთში თავად გამოჩნხეთ საერთო ენაო. ახლა მთავარია, ოპოზიცია დროზე გამოვიდეს შოკიდან და ახალი ბრძოლა დაიწყოს — ორ წელიწადში ადგილობრივი არჩევნებია ჩასატარებელი, რაც სახუმარო საქმე სულაც არ არის. ალბათ გახსოვთ, რომ სააკაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეობიდან დაიწყო ტრიუმფული სვლა. პრობლემა ის გახლავთ, რომ ოპოზიციურმა ძალებმა შეიძლება, თავიანთი შეცდომების გაანალიზება ვერ მოახერხონ და მიხურულ კარს მიღმა ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყონ. ყველაზე ძირეული თვითანალიზი „რესპუბლიკელებმა“ უნდა ჩაატარონ.

— „რესპუბლიკელებმა“ თავიანთი შეცდომები უკვე აღიარეს...

— აღიარება ერთია, გამოსწორება — მეორე. საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, „რესპუბლიკელები“ ყველაზე ინტელექტუალური პარტიაა, მაგრამ სერიოზული შეცდომების დაშვება მაინც მოახერხეს.

— მაინც, რა არის ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომა?

— ოპოზიციის ყველაზე დიდი შეცდომა ის გახლდათ, რომ იანვარში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მათ რესურსების მობილიზაცია არ მოახდინეს და იმის სტრატეგია არ შეიმუშავეს, თუ რა ექნათ ქუჩაში გამოსული ორასი ათასი კაცი-სათვის. ოპოზიციის ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ შეიარაღებული დაპირისპირებისაკენ მოწოდება არ შეიძლებოდა, მაგრამ სხვა რაღაცები ვეღარ მოიფიქრეს და ამიტომაც, ხალხს უთხრეს: ახლა გაჩუმდით, სახლში წადით და მერე მოდითო.

ოპოზიციამ მასით მანიპულირება დაიწყო. ამასობაში, მავანმა ხმა გაავრცელა: — ოპოზიციამ ხალხი სახლში იმიტომ გაუშვა, რომ სააკაშვილთან გარიგება დაიწყოს. გადის დრო და გია მისასვილი ამბობს, — პრეზიდენტმა მითხრა, ოპოზიციასთან ქეიფით, „პახმელიაზე“ ვეღარ გამოვდივარო.

— რას ნიშნავდა მისასვილის ეს განცხადება?

— მისასვილს რა განზრახვა ჰქონდა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მან ოპოზიცია ყურებამდე ჩაუშვა... გულგატეხილი ადამიანების დიდმა ნაწილმა არჩევნებში საერთოდ აღარ მიიღო მონაწილეობა და ამით ოპოზიციამ სერიოზული რაოდენობის ხმები დაკარგა. მაშინ, როდესაც საზოგადოების მოთხოვნა ოპოზიციის გაერთიანება იყო, „რესპუბლიკელებმა“ ცალკე მოინდომეს გასვლა, ლეიბორისტებმა კი გაერთიანებული ოპოზიციის ლანძღვა დაიწყეს. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ოპოზიციამ სერიოზული მარცხი განიცადა.

— თუ ოპოზიციის მომხრეები იმდენად იმედგაცრუებულნი არიან, რომ არჩევნებშიც აღარ მონაწილეობენ, 26 მაისს, ოპოზიციონერმა ლიდერებმა როგორ მოახერხეს საპროტესტო აქციაზე იმდენი ხალხის გამოყვანა?

— ეს იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიცია და „ნაციონალები“ ერთმანეთს შეცდომებს პინგ-პონგით უცვლიან. ოპოზიციის შეცდომა ერთმანეთისაგან გათიშვა იყო, „ნაციონალებს“ კი ზომიერების გრძობის დაკარგვა და პარლამენტში ას ოცი ადგილი. ოპოზიციამ არჩევნების დასრულებისთანავე მოახერხა საპროტესტო აქცია, მაგრამ ხალხი არ გამოვიდა. ვინც მივიდა, ისიც მალევე გაიქცა, ფეხბურთის საყურე-

ბლად. როდესაც „ნაციონალები“ „დაუკრეფავში“ გადავიდნენ და ერთი კვირის შემდეგ არარეალური შედეგები დაგვიდეს, საზოგადოებაში კვლავ საპროტესტო მუხტი გაჩნდა. ხალხი უსამართლობამ კი არა, სუპერუსამართლობამ გააცოფა.

— ეს საპროტესტო მუხტი შენარჩუნდება?

— ეჭვი მეპარება, რადგან ოპოზიციის არც ამჯერად შეუშუალებია სტრატეგიული გეგმა.

— ოპოზიცია საპარლამენტო სხდომების ბლოკირებას გეგმავს. რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ხელისუფლება ძალას გამოიყენებს თუ არა, მაგრამ პარლამენტის სხდომა აუცილებლად შედგება და ამას ოპოზიცია ხელს ვერ შეუშლის.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ქვეყნის შიგნით არსებულმა პრობლემებმა საქართველოს იმიჯზე უარყოფითად იმოქმედოს?

— საქართველოში დემოკრატია იქნება თუ არა, ამას მსოფლიო საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის ისიც საკმარისია, რომ ჩვენს ქვეყანას გეოპოლიტიკური ხიზლი და პროდასავლური კურსი აქვს.

— თუმცა, ბოლო დროს, ოპოზიციის ლიდერები ანტიდასავლურ განცხადებებს სწორად აკეთებენ.

— სწორად შენიშნეთ — ჩემი თვალით ვუყურე, „ენტევეს“ საინფორმაციოს წამყვანი როგორი სიხარულითა და ნიშნის მოგებით გადმოსცემდა დავით გამყრელიძის სიტყვებს და საზოგადოების ნაწილში გაჩენილ ანტიდასავლურ მუხტზე ლაპარაკობდა. ღმერთმა ნუ ქნას, ამ ყველაფერმა პერმანენტული ხასიათი მიიღოს. ■

არ გაუმობრჩეთ მამის ნომერი

თქვენ სოციალისტური აკითხვები პრეზიდენტთან...

№5

კითხვები

- მამია სპეციალ-100

პრობა

- ნუნუ მამიაძე
- ზინა მამიაძე
- ვაჟა ჯიბია
- შალვა მამიაძე

პოეზია

- მანანა მამიაძე
- ნუნუ მამიაძე
- ქეთი მამიაძე
- ლევან მამიაძე

თარგმანი

- ვაჟა ჯიბია
- ანა მამიაძე

ლიტერატურა ინტერვიუდან

- ზინა მამიაძე
- ლევან მამიაძე



„პეჟო“ სიახლეები

კომპანია „პეჟო“ მომავალ ზაფხულს, განახლებული სედანისა და უნივერსალის გაყიდვის დაწყებას გეგმავს. ავტომობილს მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები ჩაუტარდება, რაშიც რადიატორის განსხვავებული, ქრომირებული ცხაური და ახალი უკანა მაშუქებიც იგულისხმება. მოდერნიზებული ორლიტრიანი ტურბოდიზელისა და ახალი ორლიტრიანი აგრეგატის გამოკლებით, რომელიც ბიოეთანოლ 85-ზე მუშაობს, ძრავების გამა არ შეიცვლება. განახლების შემდეგ, „ევრო-5“-ის ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამისი, დახვეწილი დიზელის სიმძლავრე 140 ცხ.ძ-მდე გაიზარდება. 100 კმ მანძილის გასავლელად, ასეთი მობილით ალტურვილ მანქანას დაახლოებით 5,6 ლ სანვაგი ესაჭიროება, ხოლო ატმოსფეროში CO2-ის გამოწვევის დონე კილომეტრზე 150 გ-ის ტოლია. განახლებული

Peugeot 407 განსხვავებული კლიმატ-კონტროლის სისტემით დაკომპლექტდება. რამდენად შეიცვლება ასეთი ავტომობილის ფასი, ჯერჯერობით უცნობია.

ფიუნინგავალი Ford Kuga

გერმანულმა კომპანიამ — Delta — რომელიც არასაგზაო მანქანების ტიუნინგითაა ცნობილი, ახალი კროსოვერის — Ford Kuga — პირველი სპორტპაკეტი წარმოადგინა. ამ ავტომობილის დებიუტი შარშან ფრანკფურტის მობილურზე შედგა. გარეგნულად საბაზო ავტომობილისაგან ტიუნინგავალი Ford Kuga-ს წინა ბამპერზე დაყენებული, დამატებითი ნილსანინააღმდეგო ფარები და ალუმინის შენადნობისაგან დამზადებული 18-22 დუიმიან ზომის, საფირმო საბორბლე დისკები განასხვავებს. მოდერნიზების შემდეგ, ორლიტრიანი დიზელის ძრავას სიმძლავრე 136-დან 162 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. სიახლის შესახებ სხვა ტექნიკური ინფორმაცია ამ ეტაპზე არ ვრცელდება. გერმანიაში ასეთი Ford Kuga-ს ფასი 34.990 ევროს შეადგენს.



შერონ სტოუნის კაბრიოლავი რაიკონენა შიიძინა

მონაკოში გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე, რომელიც სერ ელტონ ჯონის მიერ, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად იყო მოწყობილი, „ფორმულა 1“-ის მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა, კიმი რაიკონენმა შერონ სტოუნის საკოლექციო კაბრიოლავი — Chevrolet Covrette შიიძინა. ავტომობილის ფასმა 200 ათასი ევრო შეადგინა. მანქანა 1974 წელსაა გამოშვებული და მას სულ რაღაც 6 კმ აქვს გავლილი. მანქანას დართული აქვს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, აგრეთვე — ძრავასა და ძარას ქარხნული ნომერი. გარდა ამისა, ამავე აუქციონზე, „ფორ-



მულა 1“-ის გუნდის — Force India — მფლობელმა, ვიჯაი მალიამ 375 ათას ევროდ შიიძინა პიანინო, რომელსაც ელტონ ჯონი 2001 წელს თავისი ალბომის — Songs from the West Coast — ჩანერისას იყენებდა. ნლეულს აუქციონის შემოსავალი ერთ მილიონ ევროზე მეტია. შეგახსენებთ, რომ ელტონ ჯონის საქველმოქმედო საზოგადოება 1992 წელს დაარსდა. არსებობის მანძილზე შემოსავალმა 125 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ეს თანხები შიდსის კვლევის ცენტრებში გადაიგზავნა.

აირჩიე და შიიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 კვ. ფასი | 6 თვე |
|----------------------|------------|-------|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБЗОРИ | 82.80 | 496.8 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |



პრესის გაერთიანების სააგენტო

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirspalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

E-mail: elva@kvirspalitra.com



| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|----|--------------------------------|----|------------------------------|----|------------------------------|-------------------------------------------|------------------------------|-------------------------------|---------------------------|------------------------------|-----------------------|----|---------------------|----|----------------|----|--------------------|
| | | | | | 1 | ზედა სამოსის საყრდენზე ძველ რეზინულ ქვედა | 2 | ლეუმადის მითხრობა | 3 | ამერიკელი უგზობის ავტომობილი | | | | | | | |
| | | | | | 4 | რუსი კინორეჟისორი | 5 | რაიმე ამბის ერთ-ერთი ახსნა | | | | | | | | | |
| | | | | | 6 | ჩესურის ავტომობილი | 7 | კვლევაში მუღრმევეხული სათევსი | 8 | უბანი ქუთაისში | | | | | | | |
| | | | | | 9 | შუშრულვაში მამაკაცი | 10 | ჩასაბერი მუსიკალური საკრავი | | | | | | | | | |
| | | | | | 11 | ამერიკელი მულტიპლიკატორი | 12 | ამერიკელი მილიარდერი | 13 | ვარის ნაწილი | | | | | | | |
| 14 | კბილის ექიმი | 15 | რუსი ილუზიონისტი | 16 | ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში | 17 | ერთგვარი სპორტული ავტომობილი | 18 | ... | | | | | | | | |
| 19 | მათათი წარმოებული გრძელი ფრანა | 20 | ნაბოლეონის მარშალი | 21 | აბაზური ელსაქონლის ფერმა | 22 | გერმანელი ფიზიკოსი | 23 | ქათამების ოჯახის ფრინველი | | | | | | | | |
| 24 | რუსი პოეტი | 25 | გრძელი ფართო წამოსახსამი | 26 | იფეკა რაც ბეზა | 27 | ინგლისური ბილიარდი | 28 | იემენის დედაქალაქი | 29 | სავიდაო ხალიჩა | 30 | ძვ. რომაელთა სამოსი | | | | |
| 31 | კენიის დედაქალაქი | 32 | ერთი დამკვეთი გვარის მეფეები | 33 | საბუნებისმეტყველო მეცნიერება | 34 | ოქე | 35 | ხელის ნაწილი | 36 | წარმოუდგენა სანახაობა | 37 | ფრინველი | 38 | მცველი, გუმაგი | 39 | საზღვეულო სადოვარი |



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჟურნალი; 2. ნირი; 3. მარაბუ; 4. ბოლიდი; 5. ლიბერია; 6. ლაბრადორი; 7. ემუ; 8. ბარი; 9. ცრუ; 10. ლობიო; 11. დოლაბი; 12. კარაბე; 13. მელომანი; 14. გალიერა; 15. ია; 16. კოლოსი; 17. ფელინი; 18. ტარი; 19. ბოტულიზმი; 20. ავადმეცხა; 21. სეტი; 22. ლა; 23. ზრო; 24. ნერონი; 25. ილია; 26. ლისაბონი; 27. საპარა; 28. შივა; 29. ვადა; 30. იდო; 31. ანემია; 32. ივლისი; 33. ვალტერი; 34. ნობელი; 35. მეველე; 36. იავა; 37. აბაშიძე; 38. ლტოლვილი; 39. ისარი; 40. ევა; 41. სტიქია.

სურათებზე: ჟულიეტ ბინოში; ვენსან კასელი.

რაქედენად მოქმედებს სხვისი გუნება-განწყობილება თქვენზე?

რამდენად დაცული ხართ სხვა ადამიანების ემოციისგან? — ამ კითხვაზე პასუხს იოლად მიიღებთ, თუკი ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს უპასუხებთ.

შეფასების კრიტერიუმი: პასუხისათვის — „ყოველთვის“, დაინერეთ 5 ქულა; პასუხისათვის „ხშირად“ — 4; პასუხისათვის „ზოგჯერ“ — 3; პასუხისათვის „იშვიათად“ — 2; პასუხისათვის „არასოდეს“ — 1 ქულა.

1. თქვენ ირგვლივ მყოფი ადამიანების გუნება-განწყობილებას ყოველთვის კარგად გრძნობთ თუ არა?
2. თქვენც ხომ არ გადგებათ თვალზე ცრემლი, როდესაც თქვენი თანდასწრებით ვინმე ტირის?
3. მხიარულ, ოპტიმისტ ადამიანთან საუბრის შემდეგ უკეთეს გუნებაზე ხომ არ დგებით?
4. ლათინურამერიკული სერიალებისა და ინდური კინოფილმების ყურებისას, მათი გმირების თავს დატყბილ უბედურებას თქვენც ხომ არ განიცდით?
5. ხომ არ ხდება ისე, რომ ძველი, თქვენთვის კარგად ნაცნობი ანეკდოტის მოსმენისასაც კი არ ძალგიძთ სიცილის შეკავება?
6. თქვენთვის უცნობი ადამიანის გარდაცვალების ამბის შეტყობისასაც კი თვალზე ცრემლი ხომ არ გადგებათ?
7. ღიზიანდებით, როცა ადამიანები თქვენი თანდასწრებით საკუთარ მრისხანებას გამოხატავენ?
8. სხვის ღიმილს თქვენც ყოველთვის ღიმილითვე პასუხობთ?
9. თქვენზე მოქმედებს, როცა ხედავთ, როგორ იკრავს დედა შვილს მკერდში?
10. დაძაბულობა ხომ არ გეუფლებათ, როდესაც თქვენ გვერდით მყოფი ადამიანები სტრესულ მდგომარეობაში არიან?
11. თქვენი სხეული საყვარელი ადამიანის შეხებისთანავე რეაგირებს?
12. ღიზიანდებით, როცა ოთახში ვიღაც მოუსვენრად ბოლთას სცემს?
13. ნებისმიერ კონფლიქტში თქვენი ჩათრევა სირთულეს არ წარმოადგენს?
14. ყოველთვის ამჩნევთ და აფიქსირებთ არა მარტო იმას, რასაც ამბობენ, არამედ იმასაც, თუ როგორ ამბობენ ამ ყოველივეს?



დააჯამეთ თქვენ მიერ მოგროვილი ქულები და გააცანით ტასტის შედეგებს.

ტესტის შედეგები

14-29 ქულა: აშკარაა, რომ სხვების გუნება-განწყობილება დიდად არ მოქმედებს თქვენზე. მთლიანად საკუთარი თავით ხართ შეპყრობილი და ირგვლივ მყოფთა განცდებს ყურადღებას საერთოდ არ აქცევთ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, შესანიშნავი ფსიქოლოგიური თავდაცვის უნარით გამოირჩევიან და არანაირი ემოციური სტრესი არ გემუქრებათ, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ამბობენ, — კაცი, კაცი! ერთ მშვენიერ თუ არცთუ მშვენიერ დღეს თავადაც რომ გაგიჭირდეთ, თქვენი ზედმეტად გულგრილი ხასიათის გამო, შესაძლოა, თანაგრძნობის გარეშე დარჩეთ.

30-44 ქულა: თქვენ მიერ მოგროვილ ქულათა რაოდენობა მეტყველებს, რომ თანაგრძნობის უნარს

მოკლებული არ ხართ. თქვენ ყველას თანაუგრძნობთ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რომ საკუთარ თავს არაფერი ავნოთ და ეს ფაქტორი სულაც არ გახლავთ უმნიშვნელო, რადგან ნებისმიერი ცივილიზებული ადამიანისთვის ადეკვატური თანაგრძნობის უნარის ქონა, ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაა.

40-70 ქულა: ცხადზე უცხადესია, რომ სხვისი გუნება-განწყობილების მონა-მორჩილი ხართ. როგორც ჩანს, ზოგჯერ თავადაც ვერ გარკვეულხართ, სად მთავრდება თქვენი და იწყება სხვისი განცდა. ეცადეთ, უფრო მეტად საკუთარ განცდებზე გაამახვილოთ ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცუდი გუნება-განწყობილება და ემოციური სტრესი გარანტირებული გექნებათ.

ჰოროსკოპი

(5 - 11 ივნისი)

ფაქტი:

ამ კვირაში ძალზე კომუნიკაბელური იქნებით. ადრე დაწყებული საქმეების დასრულება ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შესაძლოა, ახალი სასიყვარულო რომანი წამოიწყოთ.

კუჩი:

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ძვირად ღირებული ნივთების შექენა სჯობს, სხვა დროისთვის გადადეთ. ეცადეთ, ოჯახის წევრებს არ შეენიანაღმდეგოთ.

ტყუპება:

ლიდერის თვისებების გამოვლენა თქვენს კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს. კარგი დროა იმიჯის შესაცვლელად, დიეტის დასაწყებად და სესხის ასაღებად. მოგზაურობა სხვა დროისთვის გადადეთ.

კიჩხობა:

საქმეების წარმოებაში გონების გაფანტულობა და განწყობილების ხშირი ცვლა შეგიშლით ხელს. კარგი იქნება, თუ უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლდებით. ხშირად დაისვენეთ, არ გადაიღალოთ.

ღიმი:

ამ კვირაში ძალზე მომხიბვლელი იქნებით და შესაძლოა, ნებისმიერი რომანტიკული ურთიერთობა დიდ გრძობაში გადაიზარდოს. საჭიროების შემთხვევაში, ცოდნის გაღრმავებაზე იფიქრეთ.

უბედობა:

პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადავა. ეს მშვენიერი დროა კარიერაში წარმატების მისაღწევად და შემოქმედებითი საქმიანობისათვის. გაგიადვილდებით საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვა.

სახსობა:

ამ კვირაში რისკი გამართლებულია. შესაძლოა, საინტერესო პერპექტივების წინაშე აღმოჩნდეთ. ეს საუკეთესო დროა საქონლით მოგზაურობისა და სასიყვარულო ოცნებების ასასრულებლად.

ფორფი:

საყვარელ ადამიანის ნუ დასცინებთ, რადგან ის შეიძლება, დიდი ხნით გაგებუტოთ. ერიდეთ საეჭვო შემოთავაზებებს. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს მოგზაურობასა და აქტიურ დასვენებას დაუთმობთ.

ფიციდოსხა:

პარტნიორებთან ერთად დაწყებული საქმეების მოგვარება თქვენს მატერიალურ კეთილდღეობას დიდი ხნით უზრუნველყოფს. საზღვარგარეთ გამგზავრება უამრავ რომანტიკულ თავგადასავალს გპირდებათ.

თხის ჩქა:

მნიშვნელოვანი შეხვედრები გარკვეული დროით გადადეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას. უსაფუძვლო ეჭვიანობა შესაძლოა, განხეთქილების მიზეზად იქცეს.

ფაჩხუბი:

ყველა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ და წარმატებას ადვილად მიაღწევთ. თუ საზღვარგარეთ გამგზავრება შემოგთავაზებს, უარი არ თქვათ — ეს თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

თევზება:

კარგი პერიოდია სახლში რემონტის დასაწყებად, სამსახურებრივ საკითხებში გასარკვევად და ახალი იდეების განსახორციელებლად. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა სიმშვიდის მოპოვებაში დაგეხმარებათ.

იაკონური სენსაცია სულოკუ

წინა ნომრის სულოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 6 | 4 | 8 | 9 | 6 | 2 | 1 | 5 | 3 | 7 | 5 | 8 | 6 | 9 | 2 | 4 | 1 | 3 | 7 |
| 1 | 6 | 8 | 9 | 2 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 | 6 | 9 | 9 | 7 | 4 | 8 | 1 | 3 | 5 | 6 | 2 |
| 4 | 9 | 3 | 6 | 7 | 1 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 6 | 7 | 5 | 9 | 8 | 4 |
| 7 | 5 | 6 | 8 | 1 | 9 | 3 | 2 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 1 | 2 | 5 | 6 | 4 | 9 | 8 |
| 9 | 3 | 4 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 1 | 6 | 8 | 2 | 3 | 5 | 7 | 9 | 4 | 4 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 | 6 | 1 | 5 |
| 2 | 8 | 1 | 3 | 4 | 7 | 5 | 6 | 9 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 2 | 5 | 3 | 6 | 5 | 8 | 4 | 9 | 1 | 2 | 7 | 3 |
| 8 | 2 | 5 | 7 | 9 | 3 | 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 2 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 | 8 | 7 | 5 | 6 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 2 | 8 | 5 | 6 | 4 | 9 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 2 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 7 | 2 | 1 | 5 | 6 | 3 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 5 | 7 | 6 | 2 | 8 | 4 | 9 |

*** მარტივი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 | | 3 | 7 | 5 |
| 8 | | 1 | | 2 |
| 9 | 5 | | | 3 |
| 4 | | 8 | | 7 |
| 9 | | 6 | | 5 |
| 1 | 7 | 2 | | 9 |
| 2 | | | 1 | 9 |
| 6 | | | 7 | 1 |
| 4 | 1 | 9 | | 2 |

**** საშუალო**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | | 6 | | 9 |
| | | 8 | | 6 |
| | 6 | | 4 | 3 |
| | 5 | 4 | | 7 |
| 7 | | | 5 | 2 |
| | 2 | 1 | 8 | 6 |
| | 8 | 9 | | 5 |
| 3 | | 4 | | |
| 9 | | 7 | | 1 |

***** რთული**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | | 8 |
| | | 5 | | 4 |
| | 4 | 3 | | 6 |
| 6 | | 7 | | 2 |
| | 8 | 9 | | 3 |
| 5 | | 6 | 3 | 4 |
| | 5 | | 1 | 7 |
| 4 | | 8 | | |
| 2 | | 6 | | 9 |

ეთოტოკუჲიოზეზი



საბა SABA

პრემიუმი ელიტური სახლი ბუჩაქიშვილზე



ღმთაბერი

ბუჩაქიშვილი



ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აუთიაჟი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დასვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოუხირობითი ფანა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი ქარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიასტა!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში